შენი ფინანსური რევოლუცია

სტრატეგიის ძალა

გარი ქისი

შენი ფინანსური რევოლუცია

სტრატეგიის ძალა

გარი ქისი

Your Financial Revolution, The Power of Strategy, Georgia
Copyright © 2021 by Gary Keesee
Originally published in English
Copyright © 2019 by Gary Keesee
ISBN : 978-1-945930-14-0
Gary Keesee Ministries,
P.O. Box 779, New Albany,
OH 43054, USA
GaryKeesee.com
This book is a FREE GIFT from Gary Keesee Ministries and is
NOT FOR SALE

შენი ფინანსური რევოლუცია, სტრატეგიის ძალა, ქართულად
Copyright © 2021 by Gary Keesee
ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე
Copyright © 2019 by Gary Keesee
ISBN : 978-1-945930-14-0
gari qisis msaxureba,
P.O. Box 779, New Albany,
OH 43054, USA
GaryKeesee.com
ეს წიგნი გარი ქისის მსახურების საჩუქარია და არ იყიდება.

გარი ქისი „შენი ფინანსური რევოლუციის“ მესამე წიგნში გვიმხელს წარმატების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს და ღმერთის სამეფოს გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე საიდუმლოს: სტრატეგიის ძალას! ყველას შეუძლია თევზის დაჭერა თუ ეცოდინებათ სად ისროლონ ბადეები. ღმერთს აქვს პასუხები, რომლებიც გჭირდება, მაგრამ უნდა იცოდე როგორ მოისმინო ეს პასუხები და როგორ გამოიყენო ისინი შენს ცხოვრებაში – აი, რის შესახებაა ეს წიგნი.

მიძღვნა

მინდა, ეს წიგნი ჩემს ცოლს, დრენდას მივუძღვნა, რადგან სწორედ მისი გამხნევება, მისი ლტოლვა ღვთის საქმეებისადმი და სიყვარული ოჯახისა და ჩემდამი იყო ის, რაც მთელი ამ წლების განმავლობაში შთამაგონებდა. ჩვენ ერთად დავამტკიცეთ, რომ ოცნებები მართლა ხდება!

– გარი ქისი

შინაარსი

შესავალი.....7

თავი 1: რა გსურს რომ გავაკეთოთ?.....19

თავი 2: სამეფო.....33

თავი 3: გაოცებული.....41

თავი 4: საწყისები: სახლიდან ამის გარეშე არ გახვიდე.....57

თავი 5: დასტური წმიდა წერილიდან.....75

თავი 6: ყველა ლოცულობს ენებით?.....85

თავი 7: საგანძურის სკივრი.....97

თავი 8: რთული სიტუაცია დაწინაურებისთვის.....115

თავი 9: წყნარი, მშვიდი ხმა.....125

თავი 10: ხილვები და სიზმრები.....137

თავი 11: სულიწმიდის ხმა ისე ჟღერს, როგორც ჩემი ბოსის...151

თავი 12: როგორ ილოცო და მიიღო სულიწმიდით ნათლობა...165

შესავალი

შენი ფინანსური რევოლუცია: შენი სტრატეგიის ძალა არის „ფინანსური რევოლუციის“ სერიის მესამე წიგნი. სულ ხუთი წიგნი იქნება დასრულებისას და თითოეული, 2005 წელს, ალბანეთში ჩატარებული კონფერენციის გავრცობილ ვერსიას წარმოადგენს. სწორედ ამ კონფერენციაზე, ჩემი ცხოვრების მიმართულება რადიკალურად შეიცვალა. თუ ეს ისტორია უკვე მოსმენილი გაქვს, ალბათ, გსურს შესავალს გადაახტე და პირდაპირ პირველი თავიდან დაიწყო. მაგრამ თუ ჯერ არ მოგისმენია, ნება მომეცი, ლურჯი დანისვლის შესახებ მოგიყვე. „ლურჯი დანისვლა“, ალბათ იკითხავ, „ეს რა არის?“ მესმის. როცა დავინახე, არც მე ვიცოდი ეს რა იყო, მაგრამ ღმერთის ძალა იმდენად ძლიერი იყო, ვგრძნობდი, რომ ეს მისგან უნდა ყოფილიყო. ნება მომეცით, ეს ისტორია მოგიყვეთ.

ჩემი და ჩემი ცოლის ქორწინება ვალებით დაიწყო და ცხრა წელი ასე გრძელდებოდა. და არა მხოლოდ ვალებით, მუდმივად ვიტანჯებოდით სტრესითა და შიშით, ფულისა და ფულთან დაკავშირებული პრობლემების გამო, რაც ძალას გვაცლიდა. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების ფინანსურად არევა ნამდვილად არ განგვიზრახავს, ასე გამოგვივიდა. ყველაფერი ერთი საკრედიტო ბარათით დაიწყო ბენზინისთვის, რასაც ერთი ვიზა ბარათი მოჰყვა, შემდეგ კი – ათი. როცა ვიზა ბარათის დაფარვა ვეღარ შევძელით, საფინანსო კომპანიებიდან 28 და 33 პროცენტიანი სესხი ავიღეთ, ჩვენი გადასახადების გასამყარებლად. შემდეგ წავედით და ეს ბარათები სხვა რაღაცებშიც გამოვიყენეთ. ვალი კი იზრდებოდა და იზრდებოდა! საბოლოოდ, აღმოვჩნდი ათი საკრედიტო ბარათით ხელში, რომელზეც თანხა სრულად ამოწურული იყო, სესხით სამ ფინანსურ კომპანიაში და IRS-ის გირაოთი, რაც ათობით ათას დოლარს შეადგენდა და ამას დამატებული უამრავი პატარ-პატარა ვალი. ასევე, სტომატოლოგის, ქიმწმენდის და ჩვენი მშობლების ათობით ათასი დოლარის ოდენობის ვალი;

ჩვენი ორი მანქანის საფასურიც გადასახდელი იყო, ამასთან სახლის ქირაც და სია უსასრულოდ გრძელდებოდა. სხვების დახმარებით ვცხოვრობდით, სტრესი პირდაპირი მნიშვნელობით მკლავდა. პანიკური შეტევების გამო ანტიდეპრესანტებზე ვიყავი დამოკიდებული, მაგრამ არც ეს მშველოდა. ყველაფერი, რაც კი გვქონდა, განადგურებული იყო. ჩვენი მანქანების გარბენი 300 000 კილომეტრს აღემატებოდა. ჩვენს პატარა, ძველ, 1856 წელს აშენებულ ფერმას, რომელსაც თვეში 300 დოლარად ვქირაობდით, უამრავი პრობლემა ჰქონდა. ძველი ფანჯრების უმრავლესობა ჩამტვრეული იყო და რადგანაც შეკეთების ფული არ გვქონდა, უბრალოდ წებოვანი ლენტით დავფარეთ ნაპრალები. ესეც არ იყო საკმარისი. ფანჯრის ჩარჩოს ნაპრალებში ეზოდან შემოსული მცენარის ლერწები იზრდებოდა. ჩემი ცოლი დრენდა ისე უვლიდა მათ, თითქოს სახლის დეკორის ნაწილი ყოფილიყო. ჩვენი ბიჭების საძინებელში დაფენილი ხალიჩა გზის გადაღმა, ნაგვის გროვაში ვიპოვეთ. მათი მატრასი კი თავშესაფრის წინ დაყრილი გროვიდან მოვიტანეთ. ყველანაირი ავეჯი, რაც კი გაგვაჩნდა ან ახლომახლო ფარეხიდან გვქონდა იაფად ნაყიდი ან ვიღაცის ნაგვის გროვაში ნაპოვნი.

ცხოვრება სულაც არ არის მშვენიერი, როცა ყოველ დილით იმაზე ფიქრით იღვიძებ თუ როგორ გამოკვებო შენი ოჯახი. ჩემი ცხოვრება შიშმა მოიცვა, სიხარული და იმედი კი გადარჩენის ქაოსში ჩაიკარგა. მე და დრენდა ასე ცხრა წლის განმავლობაში ვცხოვრობდით! ცხრა წელი! ერთი თვე კიდევ მესმის, ან უარეს შემთხვევაში წელიწადი, მაგრამ ცხრა წელი? ცხრა წლის განმავლობაში ასეთ სტრესში ცხოვრების შემდეგ, შენი ემოციები ქვავდება და მოთმინება ქრება.

მთელი ამ ცხრა წლის განმავლობაში ჩვენ ვიყავით ქრისტიანები და დავდიოდით ეკლესიაში, სადაც გვასწავლიდნენ, რომ სიღარიბე არ არის ღვთის ნება მისი ხალხისთვის. ჩვენ მეათედსაც გავცემდით და შესაწირავსაც, თუმცა ჩვენი ფინანსები სულაც არ ირეკლავდა ღვთის ერთგულებას და იმას, რაზეც ღმერთის სიტყვა საუბრობდა. აკადემიური ხარისხი მოვიპოვე ძველი აღთქმის შესწავლაში და ერთი წელი ბიბლიის სკოლაშიც გავატარე. ვიცოდი, რომ რაღაც ისე ვერ იყო, მაგრამ მაინც იმედს ვიტოვებდი, რომ საბოლოოდ ყველაფერი შეიცვლებოდა. თუმცა, მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში ასე არ მომხდარა.

მევალეები თითქმის ყოველდღე გვირეკავდნენ, მე და დრენდას უკვე ყველანაირი იმედი დაკარგული გვქონდა.

გარდა ამისა, ექიმები მეუბნებოდნენ, რომ დიაბეტის საწყისი ნიშნები მქონდა, ისეთი ჯანმრთელობის პრობლემების წინაშე აღმოვჩნდი, რაც ძალას მაცლიდა. ფული არ გვქონდა, ყველა საკრედიტო ბარათი გაუქმებული იყო და სახლში საჭმელიც კი აღარ იყო. შიში იმდენად მტანჯავდა, რომ სახლიდან გასვლისაც კი მეშინოდა. ჩემმა ცოლმა გონებაში იმის დაგეგმვაც კი დაიწყო, თუ როგორ დაბრუნდებოდა მშობლების სახლში შვილებთან ერთად, რადგან იფიქრა, რომ ქმარს კარგავდა. თუმცა, სწორედ, ამ უკიდურეს მომენტში შემოტრიალდა ჩემი ცხოვრება.

ადვოკატი საკმაოდ ხშირად მირეკავდა და მეც მუდმივად ვპირდებოდი, რომ შევძლებდი გადახდას, მაგრამ ფული არასდროს მქონდა, რომ ნამდვილად გადამეხადა. ერთ დილას, როცა მან დარეკა, მოთმინება უკვე ამოწურული ჰქონდა: „ან სამ დღეში გადაიხდი თანხას, ან საქმეს აღვძრავ შენ წინააღმდეგ, რადგან ჩემი კლიენტის თანხა გმართებს“. ამ მომენტში მივხვდი, რომ თავის მოჩვენება დასრულდა. ფული არ მქონდა და ჩემი საკუთარი ოჯახიც კი ვეღარ მასესხებდა. სასოწარკვეთილი ავლასლასდი ფერმის კიბეებზე, საძინებელში შევედი, საწოლზე დავემხე და ღმერთს შევღაღადე. ჩემდა გასაოცრად მან მაშინვე მიპასუხა სულში. პირველ რიგში, მან უბრალოდ გამახსენა მუხლი, რომელიც ძალიან ბევრჯერ მქონდა წაკითხული და მოსმენილი, ფილიპელთა 4:19:

„ჩემი ღმერთი კი ყოველ თქვენს საჭიროებას თავისი სიუხვისამებრ აღავსებს, დიდებაში, ქრისტე იესოში“.

„რა თქმა უნდა, ვიცი ეს მუხლი“, - ვუთხარი უფალს და განვაგრძე, - „მაგრამ ეს არ ხდება ჩემს ცხოვრებაში. ჩემი ყველა საჭიროება არ არის დაკმაყოფილებული“. უფალმაც მიპასუხა: „მე არაფრის გაკეთება არ შემიძლია იმ არეულობაში, რომელშიც ხარ. შენ ამ არეულობაში იმიტომ აღმოჩნდი, რომ არასდროს გისწავლია, თუ როგორ მოქმედებს ჩემი სამეფო“. მან კიდევ რამდენიმე რაღაც მითხრა, თუმცა მთავარი სათქმელი გავიგე: ვალი არ ყოფილა მისი ნება ჩემს ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამაღელვა ღმერთის ხმის მოსმენამ, უნდა ვაღიარო,

რომ არ ვიცოდი მან რა იგულისხმა სამეფოში. ხარისხი მქონდა მოპოვებული ბიბლიის სწავლებაში და ვთვლიდი, რომ საკმაოდ კარგად ვიცოდი ბიბლია, მაგრამ აშკარად ვცდებოდი. პირველი, რაც ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ გავაკეთე, იყო ის, რომ ვიპოვე დრენდა და მის წინაშე მოვინანიე მისი ამ არეულობაში შეყვანა. შემდეგ ორივემ ერთად ვილოცეთ და ღმერთს ვთხოვეთ ესწავლებინა ჩვენთვის, თუ როგორ მოქმედებს მისი სამეფო. ასევე, მოვინანიეთ, ვალებზე დაიმედება და გადავწყვიტეთ, რომ ვალზე აღარ დავდებდით იმედს, როგორც ცხოვრების საშუალებაზე. თუმცა, სინამდვილეში, მიუხედავად ჩემი ხარიხსისა ბიბლიის სწავლებაში, სამეფო ჩემთვის იდუმალი იყო. ერთადერთი ადგილი ახალ აღთქმაში, სადაც სიტყვა „სამეფო“ მახსოვდა, იყო ლოცვა „მამაო ჩვენო“.

„მოვიდეს მეფობა (სამეფო) შენი და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“. (მათე 6:10)

მართლა არ გვესმოდა რის თქმას ცდილობდა ღმერთი ჩვენთვის, მაგრამ როცა უფლის ძიება დავიწყეთ, მანაც დაიწყო ჩვენთვის სწავლება. პირველი, რასაც უნდა მივმხვდარიყავით - რა იყო სამეფო და რატომ გამოიყენა ღმერთმა ეს სიტყვა. რის თქმას ცდილობდა ჩვენთვის? გარკვეული კვლევის შემდეგ, აღმოვაჩინე, რომ სამეფო უბრალოდ ხალხის ბრბო არ ყოფილა. ეს იყო ხალხის ბრბო, რომელიც ცხოვრობდა ხელისუფლებისა და მეფის მმართველობის ქვეშ. რეალურად, სიტყვა სამეფო ეხება მეფის სუვერენიტეტს. მეფის სუვერენიტეტს ანუ მის ძალაუფლებასა და კანონებს, რომელსაც მის მმართველობაში ყველა მოქალაქე მიჰყვება მისი ხელისუფლების მეშვეობით. აი ეს იყო მთავარი გასაღები ჩემთვის: ღმერთის სამეფო არის მმართველობა.

და მმართველობას აქვს კანონები!

ხედავთ, ღმერთს ისე ვუყურებდი, როგორც ქრისტიანთა უმრავლესობა, არასწორად მესმოდა თუ რისი გაკეთება შეეძლო მას. მივიჩნევდი, რომ რადგან ის ღმერთია, ყველაფერი შეეძლო გაეკეთებინა, რასაც მოისურვებდა და როცა მოისურვებდა. ვიცი წიგნის ამ მომენტში იტყვი, რომ ვცდები, მაგრამ ნება მომეცი გავაგრძელო. იმის გამო, რომ მჯეროდა, ღმერთს

შეეძლო ყველაფერი გაეკეთებინა, რაც სურდა და როცა მას სურდა, უპასუხო ლოცვას ვუყურებდი, როგორც თხოვნას, რომელიც მან უარყო. ამ გაურკვევლობამ ლოცვასთან დაკავშირებით იქამდე მიმიყვანა, რომ უბრალოდ იმედი მქონდა მიპასუხებდა. ამრიგად, ჩემი ლოცვითი ცხოვრების ფორმა ძირითადად ასეთი იყო, ხვეწნა და მუდარა მოწყალებისთვის, იმის იმედით, რომ ჩემი ვითარება საკმარისად სერიოზულად ჟღერდა ღმერთის ყურადღების მისაპყრობად. მაგრამ, როცა ღმერთმა დაიწყო ჩემთვის იმის სწავლება, რომ მისი მთელი სამეფო არის მმართველობა კანონებით, რომელთა სწავლაც და გამოყენებაც შეგვიძლია, ძალიან აღვფრთოვანდი. გავიგე, რომ, როცა ქრისტესთან მივედი, მისი დიდებული სამეფოს მოქალაქე და მემკვიდრე გავხდი.

„მაშასადამე, თქვენ, უკვე აღარ ხართ ხიზნები და უცხონი, არამედ წმიდათა თანამოქალაქენი და ღვთის სახლეულნი“. (ეფესელთა 2:19)

მახსოვს ბიბლიას ვკითხულობდი და ვფიქრობდი: *უფლებები მაქვს მის სამეფოში! შეიძლება ასე მარტივად იყოს? როგორც აშშ–ს მოქალაქეს არ მიწევს ხვეწნა და მუდარა იმისთვის, რაც უკვე ჩემია, როგორც მოქალაქის. არ უნდა დამბურძგლოს იმის დასამტკიცებლად, რომ მოქალაქე ვარ. მე აქ დავიბადე. როცა ხელახლა ვიშვი ღმერთის სამეფოში, მისი სამეფოს მოქალაქე გავხდი. ეს ნიშნავს, რომ კანონიერი წვდომა მაქვს ყველა კანონსა და სარგებელზე, რაც მისი სამეფოს კანონებშია ჩაწერილი.* ჩემი სამყარო რადიკალურად შეიცვალა, როცა ღმერთმა ჩემთვის ამის ჩვენება დაიწყო. ხედავთ, მე და დრენდას, როგორც ქრისტიანების უმრავლესობას, არ გვესმოდა სამეფო და მისი კანონები.

ალბათ, მოგისმენიათ, რომ ქრისტიანთა უმრავლესობა ამბობს: „ღმერთმა დაუშვა, ღმერთმა უკეთ იცის, ყველაფერი ღმერთის კონტროლის ქვეშაა ან ღმერთია უმაღლესი მმართველი“, როცა ვიღაცა რთული პერიოდის პირისპირ აღმოჩნდება. ეს კომენტარები მიუთითებს რწმენაზე, რომ ღმერთს აქვს ძალაუფლება გაგვცეს პასუხი, მაგრამ არ სურს ან არ გადაუწყვეტია ჩარევა. ეს არასწორი მოსაზრებები ღმერთის

შესახებ იმის შედეგია, რომ არ ვიცნობთ ღმერთის ხასიათს და არ გვესმის, თუ როგორ მოქმედებს ღმერთის სამეფო.

ნება მომეცით, ილუსტრაციით აგიხსნათ რას ვამბობ. თუ ბანკში მილიარდი დოლარი გაქვთ, იტყვით: „მე მილიარდი დოლარი მაქვს“. მაგრამ ფაქტია, რომ როცა ამას ამბობ, ჯიბეში არ გიდევს მილიარდი დოლარი. ამის ნაცვლად, რაღაც დაწესებულებაში გაქვს მილიარდი დოლარი, საიდანაც თანხის გამოსატანად კანონიერ პროცესებს უნდა მიჰყვე. ღმერთის სამეფოც იგივეა. როგორც მოქალაქეები და ღმერთის ოჯახის წევრები, ჩვენ რეალურად იმ ყველაფრის მემკვიდრეები ვართ, რაც ღმერთს აქვს. მაგრამ არსებობს კანონები და პროცესები, რითიც ვიღებთ იმას, რაც კანონიერად უკვე გვეკუთვნის.

რადგანაც ადამიანთა უმრავლესობას არ ესმის ღმერთის სამეფო და არ ესმის, ის კანონები და პროცესები, რომლითაც იგი მოქმედებს, როცა რაიმე არ ხდება ისე როგორც ღმერთის სიტყვა ამბობს, ხალხი მიიჩნევს, რომ ეს ყველაფერი ღმერთის ბრალია და არა მათი.

აი, რა აღმოვაჩინე. მოდი, ვთქვათ, რომ გადაწყვიტე ემპაირ სტეიტ ბილდინგიდან გადმოხტომა პარაშუტის და ყველაფრის გარეშე, მაგრამ გჯერა, ხელებს იმდენად ძლიერად იქნევ, რომ შეძლებ უსაფრთხოდ დაფრინდე ძირს. ვფიქრობ, ამ სულელური ტრიუკის შედეგს მიხვდებოდით. მიზეზი, რის გამოც იცი შედეგი არის ის, რომ გესმის გრავიტაციის კანონი. იცი, რომ გრავიტაციის ძალა არავის და არაფერს არ გამოარჩევს და ყოველთვის ერთნაირად მოქმედებს, ამრიგად, დარწმუნებული ხარ შედეგში. იგივენაირად, როცა შუქს ანთებ, ელოდები, რომ განათდება, რადგან ელექტროობის კანონები გესმის. როცა თვითმფრინავით მივფრინავ, მოლოდინი მაქვს, რომ იგი გაფრინდება, რადგან მესმის აწევის კანონი. თვითმფრინავები და სინათლე ყოველ ჯერზე მუშაობს, რადგან მათი ფუნქციონირება დაფუძნებულია კანონებზე, რომლებიც შეგვიძლია ვისწავლოთ, შემდეგ გავაორმაგოთ, რათა იგივე შედეგები და ფუნქციები მივიღოთ ყოველ ჯერზე. ღვთის სამეფო დარწმუნებულობის იგივე დონით მოქმედებს.

„და აჰა რა გაბედულება გვაქვს მის მიმართ, რომ როცა რამეს ვთხოვთ მისი ნებისამებრ, იგი გვისმენს. და როცა

ვიცით, რომ გვისმენს იგი, რასაც ვთხოვთ, ვიცით, რომ გვაქვს, რაც ვითხოვეთ მისგან“.

– 1 იოანე 5:14-15

ეს არის ჩვენი გაბედულება. თუ რაიმეს ვითხოვთ ღმერთის ნებისამებრ, ვიცით, რომ ის გვისმენს და თუ კი ვიცით, რომ იგი გვისმენს, ვიცით, რომ გვაქვს ის, რასაც ვთხოვთ. ხედავთ, შემიძლია დარწმუნებული ვიყო შედეგში, რადგან თავად მეფეა კანონის შემქმნელი. თავად იგი გაუმაგრებს ზურგს თავის კანონს. როცა წერილი ამბობს, რომ ის გვისმენს, ეს ბგერების ჟღერად მოსმენას არ გულისხმობს, არამედ როგორც მოსამართლე ისმენს საქმეს, რათა სამართალი აღასრულოს. მოსამართლე არ განსჯის თავისი გრძნობებიდან გამომდინარე, მისი დანიშნულებაა უზრუნველყოს ის, რომ კანონი განხორციელდა სამეფოს მოქალაქეების სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე, სასამართლო სხდომის დაწყებამდე ვიცი, თუ როგორ დასრულდება იგი.

მე და დრენდამ გასაოცარი რაღაცები ვნახეთ, რაც ჩვენს ცხოვრებაში მოხდა მას შემდეგ, რაც სამეფოს კანონების გამოყენება დავიწყეთ ჩვენს ცხოვრებაში. ორ წელიწად ნახევარში სრულიად გავთავისუფლდით ვალებისგან. ერთი ჰეფი მილის სამ ბავშვზე განაწილებიდან იქამდე მივედით, რომ ნაღდი ფულით შევიძინეთ ახალი მანქანები და ავაშენეთ ჩვენი ოცნების სახლი 22 ჰა მიწაზე, რომლის საფასურიც ასევე სრულად დავფარეთ. დავაარსეთ კომპანიები, რომლებსაც წლების შემდეგაც კი წელიწადში ასობით ათასი დოლარი აქვს ქსელური მოგება. ამის შემდეგ, ეკლესია დავაარსეთ ჩემს მშობლიურ ქალაქში, რათა ადამიანებისთვის გაგვეზიარებინა ის, რაც ღვთის სამეფოს შესახებ აღმოვაჩინეთ. და აღმოვაჩინეთ, რომ უამრავ ადამიანს სურს იცოდეს ის, რაც ჩვენ აღმოვაჩინეთ და იცხოვროს კარგი ცხოვრებით, როგორსაც ღმერთის სამეფო გვთავაზობს. სამეფოს შესახებ კეთილი უწყების გამო, ეკლესია იზრდებოდა და ახლა ათასჯერ უფრო ძლიერია.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველ დღე ვასწავლიდი ადამიანებს სამეფოზე, ვინც კი მომისმენდნენ, მქონდა სურვილი ექსპერიმენტის სახით მივწვდომოდი მათ, ვისაც ამაზე მანამდე არასდროს გაეგოთ. ვიცოდი, რომ ვინმეს ცხოვრებაში სამეფოს

გაგებასთან დაკავშირებული ცვლილების დასანახად, ერთზე მეტი სესია დამჭირდებოდა, რათა სამეფოს შესახებ ძირითადი იდეები გადამეცა. მეთოდისტური ეკლესიიდან მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, იდეა დამებადა, რაც ვიფიქრე, რომ გაამართლებდა. ჩემი ახალგაზრდობისას, საღამოობით ერთ კვირიანი გამოღვიძების მსახურებები გვქონდა. და მეც ვოცნებობდი ერთ კვირიანი ფინანსური გამოღვიძების მსახურებებზე. ჩემს ხედვაში იგი ხუთ სესიად გრძელდებოდა. მანამდე სამეფოს შესახებ ასე სწორხაზოვნად არ მისწავლებია, ამიტომ არ ვიცოდი როგორ ჩამომეყალიბებინა. მაგრამ ძალიან მაინტერესებდა რა გავლენას იქონიებდა ხუთი სწავლებითი სესია მსმენელებზე. ლოცვა დავიწყე ასეთი შეხვედრის ჩატარებაზე და ღმერთს ვთხოვდი ამის გაკეთების შესაძლებლობა მოეცა. ვთხოვდი, რომ ეს ყველაფერი ისეთი ადამიანების ჯგუფისთვის მესწავლებინა, რომელთაც მანამდე არ გაეგოთ მსგავსი რამ.

ერთ საღამოს, შემთხვევით შევხვდი მეგობარს, რომელიც ალბანეთში მსახურობდა მისიონრად. ჩვენი საუბარი ეკლესიისა და მსახურების გარშემო ბევრ საკითხს შეეხო და საბოლოოდ იმ მიმარტულებით წარიმართა, რასაც ღმერთი ბოლო პერიოდში მაჩვენებდა. ლარი ყოველწლიურ ეროვნულ კონფერენციას ატარებდა ალბანეთში იმ შემოდგომას და ერთ-ერთ სპიკერად მიმიწვია. მე არ მითქვამს ჩემი სურვილის შესახებ, რომ მინდოდა ხუთი სესია მქონოდა, მაგრამ ძალიან გამიხარდა, როცა მითხრა, რომ სამი სესიის ჩატარებას შევძლებდი. მან მითხრა, რომ მე თავად უნდა გადამეხადა ჩემი გზის ფული, როგორც იქ ჩასული პასტორების უმრავლესობას, რადგან ალბანეთი იმ დროს ძალიან ღარიბი ქვეყანა იყო. მეც დავთანხმდი და 2005 წლის შემოდგომაზე ალბანეთში ჩასვლა დავგეგმე.

გამგზავრების დროც მოვიდა და აღფრთოვანებული ვიყავი შესაძლებლობით, რომ სამეფოს შესახებ მესწავლებინა ადამიანთა ჯგუფისთვის, რომლებიც ჯერ ახლა სწავლობდნენ რას ნიშნავს იყო ქრისტიანი. როცა ალბანეთში ჩავედი, ლარიმ აეროპორტშივე მითხრა, რომ მისი ერთ-ერთი სპიკერი ველარ ჩადიოდა და ხუთი სესია მექნებოდა. დარწუნებით ვიცოდი, რომ ეს სულიწმიდამ მოაწყო! ჩანაწერები სამი სესიისთვის მქონდა, მაგრამ სწრაფად ვილოცე და კიდევ ორი სესიისთვის გავწერე. თუმცა მაშინებდა ის, თუ როგორ უპასუხებდნენ ადამიანები

ჩემს მოწოდებას, რადგან ძალიან გაჭირვებულები იყვნენ და ქვეყანაში კორუპცია ჰყვაოდა.

პირველი სესიის დროს შევამჩნიე, რომ ცოტა ყოყმანობდნენ, მაგრამ როცა განვაგრძე იმის სწავლება, რაც ღმერთმა მასწავლა, იმ ისტორიებით, რაც ამტკიცებდა ჩემს სწავლებას, ადამიანები უფრო ბედნიერები და აღფრთოვანებულები იყვნენ. მეოთხე სესიისთვის, ისინი უკვე იცინოდნენ და იმდენად ბედნიერად გრძნობდნენ თავს იმით, რასაც ისმენდნენ, რომ შეძახილებით გამოხატავდნენ კმაყოფილებას. უცნაურია, მაგრამ ვიგრძენი, უფალი მეუბნებოდა, რომ მეხუთე სესიაზე შესაწირავი ამეგროვებინა. უცნაური იყო, რადგან ბევრი ადამინისთვის მე გადავიხადე თანხა რომ იქ მოსვლა შეძლებოდათ და ვიცოდი, რომ ან ძალიან მცირე თანხა ექნებოდათ ან საერთოდ არ ექნებოდათ. მაგრამ ფიქრის შემდეგ მივხვდი, რომ ადამიანები იმოქმედებდნენ მოსმენილის მიხედვით. ცოტა მაინც ვნერვიულობდი, როგორ მეთქვა ეს ლარისთვის, მაგრამ ისიც სწარაფად დამთანხმდა შესაწირის აგროვებაზე. რა თქმა უნდა, შესაწირავს ჩემთვის არ ვაგროვებდი; აგროვილი თანხა მთლიანად იქ, ალბანეთში დარჩებოდა, ალბანეთის ეკლესიებისთვის.

ბოლო სესიაც მოვიდა, ვასწავლიდი როგორ გამოეთავისუფლებინათ რწმენა და უფრო ნათელს ვხდიდი ნასწავლ კანონებს. მსახურების ბოლოს, როცა შესაწირავი ავაგროვე, ყველაფერი გატყდა. დარბაზი ღმერთის ცხებულებამ აავსო და ხალხმა შეძახილები და ცეკვა დაიწყო. ოთხი ადამიანი გვყავდა, ვინც კალათებით იდგნენ, მაგრამ უკვე დგომაც უჭირდათ. ტიროდნენ და ცახცახებდნენ ღმერთის თანდასწრებაში მყოფნი, როგორც ადამიანები, რომლებიც სწირავდნენ. ასეთი შეხვედრა არასდროს მენახა, განსაკუთრებით ფულის გაღებასთან დაკავშირებით!

როცა მე და ლარიმ შეხვედრა დავტოვეთ, ერთმანეთს გავუზიარეთ, თუ როგორი გაოცებულები ვიყავით იმ ძლიერი ცხებულებით და ხალხის გამოპასუხებით იმ ღამეს. ლარის აპარტამენტში დაბრუნების შემდეგ, იგი მოუთმენლად ელოდა ფულის დათვლას, რადგან მანამდე შესაწირში ორი სავსე ტომარა არასდროს ჰქონია. როგორც მან თქვა, ზოგადად, ტომრის მეოთხედი თუ გროვდებოდა ხოლმე. როცა ლარიმ ტომრები მაგიდაზე გადმოაპირქვავა, უეცრად ღია ლურჯმა ნისლმა აავსო

ოთახი და ისეთი ცხებულება გადმოვიდა ჩვენზე, როგორიც არასდროს მიგრძვნია. ვერაფერს ვაკეთებდით, გარდა იმისა, რომ სკამებზე დავეცით. როცა ჩვენს წინ, მაგიდაზე ფულის გროვას შევხედე, შუაგულში კაცის საქორწინო ბეჭედი შევნიშნე. ვიცოდი, რომ ბეჭედი მან ჩადო, ვისაც ფული არ ჰქონდა, თუმცა ყველაფერი გასცა რაც ჰქონდა. ბეჭედის დანახვისას უფალი დამელაპარაკა.

„მოგიწოდებ ერებში, რათა ასწავლო ჩემი აღთქმა ფინანსურ კურთხევაზე და სადაც არ უნდა გაგაგზავნო, ყველგან მე უზრუნველგყოფ“.

პარალიზებული ვიყავი. სამი დღე არ მეძინა. ეს ცხებულება კვირები გაგრძელდა ჩემზე. თუ ვინმეს შევხვდებოდი სხვა ერიდან, კვლავ ვგრძნობდი იმ ცხებულებას. მიუხედავად იმისა, რომ შესაწირი ალბანეთის ეკლესიებში დარჩა, სახლში დაბრუნებისას ლარიმ დამირეკა და მითხრა, რომ უფალმა უთხრა, ბეჭედი ჩემთვის გამოეგზავნა. ძალიან გახარებული ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ ლარისთვის არაფერი მითქვამს ჩემს სურვილზე: მინდოდა ის ბეჭედი მქონოდა, მან უფლისგან მოისმინა, რომ ჩემთვის გამოეგზავნა. მინდოდა ეს ბეჭედი იმის სამახსოვროდ მქონოდა, რაც უფალმა მითხრა და იგი დღესაც კედელზე მაქვს ჩამოკიდებული.

როცა სახლში დავბრუნდი ოჰაიოში, ლარის მეგობარმა, რომელიც პატარა ეკლესიას მწყემსავს იუტაში, გაიგო ალბანეთში მომხდარის შესახებ და დამეკონტაქტა, რათა მათთანაც ჩავსულიყავი. ის ინდურ დასახლებას მწყემსავდა, მითხრა, რომ ძალიან გაჭირვებული ხალხი იყო მის გარშემო; რომ ეს ეკლესია დაახლოებით 60 ადამიანს თუ ითვლიდა, თუმცა ვუთხარი, რომ პრობლემა არ იყო და ჩავიდოდი.

იგივე ხუთი სესია ჩავატარე, რაც ალბანეთში ვასწავლე. იქ ლურჯი ნისლი არ დამინახავს, თუმცა ცხებულება ისეთივე ძლიერი იყო.

ამ შემთხვევაში შესაწირი ჩემი მსახურებისთვის იყო, ამიტომ თანხის ტომარა შევკარი და უკან ოჰაიოში წამოვიღე. ოფისში დაბრუნებისას, ტომარა ჩემს მდივანს გადავეცი, რათა დაეთვალა და ბანკში შეეტანა. მე ლანჩზე წავედი. ლანჩის დროს ტელეფონმა დამირეკა, დავხედე და ჩემი მდივანის ნომერი ამოვიკითხე. როცა ვუპასუხე, ვიღაცის ტირილი გავიგე.

„ტრეისი?“- ვთქვი მე. ტრეისიმ მიპასუხა, ცდილობდა ემოციები შეეკავებინა. „პასტორო“, - მითხრა მან, - „რა დაემართა იუტაში ამ ფულს?“ „რას გულისხმობ, რას ნიშნავს ფულს რა დაემართა?“ „იცით“,- თქვა მან, - „როცა ტომარა გავხსენი და მაგიდაზე გადმოვყარე დასათვლელად, უეცრად ღმერთის ცხებულება ისე ძლიერად გადმოვიდა ჩემზე რომ იატაკზე დავეცი. ხმაურზე მეორე მდივანი შემოვიდა ოფისში, რომ ენახა რა ხდებოდა და ღმერთის ძალამ ისიც ძირს დააგდო! რა დაემართა ამ ფულს პასტორო?“ მე მოვუყევი მას რა მოხდა იუტაში, როგორი ძლიერი ცხებულება იყო, როცა შესაწირს ვაგროვებდი, მაგრამ მეტი არაფერი მომხდარა. უნდა ვაღიარო, რომ ძალიან დამაინტრიგა იმან, რაც ხდებოდა, რადგან მსგავსი რამ მანამდე არასდროს გამეგო და მენახა. მიუხედავად იმისა, რომ არ მესმოდა, ცხადი იყო, რომ შეხვედრიდან ცხებულება ფულზე გადავიდა! მართლა!

ჩვენ დავიწყეთ „ფინანსური რევოლუციის კონფერენციების“ ჩატარება მთელს ქვეყანაში, დიდ თუ პატარა ეკლესიებში, ყველგან, სადაც მოგვისმენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ზოგ შემთხვევაში ვხედავდით ლურჯ ნისლს, ცხებულება ყოველთვის ძალიან ძლიერი იყო. როგორც ალბანეთისა და იუტას ინდურენოვანი ეკლესიის შესაწირავზე, ცხებულების ნაშთი თავად შესაწირზე გადადიოდა. შევამჩნიე, რომ შეხვედრის შემდეგ, როცა ამ ფულს ვითვლიდით, შეიძლებოდა უბრალოდ ერთი ხურდა აგეღო ხელში და გეცახცახა სულიწმიდის ძალით. კიდევ ერთი საინტერესო რამ, რაც შევამჩნიეთ იყო რომ თითოეული ფულის კუპიურა თუ ჩეკი განსხვავდებოდა. მათ არ ჰქონდათ ცხებულების ერთნაირი დონე. მოგვიანებით გავიგე, რომ ეს იმ რწმენის შედეგი იყო, რაც ინდივიდუალურად გამოათავისუფლეს ამ შესაწირავზე. დაუჯერებელია!

„შენი ფინანსური რევოლუციის“ სერიების ხუთი წიგნი ფარავს იმ ხუთ სესიას, რომლებიც ალბანეთში ჩავატარე. წიგნები, რა თქმა უნდა, ცოტა უფრო გავრცობილია, ვიდრე პირველი კონფერენცია იყო. მჯერა, რომ, როცა დაიწყებთ სამეფოს შესწავლას, როგორც ეს მე და დრენდამ გავაკეთეთ, იგი შეცვლის თქვენს აღქმას ყველაფრისადმი, როგორც ჩვენს ცხოვრებაში მოხდა. ამ წიგნს, მესამე წიგნს ამ სერიაში, თავიდან ერქვა *„სიმდიდრე სულიწმიდით“,* როცა იგი ალბანეთში ვასწავლე. მჯერა, რომ ეს ფრაზა დღესაც ჭეშმარიტებაა.

სულიწმიდისგან შთაგონებული სტრატეგიები აგაყვავებთ. იმედი მაქვს, რომ ამ წიგნის მეშვეობით ისწავლით, თუ როგორ მოქმედებს სულიწმიდა მიწიერ სამეფოზე ამ სტრატეგიების შესასრულებლად.

თავი 1

რა გსურს რომ გავაკეთოთ?

როცა ალბანეთიდან სახლში დავბრუნდი, სრულ არეულობაში ვიყავი. იმის გავლენა, თუ რა გააკეთა უფალმა ჩვენს ცხოვრებაში და შემდეგ როგორ მითხრა, რომ ამას ერებამდე მივიტანდი, ცოტა ემოციური იყო. ერები? მე ვიყავი ადამიანი, რომელმაც დრენდას ვუთხარი დაქორწინებისას რომ არასდროს ვიმოგზაურებდი და არასდროს მოვისურვებდი სხვა ერში მისიით წასვლას. მაგრამ ღმერთს სხვა გეგმები ჰქონდა, რა თქმა უნდა. მე ერებში უნდა წავსულიყავი, მაგრამ როგორ? მქონდა ბიზნესი, რომელიც მთელს ამერიკას ფარავდა, ეკლესიას ვუძღვებოდი, ოჯახი მყავდა მისახედი, შვილები - აღსაზრდელი და კიდევ უამრავი სხვა პასუხისმგებლობა. უბრალოდ ვერ ვხედავდი როგორ წავიდოდი ერებში. მაგრამ ღმერთს ჰქონდა გეგმა, გეგმა, რომელიც საერთოდ არ მოიცავდა ჩემს მოგზაურობას, გეგმა, რომელზეც ვერასდროს ვიფიქრებდი და არც ვისურვებდი რომ მეფიქრა - ტელევიზია.

მე და დრენდამ საერთოდ არაფერი ვიცოდით ტელევიზიის შესახებ. იმ დროისთვის, ჩვენი მსახურებების ვიდეო ჩანაწერებსაც კი არ ვაკეთებდით. მაგრამ ღმერთმა დაიწყო ჩვენთვის იმის ჩვენება რაც იქნებოდა და როგორ უნდა გაგვეკეთებინა, ამიტომ ვგრძნობდით ზეწოლას რომ ტელევიზიის შესახებ დაგვეწყო ფიქრი. პირველი, რაც გავიგე, იყო რომ ტელევიზიის გაკეთებას ფული სჭირდებოდა, ძალიან ბევრი ფული. ყველაფერი შევკრიბეთ და პირველი წელი მაუწყებლობა 300 000 $ გვიჯდებოდა. უნდა ვაღიარო, რომ ცოტა შოკირებული ვიყავი ტელევიზიის სიძვირით. სირთულეს ის წარმოადგენდა, რომ ეკლესიას ისედაც შეზღუდულად ჰქონდა ფინანსები,

რადგან ახალ ცენტრს ვაშენებდით ჩვენი მსახურების კამპუსად და დამატებით თანხა აღარ გვქონდა ტელევიზიისთვის. ამიტომ უფალს ვუთხარი, რომ ტელევიზიის წამოწყებისთვის იმ დროს ფული არ გვქონდა. მახსოვს, რომ დამეთანხმა და მითხრა: „ასეა, და სწორედ ამიტომ შენ და დრენდა გადაიხდით მისთვის!“

იმის თქმა, რომ ეს ცოტა ემოციური იყო აკნინებს ამ მდგომარეობას, რადგან ამ დროს ეკლესიაში ექვს თუ შვიდ მილიონიანი შენობის პროექტის მშენებლობის შუაგულში ვიყავით. მენდეთ, ახალი ცენტრის პროექტი თავისთავად რწმენის დიდი განაცხადი იყო და მთელი რესურსი მიჰქონდა, რაც კი შემოდიოდა. გარდა ამისა მე და დრენდამ 250,000 დოლარი გავიღეთ ამ პროექტისთვის და ამას კიდევ 300,000 $-ის დამატება იმ წელს, შეუძლებელი ჩანდა.

ვიცოდი, რომ გზა, რომელზეც ვიდექი უფლისგან იყო და მისი აღთქმა რომ უზრუნველმყოფდა ფინანსურად, სადაც კი გამაგზავნიდა კვლავ ექოსავით ჩამესმოდა სულში. მაგრამ ახლა, ბუნებრივი გზით, მნიშვნელობა არ ჰქონდა როგორ შევხედავდი ამ რიცხვებს, ვერ ვხედავდი გზას, თუ როგორ შეგვეძლო მე და დრენდას 300,000 $-ის გადახდა იმ ყველაფერთან ერთად, რასაც ვაკეთებდით. ვიცოდი, რომ ღმერთი ერთგულია მისი სიტყვის და ვიცოდი, რომ რწმენის ნაბიჯი უნდა გადამედგა, მივნდობოდი მას, რათა ეჩვენებინა ჩემთვის რა გამეკეთებინა. ნეტავ შემეძლოს გითხრათ, რომ თავდაჯერებული და დარდისგან თავისუფალი ვიყავი ამ გადაწყვეტილებაში, მაგრამ ასე არ იყო. ეკლესია შემოსულ ყველა ცენტს შენობისთვის იყენებდა. მთელი ჩემი პირადი თანხა იმისთვის გამოვიყენე, რომ 250,000 $ შემეწირა და ჩემი ბიზნესის კიდევ ბევრ სფეროს სჭირდებოდა დაფინანსება იმ წელს. უბრალოდ არანაირი თანხა არ მქონდა, რომ ეს 300,000$ გადამედო ტელევიზიის წამოსაწყებად!

ᲕᲘᲪᲝᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲡ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲓᲒᲐ, ᲛᲘᲕᲜᲓᲝᲑᲝᲓᲘ ᲛᲐᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲔᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐ ᲒᲐᲛᲔᲙᲔᲗᲔᲑᲘᲜᲐ.

მე და დრენდას ორ კვირიანი არდადეგები გვქონდა დაგეგმილი ჰავაიზე და სახლში დაბრუნებისას ხელი უნდა მომეწერა კონტრაქტზე ტელევიზიის წამოწყების შესახებ. ნამდვილად მიყვარს ჰავაი, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ცოტა

მიჭირდა მოდუნება, რადგან იმ გადაწყვეტილების სიმძიმე, რაც უკან დაბრუნებისას მომიწევდა, გონებიდან ვერ ამოვიგდე. ტელევიზიასთან დაკავშირებული ფინანსური ასპექტის მიღმა, სრულიად მოუმზადებელი ვიყავი ტელევიზიისთვის და არ მქონდა თავდაჯერებულობა კამერის წინ ლაპარაკის. შემეძლო შეხვედრაზე ათასობით ადამიანთან მელაპარაკა, მაგრამ ტელევიზიის კამერის წინ პანიკაში ვვარდებოდი. ყველაფერ იმასთან ერთად, რაც ჩემს თავსა და სულში ხდებოდა, შიშის სულს ვებრძოდი ამ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი ნამდვილად ღმერთისგან მქონდა მოსმენილი, მაინც იმ ფაქტის პირისპირ ვიდექი, რომ ფული არ იყო. ჩემი ბიზნესი უკვე წნეხში იყო ფინანსურად იმ წელს და ვერ ვხედავდი როგორ შეიძლებოდა ეს გამოსულიყო. დიახ, ეს იყო შიში, დიახ, ეს იყო ურწმუნოება. მე ვიცოდი ეს. უბრალოდ წრფელი ვარ ახლა. ვიცოდი, რომ სიტყვას უნდა ჩავჭიდებოდი, მზერა იმისთვის მომეშორებინა, რასაც ვუყურებდი და ბეჭდისთვის შემეხედა. მან თქვა, რომ უზრუნველმყოფდა! იმ დროისთვის, ერთ-ერთ შესაწირავში ოქროს მონეტა ჩააგდეს. წრფელად რომ გითხრათ, მანამდე ოქროს მონეტა არასდროს მენახა. როცა ხელში მეჭირა, უფალი დამელაპარაკა: „როგორც პეტრეს ვაჩვენე სად იყო მონეტა, რათა გადასახადები გადაეხადა, ასევე გაჩვენებ სად იპოვო თანხა ტელევიზიისთვის“.

ეს ოქროს მონეტა თან წავიღე ჰავაის არდადეგებზე. სანაპიროზე დავდიოდი და ვლოცულობდი, ხელში ეს მონეტა მეჭირა იმის გასახსენებლად, რომ უფალი დაფარავდა ტელევიზიის ხარჯებს. ჩემი სანაპიროს ლოცვები, ძირითადად ასე მიმდინარეობდა. სულით ლოცვის შემდეგ შინაგანში მშვიდობა მქონდა ამ კონტრაქტის ხელის მოწერასთან დაკავშირებით და სახლისკენ მიმავალ გზაზე, რამდენიმე მეტრს გავივლიდი თუ არა აღმართზე, ჩემი გონება ისევ ყვიროდა, რომ ბუნებრივი გზა არ არსებობდა ამ ფულის საშოვნელად. ფაქტი ის იყო, რომ ფული არ გვქონდა, არ ვიცოდით ტელევიზია როგორ აგვემუშავებინა, არანაირი აღჭურვილობა არ გვქონდა და ეს სია გრძელდებოდა. მაგრამ სულში კვლავ მესმოდა, რაც ღმერთმა მითხრა ალბანეთში, რომ სადაც კი გამაგზავნიდა ის უზრუნველმყოფდა. უკვე მაისი იყო, როცა ეს ხდებოდა და რეალურად, იმისთვის, რომ ეს ყველაფერი გამოსულიყო, წლის

ბოლომდე 300,000 $ უნდა მქონოდა, რამაც ეს კიდევ უფრო დიდ მთად აქცია, რომელზეც უნდა ავცოცებულიყავი.

შიშის სული ცდიდა ჩემს სიმტკიცეს, ჩავჭიდებოდი იმას, რაც ღმერთმა მითხრა: „ფინანსურ სისრულეს ასწავლი და როგორი სანახავი იქნება, როცა თავად ვერ გადაიხდი გადასახადებს?“ ამიტომ უკან სანაპიროზე ვბრუნდებოდი, ვლოცულობდი და გონებას ვანახლებდი ღვთის სიტყვით, სანამ კვლავ მშვიდობა არ მექნებოდა ამასთან დაკავშირებით. წინ და უკან დავდიოდი, დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში ვიბრძოდი გონებასა და სულში ამ კონტრაქტის თაობაზე, სანამ არ მეცოდინებოდა, რომ კარგად ვიქნებოდი და შიში ველარ დამტანჯავდა ნეგატიური აზრებით. მე და დრენდას წარმოდგენა არ გვქონდა საიდან უნდა მოსულიყო ეს თანხა, მაგრამ ვიცოდით, რომ ღმერთისგან მოვისმინეთ ამის შესახებ. ასე რომ, როცა სახლში დავბრუნდი, კონტრაქტს ხელი მოვაწერე და დავიწყეთ იმის გარკვევა, თუ როგორ აგვემუშავებინა ტელევიზია.

ჰავაის არდადეგებამდე რამდენიმე თვით ადრე, ატლანტიდან ერთმა კაცმა დამირეკა, რომელსაც არ ვიცნობდი. მან თქვა, რომ ჩემი წიგნი წაიკითხა ფინანსებზე და მოეწონა. იმ დროისთვის თავად მქონდა დაბეჭდილი ჩემი წიგნი და მხოლოდ ჩემს პატარა ქალაქში იყო გაყიდული. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი ჩემი თანამშრომელი შვებულებას ატარებდა ატლანტაზე და საუბარი მოუწია თავისი საქმიანობის შესახებ ამ კაცთან, რომელსაც შემთხვევით შეხვდა აეროპორტში. ისე მოხდა, რომ ამ ჩემს თანამშრომელს თან ჰქონდა ჩემი წიგნი, რომელიც ამ მამაკაცს აჩუქა.

წიგნის წაკითხვის შემდეგ, მან თქვა, რომ იმდენად დაინტე-რესდა, გადაწყვიტა ჩემთან დაკავშირება. დიდხანს ვისაუბრეთ და ახსენა, რომ მოგზაური ევანგელისტი იყო, რომლის ფო-კუსშიც ძირითადად უცხო ქვეყნები იყო. მკითხა, თუ მო-ხერხდებოდა მასთან შეხვედრა და ვუთხარი, რომ ატლანტას აეროპორტში დაახლოებით ერთ თვეში ვიქნებოდი გზად შეხვედრისკენ, რომელიც ჩემი არდადეგების შემდეგ უნდა ყოფილიყო. შეხვედრაზე შევთანხმდით. ძალიან კარგი საუბარი გვქონდა შეხვედრისას. ძალიან ვისიამოვნე იმ სასწაულებისა და საფრთხეების შესახებ ისტორიების მოსმენით, რის წინაშეც მოგზაურობის დროს უწევს ხოლმე აღმოჩენა. თუმცა ფინანსების

თემა იყო, სადაც რეალურად გადავიკვეთეთ. აღფრთოვანებული ჩანდა ჩემი წიგნით და ჩემი ვალებიდან თავის დაღწევის ისტორიით.

ჩვენი საუბრის დროს, მითხრა, რომ შარლოტიდან ახალი დაბრუნებული იყო, სადაც სტუმრად იყო სატელევიზიო შოუში და იგრძნო, რომ ჩემი ფინანსური ისტორია დიდებული იქნებოდა ამ შოუსთვის. მან მითხრა, რომ ჩემს წიგნს გაუგზავნიდა მათ და ჩემს შესახებ ეტყოდა. ცოტა შოკირებული ვიყავი ამ ყველაფრით.

არც კი გამეგო იმ სატელევიზიო გადაცემის შესახებ, რომელიც მან ახსენა, თუმცა რამდენიმე კვირის შემდეგ დამირეკეს გადაცემის პროდიუსერებმა და მკითხეს, ვისურვებდი თუ არა მათ შოუში მისვლას. შოუში მისასვლელი ერთ-ერთი მოთხოვნა იყო მქონოდა პროდუქტი, რომელსაც მაყურებელს შესთავაზებდნენ. მეც ვუთხარი, რომ ჩემი ფინანსური რევოლუციის სწავლების ხუთ CD დისკიანი ჩანაწერი მქონდა. მათ თქვეს, რომ ეს იდეალური იყო და შევთანხმდით ფასზე, რა ფასადაც ამ დისკებს შევთავაზებდი. რა თქმა უნდა, სერიები სრული ფასდაკლებით შევთავაზე, თუმცა მაინც დავუშვი ცოტა მოგება ჩვენი მსახურებისთვის. ჩემდა გასაოცრად, ეს შოუ ძალიან წარმატებული იყო და ათასობით დისკების ნაკრები გავყიდეთ. მხოლოდ ამან ათასები შემოიტანა ჩვენი ტელევიზიის ბიუჯეტში იმ წყაროდან, რომლის შესახებაც არაფერი ვიცოდი, როცა კონტრაქტს ხელი მოვაწერე.

შემდეგ კიდევ ერთი შოკისმომგვრელი რამ მოხდა, ადამიანი, რომელიც რამდენიმე წლის წინ ეკლესიაში ფინანსურად გაკოტრებული მოვიდა და გამოსახლების პირას იყო, მოვიდა ჩემთან და შემომთავაზა დახმარება ტელევიზიის დაარსებაში. მან პრაქტიკაში მოიყვანა ის, რაც სამეფოს შესახებ იქადაგებოდა და ახლა აღარ იყო ღარიბი. მან 120 000 $ მომცა ჩვენი სატელევიზიო მსახურებისთვის!

დისკების გაყიდვიდან შემოსული თანხის, ჩემი მეგობრისგან მიღებული საჩუქრის და კიდევ რამდენიმე შემოსული ნაჩუქარი თანხის დათვლის შემდეგ, მე და დრენდას არაფრის გადახდა აღარ მოგვიწია ტელევიზიის პირველი წლისთვის! ღმერთი მისი სიტყვის ერთგული იყო. მან თქვა, რომ უზრუნველმყოფდა და ასეც მოხდა. პრობლემის ნახევარი დაკმაყოფილებული იყო,

მაგრამ კიდევ ერთი საკმაოდ დიდი პრობლემა მქონდა, რაც გამოსავალს საჭიროებდა. როგორც უკვე ვთქვი, არაფერი ვიცოდი ტელევიზიის მუშაობის შესახებ.

იმ შემოდგომას, დრენდა ქრისტიან ქალთა დიდ კონფერენციას დაესწრო და კულისების ოთახში მიიწვიეს, სადაც ყველა სტუმარი იკრიბებოდა შეხვედრებს შორის. დრენდასთვის დიდი პატივი იყო იქ მიწვევა და უხაროდა წასვლა. ერთ-ერთი სესიის შემდეგ, როცა ლანჩის მისართმევად დაჯდა, გვერდით მიუჯდა ქალი, რომელიც მანამდე არასდროს ენახა. ერთმანეთის შესახებ მცირეოდენი ინფორმაციის გაცვლის შემდეგ, ამ ქალმა მოულოდნელად ჰკითხა: „ტელევიზია უკვე გაქვთ?“ დრენდა ცოტა გაოცდა, მაგრამ უთხრა: „ჯერ არა, თუმცა ვფიქრობთ ამ საკითხზე“. დრენდამ ჩაიწერა ტელეფონის ნომერი და ელ-ფოსტის მისამართი, რომელიც ამ ქალმა მისცა და ჩანთაში ჩაიდო.

რამდენიმე კვირა გავიდა და მართლა გადაავიწყდა ის ფურცელი, რომელიც ჩანთაში ედო. მაგრამ ერთ საღამოს, როცა იპოვა და გადაწყვიტა ამ ადამიანისთვის მიეწერა, რათა უბრალოდ გაეგო რას ეტყოდა. იგი დაინტერესდა და სთხოვა ჩემი *„ფინანსური რევოლუციის“* დისკები გაეგზავნა და ასეც მოვიქეცით. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, მისმა ასისტენტმა დაგვირეკა და გვითხრა, რომ ეს კაცი ნამდვილად დაინტერესდა ჩვენით და სურდა შეგვხვედროდა ეროვნული რელიგიური მაუწყებლობების ყოველწლიურ კონფერენციაზე, რომელიც რამდენიმე კვირაში უნდა ჩატარებულიყო.

მე და დრენდა წავედით კონფერენციაზე, თუმცა ცოტა ვნერვიულობდით. ახალი შავი შარვალ-კოსტუმიც კი ვიყიდე შეხვედრისთვის და ნამდვილად არ ვიცოდი რა მოლოდინი უნდა მქონოდა. გვთხოვა მის სასტუმროში შევხვედროდით, რათა ტელევიზიის საკითხი განგვეხილა. როცა სასტუმროში მივედით, მახსოვს დერეფანში დასამშვიდებლად რამდენჯერმე წინ და უკან გავიარეთ, სანამ ორმაგ კარზე დავაკაკუნებდით. ოთახში შესულები გაგვაოცა იმან, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ელოდებოდა ჩვენთან ლაპარაკს. სკამები ნახევარ რკალად იყო დაწყობილი, მე და დრენდა კი ამ სკამების პირისპირ დავსხედით. მანამდე არასდროს შევხვედროდით მათ, მაგრამ ყველა ძალიან პროფესიონალურად იყო გამოწყობილი.

ცოტა ვისაუბრეთ, შემდეგ კი შეკითხვების დასმა დაიწყეს ტელევიზიის წამოწყებაზე ჩვენს სურვილთან დაკავშირებით. ახლაც მახსოვს პირველი კითხვა: „ამრიგად, რატომ გსურთ ტელევიზიის წამოწყება?“ მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ჯერ არ ვიცოდი, იმ ოთახში მჯდარი თითოეული ადამიანი იყო უმაღლესი დონის აღმასრულებელი სატელევიზიო მაუწყებლობის სხვადასხვა ასპექტში. რა თქმა უნდა, ის ადამიანიც იქ იყო, ვისაც ვესაუბრეთ, მაგრამ იყვნენ პროდიუსერები, მარკეტინგის სფეროს წარმომადგენლები და სხვები, რომლებიც რთულ შეკითხვებს სვამდნენ. საერთო ჯამში, ვიგრძენი, რომ შეხვედრა საკმაოდ კარგად მიმდინარეობდა. უბრალოდ ვიყავით ის, ვინც ვართ, არ ვცდილობდით მათზე შთაბეჭდილების მოხდენას, უბრალოდ ვუზიარებდით ჩვენს ისტორიას, თუ რა გააკეთა უფალმა ჩვენთვის. ყველა მათგანი ნასიამოვნები ჩანდა ჩვენი ხედვითა და ლტოლვით და გვითხრეს, რომ რამდენიმე კვირაში დაგვირეკავდნენ მეტი დეტალის განსახილველად.

ასე რომ, რამდენიმე კვირაში, კვლავ ვისაუბრეთ; ამჟამად, ყველამ გადავწყვიტეთ წინ წავსულიყავით და რეალურად დაგვეგეგმა ჩვენი სატელევიზიო გადაცემა. გადავწყვიტეთ, რომ გადაცემის გადაღება ჩვენს სახლში შეგვეძლო, ამიტომ იმ კაცმა, ვისაც დრენდა დაუკავშირდა, გვკითხა თუ შეიძლებოდა შემდეგი შეხვედრა ჩვენს სახლში გვქონოდა. მას სურდა ენახა ჩვენი სახლი, რათა გაეგო გამოდგებოდა თუ არა გადაცემის ჩასაწერად.

დადგა დღე, როცა ყველა ჩვენს სახლში მოვიდა და სალაპარაკოდ დავსხედით. ამ შეხვედრამდე ბევრი არაფერი ვიცოდი იმაზე, თუ რა კავშირი ჰქონდა ამ კაცს ტელევიზიასთან. მის შესახებ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ დრენდას იმ ქალმა მისცა კონფერენციაზე მისი ნომერი. მაგრამ როცა დავსხედით, დაიწყო ყველა იმ სატელევიზიო გადაცემის დასახელება, რომელზეც უმუშავია და იმ პერიოდში მუშაობდა. ყველა ძალიან ცნობილი გადაცემა იყო! გაოცებული ვიჯექი: „ღმერთო, როგორ მოიყვანე ეს კაცი ლოს-ანჯელესიდან, ჩემს სახლში, პატარა ბინძურ ქუჩაზე, ჩემს ქვეყანაში, არსაიდან?“ ის დათანხმდა ჩვენთვის სრული გადაცემის გაკეთებას, გადაღებას, რედაქტირებას და პროდიუსირებას ძალიან კარგ ფასად. ჩვენც დავთანხდმით, რომ

დასაწყისში შოუს ჩვენს სახლში, მისაღებ ოთახში გადავიღებდით.

გადაღების პირველი დღეც მოვიდა და უნდა ვაღიარო, რომ ვნერვიულობდი. როგორც უკვე ვთქვი, არანაირი გამოცდილება არ მქონდა ტელევიზიასთან დაკავშირებით. არ ვიცოდი როგორ უნდა გადაგვეღო სატელევიზიო გადაცემა, მანამდე კამერის წინაც კი არ მელაპარაკა; ყველაფერი ახალი იყო. აღელვებული ვიყავი ჩემი სამეფოს ისტორიის მოყოლით, თუმცა ტელევიზია კიდევ ერთი საშიში ბარიერი იყო ჩემს ცხოვრებაში, რომელზეც უნდა გამემარჯვა.

„ᲘᲢᲐᲜᲯᲔᲑᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲗᲥᲕᲔᲜᲒᲐᲜᲘ? ᲘᲚᲝᲪᲝᲡ“.

_ ᲘᲐᲙᲝᲑᲘ 5:13

ყველაფრის გასაუარესებლად, საშინელი რამ მოხდა ჩაწერის დღეს, რამაც ეს დღე კიდევ უფრო გაართულა. პროდიუსერი, რომელიც ერთ კვირიანი გადაღებისთვის გამოაგზავნეს, შუაღამისას წავიდა. მის ახალგაზრდა ვაჟს მეზობლის მანქანამ გადაუარა უკუსვლისას და ტრაგიკულად გარდაიცვალა. ასისტენტმა აგვიხსნა, რაც მოხდა და გადავწყვიტეთ არავისთვის გვეთქვა, სანამ ჩაწერა არ დამთავრდებოდა. როგორღაც მოვახერხეთ, სამი გადაცემა ჩავწერეთ იმ დღეს და ოფიციალურად ვიყავით ტელევიზიაში.

როცა ჩვენი სატელევიზიო გადაცემა წამოვიწყეთ, წარმოდგენა არ გქვონდა როგორ უნდა გაგვეგრძელებინა გადახდა საეთერო დროისთვის. მაგრამ ღმერთმა დაიწყო ჩვენთვის იმის სწავლება, რომ არა მხოლოდ 300,000 $-ით უზრუნველგვყოფდა მაუწყებლობის დასაწყებად, არამედ გააგრძელებდა ჩვენს უზრუნველყოფას საეთერო დროისთვისაც. ჯერ კიდევ იმდენი გვქონდა სასწავლი. იცით, ვერასდროს ვიფიქრებდით, რომ ადამიანებს ენდომებოდათ საკუთარი წვლილი შეეტანათ ჩვენს სატელევიზიო მსახურებაში; აი, როგორი მიამიტები ვიყავით.

მახსოვს ტრეისიმ, ჩემმა მდივანმა, როგორ დამირეკა გადაცემის ეთერში გასვლიდან მალევე. როცა ვუპასუხე, ვგრძნობდი, რომ კანკალებდა. ხმა უცახცახებდა. „პასტორო“, - თქვა მან, - „გადაცემის ერთ-ერთმა მაყურებელმა 500 $-ის ჩეკი გამოგვიგზავნა. და პასტორო, როცა ავიღე, იგივე ცხებულება იყო მასზე რაც იმ ფულზე, რომელიც ინდური დასახლებიდან მოიტანეთ“. „სერიოზულად ამბობ?“ -ენის ბორძიკით ვკითხე. „ვილაცამ მართლა გამოგვიგზავნა თანხა?“ ამ ჩეკის გამოჩენამდე ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ადამიანები

თანხას გამოგვიგზავნიდნენ გადაცემის მხარდასაჭერად. მაგრამ, დიდება ღმერთს, ადამიანები დღემდე გვიგზავნიან, რის შედეგადაც გადაცემა ახლა უკვე ყოველ დღე, დედამიწაზე ყველა სასაათო სარტყელში ხელმისაწვდომია! ჩეკების რაოდენობამ წელიწადში მილიონს მიაღწია. ღმერთი ყოველთვის ასრულებდა თავის სიტყვას ჩემდამი. იგი ყოველთვის იხდიდა საფასურს.

ეს წიგნი იმაზეა, თუ როგორ მოვისმინოთ ღმერთის სულისგან და გავიგოთ, როგორ მიგვიძღვის ის ცხოვრებაში. ჩვენი სატელევიზიო ისტორია კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ მიუძღვის სულიწმიდა ადამიანებს უფრო დიდი რაღაცების გასაკეთებლად, რაზეც ვერც კი იოცნებებდნენ. ყველაფერი, რაც ღმერთმა ჩვენს ცხოვრებაში გააკეთა, მოვიდა ჩვენი შესაძლებლობიდან რომ არა მხოლოდ გვცოდნოდა, როგორ მოქმედებს მისი სამეფო, არამედ შეგვძლებოდა მოგვესმინა, როგორ გვაძლევდა ღმერთი მიმართულებას, სიბრძნეს და იმ პასუხებს, რაც გვჭირდებოდა. ამბავი, რომელიც ახლახანს მოგიყევით, არასდროს მოხდებოდა, რომ არ მცოდნოდა, როგორ მომესმინა სულიწმიდისთვის. ყველას მოგვიწევს ზოგჯერ რთული სიტუაციების პირისპირ აღმოჩენა, რომელიც უიმედო ჩანს, მაგრამ ღმერთს აქვს პასუხი.

„იტანჯება რომელიმე თქვენგანი? ილოცოს“. (იაკობი 5:13)

რატომ ვილოცოთ? რადგან გჭირდება პასუხის, მიმართულების, პრობლემიდან გამოსავლის მოსმენა. როგორც მე და დრენდამ მრავალჯერ დავინახეთ, პრობლემის პირისპირ აღმოჩენისას, ღმერთს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. ის დაგეხმარება უნიკალური და ზოგჯერ უცნაური გამოსავლებითა და სტრატეგიებით, რათა გადალახო ის, რასაც გრძნობ, რომ გამოუვალი სიტუაციაა. ხშირად, შენმა პასუხის მოსმენის უნარმა შესაძლოა განასხვავოს წარმატება და მარცხი, სიცოცხლე და სიკვდილი. ამ წიგნში ბევრს ვილაპარაკებ სულიწმიდის ხმის მოსმენაზე, მაგრამ უპირველესად, ნება მომეცით, კიდევ ერთი ილუსტრაცია მოვიყვანო იმისა, თუ როგორ შეუძლია სულიწმიდას დაგეხმაროს რთულ პერიოდებში.

როცა ჩვენი ახალი ცენტრის შენობის პროექტი დავიწყეთ, რაც 6.5 მილიონს აღწევდა, 2.5 მილიონი ნაღდი ფული გამოვყავით

დასაწყისშივე და ბანკიდანაც გამოვიტანეთ თანხა. გვქონდა სხვა დაფინანსებებიც, რომლებიც 18 თვიანი შენების პროცესში შემოვიდა. 550 კაციანი ეკლესია უზარმაზარი პროექტი იყო. საძირკველი 2007 წლის შემოდგომაზე გავჭერით და ყველაფერი ძალიან კარგად მიდიოდა 2008 წლის გაზაფხულამდე. შეიძლება გახსოვდეთ 2008 წლის კრიზისი. სწორედ მის შუაგულში ვაშენებდით. ყველაფერი საოცრად გაძვირდა! მხოლოდ ლითონში 300, 000 $ით მეტის გადახდა მოგვიწია, ვიდრე დაანგარიშებული გვქონდა და ეს მხოლოდ ერთი მაგალითია. მთელი პროექტი ძალიან გასცდა ბიუჯეტს, რადგან იმ წელს უძრავი ქონების ფასი საოცრად გაიზარდა.

2008 წლის ბოლოსკენ, იქიდან გამომდინარე, რომ კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა, ბანკებმა ჩვენ გარშემო და რეალურად მთელს ქვეყანაში დაიწყეს კრედიტების გამოთხოვა და სესხების დაბრუნების მოთხოვნა. ჩვენი მშენებელი მოვიდა ერთხელ ჩვენთან ამ გადახდების დროს, რომელიც წინასწარ უკვე დამტკიცებული იყო ჩვენი ბანკისგან. მას თავისი ქვეკონტრაქტორებისთვის და სხვა ინვოისებისთვის უნდა გადაეხადა თანხა, რომელიც უკვე დახარჯული ჰქონდა. ერთ მილიონიანი ჩეკი უნდა დაეფარა წინასწარ შეთანხმებული ბანკის საფინანსო სამსახურს, რადგან იმ დროისთვის ჩვენი დაფინანსების ფონდი უკვე ამოწურული იყო. თუმცა არანაირი ერთ მილიონიანი ჩეკი არ იყო. შოკირებულები ვიყავით იმით, რომ ბანკმა თავისი შემოთავაზება გააუქმა და საკრედიტო თანხა შეკვეცა. კვლავ ვიტყვი, რომ ეს მხოლოდ ჩვენი ბანკის ბრალი არ იყო, ქალაქში ყველა ბანკი იგივე სიტუაციაში აღმოჩნდა. ადგილობრივ გაზეთებში იმ კვირაში წინა გვერდზე სათაურებში ჩვენი ბანკი იყო გამოტანილი. მხოლოდ იმ კვირაში 550 თანამშრომელი გაათავისუფლეს და ებრძოდნენ ამ ფინანსურ კრიზისს თავის გადასარჩენად.

კვლავ ვიტყვი, პრობლემა ის იყო, რომ ჩვენს მშენებელს უნდა გადაეხადა ქვეკონტრაქტორებისთვის და იმ მასალისთვის, რაც უკვე გამოიყენა. ეს ერთ მილიონიანი ჩეკი არ იყო ისეთი რამისთვის, რაც მომავალში დასჭირდებოდა. უკვე დახარჯული ჰქონდა ეს მილიონი! იყვნენ კომპანიები და ოჯახები, რომლებიც ელოდებოდნენ როდის გადავუხდიდით ჩვენს მშენებელს, რათა მას მათთვის გადაეხადა. ჩვენს მსგავსად, მანაც იფიქრა, რომ

ბანკი განაგრძობდა შეთანხმებისამებრ დახმარებას. ახლა რა უნდა გვექნა? თქვენ რას აკეთებთ ასეთ სიტუაციაში? ხელში არ მქონდა მილიონი დოლარი და ეკლესიაში ხალხსაც ვერ დავუწყებდი ხვეწნას ფულისთვის. გარდა ამისა, ტელევიზიაც ძვირდებოდა, რადგან ქსელური მაუწყებლობა გავაფართოვეთ; ახლა ჩვენი საეთერო დრო თვეში 50,000 $ ჯდებოდა. არაფრის გაკეთება არ შეგვეძლო გარდა იმისა, რასაც იაკობის 5:13 ამბობს, გველოცა!

ისე მოხდა, რომ კიდევ ერთი მოგზაურობა მოვიგეთ ჰავაიზე ჩემი ბიზნესის მეშვეობით იმ პერიოდში. წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე, გავიგე, რომ ბანკმა კრედიტი შეგვიმცირა. როცა აეროპორტისკენ მივდიოდი მაუიში გასაფრენად, უნდა ვაღიარო, რომ ჯერ კიდევ შოკირებული ვიყავი. გონებაში სრული ქაოსი მქონდა. მაგრამ როცა აეროპორტში დავდიოდი და ვცდილობდი საკუთარი თავი შემცოდებოდა, უფლის ხმა გავიგონე. მან თქვა: „ასწიე კვერთხი!“ როცა გავჩერდი და ჩავფიქრდი, თუ რის თქმას ცდილობდა ჩემთვის უფალი, უეცრად მივხვდი.

ზუსტად ეს უთხრა ღმერთმა მოსეს, როცა ისრაელს წასასვლელი არსად ჰქონდა, რადგან ფარაონის ჯარმა ხაფანგში მოიმწყვდია წითელ ზღვასთან. ღმერთმა უთხრა მოსეს აეწია კვერთხი ზღვაზე და როცა ასე მოიქცა, ზღვა გაიყო და გზა გამოჩნდა ისრაელისთვის, რათა გაევლოთ და თავი დაეღწიათ. კვერთხი, რომელიც მოსეს ეჭირა, წარმოადგენდა ღმერთის მიერ მისთვის მიცემულ აღთქმებს, ისევე როგორც იმ ძალაუფლებას, რაც მას მიეცა ამ საქმის გასაკეთებლად.

ვიცოდი, რას მეუბნებოდა ღმერთი იმ მომენტში. მე ვიყავი ლიდერი, ეკლესიის პასტორი; მე მქონდა მოცემული ძალაუფლება ამ სიტუაციასთან გასამკლავებლად. უნდა ამეღო ჩემი ძალაუფლება, ავმდგარიყავი და გზა მომეძებნა. როცა ჰავაიზე ჩავედით, ერთადერთი, რაც შემეძლო მეკეთებინა, იყო ლოცვა. ღამით ვერ ვიძინებდი. ჩემი სული შფოთავდა, ვიცოდი, რომ სულში ვიბრძოდი იმ პასუხისთვის, რაც მჭირდებოდა. საბოლოოდ, დრენდას იდეა გაუჩნდა, რომელიც სჯეროდა, რომ უფლისგან იყო. მადლობა ღმერთს ჩემი ცოლისთვის! იმდენჯერ გამოუყენებია ღმერთს გეგმებისა და მიმართულებების მოსაცემად სხვადასხვა სიტუაციებში. ვერ აღვწერ რამდენად ღირებულია ჩემთვის და რამდენად მიყვარს. არასდროს ნებდება!

მისი გეგმა მარტივი იყო, თუმცა საფუძვლიანი. არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ გაამართლებდა, თუმცა მაშინვე დავიწყეთ მასზე მუშაობა. გეგმა იყო რომ პრეზენტაციას მოვამზადებდით ჩვენი მშენებლის ბანკისთვის და არა ჩვენი ბანკისთვის და ვთხოვდით თანხის სესხებას. ჩვენი პრეზენტაცია აჩვენებდა ბანკს თუ ვინ ვართ და რატომ ვფიქრობდით, რომ სესხი ორივესთვის კარგი იქნებოდა. ძალიან მცირე შანსი გვქონდა, რადგან როგორც ვთქვი, ქალაქში ყველა ბანკმა უარი თქვა სესხების გაცემაზე. ვფიქრობდით, რომ თუ ჩვენს მშენებელს ვერ გადავუხდიდით, მოუწევდა თავი გაკოტრებულად გამოეცხადებინა და თავისი ყველა იმჟამინდელი ბანკის სესხი ვალდებულებების არ შესრულების რისკის ქვეშ დაეყენებინა. ჩვენ დარწმუნებულები ვიყავით, რომ ეს მისი ბანკისთვის საკმაოდ მაღალი ღირებულების რისკი იქნებოდა, რაც ნამდვილად არ ენდომებოდათ. და კვლავ, ეს არ იყო ჩვენი ბანკი და არანაირი ურთიერთობა ან ისტორია არ ჰქონდათ ჩვენთან.

ასე რომ ფორმატზე გავამზადეთ პრეზენტაცია ჩვენი სფეროს დემოგრაფიული მონაცემების დეტალების შესახებ, თუ რამდენად სწრაფად იზრდებოდა ეს სფერო. ბანკს ჩვენი ისტორია და მოსალოდნელი ზრდა ვაჩვენეთ. ჩვენ ასევე ვაჩვენეთ სხვადასხვა გზა, რითიც ჩვენი შენობა შემოსავალს მოიტანდა, ეკლესიის მსახურების მიღმა, როგორიცაა ის, თუ რამდენად სწრაფად იზრდებოდა ჩვენი სატელევიზიო შემოსავალი და კიდევ მრავალი რამ, რაც ვიფიქრეთ, რომ მათ დააინტერესებდათ. გვინდოდა დაგვერწმუნებინა ისინი, რომ დიდი რისკი ვიყავით, რომელიც ბანკისთვის სარგებლის მომტანი იქნებოდა ამ რთულ პერიოდშიც კი. ასევე გვინდოდა გაეგოთ, რომ თუ მშენებელს ვერ გადავუხდიდით, პოტენციური დანაკარგების რისკის წინაშე აღმოჩნდებოდნენ, რის თავიდან ასარიდებლადაც გვინდოდა „მათ დავხმარებოდით“. ვითხოვეთ ბანკის ვიცე პრეზიდენტთან შეხვედრა, რომელიც კომერციული სესხების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ვილოცეთ და მის ოფისში წავედით, იმაში დარწმუნებულები ვიყავით, რომ ეს იყო გეგმა, რომელიც სულიწმიდამ მოგვცა და ჩვენი თხოვნა გავაცანით.

ჩვენდა გასაოცრად, პრეზენტაციის შემდეგ, ოფიცერმა სთხოვა მდივანს 500,000 $-ის ოდენობის ჩეკი მოეჭრა ჩვენი

ეკლესიისთვის მაშინვე, რათა თან წაგვეღო. მან თქვა, რომ რასაც ახლა აკეთებდა არ იყო ის, რასაც ჩვეულებრივ აკეთებდა ხოლმე. არანაირი ფორმების შევსება, მხოლოდ 500,000 $-ის ჩეკი. მან თქვა, რომ დარჩენილ 500,000 $ დოლარს პროცედურები დასჭირდებოდა, მაგრამ დაგვარწმუნა, რომ გვექნებოდა, რადგან სწორედ ის იღებდა მსგავს გადაწყვეტილებებს და ასეც მოხდა. ჩვენც გადავუხადეთ მშენებელს ერთი მილიონი დოლარი და დავასრულეთ შენობა.

თუ აპირებ ოდესმე ღმერთის სამეფოს საოცარ პოტენციალში მოექცე, უნდა ისწავლო როგორ მოისმინო სულიწმიდის ხმა.

რთულია გითხრათ, რას ვგრძნობდით მე და დრენდა, როცა იქიდან მოვდიოდით და მანქანაში გავატარეთ 1 საათი, ჯიბეში 500,000 $ ჩეკით. საოცრად გახარებულები ვიყავით და დიდებულად ვგრძნობდით თავს! სიტყვებით ვერ აღვწერთ ჩვენს განცდას იმ მომენტში, მაგრამ გაოცებულები ვიყავით იმით, რაც სულიწმიდამ გააკეთა. პირველი, ვისაც დავურეკეთ, ჩვენი მშენებელი იყო. ახლაც ჩამესმის მისი გახარებული ხმა, როცა კარგი სიახლე გავუზიარეთ. „რა გააკეთეთ?“- გვკითხა,- „ასე პირდაპირ მოგცეს ჩეკი?“ ორივემ ვიცოდით, რომ ეს ღმერთმა გააკეთა.

ეს როგორ მოხდა? სულიწმიდით! მეგობარო, ღმერთს აქვს პასუხები, რომლებიც გჭირდება. თუ აპირებ ოდესმე ღმერთის სამეფოს საოცარ პოტენციალში მოექცე, უნდა ისწავლო როგორ მოისმინო სულიწმიდის ხმა. და სწორედ ამაზეა ეს წიგნი.

სულიწმიდასთან ერთად სხვადასხვა სიტუაციაში გავლა უფრო ამაღელვებელია, ვიდრე ჯეიმს ბონდის ნებისმიერი ფილმი, რაც გინახავთ! და როგორც ფილმში, ყოველთვის იცი ბოლოს ვინ გაიმარჯვებს, არ აქვს მნიშვნელობა რამდენი დაძაბული მომენტი გამოჩნდება.

თავი 2
სამეფო

დარწმუნებული ვარ უამრავი არასერიოზული საქმის შესახებ გსმენიათ, რომელიც შემდეგ სასამართლოდან გამოუგდიათ. აი ერთი მაგალითი.

კოლორადოს ციხეში დაკავებულმა პიროვნებამ აპელაცია შეიტანა 88 მილიარდ დოლარზე (დიახ, *მილიარდი*) ეროვნული ფეხბურთის ლიგის წინააღმდეგ. საქმე წარმოიშვა წარმომადგენლების მიერ თამაშის შეფასების გამო ფინალური სერიის დროს, დალასის კოვბოიებსა და გრინ ბეი პეკრებს შორის. წარმომადგენლებმა განსაზღვრეს, რომ დეზ ბრაიანის (კოვბოიების) დაჭერა არ იყო სრულყოფილი. დაპატიმრებული არ ეთანხმება. მისი საქმე ამტკიცებს, რომ ეროვნული ფეხბურთის ლიგის წარმომადგენლები წინდაუხედავად მოიქცნენ და მათთვის მინდობილი საქმე ვერ შეასრულეს. რატომ არის ამ პატიმრის საქმე 88 მილიარდიანი? ბატონი ბრაიანთის სათამაშო ნომერია 88.[1]

სიგიჟეა, არა? ვფიქრობ, ყველა მიხვდება რომ ეს საქმე ვერსად ვერ წავა. მაგრამ რა განსაზღვრავს საქმე ვალიდურია თუ არა? Law.com-ის მიხედვით, ორი მთავარი მიზეზი, რის გამოც საქმეს სასამართლოდან მოისვრიან, არის რომ აქვს იურისდიქციული პრობლემა ან არ აქვს კანონიერი საფუძველი წარმართვისთვის. რატომ მომყავს კანონის საკითხები წიგნში სულიწმიდის შესახებ? რადგან თუ გსურს სულიწმიდის მოძრაობა დაინახო შენს სიტუაციაში, ცხადად უნდა იცოდე, რას ამბობს კანონი. ღმერთის სამეფო სწორედ ასეთია, სამეფო, რომელიც მოქმედებს ამ სამეფოს კანონების ფარგლებში. ამ სერიის ჩემს წინა ორ წიგნში: *„შენი ფინანსური რევოლუცია: ერთგულების ძალა“* და *„შენი ფინანსური რევოლუცია: დასვენების ძალა“*, ღმერთის სამეფოს მოქმედების მთავარი ასპექტები გამოვყავი

იურისდიქციასა და კანონთან მიმართებაში. მაგრამ იმის გასაგებად, თუ რას ვამბობ სულიწმიდასთან დაკავშირებით, კარგი იქნება თუ უკან დავბრუნდებით და სულ მცირე, შევახსნებთ ამ პრინციპებს ჩვენს თავს. მოდი, გამოკითხვით დავიწყოთ.

> *„უთხრა მათ იესომ: „წინასწარმეტყველი არსად არ არის პატივის გარეშე, გარდა თავისი სამშობლოსი, სანათესაოსი და საკუთარი სახლისა.“ და **ვერ** მოახდინა იქ ვერავითარი სასწაული, გარდა იმისა, რომ რამდენიმე სნეულს ხელები დაასხა და განკურნა. უკვირდა მათი ურწმუნოება“.*
>
> – მარკოზი 6:4-6

შეგიძლიათ მითხრათ, რატომ ვერ შეძლო იესომ ხალხის განკურნება ამ მონაკვეთში? სტანდარტული რელიგიური პასუხია, რომ ღმერთის ნება არ იყო მათი განკურნება. ყველაფრის შემდეგ, ღმერთმა იცის საუკეთესო და თუ უნდოდა მათი განკურნება, ასეც მოიქცეოდა, ასეა? ის ხომ ღმერთია. თქვენც მიიჩნევდით, რომ იქ იყვნენ ადამიანები, ვისაც სჭირდებოდა განკურნება, მაგრამ ვერ მიიღეს განკურნება? მე ვფიქრობ, ეს ტექსტიდანაც ცხადია. ცოდნა იმისა, თუ რატომ ვერ შეძლო იესომ ადამიანების განკურნება უმნიშვნელოვანესია და ამ კითხვას პასუხი აუცილებლად უნდა გაეცეს. თუ ამ ამბის დასკვნას წავიკითხავთ, ვნახავთ, იესო ამბობს, რომ ადამიანთა რწმენის ნაკლებობამ შეუშალა ხელი რომ მიეღოთ განკურნება. იმისათვის, რომ გავიგოთ იესოს დაკვირვება და დასკვნა იმაზე, თუ რატომ ვერ მიიღეს ადამიანებმა, კარგად უნდა გვესმოდეს, თუ რა არის რწმენა და რატომაა იგი აუცილებელი მიწიერ სამეფოზე, რათა ზეცამ მიიღოს კანონიერი იურისდიქცია აქ.

ნება მომეცით, ამ შემთხვევისთვის შევაჯამო ეს საკითხი. ეს არ ყოფილა ძალაუფლების ან სურვილის ნაკლებობა იესოს მხრიდან. აქ იურისდიქციის საკითხი იყო. არსებითია, რომ ზეცას არ ჰქონდა კანონიერი საფუძველი ემოქმედა იმ სიტუაციაში ადამიანთა უმრავლესობისთვის. ახლა, სანამ ამ წიგნს ოთახის კუთხეში მოისვრი და იტყვი, რომ წარმოდგენა არ მაქვს რაზე ვსაუბრობ, ერთი წუთი მომეცი ასახსნელად.

როცა ადამი და ევა დედამიწაზე იქნენ მოთავსებულნი, მათ ჰქონდათ სრული და აბსოლუტური ძალაუფლება მიწიერ სამეფოზე. ვფიქრობ, შემდეგი მუხლი ცხადად ამყარებს ჩემს ნათქვამს.

> *„ოდნავ დაამცირე იგი ანგელოზთა წინაშე; დიდებითა და პატივით დააგვირგვინე და დაადგინე იგი შენი ხელის ნამოქმედარზე. და ყოველივე მის ფერხთა ქვეშ დაუქვემდებარე. ხოლო, რაკი ყოველივე მას დაუქვემდებარე, არაფერი დაუტოვებია მისთვის დაუმორჩილებელი“.*
>
> – ებრაელთა 2:7-8

ყურადღება მიაქციეთ, ბიბლია ამბობს, რომ ადამი დიდებითა და პატივით იყო დაგვირგვინებული. ტერმინი დაგვირგვინება ძალაუფლების ადგილს გამოხატავს, საიდანაც ადამი მართავდა და არა იმას, რომ მას მართლა გვირგვინი ედგა თავზე ედემის ბაღში. თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გარშემო ნათება ან შარავანდედი ჰქონდა, შეგვიძლია უბრალოდ დავუშვათ, როგორც აზრი. მაგრამ ადამს ჰქონდა ღმერთის სამეფოს დიდება (სამეფოს ცხებულება და დიდებულება) და პატივი (ძალაუფლების პოზიცია). იგი ამ ორი რაღაციდან მართავდა მთელს დედამიწას, ღმერთის სამეფოს დელეგირებული ძალაუფლებით. სატანამ, რომელიც უკვე დედამიწაზე იყო ადამიანის შექმნისას, შეიზიზღა ადამიანი და ილტვოდა იმ ძალაუფლებისაკენ, რაც მას ჰქონდა. იცოდა, რომ უბრალოდ ვერ გამოართმევდა ადამს ძალაუფლების გვირგვინს, რადგან ადამს სრული ძალაუფლება ჰქონდა მასზე, მას უნდა მოეფიქრებინა სიცრუე, რათა როგორმე თავისი ნებით გადაეცა გვირგვინი (ძალაუფლება) მისთვის.

ამიტომ სატანამ შეაცდინა ევა, ამას მიჰყვა ადამიც, ღმერთის წინააღმდეგ აჯანყებულნი, რის შედეგადაც დაკარგეს თავიანთი პოზიცია ღმერთის სამეფოში. სატანის მიყოლით, ახლა ისინი მისი სამეფოს იურისდიქციის ქვეშ მოექცნენ. შეიძლება იკითხოთ: „რატომ მისცა ღმერთმა ნება სატანას შესულიყო ამ ბაღში სულ თავიდან?“ ასე უნდა მოქცეულიყო. ვიცი, ალბათ, ცოტა შოკისმომგვრელია ეს პასუხი, მაგრამ აღმოაჩენთ რომ სიმართლეა. მოდი, უცებ შევხედოთ დაბადების 2:8-9-ს.

> *„გააშენა უფალმა ღმერთმა ბაღი ედემში, აღმოსავლეთით და დასვა იქ კაცი, რომელიც შექმნა. აღმოაცენა უფალმა ღმერთმა მიწიდან ყოველგვარი ხე, საცქერლად საამო და საჭმელად ვარგისი. შუაგულ ბაღში კი იყო ხე სიცოცხლისა, და ხე კეთილისა და ბოროტის შემეცნებისა“.*

ამ ადგილის წაკითხვისას შესაძლოა დაგვაინტერესოს, თუ რატომ დადგა ღმერთმა კეთილისა და ბოროტების შემეცნების ხე ბაღის შუაში, სიცოცხლის ხის გვერდით. ეს ძირითადად იმისთვის იყო, რომ ღმერთს კანონიერად დაეპყრო სატანის ტერიტორია, მას უნდა მიეცა ადამიანისთვის არჩევანი ემსახურა ღმერთისთვის ან სატანისთვის. ღმერთი უბრალოდ კანონიერად ვერ შევიდოდა სატანას იურისდიქციაში და მოათავსებდა იქ ადამიანს. ამის კანონიერად გასახდომად, ადამიანს უნდა ჰქონოდა არჩევანი, თუ ვის დაემორჩილებოდა. რამდენადაც ადამიანმა აირჩია ღმერთი, სიცოცხლის ხე, ადამიანი იბატონებდა სატანაზე. სწორედ ამიტომ, სიკეთისა და ბოროტების შემეცნების ხე უნდა ყოფილიყო სწორედ სიცოცხლის ხის გვერდით.

აქ მნიშვნელოვან რაღაცას უნდა დავაკვირდეთ. ადამიანი დედამიწაზე ვერ მოთავსდებოდა თავისუფალი ნების გარეშე. ვიცი, ქრისტიანობის დიდი ნაწილი ამბობს, რომ ჩვენ შექმნილნი ვართ თავისუფალი ნებით, რათა ღმერთს დაენახა ვის ეყვარებოდა იგი. ვფიქრობ, ნაწილობრივი სიმართლეა ამ წინადადებაში. მაგრამ, ძირითადად, არჩევანის უნარის გარეშე უკანონო იქნებოდა. თუ ადამიანს არ ექნებოდა თავისუფალი ნება მიცემული, იქ ვერ იქნებოდა მოთავსებული. ამ საუბარში მეტი რამის დაფარვა შემიძლია, მაგრამ ამ ყველაფერზე უკვე ჩემს წინა ორ წიგნში ვისაუბრე.

ამრიგად, ადამი ირჩევს სატანის სიცრუეს, კარგავს ღმერთის სამეფოს და ღმერთი უპირისპირდება ადამიანს დაბადების 3:17-19-ში:

> *„წყეულიმც იყოს მიწა შენს გამო! <u>ტანჯვით</u> ჭამდე მის ნაყოფს მთელი შენი სიცოცხლე! ეკალსა და ძეძვს აღმოგიცენებს და მინდვრის ბალახს შეჭამ. <u>შენი პირის ოფლით</u> შეჭამ პურს, სანამ მიწას დაუბრუნდები“.*

აქ ღმერთი ეუბნება ადამს რომ მან, ადამმა, დაწყევლა მიწა. რადგან იმის გამო, რომ ადამს სრული ბატონობა ჰქონდა მიწაზე, სწორედ მან გაუხსნა კარი სატანის მმართველობას და საბოლოოდ ღმერთი გამოაგდო იქიდან. ახლა ღმერთს ხელები შეკრული აქვს და ადამი საკუთარი ტანჯვითა და ოფლით უნდა გადარჩეს. ერთი პატარა, პაწაწინა დეტალია, რისი თქმაც დაავიწყდა სატანას ევასთვის ცდუნების დროს. და ეს იყო რომ, ღმერთს უკვე გასამართლებული ჰყავდა სატანა, გამოძევებული ზეციდან, და გამოცხადებული, რომ მისი სამუდამო სამყოფელი იქნებოდა ჯოჯოხეთად წოდებული ადგილი. მნიშვნელოვანია, რომ ეს გესმოდეს. მრავალი ადამიანი იტყვის: „როგორ შეეძლო მოსიყვარულე ღმერთს ადამიანები ჯოჯოხეთში გაეძევებინა?“ მას ეს არ გაუკეთებია, ადამმა გააკეთა. როგორც შემდეგ მუხლში ვხედავთ, ჯოჯოხეთი არასდროს შექმნილა ადამიანისთვის.

*„მაშინ იმათაც ეტყვის, ვინც მარცხნივაა: წადით ჩემგან, წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც **<u>გამზადებულია ეშმაკისა და მისი ანგელოზებისთვის</u>**“*. (მათე 25:41)

როცა ადამი და ევა სატანის იურისდიქციის ქვეშ მოექცნენ, სატანის განკითხვის ქვეშაც აღმოჩნდნენ. ადამიანთა მთელი რასა სატანას ბატონობის ქვეშ მოექცა ადამის მეშვეობით. საქონლის გაზრდაზე იფიქრეთ. თუ თქვენს ერთ ძროხას ხბო ეყოლება, ეს ხბო თქვენი ბრენდით იქნება დაბრენდილი, რადგან თქვენ გეკუთვნით, მთელი ჯოგი ხომ გეკუთვნით თქვენ. ამრიგად, ადამის მთელი შთამომავლობა ავტომატურად სატანას იურისდიქციის ქვეშ მოექცა. სტანდარტული რელიგიური გაგება, ან გაგების ნაკლებობას უფრო ვიტყოდი, არის ის, რომ ადამიანის საბოლოო განაჩენი, იქნება ეს ზეცა თუ ჯოჯოხეთი, დაფუძნებულია იმაზე თუ რამდენად კარგები ან ცუდები არიან. და ეს სრულიად არასწორი აზრია. ფაქტი ისაა, რომ მათი განკითხვა უკვე დადგენილია. ისინი ყველა ჯოჯოხეთში მიდიან. არა იმიტომ, რომ რაიმე არასწორი გააკეთეს, არამედ იმის გამო, რაც ადამმა გააკეთა. იმ სიყვარულის გამო, რაც ღმერთს თავისი შექმნილი ადამიანებისადმი ჰქონდა, მან გადარჩენის გეგმა დასახა, რომელიც იესო ქრისტეზე იყო დაფუძნებული,

რომელიც უფლებას აძლევს კაცებსა და ქალებს რომ თავი დააღწიონ განკითხვას და დაბრუნდნენ ღვთის სამეფოს იურისდიქციაში.

„რადგან მან გვიხსნა სიბნელის ხელმწიფებისგან და შეგვიყვანა თავისი საყვარელი ძის სამეფოში“ . (კოლასელთა 1:13)

უნდა აღინიშნოს, რომ ღმერთმა შექმნა კანონიერი გზა სატანას იურისდიქციისა და განკითხვისგან თავის დასაღწევად. მაგრამ ამ უპირატესობით სარგებლობისთვის, თითოეულმა კაცმა, ქალმა თუ ბავშვმა პირადად უნდა აირჩიოს ისარგებლოს ამით იესოს სახელის მოხმობით. ქრისტიანებო, ერთი წუთით მომისმინეთ. ის კარგი ქალბატონი ქუჩის ბოლოში საბოლოოდ ჯოჯოხეთში აღმოჩნდება, თუ ვინმე არ ეტყვის, სანამ მოკვდება, რომ იესოს სახელს მოუხმოს. ძალიან ბევრი კარგი ადამიანი იქნება ჯოჯოხეთში. ეს სატანის ტყუილია, რაც ადამიანებს აფიქრებინებს, რომ შეუძლიათ გაექცნენ ჯოჯოხეთს კარგი საქმეების კეთებით. იესოს სახელია ერთადერთი სახელი, რაც ადამიანებს მიეცათ ხსნისთვის და სატანის განკითხვისგან თავის დასაღწევად. მინდა ასევე ცხადი გავხადო ის, რომ როცა ადამი დაეცა, ის მოკვდა სულიერად და ჩამოშორდა ღმერთს; თუმცა, კანონიერად კვლავ მას უპყრია დედამიწა, ინარჩუნებს ამ უფლებას. რადგან ასეა, სატანამ უნდა გამოიყენოს დემონით შთაგონებული ადამიანები, ხოლო ღმერთმა სულით აღსავსე ადამიანები, რათა ადამიანთა სამეფოში იმოქმედონ. რომ მიმოვიხილოთ, გვესმის რომ სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში წასვლა, კანონიერი საკითხია და არაა იმაზე დაფუძნებული, თუ რამდენად კარგები ვართ, არამედ დაფუძნებულია იესოს კანონიერ გამარჯვებაზე, რომელიც ჯვარზე მოიპოვა სატანაზე. მიუხედავად იმისა, რომ იესომ კანონიერი გახადა ადამიანისთვის გამოსულიყო სატანის იურისდიქციიდან, კვლავ, თითოეულმა ადამიანმა რწმენით უნდა მოუხმოს იესოს სახელს მის მისაღებად.

ვიცი, ეს საუბარი რამდენიმე აბზაცით ზევით დავტოვეთ, თუმცა მოდი, დავუბრუნდეთ უკვე დასმულ კითხვას: „რატომ ვერ განკურნა ადამიანები იესომ მარკოზის მეექვსე თავში?“ მე ვთქვი, რომ ეს იურისდიქციის საკითხია და ასეცაა. რადგან ადამმა ადამიანთა სამეფოს სულიერი იურისდიქცია სატანას

გადასცა, ღმერთს არ შეუძლია ჩაერიოს, როცა უნდა, რადგან ეს უკანონო იქნება. ახლა, რაც ვთქვი ამან არ დაგაბნიოთ იმაში, თუ ვინ ფლობს ზოგადად დედამიწას. ბიბლია ცხადად ამბობს, რომ ღმერთი ფლობს დედამიწას და მის სისრულეს. თუმცა, რაც შეეხება ადამიანთა სამეფოს, ღმერთს არ აქვს კანონიერი მმართველობა მათზე. ამას ლუკას 4:5-7-ში ვკითხულობთ.

> *„აიყვანა იგი მაღალ მთაზე და ერთ წამში უჩვენა ქვეყნიერების ყველა სამეფო. უთხრა მას ეშმაკმა: „შენ მოგცემ მთელ ამ ხელმწიფებას და მის დიდებას, რადგან მე მაქვს მოცემული, და ვისაც მინდა, იმას ვაძლევ. თუ თაყვანს მცემ, შენი იქნება ყოველივე!“*

აქ შეგვიძლია დავინახოთ, რომ ადამმა სატანას მისცა კანონიერი იურისდიქცია მსფოფლიოს სამეფოებზე. ამის გამო, ღმერთს არ შეუძლია უბრალოდ ის გაუკეთოს ადამიანებს მიწიერ სამეფოში, რასაც მოისურვებს. მაგრამ თუ ღმერთს შეუძლია იპოვოს კაცი ან ქალი, ვისაც სწამს მისი და სრულად ექვემდებარება ზეცის ძალაუფლებას, მაშინ ღმერთს შეუძლია თავისი ძალუფლება ამ ადამიანის მეშვეობით განახორციელოს. სწორედ ასევე მოიპოვა სატანამ წვდომა მიწიერ სამეფოზე დასაწყისში, იმ ერთის მეშვეობით, ვინც კანონიერად ფლობდა დედამიწას, ადამის მეშვეობით. როცა ღმერთმა დაკარგა თავისი ადამიანი - ადამი, მას უნდა ეპოვნა სხვა შემოსასვლელი უკან, დედამიწაზე, რათა თავისი ხსნის გეგმა მოეტანა და ეს ადამიანი იყო აბრამი.

> *„უთხრა უფალმა აბრამს: „წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც გაჩვენებ. დიდ ერად გაქცევ, გაკურთხებ, განვადიდებ შენს სახელს და კურთხეული იქნები. ვაკურთხებ შენს მაკურთხებელს და დავწყევლი შენს მაწყევარს; და იკურთხება შენში დედამიწის ყველა ტომი“.*
>
> – დაბადება 12:1-3

აბრამი, ან აბრაჰამი იყო კარი, რომელიც ღმერთმა გამოიყენა მიწიერ სამეფოზე კვლავ წვდომის მოსაპოვებლად და კაცობრიობის ხსნის თავისი გეგმის მოსატანად. ღმერთმა აღთქმა დადო აბრაჰამთან და მის შთამომავლობასთან და ამ კანონიერი თანხმობის მეშვეობით, ღმერთს ჰქონდა წვდომა დედამიწაზე, იესო ქრისტეს მოსაყვანად სამყაროში, მაგრამ მხოლოდ აბრაჰამის მემკვიდრეობით ხაზში. სწორედ ამიტომ უნდა ყოფილიყო იესო აბრაჰამის შთამომავალი და აი, რატომ არ ჰქონდა ისრაელს უფლება დაქორწინებულიყვნენ მეზობელ ერებზე. სწორედ ესაა მიზეზი, რის გამოც ახალი აღთქმის პირველი წიგნი გენეალოგიაა და სხვა არაფერი. იგი გვაწვდის ინფორმაციას, რომ იესო რეალურად არის აბრაჰამის კანონიერი შთამომავალი, ამრიგად, სატანას ეუბნება, რომ იესოს დედამიწაზე მოსვლა და ცოდვის ფასის გადახდა კანონიერი იყო.

რადგანაც კვლავ ადამიანებს აქვთ კანონიერი კონტროლი დედამიწაზე და ეს სულიერ კონტროლში არ აგერიოთ, ღმერთმა და სატანამ რაღაცების გასაკეთებლად ადამიანები უნდა გამოიყენონ. მარტივად რომ ვთქვათ, დედამიწის ერთადერთი კანონიერი არსებები კაცები და ქალები არიან. მაგრამ როგორც სატანამ მოიპოვა წვდომა ადამისა და ევას მეშვეობით, როცა მისი ნათქვამი დაიჯერეს, ასევე ღმერთმაც უნდა იპოვოს ადამიანები, ვინც ერწმუნება მის ნათქვამს, რათა იგი გამოვლინდეს დედამიწაზე. როცა კაცი ან ქალი სრულად დარწმუნებულია გულში ზეცის ნათქვამში და არა იმაში, რასაც სატანის სამეფო ამბობს, ამას რწმენა ჰქვია და იგი ზეცას აძლევს კანონიერ იურისდიქციას იმოძრაოს ამ ადამიანის მეშვეობით დედამიწაზე და მოიტანოს ღმერთის ნება სატანის სამეფოს წინააღმდეგ. კიდევ იმდენია სათქმელი, მაგრამ ეს ყველაფერი დეტალურად დავფარე ჩემს პირველ ორ წიგნში.

აი, ნამდვილი გასაღები. რადგანაც სატანა აქ არის, დედამიწაზე, ყოველთვის იცავს თავის სამეფოს და ცდილობს ღმერთის გეგმების უკან დაწევას. ამის გამო, ღმერთი დაფარულში მოქმედებს, რათა მისი გეგმები და სტრატეგიები მიწიერ სამეფოში განახორციელოს. და სწორედ იმის ცოდნაში, თუ როგორ მოქმედებს ღმერთი დაფარულში, აღმოაჩენ შენი ცხოვრების წარმატებისა და გამარჯვების უდიდეს გასაღებს. ამას სტრატეგიის ძალა ჰქვია!

თავი 3
გაოცებული

ტელეფონზე დამირეკა ადამიანმა, რომელსაც არასდროს შევხვედროდი. საკუთარი თავი წარმიდგინა და მითხრა, რომ მან და რამდენიმე ადამიანმა ძალიან ისიამოვნეს ჩემი წიგნით *„რწმენის ნადირობა“* და ჩემი სწავლებით ღმერთის სამეფოზე. მან მკითხა თუ დავინტერესდებოდი მონტანაში ჩასვლით და პარასკევს, საღამოს და შაბათს, დილით სწავლებით დაახლოებით 70 ადამიანიან ჯგუფში. სანამ ვუპასუხებდი, დაამატა: „შაბათს დილის სწავლების შემდეგ გვსურს ანტილოპაზე სანადიროდ წაგიყვანოთ, რადგან სწორედ მაშინ იქნება სეზონი“. დიდი დრო არ დამჭირვებია, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად. მან თქვა, რომ ჩემი ბიჭებიც დაპატიჟებულები იყვნენ თუ ისურვებდნენ წამოსვლას. იმ ზაფხულის თვეებში ისინი შემოდგომის ნადირობისთვის სწორი ლიცენზიის აღებაში მეხმარებოდნენ. ჩემმა ვაჟმა ტიმმა გადაწყვიტა, რომ წამოსულიყო, მასაც ჰქონდა ლიცენზია.

როგორც გავიგე, ეს იყო „აღთქმის შემნახველთა“ ჯგუფი და აღფრთოვანებულები იყვნენ ჩემი ნადირობის ისტორიებით, იმით, თუ როგორ მივიღე ჩემი ირემი რწმენით. მათ სურდათ მეტი მოესმინათ იმაზე, თუ როგორ ვიჭერდი ჩემს ირემს ყოველთვის 30 - 40 წუთში და როგორ მასწავლა ღმერთმა ვყოფილიყავი კონკრეტული: როგორი ტიპის ცხოველი მსურდა მიმეღო, სქესსა და ირმის რქების ზომასთან მიმართებაშიც კი. უნდა დავეთანხმო, რომ ჩემს თავს გადახდენილი ისტორიები, მართლაც დაუჯერებლად ჟღერს და საკუთარი თვალით რომ არ მენახა როგორ ხდებოდა, ალბათ ისევე ცნობისმოყვარე ვიქნებოდი, როგორც ისინი.

საბოლოოდ, მოვიდა მონტანაში წასვლის კვირაც. მე და ტიმი გავფრინდით და შევხვდით კაცების ჯგუფის რამდენიმე

ლიდერს, საოცარ ადამიანებს, რომლებსაც ნამდვილად უყვარდათ უფალი. მათ კალმახზე სათევზაოდაც წაგვიყვანეს და ის სასროლი მანძილიც და შაშხანებიც გვაჩვენეს, რაც ჩვენთვის მოამზადეს. ოჰაიოში გაზრდილი, მიჩვეული არ ვიყავი შაშხანიდან დიდ მანძილზე სროლას. ჩვენი კანონები მხოლოდ საფანტის თოფებით ნადირობას უშვებს ირმებზე და მანძილიც თითქმის ყოველთვის 90 მეტრზე ნაკლებია, ძირითადად 45 მეტრზე ნაკლებიც კი. ასე რომ, როცა სამიზნე 180 მეტრზე დააყენეს, დარეგულერება დამჭირდა; თუმცა ცოტა პრაქტიკის შემდეგ, შევძელი ფოლადის თეფშისთვის მესროლა და განვაცხადე, რომ წასასვლელად მზად ვიყავი.

იმ საღამოს, კაცებს ადგილობრივი სკოლის აუდიტორიაში ვასწავლე, ასევე მეორე დილასაც. ყველა ისეთი მოწადინებული იყო მოესმინათ და ესწავლათ ღვთის სამეფოზე, განსაკუთრებით, თუ როგორ მასწავლა ღმერთმა სამეფოს კანონები ნადირობის მეშვეობით. ლანჩის შემდეგ, მათ თქვეს: „კარგი, მოდი, ამის შემდეგ წავიდეთ ანტილოპებზე სანადიროდ“. არასდროს მინადირია ანტილოპაზე და ვერ მივხვდი როგორი პროცედურა იქნებოდა. ჩემს ნადირობის გამოცდილებაში, მაქსიმუმ ორ ან სამ კაცთან ერთად მივდიოდი. მაგრამ მათ სამი თუ ოთხი მანქანა ხალხი მოჰყავდათ. მახსოვს წინა ღამით ტიმმა მკითხა: „მამა, არ ნერვიულობ ანტილოპის დაჭერაზე? სამეფოზე უნდა ასწავლო მათ და განაცხადო დარწმუნებით, რომ სამეფო მოქმედებს ყოველთვის, მაგრამ რა მოხდება თუ ანტილოპას ვერ დაიჭერ და ყველა დაინახავს ამას?“ ვუთხარი, რომ ამაზე არ ვნერვიულობდი. მე და დრენდამ უკვე დავთესეთ ჩვენი თესლი და შევთანხმდით ამ ანტილოპისთვის; ის იქ იქნებოდა.

როცა იმ რანჩოსკენ მივდიოდით, გვიხსნიდნენ, რომ ანტილოპა ყველაზე სწრაფი ცხოველია ჩრდილოეთ ამერიკაში და მეორეა სისწრაფით დედამიწაზე, რომელსაც მხოლოდ ლეოპარდი სჯობნის. მათ ამიხსნეს, რომ ანტილოპას ძალიან კარგი მხედველობა აქვს და მათი მთავარი თავდაცვა სირბილია, ამიტომ თუ დაგინახავენ, ერთ წამში გაქრებიან. ჩემი ბირკა იყო მამალი ანტილოპისთვის, ხოლო ტიმის - ძუსთვის.

გეგმა ასეთი იყო: წავსულიყავით რანჩოში, შემდეგ სიმაღლეზე ავცოცებულიყავით და გადმოგვეხედა მეჩხერ მინდვრებზე თუ მოვკრავდით თვალს ცხოველებს. როცა წვეროსკენ ავდიოდით,

შორს შევამჩნიეთ ანტილოპების ჯგუფი. რელიეფის გამო, ვიფიქრეთ შევძლებდით სასროლ მანძილზე მისვლას და დაბალ ხეობებში დარჩენას მიახლოებისას. ძალიან შეუმჩნევლად უნდა ავცოცებულიყავით ბოლო მთაზე, შემდეგ ფრთხილად გადავსულიყავით მთის შვერილზე სასროლად, რა თქმა უნდა, თუ ანტილოპები კვლავ იქ იქნებოდნენ როცა მივიდოდით. როცა ადგილზე ვიქნებოდით შეგვეძლო 180-დან 225 მეტრამდე მანძილზე გვესროლა.

მე და ტიმი ნელა გავფორთხდით მუცლით საკმაოდ დიდ მანძილზე, რათა მთის კიდემდე მივსულიყავით და გადაგვეხედა ხეობაზე, რომელშიც თვალი მოვკარით ანტილოპებს. გეგმის მიხედვით, ჩემი გასროლის შემდეგ, ტიმი ესროდა ძუ ანტილოპას. მე ფრთხილად მივფოფხდი კიდემდე და გადავიხედე. ჩვენმა გეგმამ ნამდვილად გაამართლა; პატარა ჯოგს არ დავუნახივართ. ჩემი შაშხანა შევმართე და აღმოვაჩინე, რომ ამ მანძილზე გაჭიმული ხელის ქონა საკმაოდ რთული იყო, რადგან სუნთქვაც კი მიჭირდა ხოხვისგან. მაგრამ საბოლოოდ, როცა ვიფიქრე, რომ მამალი ანტილოპა ჩემს სამიზნეში იყო, სასხლეტს გამოვკარი. ავაცილე. ჯოგი დაბნეულს ჰგავდა, როცა მეორეჯერ გამოვკარი. ისევ ავაცილე. ახლა ჯოგი უკვე მოძრაობდა, როცა მესამედ გავისროლე და მერე მეოთხედაც, ყველა ავაცილე. როცა მეხუთედ უნდა გამესროლა, მხოლოდ სასხლეტის ხმა გავიგონე. ტყვია-წამალი ამომეწურა.

ჩოჩქოლში ვერ შევამჩნიე, რომ მთელი ჯოგი წავიდა და თვალთახედვის არეალს გასცდა. გარდა იმ ერთი მამალისა, რომელსაც ვესროდი. მყარად იდგა რამდენიმე მეტრის მოშორებით იქიდან, სადაც პირველი სროლისას იდგა. გააფთრებულმა ტიმს ვთხოვე შაშხანა. ახლა უკვე ფეხზე ვიდექი, მოუმზადებლად ვესროლე და ანტილოპა დაეცა. ერთდროულად სიხარულსაც ვგრძნობდი და შვებასაც. ანტილოპა ჩემი იყო. უკან მოვიხედე და დავინახე ბიჭების ჯგუფი, რომელიც ყვიროდნენ და აღნიშნავდნენ. ზოგიერთი ტელეფონზე რეკავდა, გავიგონე როგორ ამბობდა ერთი: „კი, ზუსტად ისე მოხდა, როგორც *რწმენით ნადირობაში*, მხოლოდ 40 წუთი იყო გასული და ანტილოპა მყარად იდგა, ზუსტად ისე, როგორც წიგნში“. ისინი ყველანი იმის სანახავად მოვიდნენ, რომ სამეფო მოქმედებდა. ყველაფრის შემდეგ, ამას საათების განმავლობაში ვასწავლიდი

და სურდათ მოქმედებაში ენახათ. მიუხედავად ჩემი ცუდი სროლისა, მაინც იმოქმედა და სანდოობა შემატა იმას, რაც ვასწავლე. იმ შუადღისას ტიმმა საოცარი სროლით მოარტყა თავის მდედრ ანტილოპას სირბილისას. ორივე ისეთი აღფრთოვანებულები ვიყავით! მონტანა ისეთი ლამაზია, მე და ტიმმა კი სამეფოს შესანიშნავი გამოცდილება მივიღეთ. ანტილოპის თავი ჩემს მაგიდასთან დავკიდე ოფისში, რათა სამეფოსა და ღმერთის ერთგულებაზე შემახსენოს.

მსოფლიოს სწყურია რეალური რაღაცის ნახვა და ღმერთს უყვარს მათი გაოცება.

რატომ გიყვებით ნადირობის ისტორიას ამ წიგნში? იმიტომ, რომ ღმერთს სურს შენი გამოყენება, რათა მისი სამეფო ყველა შენს მეგობარს, მეზობელს და ოჯახს წარუდგინო. ყველას სურს მისი მოქმედების ნახვა. მსოფლიოს სწყურია რეალური რაღაცის ნახვა და ღმერთს უყვარს მათი გაოცება. მათ გასაოცებლად, უნდა ისწავლო როგორ მოქმედებს ღმერთის სამეფო და როგორ მოაქვს სულიწმიდას პასუხები და შესაძლებლობები, რაც შენ ყველას გასაოცებლად გჭირდება, საკუთარი თავისაც კი. როგორც მოგვიანებით აღმოვაჩინე, რამდენიმე ადამიანმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ კაცების ჯგუფს, ნათელი განზრახვით წამიყვანეს, რათა სამეფო მეჩვენებინა იმ ბიჭებისთვის, ვინც რელიგიაში გაიჭედა. შემდეგ გავიგე, რომ იმ დღეს ჩემი სწავლების შემდეგ, მრავალმა გადასცა თავისი გული უფალს. სულიწმიდამ ეს გეგმა თავის ადგილზე მოათავსა და ის წარმატების მომტანი გეგმების განხორციელებაშიც დაგეხმარება.

ნება მომეცით, კიდევ ერთი ისტორია მოგიყვეთ, მაგრამ ის პირდაპირ ბიბლიიდანაა და კვლავ აჩვენებს, თუ როგორ სურს ღმერთს შენი გაოცება ზებუნებრივი გეგმებით და სტრატეგიებით, რაც ცხადს გახდის მის რეალურობას და სიყვარულს გარშემო მყოფთათვის.

> *„ერთხელ, როცა გენესარეთის ტბასთან იდგა და ხალხი აწყდებოდა მას, რათა ღვთის სიტყვა მოესმინა, დაინახა ტბასთან მდგომი ორი ნავი და მათგან გადმოსული მეთევზეები, ბადეებს რომ რეცხავდნენ. ავიდა ერთ ნავზე, რომელიც სიმონისა იყო. სთხოვა, ნაპირს ცოტა გაშორებოდა, ჩაჯდა და ნავიდან ასწავლიდა ხალხს.*

ლაპარაკი რომ დაამთავრა, უთხრა სიმონს: „შეცურდით ღრმად და ბადეები ჩაუშვით თევზის დასაჭერად!“

მიუგო სიმონმა პასუხად: „მოძღვარო, მთელი ღამე ვიშრომეთ და ვერაფერი დავიჭირეთ, მაგრამ შენი სიტყვისამებრ ჩავუშვებთ ბადეს!“

ასეც მოიქცნენ და იმდენი თევზი მოიმწყვდიეს, რომ ბადეები ეხეოდათ. ნიშანი მისცეს მეწილეებს მეორე ნავში, რომ მოსაშველებლად მოსულიყვნენ. მოვიდნენ და ორივე ნავი ისე აავსეს, რომ იძირებოდნენ.

ამის მნახველი სიმონ-პეტრე იესოს წინაშე მუხლებზე დაეცა და უთხრა: „გამშორდი, უფალო, რადგან ცოდვილი კაცი ვარ!“ რადგან გაოგნებამ შეიპყრო ისიც და ყველა მასთან მყოფიც იმ თევზის სიმრავლის გამო, მათ რომ დაიჭირეს; ასევე დაემართათ იაკობსა და იოანეს, ზებედეს ძეებს, სიმონის მეწილეებს“.

– ლუკა 5:1-10

პეტრე, იაკობი და იოანე მთელი ღამე თევზაობდნენ და ვერაფერი დაიჭირეს. ესენი იყვნენ გამოცდილი მეთევზეები, რომლებიც ტბაზე გაიზარდნენ და კარგად იცნობდნენ მას და ამის მიუხედავად ცარიელი ხელებით დაბრუნდნენ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ისტორია აქ არ მთავრდება. იესო პეტრეს ნავს თხოულობს, რათა იქიდან იქადაგოს და შემდეგ ეუბნება, რომ ღრმად შევიდეს წყალში თევზის დასაჭერად. პეტრე, ცოტა შოკირებული, უხსნის, რომ მთელი ღამე თევზაობდნენ და ვერაფერი დაიჭირეს, მაგრამ რადგან იესომ თქვა, ისვრის ბადეებს. ბიბლია ამბობს, რომ როცა პეტრეს ამოჰქონდა ბადე, იმდენად ბევრი თევზი დაიჭირა, რომ ბადეები იხეოდა, ამიტომ თავის მეწილეებს დაუძახა დასახმარებლად. წერილი აგრძელებს, იმის თქმით, რომ მისი მეწილეების ბადეებიც თითქმის დაიხა და საბოლოოდ ორივე ნავი იმდენად სავსე აღმოჩნდა, რომ ლამის ჩაიძირა. ბიბლია ამბობს, რომ ეს გამოცდილი მეთევზეები, იმდენად გაოცებულები იყვნენ იმ დღეს თევზის დაჭერით, რომ

მიატოვეს თევზაობა და იესოს გაჰყვნენ.

ეს ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ისტორიაა ბიბლიაში, რადგან ცხადად აჩვენებს ორ სამეფოს შორის განსხვავებას, სიბნელის სამეფოსა და ღმერთის სამეფოს შორის. სიბნელის სამეფო, სატანას ბატონობა, დანგრეულია, დაუძლურებულია, მთელი ღამე ნადირობის და ვერაფრის დაჭერის სისტემაა, ოფლითა და ტანჯვით სავსე თავის გასატანად. მე მას დედამიწის წყევლის სისტემას ვეძახი, რომელიც ადამის აჯანყებამ მოიტანა, თუ შევადარებთ ღმერთის სამეფოს დიდებას და იმას თუ რას ქმნის იგი. კარგად შეხედე ამ ორ უკიდურესობას და გააცნობიერე, რომ ღმერთმა მოგცა კარი ნომერი ორი, სამეფო.

ახლა ყველა ქრისტიანი შესძახებს, ტაშს შემოჰკრავს და იტყვის: „დიახ, ღმერთის სამეფო დიდებულია; შეხედეთ ამ თევზის ჭერას!“ მაგრამ ძალიან ცოტა იკითხავს როგორ გააკეთა ეს იესომ და ბევრმა არ იცის, რომ მათ იგივე ძალაუფლება და შესაძლებლობა აქვთ მიცემული, რათა უზრუნველყოფის იგივე დონით ისიამოვნონ, როგორც პეტრემ, იაკობმა და იოანემ იმ დღეს. სტანდარტული პასუხი იმის განმარტებასთან დაკავშირებით, თუ როგორ გააკეთა იესომ ის, რაც გააკეთა იმ დღეს არის ის, რომ იესოს შეეძლო ამის გაკეთება, რადგან ის იესოა. მაგრამ მოიცადეთ; ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ იესომ ვერ განკურნა ყველა, მარკოზის მეექვსე თავში, რადგან ზეცას არანაირი იურისდიქცია არ ჰქონდა იქ. არა, იქ სამეფოს სულიერი კანონები მოქმედებდა, რამაც ხელი შეუწყო და შედეგსაც მიაღწიეს, დაიჭირეს თევზი.

მაგრამ აი საკითხი რაშია. ქრისტიანთა უმრავლესობას, ვისაც შევხვედრივარ არც კი უფიქრიათ, რომ შესაძლებელი იყო იგივეს გაკეთება, რაც იესომ გააკეთა და თუ უფიქრიათ, წარმოდგენა არ აქვთ იესომ როგორ გააკეთა ეს. მე ერთი გამონათქვამი მაქვს, რომელსაც ჩემს კონფერენციებზე ვიყენებ, რომ თუ რაიმეს სწავლება არ შეგიძლია, ვერ იცოცხლებ მისით. აქ იმას ვგულისხმობ, რომ თუ ვერ განმარტავ როგორ მოხდა ეს თევზის ჭერა, ვერასდროს გაიმეორებ მას. ასე რომ, როგორ მოხდა ეს უდიდესი თევზჭერა? შეგიძლია განმარტო? თუ გსურს ასეთი წარმატება მოიპოვო, უნდა მიხვდე როგორ გამოჩნდეს ეს თევზები. თუმცა, ადამიანთა უმრავლესობა შოკშია, როცა ასე საუბარს ვიწყებ. და რა თქვა იესომ?

„ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ვისაც ჩემი სწამს, საქმეებს, მე რომ ვაკეთებ, ისიც გააკეთებს და მათზე დიდსაც გააკეთებს, რადგან მე მამასთან მივდივარ“.

– იოანე 14:12

როცა იესომ თქვა, რომ შეგვეძლო იგივე საქმეები გაგვეკეთებინა, რასაც ის აკეთებდა, რადგან ის მამასთან მიდიოდა, გულისხმობდა, რომ სულიწმიდა გადმოვიდოდა ჩვენზე მისი სიკვდილისა და აღდგომის შემდეგ. ეს იგივე სულიწმიდაა, რაც მასზე გადმოვიდა მდინარე იორდანეზე, ნება მისცა მას ღმერთის ყოვლისშემძლე საქმეები განეხორციელებინა, რასაც ვხედავთ მისი მსახურების კვალდაკვალ მიყოლისას. იქიდან გამომდინარე, რომ ვიცით ამ ძალას ხელი შეეშალა მარკოზის მეექვსე თავში ადამიანთა ურწმუნოების გამო, მაგრამ ხელი არ შეშლია ლუკას მეხუთე თავში თევზებთან დაკავშირებით, გვჭირდება სამეფოს კანონების სწავლა, რათა განვსაზღვროთ რა უშლის ხელს, ან პირიქით, რა უწყობს ხელს სულიწმიდის თავისუფლად დინებას ნებისმიერ სიტუაციაში. ასე რომ, მოდი, შევხედოთ ისტორიას და ვნახოთ თუ გამოვყოფთ სამეფოს კანონებსა და პრინციპებს, საიდანაც ბევრი რამის სწავლასაც შევძლებთ.

თუ წაკითხული გაქვთ ჩემი პირველი წიგნი, იცით რა მოხდა აქ სულიერად, როცა პეტრემ იესოს თავისი ნავი დაუთმო გამოსაყენებლად. პეტრეს ნავმა და რეალურად მთელმა მისმა თევზაობის ბიზნესმა, შეიცვალა სამეფო ანუ იურისდიქცია! დიახ, როცა იესომ ნავი თავის მსახურებაში მოაქცია, პეტრეს ნავი ღმერთის სამეფოს იურისდიქციაში მოექცა. მას შემდეგ, რაც ნავი ღმერთის სამეფოს იურისდიქციაში მოექცა, სულიწმიდას ჰქონდა კანონიერი მმართველობა რომ იესოსთვის ცოდნის სიტყვა მიეცა თევზების ჯგუფის მდებარეობის შესახებ ღრმა წყლებში. ეს უდიდესი თევზჭერა ზებუნებრივი გეგმისა და სტრატეგიის შედეგი იყო, რაც სულიწმიდით მიეცა პეტრეს იესოს მეშვეობით იმ დღეს. მე ამას საიდუმლო ცოდნას ვეძახი და ამის გამო, პეტრემ, იაკობმა და იოანემ იხილეს ყველაზე დიდი თევზჭერა, რაც კი ოდესმე უნახავთ. ბიბლია ამბობს, რომ ეს გამოცდილი მეთევზეები, გაოცებულები იყვნენ.

მჯერა, იესოს სურს, რომ შენც გასაოცარი ცხოვრებით იცხოვრო, ცხოვრებით, რომელიც წარმოაჩენს სამეფოს, მაშასადამე, გარშემო მყოფი ადამიანებიც გაოცდებიან ნანახით და შეიცნობენ იესო ქრისტეს. მჯერა, რელიგიის ცარიელი ნავები ვერასდროს მიიტყუებს ადამიანებს ღმერთთან. ღმერთს სურს ადამიანებმა დაინახონ მისი სამეფოს სიკეთე, ამგვარად, ყველა დაინახავს და ირწმუნებს, რომ ის კეთილია და სურს ყველას მიღება, ვინც მასთან მივა. ესაია ამაზე ლაპარაკობს შემდეგ წინასწარმეტყველებაში, ეკლესიის შესახებ:

„და უწოდებენ მათ [ჩვენ გვეხება] უფლის მიერ დანერგილ სიმართლის სვეტებს, რათა განდიდდეს იგი“. (ესაია 61:3ბ)

ამრიგად, რა არის მთავარი სათქმელი, რაც მინდა მიიღოთ ლუკას მეხუთე თავში გადმოცემული თევზაობის ისტორიიდან? მრავალი სულიერი კანონი არსებობს, რომელიც ამ ისტორიიდან შეგიძლია ამოიღო, მაგრამ თუ ამ აზრით განაგრძობ, ეს შენს ცხოვრებას შეცვლის.

ყველას შეუძლია თევზის დაჭერა თუ იესო ეტყვის მათ ზუსტად სად ისროლონ ბადე!! ან მოდი, ასე ვიტყვი: ყველას შეუძლია თევზის დაჭერა, თუ იესო ეტყვის სად არიან თევზები და როგორ დაიჭირონ ისინი!

ადამიანები მეუბნებიან: „ნუ, ეს კარგია, გარი, მაგრამ იესო აქ აღარ არის“. არა, მაგრამ იგივე სულიწმიდა, რომელმაც უთხრა მას იმ დღეს, თუ სად იყვნენ თევზები, აქ არის დღეს და შენში ცხოვრობს თუ მორწმუნე ხარ. მოუსმინე თუ რა უთხრა იესომ თავის მოწაფეებს, როცა მათ დასატოვებლად ემზადებოდა.

> *„ეს გელაპარაკეთ თქვენთან ყოფნისას. ხოლო ნუგეშისმცემელი, სულიწმიდა, რომელსაც ჩემი სახელით მოავლენს მამა, გასწავლით და გაგახსენებთ ყველაფერს, რაც თქვენთვის მითქვამს. მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ. წუთისოფელი რომ იძლევა, მე ისე არ გაძლევთ. ნუ შეკრთება თქვენი გული და ნურც შეშინდება“.*
>
> – იოანე 14:25-27

რა იყო იესოს მშვიდობა? ეს იყო სულიწმიდა, რომელმაც უთხრა მას როგორ გამკლავებოდა ყველა სიტუაციას, რასაც კი შეეჯახებოდა. იესო სულიწმიდას მრჩეველს უწოდებს. მეგობარო, ეს მრჩეველი შენში ცხოვრობს და არასდროს დაგტოვებს. უსმენ მას? უნდა დამეთანხმო, რომ ღმერთს, ალბათ ყველა სიტუაციისთვის აქვს პასუხი, რომელშიც ხარ. იესო ამბობს, რომ ამ მრჩეველს შეუძლია გასწავლოს ან მოგცეს რჩევა ყველაფერზე. *სტრონგის ბიბლიის სრული ანბანური საძიებლის* (3875) მიხედვით, ბერძნული სიტყვა, რომელიც აქ ნათარგმნია, როგორც მრჩეველი, სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: ვიღაცის დასახმარებლად მოწვეულს. ასევე, აღნიშნავს მას, ვინც მოსამართლის წინაშე გიცავს, სთხოვს შენთვის, კანონიერი დამხმარე და ადვოკატია. ყველაზე ფართო გაგებით, ეს სიტყვა ნიშნავს დამხმარეს, ასისტენტს.

იესო სულიწმიდას მრჩეველს უწოდებს. მეგობარო, ეს მრჩეველი შენში ცხოვრობს და არასდროს დაგტოვებს.

არ ვიცი შენს შემთხვევაში როგორაა, მაგრამ მე გამოვიყენებდი ასეთ დამხმარეს; შენ არა? სულიწმიდა იყო პეტრეს პასუხი, როცა მათ მთელი ღამე ითევზავეს და ვერაფერი დაიჭირეს. და სულიწმიდა იყო ჩემი პასუხი, როცა წარმოდგენა არ მქონდა სად მეშოვნა ფული ვალებისგან თავის დასაღწევად. წლების განმავლობაში ჩემი ოჯახის ასეთ ფინანსურ არეულობაში ყოფნის შემდეგ, როცა ღმერთისკენ შევბრუნდი დახმარებისთვის, სწორედ სულიწმიდამ მაჩვენა სიზმარი ერთ ღამეს, რომ დამეტოვებინა კომპანია, სადაც ვმუშაობდი და ნულიდან დამეარსებინა ჩემი საკუთარი კომპანია.

სწორედ სულიწმიდამ მითხრა, რომ ამ ახალი კომპანიის მისია იყო განეცხადებინა ღმერთის სიკეთე და დახმარებოდა ადამიანებს ვალებისგან თავის დაღწევაში, რაც იმ პერიოდში ყველაზე გიჟური აზრი იყო, რომელიც გამეგო. მე დავხმარებოდი ადამიანებს ვალებიდან თავის დაღწევაში? თავად ვიყავი იმის ნიმუში თუ რა არ უნდა მოგემოქმედა ფულისთვის. ჩემი ცხოვრება ფინანსური კოშმარი იყო. მაგრამ ეს იყო რისი გაკეთებაც მან მითხრა, ამრიგად, მე და დრენდამ რწმენით გადავდგით ნაბიჯი და ვთქვით იგივე, რაც პეტრემ თქვა: „უფალო, ამაში აზრს ვერ ვხედავ, მაგრამ რადგან ასე თქვი, გავაკეთებ“. სულიწმიდის

რჩევის გათვალისწინებნით, ეს ახალი კომპანია გაიზარდა და გაიზარდა და იმდენი ფული შემოჰქონდა, რომ მე და დრენდას საშუალება მოგვცა სრულიად გავთავისუფლებულიყავით ვალებისგან. ეს კომპანია დღესაც ბიზნესშია, 30 წლის შემდეგაც და კვლავ ასობით ათასი დოლარი აქვს წლიური მოგება.

მე არ ვარ ასეთი ჭკვიანი და არც შენ ხარ, მაგრამ ღმერთმა მოგცა სულიწმიდა, რათა დაგეხმაროს იმ პასუხების მიღებაში, რაც ცხოვრებაში გჭირდება. მაგრამ როგორც ამ წიგნში დავინახავთ, ჩვენც უნდა ვითამაშოთ ჩვენი წილი, სულიწმიდასთან ერთად უნდა ვიმოქმედოთ, რათა ღმერთის ნება სისრულეში მოვიყვანოთ.

სამწუხაროდ, ადამიანებთან ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, როგორც ჩანს ქრისტიანთა დიდ ნაწილს არ აქვთ პასუხები კითხვებზე, რომლის წინაშეც ცხოვრებაში აღმოჩნდებიან ხოლმე. ისინი უბრალოდ აგრძელებენ საკუთარი ძალებით თევზაობას და მთელი ღამე თევზაობის შემდეგ ცარიელი ხელებით ან თითქმის ცარიელით ბრუნდებიან. არასდროს სმენიათ, რომ სულიწმიდა იქაა, რათა თითოეულ სიტუაციაში დაეხმაროს მათ. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ქრისტიანი იტყვის: „ღმერთი დამეხმარება ამის ან ამის გაკეთებაში“, მათ არ ესმით როგორ ეხმარება ის ან როგორ მოისმინონ მათთვის საჭირო პასუხები. ძალიან ბევრი ვერ აანალიზებს, რომ ღმერთთან ერთად უნდა იშრომონ მათთვის საჭირო პასუხების რეალობაში მოსაყვანად და კვლავ ელოდებიან, რომ ღმერთმა გააკეთოს რაიმე მათი პრობლემების გადასაჭრელად, მაშინ როცა პასუხი უკვე იქაა, მათში.

ფულთან მიმართებაში, მაგალითად, ადამიანები ხშირად ამბობენ: ღმერთი ამაყვავებს. მე ვამბობ: „დიდებულია! როგორ აპირებს ღმერთი შენამდე ფულის მოტანას?“ თავიდან, მათ სწყინთ თუ როგორ დავუსვი ასეთი კითხვა, თითქოს მათ რწმენას გამოწვევის წინაშე ვაყენებ. მაგრამ მე ვჯიუტდები. „საიდან უნდა გამოჩნდეს ფული? როგორ აპირებს ღმერთი ამ ფულის შენამდე მოტანას?“ როცა პასუხის გაცემას ვთხოვ, წარმოდგენა არ აქვთ. ვერ მოიმკი იმას, რასაც ვერ ხედავ. გახსოვდეს, იესო ძალიან კონკრეტული იყო როცა პეტრეს უთხრა სად იყო თევზები და ისიც უთხრა, თუ როგორ დაეჭირა ისინი: „ბადეები ჩაუშვით“. თუ თევზის დაჭერას აპირებ, აუცილებლად უნდა იცოდე სად ჩაუშვა ბადე.

ადამიანებს, როგორც წესი, აქვთ ე.წ. ფოსტის ყუთის მენტალობა, როგორც მე ვეძახი, უბრალოდ ფიქრობენ, რომ ღმერთი გააკეთებს ამას, რის გამოც მათი ცხოვრება კვლავ არეულობად რჩება 10 ან 20 წლის განმავლობაში, ყოველგვარი ცვლილების გარეშე. ეს სამწუხაროა. გსურთ იცოდეთ რატომ ხდება ასე? რადგან მათთვის არასდროს უსწავლებიათ როგორ ითევზაონ სულიწმიდის გზით, სამეფოს გზით. მათ არ იციან როგორ მოქმედებს სულიწმიდა მიწიერ სამეფოში, რათა მათ წარმატების მიღწევაში დაეხმაროს. მათ არ იციან რა წილი უნდა ითამაშონ თავად და რა წილს თამაშობს სულიწმიდა იმ წარმატების მიღწევაში, რაც ასე სჭირდებათ.

ეს ჰგავს ადამიანს, რომელიც დღეს ლანჩზე ვნახე. უზარმაზარი იყო, ალბათ 170 კილოგრამი იქნებოდა. ცალ ფეხზე ფიქსატორი ჰქონდა და ორი ხელჯოხი ეჭირა. ძლივს მოძრაობდა. მას შემდეგ, რაც ჩიზბურგერი შეჭამა, მიწისთხილის კარაქის ღვეზელი ითხოვა. შოკირებული ვიყავი, როცა გავიგე როგორ ითხოვა ღვეზელი. არ ვიცი რას ფიქრობდა, თუმცა უკვე საკმარისი ღვეზელი ჰქონდა ნაჭამი. ცხადი იყო, რომ ეს მას კლავდა. ძლივს ადგა მაგიდიდან და ნელა, ტკივილით გაუყვა გზას რესტორნიდან. აი როგორ ვხედავ ქრისტიანთა ცხოვრებას დღეს - ისმენენ აღთქმებს, მაგრამ აგრძელებენ საწამლავის ჭამას და შემდეგ უკვირთ რატომ არ გამოდის რაღაცები.

მეგობარო, შენ გაქვს პასუხი! სულიწმიდა, თავად ღმერთი ცხოვრობს შენში, რათა მოგცეს ნებისმიერი პასუხი, რომლის ცოდნაც დაგჭირდება. ადამიანები მეკითხებიან სუზანზე უნდა დაქორწინდნენ თუ სალიზე, აქ უნდა დაიწყონ მუშაობა თუ იქ, უნდა გადავიდნენ საცხოვრებლად თუ დარჩნენ, სადაც არიან, გაყიდონ აქციები თუ იყიდონ. შენში მყოფ სულიწმიდას აქვს პასუხები. კვლავ ვიტყვი, რომ სწორედ ეს არის ამ წიგნის მიზანი, ვისწავლოთ როგორ გვეხმარება სულიწმიდა და როგორ მოქმედებს სამეფო სულიწმიდის ხმის მოსმენასთან მიმართებაში.

სულიწმიდა, თავად ღმერთი ცხოვრობს შენში, რათა მოგცეს ნებისმიერი პასუხი, რომლის ცოდნაც დაგჭირდება.

ასე რომ, ნება მომეცით, მიმოვიხილო.

ყველას შეუძლია თევზის დაჭერა, თუ იესო ეტყვის სად არიან თევზები და როგორ დაიჭირონ ისინი, შენც კი!

ქეროლი თავის წერილში გვიყვება, თუ როგორ შეიცვალა მისი ცხოვრება.

„გასულ წელს, დღევანდელ თარიღში, საშობაო საჩუქრებს ვყიდულობდი საკრედიტო ბარათით, ლიმიტამდე მიმყავდა, რადგან ფული არ მქონდა ჩემი გოგონასთვის საჩუქრის საყიდლად, რომელსაც ჯერ კიდევ სჯეროდა სანტა კლაუსის. მუდმივ ნერვიულობასა და დარდში ვცხოვრობდი და პასტორ გარის მივწერე, რომ ეს დათესვის პრინციპი არ ამართლებდა, რომ არაფერი მომხდარა; მან კი დიდი მოთმინებით მიპასუხა, რომ დავლოდებოდი, რომ მოსავლის აღებას დრო სჭირდება და როგორც წესი მეორე დღესვე არ ხდება.

ახლა, დღეს, ერთი წლის შემდეგ, ყველა ჩემი ოჯახის წევრისთვის ნაღდი ფულით ვყიდულობ საჩუქარს. ეს საჩუქრები 300$ ან 400$ ღირს და შემიძლია პატივი ვცე იმ ადამიანებს, ვინც იმ რთულ პერიოდში დამეხმარა. გასულ წელს, პატარა ოთახში ვცხოვრობდი სათავსოში, რომელში ცხოვრების უფლებაც მეგობრებმა მომცეს რამდენიმე თვით. საკვებისა და საწვავისთვისაც კი არ მქონდა ფული. მაგრამ ახლა ლამაზ და გემოვნებიან ბინაში ვცხოვრობ, ჩემი მაცივარი კი საკვებითაა სავსე.

სამ დეკემბერს ჩემი შვილის დაბადების დღე იყო და პენსილვანიაში ჰერშის პარკში წავიყვანეთ. მისი საუკეთესო მეგობარიც დავპატიჟეთ და ჰერშის სასტუმროში დავრჩით და ყველაფრის საფასური ნაღდი ფულით გადავიხადეთ. საშუალება მქონდა მისთვის საოცარი საჩუქარი მეყიდა, რაც 400$-ზე მეტი დამიჯდა მაშინ, როცა გასულ წელს ვიღაცამ დამამცირა იმით, რომ მისი დაბადების დღის აღსანიშნად 30$ მომცა.

ამ წერილს ცრემლების გარეშე ვერ ვწერ. ისეთი მადლიერი ვარ პასტორი გარის და მისი ცოლის, დრენდასი. ეს წელი საუკეთესო იყო ჩემს ცხოვრებაში. ის, რაც ღმერთმა ჩემს ცხოვრებაში გააკეთა, გასაოცარია.

წიგნის დაწერაც კი შემიძლია ყველა ამ ისტორიით. მადლობა, ამ სწავლებისთვის, რომ შემიძლია ზეცით ვიცხოვრო დედამიწაზე“.

შემდეგი წერილი ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარი სამეფოს ისტორიაა, რაც კი მსმენია; იგი მიჩიგანიდანაა, შერონისგან.

„პასტორო გარი, ამას ჩემი და ჩემი ქმრის სახელით ვწერ. უბრალოდ მინდა მადლობა გადაგიხადოთ, რადგან თქვენ და თქვენი ცოლი სრული შთაგონება გახდით ჩვენთვის. თქვენს შესახებ Sid Roth-ზე გავიგეთ სამი თუ ოთხი წლის წინ. ძალიან რთულ პერიოდს გავდიოდით. ჩემი ქმარი სამსახურიდან გაათავისუფლეს 18 წლიანი მუშაობის შემდეგ და როცა ეს მოხდა ახალი აშენებული გვქონდა სახლი 280,000$-ად. კისრამდე ვალებში და სტრესში ვიყავით.

თქვენი CD დისკები შევუკვეთეთ და მალევე მოგვიტანეს. ვისწავლეთ თუ როგორ შეუძლია ვალს ყველაფრის დამახინჯება და როგორ შეუძლია მას შენს ჯანმრთელობასა და ცხოვრებაზე ასეთი რადიკალური გავლენის მოხდენა. გამოსავალს ვერ ვხედავდით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ახალი სახლის საფასურს ვერ ვიხდიდით, ორი წელი მაინც ვცხოვრობდით იქ, სანამ მოგვიწევდა მისი დატოვება. ესეც კურთხევა იყო.

თუმცა გრძელი ამბავი რომ შევამოკლო, ოთხი წლის შემდეგ ჩემმა ქმარმა შეძლო თავისი ძველი სამსახურის დაბრუნება, რადგან თქვენი დისკების მოსმენით თქვენი და თქვენი მეუღლის დახმარებიდან გამომდინარე რწმენაში დარჩა და სჯეროდა ღმერთის აღთქმების. ჩემმა ქმარმა არა მხოლოდ დაიბრუნა თავისი ძველი სამსახური, ის ოთხი წელიც აუნაზღაურეს და გასამრჯელო გადაუხადეს! ეს არ მომხდარა ადვოკატის ან რაიმე კანონის ჩარევის შედეგად. ამ ოთხი წლის შვებულებაც კი აუნაზღაურეს. რეალურად, პირველი, რაც გააკეთეს, როცა სამსახურში დააბრუნეს, იყო ის, რომ შვებულებაში წასვლა მოსთხოვეს! მისი მიღებული

ანაზღაურებით, შევძელით ნაღდი ფული გადაგვეხადა იმაზე უკეთეს სახლში, ვიდრე ის იყო, რაც დავკარგეთ. მადლობა ყველაფრისთვის, რასაც აკეთებთ“.

ენდრიუსგან მისურიდან:

„ორი წლის წინ, მაისში, რთულ სიტუაციაში ვიყავი. იმის გამო, რომ ბედნიერი არ ვიყავი ჩემს წინა სამსახურში, ახალ პოზიციას დავთანხმდი გარე გაყიდვებში. გადასახადების ამკრეფები მირეკავდნენ, მე კი საკვებისა და საწვავისთვისაც კი ძლივს მყოფნიდა ფული. თვის ბოლო მოდიოდა, ქირის გადასახადიც ახლოვდებოდა. ერთი, რაც მქონდა, იყო გარის სიდი დისკები რევოლუციის 2.0 სერიიდან. ერთ დღეს მსახურებაზე ვიჯექი და მინდოდა დამეთესა, მაგრამ მხოლოდ 23$ მქონდა და არ ვიცოდი საწვავი მთელი კვირა მეყოფოდა თუ არა. სამსახურში საქმე კარგად არ მიდიოდა. უბრალოდ მინდოდა ღმერთს გაეგო, რომ დათესვის სურვილი მქონდა, უბრალოდ ფული არ მქონდა. შინაგანში ხმა გავიგე, რომელიც მეუბნებოდა: მე (ღმერთს) გაცილებით მეტის გაკეთება შემიძლია ამ 23$-ით, ვიდრე შენ. ღმერთმა მიბიძგა, რომ 20$ მისთვის შემეწირა და მერწმუნა, რომ უფრო მეტს დამიბრუნებდა.

იმ ხუთშაბათს, მათი ერთ-ერთი კლიენტის ანგარიშის გაკეთებაში ვეხმარებოდი. მსურდა დახმარება მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ვერაფერს მივიღებდი იმ შემთხვევაშიც კი, თუ რაიმე პროდუქტს გავყიდდით. დღის ბოლოს, ჩემმა ზედამხედველმა მითხრა, რომ აფასებდა დახმარებას, რის გამოც შემეძლო იმ დღის მთელი გაყიდვები ამეღო (ეს არ მომხდარა საკომისიო გაყიდვებში თუ გაინტერესებთ). მიხვდით რა მოხდა? სრული სარგებელი, რასაც მივიღებდი იყო... 2,000$!!! 100-მაგად დამიბრუნდა ერთ კვირაზე ნაკლებ დროში!

ღმერთი ნამდვილად ერთგულია და მცირედიც კი ბევრია, როცა ღმერთია მასში. მას შემდეგ გულმოდგინედ

გავცემ ჩემს მეათედებსა და შესაწირებს სიხარულის დამოკიდებულებით და ზრდის მოლოდინით.

ამის შემდეგ რამდენიმე თვეში, ახალი პოზიციით ვიკურთხე, რომელიც ზუსტად *ის იყო, რისთვისაც დავთესე. ნულიდან დავიწყე და ჩემი შემოსავალი გაოთხმაგდა ორ წელიწადში. დიდება ღმერთს, მას ეკუთვნის მთელი დიდება. დიდება ღმერთს, ბანკი აღარ ფლობს ჩემს მანქანას და ახალ მანქანას ვატარებ, რომლის საფასურიც* სრულად გადავიხადე!!!*"*

აი, საქებარი წერილი კორეიდან:

„ძვირფასო პასტორო გარი,

უმიზნო ცხოვრებით ვცხოვრობდი და ვერაფერს ვწვდებოდი ფინანსურად. ხელგაწვდილი ვცხოვრობდი და როცა ადამიანები დაიღალნენ ჩემი დახმარებით, ჩემი ერთადერთი იმედი ორცხობილების შეკვრა და ერთი ბოთლი კოკა-კოლა იყო. მხოლოდ ამის ყიდვის საშუალება მქონდა ჩემთვის და ჩემი ორი შვილისთვის საჭმელად. ვერც ქირას და გადასახადებს ვიხდიდი. ახლაც მახსოვს როდის მოვუსმინე პირველად „რწმენით ცხოვრების ეკლესიის" მსახურებას პირდაპირ ეთერში. თქვენს ონლაინ მწყემსს ავუხსენი თუ რამდენად ცუდი იყო ჩემი სიტუაცია და მხოლოდ ის მითხრა, რომ მჭირდებოდა ღმერთისთვის მეთხოვა ეჩვენებინა ჩემთვის როგორ და სად მეთევზავა, როგორც პეტრეს აჩვენა, როცა გადასახადების გადახდა უწევდა. გრძელი ამბავი რომ შევამოკლო, ახლა აფრიკულ რესტორანსა და სილამაზის სალონს ვფლობ და ეს ყველაფერი პასტორი გარის სწავლებების მოსმენის გამო. ჩემი ქება ღმერთს ეკუთვნის!"

ეს დიდებული ისტორიები იყო! მაგრამ შეიძლება თქვა: „ეს დიდებულია გარი. რა თქმა უნდა, რაღაცები გამოვიდა

სხვებისთვის, მაგრამ არა ჩემთვის“. შენი ისტორია არ დამთავრებულა! ნება მომეცით, გკითხო: ახლა, როცა ამ თავს კითხულობ, მთელი ძალით ხარ ჩაბღაუჭებული სკამს იმის შიშით, რომ ჰაერში აიწევი? არა, ასე არაა. რატომ? რადგან გრავიტაციის კანონი გესმის და იცი, რომ იგი ერთნაირად მოქმედებს ყველასთვის. მაშინ, ღმერთის სამეფოც იგივენაირად მოქმედებს. შენ შეგიძლია ისწავლო კანონები. შეგიძლია ისწავლო თუ როგორ მოისმინო უნიკალური სტრატეგიები, რომლებიც შენს ცხოვრებას ღმერთის ძალმოსილების ამბად აქცევს. უკვე დავინახეთ ის ფაქტი, რომ სულიწმიდის დახმარებამ მოახდინა ეს ამბები. ამრიგად, მოდი, დავიწყოთ ჩვენი მოგზაურობა სულიწმიდის შესახებ რამდენიმე საწყისის მიმოხილვით, შემდეგ კი უფრო დიდ დეტალებზე გადავალთ იმ სტრატეგიების მოსასმენად, რაც გვჭირდება.

თავი 4

საწყისები: სახლიდან ამის გარეშე არ გახვიდეთ

თუ აპირებ სულიწმიდის სტრატეგიებით და მისი მიყოლით მოპოვებული გამარჯვებებით სავსე ცხოვრებით სვლას, პირველი, რაც გჭირდება არის, იყო ხელახლა შობილი და მეორე, სულიწმიდით მონათლული. დიახ, ერთი და იმავე სულის ორი სრულიად განსხვავებული მოქმედება არსებობს. თუ ეს რაღაც სრულიად უცხოა შენთვის, არაუშავს. ამას გავივლით. მაგრამ ნება მომეცი პირდაპირ სათქმელთან მივიდე, იესომ თქვა, რომ იმდენად მნიშვნელოვანია სულიწმიდით ნათლობა, რომ ამის გარეშე სახლი არ უნდა დატოვო! ვიმეორებ, ამას მე არ ვამბობ; იესომ თქვა ეს საქმეების 1:4-5-ში.

> *„იერუსალიმს ნუ გაშორდებით, არამედ დაელოდეთ მამის მიერ აღთქმულს, ჩემგან რომ მოისმინეთ; რადგან იოანე წყლით ნათლავდა, თქვენ კი, არცთუ <u>მრავალი დღის შემდეგ, მოინათლებით სულიწმიდით“.</u>*
>
> – საქმეები 1:4ბ-5

> *„არამედ თქვენ მიიღებთ ძალას, როცა გადმოვა სულიწმიდა თქვენზე; და იქნებით ჩემი მოწმენი“.*
>
> – საქმეები 1:8

ყურადღება მიაქციეთ, იესომ თქვა: „არ დატოვოთ სახლი ამის გარეშე - ეს აუცილებელია!“ რეალურად ის ამბობდა: „თქვენ გჭირდებათ ეს ძალა ღმერთის საქმეების გასაკეთებლად და მისი სამეფოს მოწმედ ყოფნისთვის. თუმცა დღეს უამრავი ქრისტიანია, ვისაც ჯერ არ მოუსმენია ან გამოუცდია სულიწმიდით ნათლობა, უამრავი ქრისტიანი, რომელიც ეკლესიაში აღიზარდა, მაგრამ მაინც არასდროს სმენია სულიწმიდით ნათლობის საჭიროების შესახებ. შესაძლოა ისინი ეკლესიაში აღიზარდნენ, მაგრამ უთხრეს, რომ ნათლობა დღევანდელი დღისთვის აღარაა, სასწაულებმა ჩაიარა.

მე ასეთ ეკლესიაში აღვიზარდე და არასდროს მსმენოდა სულიწმიდით ნათლობის შესახებ. იმდენი წერილი მიმიღია ადამიანებისგან მთელი მსოფლიოდან, ვისაც ასევე ჯერ არ სმენია ამ ძლევამოსილ ჭეშმარიტებაზე. მრავალი წერილი, რომელიც მე მიმიღია, ამ ნიჭის ვალიდურობას ეჭვქვეშ აყენებს დღევანდელ დღეს, აი რატომ გამოვყავი დრო, რათა ფურცელზე გადმომეტანა ეს ჭეშმარიტება სულიწმიდით ნათლობის შესახებ.

მწამს, რომ ბიბლია ძალიან მკაფიოა ამ სფეროში და მინდა თავად ბიბლიამ ილაპარაკოს. მე ყველა თქვენს კითხვას გავცემ პასუხს. მაგრამ, პირველ ყოვლისა, მინდა ცოტაოდენი ინფორმაცია მოგაწოდოთ იმაზე, თუ მე როგორ აღმოვაჩინე ჭეშმარიტება სულიწმიდით ნათლობის შესახებ.

როცა კიდევ უფრო ახალგაზრდა ვიყავი, მწყუროდა ღმერთი (ახლაც ასეა, მიუხედვად იმისა, რომ უფრო დიდი ვარ) და დენომინაციურ ეკლესიაში დავდიოდი. ჩვენ ჩვეულებრივი რელიგიური რუტინა გვქონდა კვირა დილას. შეიძლება თქვენც გქონიათ. მახსოვს რამდენიმე საგალობელი, რომელსაც მედიტაციის წყნარი დრო მოჰყვებოდა. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით „მამაო ჩვენოს“ და შემდეგ პასტორი ქადაგებდა, ბოლოს ისევ საგალობელი და შესაწირავი. ყველა მსახურება ზუსტად ასე მიდიოდა.

გასაოცარი ხალხი იყო და დიახ, მათ მართლა უყვარდათ ღმერთი. მაგრამ მე არასდროს მინახავს სახარების რეალურობა. არ მინახავს ადამიანების ცხოვრების რადიკალურად შეცვლა ან ღმერთის ძალით განკურნებული ადამიანები. შემიძლია ვთქვა, რომ ღმერთის სამეფოს დემონსტრირებას დიდად ვერ ვხედავდი.

ასე რომ აი ასეთ სიტუაციაში ვიყავი 18 წლის ასაკში, ღმერთი მწყუროდა და მამაჩემის პიცერიას ვმართავდი. ერთ

ღამეს, პიცერიაში მოვიდა ადამიანი, რომელმაც გამოღვიძების მსახურებაზე დამპატიჟა. ეს მსახურება ჩემს ქალაქში, პატარა მეთოდისტურ ეკლესიაში იმართებოდა, სადაც მოწვეული სპიკერი, ევანგელისტი, ლაპარაკობდა, რომ იესო დღესაც იგივეს აკეთებს, რაც ბიბლიაშია გადმოცემული.

ამან ჩემი ყურადღება მიიპყრო, ამის ნახვა მართლა მინდოდა. ჩემი რამდენიმე მეგობარი დადიოდა ამ ეკლესიაში, ამიტომ გადავწყვიტე გამოღვიძების მსახურებაზე წავსულიყავი. მიუხედავად იმისა, რომ სულიწმიდით ნათლობის შესახებ არ მსმენოდა, იმ ღამით ღრმად შემეხო სულიწმიდის თანდასწრება იმ მსახურებაზე. ჩემმა მეგობრებმა, რომლებიც მსახურებას ესწრებოდნენ მიბიძგეს, რომ კვირას ისევ მივსულიყავი და ასეც მოვიქეცი. შემიყვარდა ეს ეკლესია და ჩემს ეკლესიად ვაქციე.

გამოღვიძების მსახურებიდან რამდენიმე კვირაში, ქალების ჯგუფს შევხვდი. მათ, გარდა მსახურებებზე სიარულისა, ასევე, ჰქონდათ ბიბლიის ყოველკვირეული სწავლებაც. ისინი საუბრობდნენ რაღაცაზე, რასაც სულიწმიდით ნათლობას, სულიწმიდის ნიჭებს და კიდევ უამრავ რამეს უწოდებდნენ, რაზეც მანამდე არ მსმენოდა. იმდენად მსურდა მომესმინა ამ ძალაზე, რაზეც ლაპარაკობდნენ, რომ ვკითხე თუ შემეძლო ქალთა ბიბლიის სწავლებაზე მისვლა. მათი ბიბლიის სწავლის შეხვედრები დილაობით იყო და რადგან პიცერიაში ღამით ვმუშაობდი ხოლმე, გადავწყვიტე მივსულიყავი.

იქ მისულმა აღმოვაჩინე, რომ ნამდვილად ერთადერთი ბიჭი ვიყავი იქ და ასევე, ერთადერთი, ვინც 18 წლის იყო, მაგრამ ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ბიბლიის შესწავლაზე იმიტომ მივედი, რომ ღმერთი მწყუროდა. *ძალიან* ბევრი შეკითხვა დავსვი.

ქალბატონები ისეთი მომთმენნი იყვნენ ჩემდამი, მთელი წერილი გამატარეს და *საკუთარ* ბიბლიაში მაჩვენეს, რომ სულწიმიდით ნათლობა დღევანდელი დღისთვისაც იყო და რომ ღმერთის ძალა დღესაც ისევეა ხელმისაწვდომი, როგორც მაშინ, როცა იესო დედამიწაზე დადიოდა. საუკეთესო ნაწილი იყო, როცა მათ თქვეს, რომ ეს არის *ყველა* მორწმუნისთვის — ყველასთვისაა, ვინც ითხოვს.

მას შემდეგ, რაც რამდენიმე კვირა ვესწრებოდი ბიბლიის შესწავლას, მათ მითხრეს, რომ ეროვნული მსახურება სახელად

„ქალების ცეცხლი“ მართავდა ქალაქის მასშტაბით შეხვედრას. „ქალების ცეცხლი“ იყო და დღესაც არის ორგანიზაცია, რომელიც ბევრს ასწავლის სულიწმიდით ნათლობის შესახებ. ეს ქალები გეგმავდნენ დასწრებას და მეც დამპატიჟეს მათთან ერთად. იმ დღეებში, ყველა დენომინაციის წარმომადგენელი შეიკრიბებოდა, რათა მოესმინათ და მიეღოთ ეს ნათლობა, რომელიც მანამდე მხოლოდ სულიწმიდით მონათლულ ეკლესიებში იქადაგებოდა. ამ დღეებს ბევრი ადამიანი „ქარიზმატულ განახლებას“ უწოდებს, სადაც სწავლება სულიწმიდის შესახებ ყველა დენომინაციურ ხაზს კვეთს.

როცა „ქალების ცეცხლის“ შეხვედრას დავესწარი, ვნახე, რომ ასობით ქალი იყო შეკრებილი. მე უმცირესობაში ვიყავი, როგორც კაცი, მაგრამ იმ ოთახში ღმერთის საგრძნობი თანდასწრება იყო.

გავოცდი, როცა ადამიანებმა დაიწყეს საუბარი თუ როგორ განიკურნენ, გავოცდი, როცა დავინახე როგორ ეცემოდნენ ძირს ადამიანები, ვისზეც ლოცულობდნენ. ეს იყო რაღაც, რაც მანამდე არასდროს მენახა, რის გამოც ცნობისმოყვარეც ვიყავი და ცოტა დაბნეულიც ამით. აღმოვაჩინე, რომ ადამიანები ამას სულში სიკვდილს უწოდებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივად ეს ცოტა უცნაური ჩანდა ჩემთვის, ადამიანები, ვინც ამას განიცდიდნენ ფეხზე გამხნევებულები დგებოდნენ და ჩანდა, რომ ღმერთი შეეხო მათ. მოგვიანებით, ქალებისგან გავიგე, რომ ჩვენს სხეულს არ შეუძლია ღმერთის ძალის დატევა და ზოგჯერ შეიძლება ძალიან ავივსოთ ამით, რასაც ისინი „ცხებულებას“ უწოდებდნენ.

მათ მაჩვენეს სად მოხდა ეს იესოს მსახურებაში. იოანეს 18:4ბ-6-ში როცა ჯარისკაცები მოვიდნენ იესოს დასაპატიმრებლად, იესომ იკითხა:

> *„და ჰკითხა მათ: „ვის ეძებთ?“ მიუგეს მას: „იესო ნაზარეველს“. უთხრა მათ: „მე ვარ“...როცა უთხრა: მე ვარო, უკან დაიხიეს და <u>მიწაზე დაემხნენ“</u>.*

თაყვანისცემის დროს, ქალები ჩემ გარშემო ისეთი აღფრთოვანებულები იყვნენ; მესმოდა როგორ ლაპარაკობდნენ და აქებდნენ ღმერთს ენებზე. მთელი ეს გამოცდილება ისეთი ახალი

იყო ჩემთვის, რომ შეხვედრაზე უმეტესი ნაწილი გაოცებულმა უბრალოდ დგომაში გავატარე. მიუხედავად იმისა, რომ ამ შეხვედრაზე ძალიან ბევრი ასპექტი იყო ჩემთვის უცნაური, ვერ უარვყოფდი ღმერთის გასაოცარ და საგრძნობ თანდასწრებას. ისეთი აღელვებული ვიყავი სახარების რეალურობის აღმოჩენით, ღმერთის ძალის, რომელიც ისევე მოქმედებდა დედამიწაზე, როგორც ბიბლიაში იყო გადმოცემული.

იმ დღეს, მქადაგებელმა თქვა, რომ ყველა, ვისაც სულიწმიდის ამ ნიჭის მიღება სურდა მსახურების ბოლოს წინ გამოსულიყო, რათა მისთვის ელოცათ. ასე რომ წინ გავედი, რათა ქალბატონებს ჩემთან ერთად ელოცათ. ლოცვისას ვიგრძენი როგორ გახდა ღმერთის თანდასწრება კიდევ უფრო ძლიერი. როცა მის თანდასწრებას შევღაღადე, გავოცდი, რომ გავიგე საკუთარი ხმა როგორ დავიწყე სულიწმიდით ლოცვა და ვამბობდი სიტყვებს, რომლებიც არ მესმოდა. საკმაოდ დიდხანს ვილოცე ენებზე იმ ღამით. ისეთი ავსებული ვიყავი ამ გამოცდილებით, მინდოდა ყველასთვის მომეყოლა, ვისაც კი შევხვდებოდი! მაგრამ როცა ჩემს მეგობრებს გავუზიარე ეკლესიიდან, რაც გამოვცადე, ისინი ასე არ აღფრთოვანდნენ. ძირითადად ამბობდნენ, რომ ენები ეშმაკისგან იყო ან რომ ამან ჩაიარა. მაფრთხილებდნენ, რომ თავი შორს დამეჭირა ამ „წმიდანებისგან“!

იმ დღეებში, ეკლესიები არ იყო ღია სულიწმიდის ნიჭებისადმი. გაბატონებული იყო დოქტრინა რომ სასწაულები წარსულში დარჩა მოწაფეებთან ერთად. მაგრამ ახლა უკვე მესმოდა, რომ ღმერთის ძალა საერთოდ არ დარჩენილა წარსულში!

ამ „ქალების ცეცხლის“ ღონისძიებამდე, იმ პატარა მეთოდისტურ ეკლესიაში ახალგაზრდულ ჯგუფს ვხელმძღვანელობდი. ბევრი არაფერი მევალებოდა, გარდა იმისა, რომ ყოველ კვირა საღამოს ახალგაზრდული შეხვედრა მომეწყო ეკლესიის სარდაფში. როგორც წესი ვთამაშობდით, ერთობა გვქონდა და ბიბლიას შევისწავლიდით შემოკლებულად. მე თვითონაც ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ ვგრძნობდი როგორი ენთუზიაზმი მქონდა ღმერთის მსახურებისადმი და მინდოდა ყველაფერში დავხმარებოდი.

როგორც წესი ჯგუფში 15 ბავშვი იყო და ჩემი იმ დღევანდელი გამოცდილების შემდეგ „ქალების ცეცხლის“ შეხვედრიდან, მინდოდა მათთვისაც მომეყოლა სულიწმიდით ნათლობის

შესახებ, რაც მე გამოვცადე. გავაცნობიერე, რომ ჩემსავით მათ უმრავლესობასაც არასდროს სმენოდა ამაზე და ვიცოდი, რომ იმ ეკლესიაში ვერც კვირა დილის მსახურებაზე მოისმენდნენ.

სანამ გეტყვი შემდეგ რა მოხდა, ვფიქრობ, სწრაფად უნდა გითხრა რა ხდებოდა ჩემს გონებაში იმ დროს. პასტორისგან ნებართვა არ ამიღია ახალგაზრდებთან ამაზე საუბრის შესახებ. (ახლა ვხვდები რომ უნდა ამეღო.) არც ის ვუთხარი მე რა გადამხდა.

არ ვცდილობდი ეკლესიის წინააღმდეგ აჯანყებას და არც ჩემი პასტორისთვის გადაბიჯებას. უბრალოდ აღფრთოვანებული ვიყავი. იმ დროს, მართლა არ მესმოდა უთანხმოება ამ თემის გარშემო და ნამდვილად არ ვფიქრობდი, რომ პასტორი ამის წინააღმდეგ წავიდოდა.

კვირა საღამოს, მას შემდეგ, რაც სულიწმიდით ნათლობა მივიღე, დავგეგმე ახალგაზრდებისთვის მეთქვა თუ რა გადამხდა და მეჩვენებინა მათთვის ადგილები ბიბლიიდან, რაც ამაზე ლაპარაკობდა საქმეების წიგნში. ეკლესიის სარდაფში ვიყავით, უბრალოდ იატაკზე ვისხედით წრეში, როცა ჩემს გამოცდილებას ვუზიარებდი და ამის დასამოწმებლად რამდენიმე მუხლი განვიხილე.

იმ საღამოს პასტორი მოვიდა შეხვედრაზე. იგი ჩემს მარცხნივ იჯდა, როცა ვუზიარებდი. არ ვფიქრობდი იმაზე, რომ ჩემი პასტორი იყო იქ. ვფიქრობდი, როგორც პასტორმა მან უკვე ყველაფერი იცოდა, რის გაზიარებასაც ვაპირებდი.

ამრიგად, მათ გავუზიარე იმ შეხვედრაზე, სადაც ვიყავი და იმ ყველაფერზე, რაც ვნახე. ძალიან დეტალებში არ შევსულვარ ენებზე ლაპარაკის შესახებ. ამის ნაცვლად, ჩემი ყურადღება საქმეების 1:9-ზე გავამახვილე, სადაც ნათქვამია რომ ჩვენ მივიღებთ *ძალას,* როცა გადმოვა სულიწმიდა ჩვენზე, რათა ვიყოთ ღმერთის მოწმეები. ამ შეხვედრის ბოლოს, მართლა არ ვიცოდი როგორ დამემთავრებინა ჩემი გაკვეთილი, ასე რომ უბრალოდ ვკითხე ბავშვებს რომ ხელი აეწიათ თუ სურდათ მიეღოთ სულიწმიდით ნათლობა.

არ ვიცოდი რა უნდა მექნა ამასთან დაკავშირებით. არასდროს მენახა ვინმე სხვას მომსახურებოდა სულიწმიდით ნათლობისთვის გარდა იმისა, რაც „ქალების ცეცხლის“ შეხვედრაზე ვნახე. ვფიქრობ, იმ დროს მხოლოდ ორი თუ სამი მუხლი ვიცოდი ამაზე.

ასე რომ, უბრალოდ ვთქვი: „თუ გინდათ მიიღოთ ეს სულიწმიდის უსასყიდლო ნიჭი, უბრალოდ ხელი აიწიეთ და მოდით თავები დავხაროთ და ვილოცოთ.“ რეალურად ესაა ყველაფერი, რაც ვთქვი. არც შევხებივარ ვინმეს და არც მისწავლებია მათთვის თუ როგორ უნდა მიეღოთ სულიწმიდა. თავები დავხარეთ და ვილოცეთ. რა თქმა უნდა, თვალები დავხუჭეთ და ისე ვილოცეთ, როგორც ყველა „კარგ“ დენომინაციურ ქრისტიანს ასწავლიდნენ.

როცა „ამინი“ ვთქვი, ბავშვებში ჩოჩქოლი შემომესმა. თვალები გავახილე და დავინახე, რომ ზოგიერთი ბავშვი ტიროდა, ზოგი კანკალებდა და შვიდმა ბავშვმა დაიწყო ენებზე ლაპარაკი. როცა ენებზე ლაპარაკი დაიწყეს, მათ სახეზე ყველაზე გასაოცარი ბრწყინვალება შევნიშნე. ისინი ელქტრონათურებივით ანათებდნენ! შოკირებული ვიყავი!

ჩემმა პასტორმა, რომელსაც მანამდე ხმა არ ამოუღია, სწრაფად დამადო მხარზე ხელი და მითხრა, რომ ახლავე უნდა ელაპარაკა ჩემთან. გვერდზე ოთახში გავედით, თვალებში შემომხედა და მითხრა: „ეს ეშმაკისგანაა. შენ ველარ იქნები ახალგაზრდული მსახურების ლიდერი. ამას აქ არ დავუშვებთ“.

ვფიქრობდი: *როგორ შეგიძლია თქვა, რომ ეს ეშმაკისგანაა? შეხედე ბავშვებს! ისინი ბრწყინავენ!* ფიზიკურად შეგეძლო მათზე ცხებულების დანახვა. რა თქმა უნდა, მაშინ ისიც არ ვიცოდი რას ნიშნავდა სიტყვა *ცხებულება*. უბრალოდ ვიცოდი, რომ ისინი ბრწყინავდნენ და მე არც შევხებივარ მათ და არც მითქვამს როგორ ემოქმედათ. პასტორისგან ასეთი შენიშვნა ძალიან იმედგამაცრუებელი და დამაბნეველი იყო ჩემთვის და არ ვიცოდი რა გამეკეთებინა.

შემდეგ კვირას, ისევ მივედი ეკლესიაში, თუმცა ნაცვლად ჩვეულებისამებრ წინა რიგში ჯდომისა, უკან დავჯექი. ვიცოდი პასტორი გაბრაზებული იყო ჩემზე ახალგაზრდული შეხვედრის გამო და ვფიქრობდი ცოტა ხანს თავი შორს დამეჭირა, სანამ მივხვდებოდი რა როგორ მექნა.

კვირა დილის მსახურებაზე, მედიტაციის ჩვეული წყნარი დრო იყო. ჩემს ეკლესიაში ეს იყო ლოცვის ძალიან პატივსაცემი და წყნარი მომენტი. ყველას თავი ჰქონდა დახრილი და ეკლესიაში არაფრის ხმა არ ისმოდა. ბუზის გაფრენის ხმას გაიგებდით. სწორედ ამ დროს ვიგრძენი, რომ ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო.

რიგის კიდეში ვიყავი და აშკარა იყო რომ ვიღაც რიგებს შორის იდგა და მხარზე ხელს მადებდა.

თავიდან შოკირებული ვიყავი იმაზე ფიქრით, რომ ვიღაც ფეხზე იდგა და დადიოდა ამ ძალიან წყნარი და მნიშვნელოვანი ლოცვის მომენტში. როცა ავიხედე, გამოცა ერთ-ერთი ბავშვის დანახვამ, რომელიც წინა კვირას ახალგაზრდულ შეხვედრაზე იყო. ისიც ვიცოდი, რომ იგი შვიდიდან ერთ-ერთი იყო, ვინც იმ ღამით სულიწმიდით მოინათლა. მან შემომხედა და მითხრა: „მოდი, წავიდეთ!“ მე ვიფიქრე: *წავიდე? სად წავიდეთ?*

ჩემდა გასაოცრად ის ისევე ბრწყინავდა, როგორც იმ ღამეს, როცა სულიწმიდა მიიღო და ვიცოდი, რომ ღმერთი რაღაცას აკეთებდა. მაგრამ არ ვიცოდი რამდენად იყო ეს ამის გასაკეთებლად საჭირო დრო და ადგილი, რადგან ისედაც პრობლემები მქონდა პასტორთან. ისიც ვიცოდი, რომ უბრალოდ იმას ვერ გავაკეთებდით, რაც გვინდოდა კვირა დილას მსახურებაზე. მაშინ მან თქვა: „მე ვაპირებ წავიდე და დედაჩემზე ვილოცო“.

ახლა უკვე ვხვდებოდი რა ხდებოდა. მე ვიცნობდი დედამისს. პატარა, გამხდარი ქალი იყო და საკმაოდ დიდი ხანი იყო ავად. ზურგში ხუთი მალა ჰქონდა გადაგვარებული და ექიმის ერთადერთი იმედი მათი ერთმანეთთან შერწყმა იყო. ეს ძალიან სერიოზული ოპერაცია იყო და ჩემი მეგობარი მისი ერთადერთი შვილი იყო. რა თქმა უნდა, დედაზე ღელავდა.

სულიწმიდის ნათლობის მიღების შემდეგ, დარწმუნება იგრძნო, რომ იესო დედამისს განკურნავდა. ასე რომ, როცა თქვა: „მოდით, წავიდეთ,“ ვიფიქრე, აპირებდა დედამისთან მისულიყო, ხელები დაესხა და ჩუმად ელოცა. მაგრამ ეს არ გაუკეთებია. მივიდა დედამისთან, ხელში აიყვანა და წინ, სცენასთან გაიყვანა.

იქ დაჯდა და რაც შეეძლო ხმამაღლა დაიწყო მასზე ენებით ლოცვა. გახსოვდეთ, ეს ყველაფერი მოხდა მედიტაციის „წყნარ“ დროს, რომელიც უკვე აღარ იყო წყნარი. შოკირებული ვიყავი! შემდეგ შემომიბრუნდა და მითხრა: „შენ ახსენი რა ხდება“.

ახლა გავიგე თუ რატომ სურდა, რომ გავყოლოდი. იფიქრა, რომ რადგან მე ვუთხარი მას სულიწმიდით ნათლობაზე, სწორედ მე უნდა მეთქვა ამ ყველაფრის შესახებ მთელი მრევლისთვის, მას შემდეგ, რაც მის ენებზე ლოცვას მოისმენდნენ დედამისისთვის.

ასე რომ, აი ასე ვიდექი მთელი მრევლის წინ, როგორც მისი წარმომადგენელი, ის კი დედამისისთვის ენებზე ლოცულობდა. მართლა არ ვიცოდი რა მეთქვა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ჩემი პასტორი იჯდა და გაოცებული მიყურებდა. მე უბრალოდ ვუთხარი მრევლს რომ დედამისი ავად იყო და ის ენებზე ლოცულობდა, როგორც ეს ბიბლიაში ეწერა. მაგრამ იცით რა? ის მაშინვე განიკურნა იმ დილას ეკლესიაში!

ეს იყო მისი ძის რწმენა, ვისაც მართლა არ ადარდებდა რას იფიქრებდნენ სხვები მის ლოცვაზე. მას სწამდა, რომ სულიწმიდა ცოცხალი იყო და დედამისს განკურნავდა.

მიუხედავად იმისა, რომ იგი მაშინვე განიკურნა, ეკლესიამ ეს არ მიიღო. მრავალი მათგანი მოვიდა ჩემთან მოგვიანებით და მითხრა: „იმაზე არაფერი მაქვს სათქმელი რომ დედისთვის ლოცულობდა, მაგრამ ეს ენები, ჩვენ ამ ენებს ვერ გავუმკლავდებით“. გარანტიას გაძლევთ, რომ ბოროტსაც სძულს ენები და იმედი მაქვს წიგნის დასრულებამდე დაგეხმარებით გაიგოთ თუ რატომ.

შეიძლება გაიზარდე ეკლესიაში, სადაც ენებსა და სულიწმიდის ნიჭებს არ აპრაქტიკებდნენ. ან შესაძლოა გასწავლიდნენ რომ ენები დღევანდელი დღისთვის არ არის და წარსულში დარჩა. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა რთული არაა. ბიბლია ძალიან ცხადად ლაპარაკობს ამ საკითხზე. ამიტომ მოდი, უბრალოდ კარგად შევხედოთ სიტყვას და გავიგოთ ჭეშმარიტება სულიწმიდით ნათლობის შესახებ. მოდი, დავუბრუნდეთ ამ თავის დასაწყისში წაკითხულ მუხლებს.

> *„იერუსალიმს ნუ გაშორდებით, არამედ დაელოდეთ მამის მიერ აღთქმულს, ჩემგან რომ მოისმინეთ; რადგან იოანე წყლით ნათლავდა, თქვენ კი, არცთუ მრავალი დღის შემდეგ, მოინათლებით სულიწმიდით“.*
>
> – საქმეები 1:4ბ-5

„ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲡ, ᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲒᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘᲗ, ᲩᲔᲛᲘᲗ ᲙᲘ ᲐᲠ ᲕᲐᲛᲑᲝᲑ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲩᲔᲛᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲛᲐᲛᲐ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲡ“. ᲘᲝᲐᲜᲔ 14:10Ბ

ამ მუხლში რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტის დანახვა შეგვიძლია:

1. სულიწმიდით ნათლობა წყლით ნათლობისგან განსხვავდება.

2. იესომ თქვა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. იმდენად, რომ მისი თქმით, ვერაფრის გაკეთებას შეძლებ ამის გარეშე.

გახსოვდეთ, იესომ ცოტა ხნით ადრე უთხრა მოწაფეებს, რომ წასულიყვნენ და ექადაგათ სახარება ყველა ერში, მაგრამ ისიც უთხრა, რომ ვერ შეძლებდნენ ზეციერი სამეფოს წარმოჩენასა და დამტკიცებას სულიწმიდით ნათლობის გარეშე. მან თქვა: „დაელოდეთ, სანამ ამ ძალას მიიღებთ“.

> *„არამედ თქვენ მიიღებთ ძალას, როცა გადმოვა სულიწმიდა თქვენზე; და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელს იუდეასა და სამარიაში და ქვეყნის კიდემდე“.*
>
> – საქმეები 1:8

ძალა! ბერძნული სიტყვა, რაც აქ *ძალის* აღსანიშნად არის გამოყენებული, არის *dunamis* და სწორედ აქედან მოდის სიტყვა დინამიტი. ამრიგად, ვხედავთ, რომ ღვთის ძალა გადმოდის ჩვენზე მისი საქმეების გასაკეთებლად. უფრო ადრე იესოს მსახურებაში, მან ახსენა, რომ ძალა ანუ ის ცხებულება, რითიც მოქმედებდა, მისი მამისგან მოდიოდა.

> *„სიტყვებს, მე რომ გეუბნებით, ჩემით კი არ ვამბობ, არამედ ჩემში მყოფი მამა აკეთებს საქმეებს“.* (იოანე 14:10ბ)

> *„ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ძეს თვითონ არაფრის გაკეთება არ შეუძლია“* . (იოანე 5:19)

ხედავთ, თავად იესოს სჭირდებოდა ღვთის სულის ძალა. სიტყვა *ცხებულება* „მიღებას“ ნიშნავს. იესომ ეს ცხებულება მდინარე იორდანეზე მიიღო მამისგან, როცა სულიწმიდა გადმოვიდა მასზე მტრედის ფორმით.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც იესომ ეს ცხებულება მიიღო, შეეძლო მას სამეფოს საქმეების კეთება. თუ *იესოს* სჭირდებოდა ეს, ჩვენც გვჭირდება! ეს ძალა დაამოწმებს (ანუ იქნება მოწმე) იმის დემონსტრირებით, რომ ღმერთი რეალურია მათთვის, ვინც არ იცნობს მას.

ბიბლია ასევე ამბობს, თქვენ მიიღებთ ძალას, როცა სულწმიდა **გადმოვა თქვენზე**, არა როცა ის *შემოვა თქვენში* ხელახლა შობისას.

ბევრი იბნევა, როცა სულიწმიდით ნათლობაზე ვლაპარაკობთ, ფიქრობენ, რომ უკვე მოინათლნენ სულიწმიდით, როცა ქრისტე მიიღეს. და სიმართლე ისაა, რომ მათ *მიიღეს* სულიწმიდა, როცა ქრისტე მიიღეს. სულიწმიდამ გააცოცხლა მათი სულები ღმერთისთვის და ღმერთთან.

ჩვენ ვცოცხლდებით ღმერთისთვის სულიწმიდის ძალით ჩვენს შინაგანში, როცა ხელახლა ვიშვებით. მაგრამ ყურადღება მიაქციეთ, რომ წერილი ამბობს, როცა სულიწმიდა გადმოვა თქვენზე. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია, რასაც მოგვიანებით გავივლით ამ წიგნში: ხელახლა შობა და სულიწმიდით ნათლობა ანუ სულიწმიდის ცხებულების მიღება ორი განსხვავებული რამაა. ამის უკეთ გაგება შეგვიძლია იოანეს 20:21-22-დან.

> *„ხელახლა უთხრა მათ იესომ: „მშვიდობა თქვენდა! როგორც მე მომავლინა მამამ, მეც ისე მიგავლენთ თქვენ“. ეს რომ თქვა, შეუბერა და თქვა: „მიიღეთ სულიწმიდა“.*

ჩვენ ვხედავთ აქ იესოს მისი აღდგომის შემდეგ, როცა მოწაფეებს ესალმება და სულს შეუბერავს და ეუბნება, რომ მიიღონ სულიწმიდა. ამ მომენტში ისინი ხელახლა შობილები ხდებიან და მათი სულები შიგნიდან ცოცხლდება ღმერთისთვის. თუმცა იესო ეუბნება მათ რომ დაელოდონ სულიწმიდით ნათლობას, რომელიც გადმოვა მათზე მოგვიანებით.

თუკი სულიწმიდა უკვე მიიღეს მაშინ, როცა იესომ შეუბერა

მათ, რაღატომ ეტყოდა, რომ იერუსალიმში დალოდებოდნენ, სანამ სულიწმიდას არ მიიღებდნენ, რასაც დაჰპირდა, რომ მათზე გადმოვიდოდა? კვლავ, ეს ორი განსხვავებული მოვლენაა და ორი განსხვავებული ფუნქცია, მაგრამ იგივე სული. ასევე, როგორც ვთქვი, მინდა აღვნიშნო, რომ იესო უნდა მონათლულიყო სულიწმიდით, რათა შესულიყო თავის მსახურებაში და ყოფილიყო ეფექტური. სანამ იესო სულიწმიდით მოინათლებოდა, არანაირი ჩანაწერი არ არის მისი ერთი სასწაულის შესახებაც კი. იესომ გაამრავლა პური სადილისას, როცა იზრდებოდა? ან გაამრავლა ჩვილის საჭმელი, რომელიც ამოიწურა და ისევ შიოდა? არა! არ გაუკეთებია! რატომ? მარტივი და წრფელი პასუხი ასეთია: მას *არ შეეძლო.*

იესომ მას *შემდეგ* დაიწყო სასწაულების მოხდენა, რაც სულიწმიდა მიიღო მდინარე იორდანეზე. ხედავთ, იესო მოვიდა, როგორც ადამიანი. ის არ მოვიდა, როგორც ღმერთის ძე თავისი ძალითა და დიდებით. როგორც ადამიანი, ისევე შეზღუდული, როგორც ნებისმიერი ადამიანია შეზღუდული. ის ვერ განკურნავდა ან მოახდენდა რაიმე სასწაულს, ისევე როგორც ჩვენც არ შეგვიძლია სასწაულების მოხდენა.

თუმცა, ჩვენგან განსხვავებით იესოს სული არ ყოფილა ღმერთისთვის მკვდარი, როცა ჩვილად დაიბადა. მისი სული ყოველთვის ცოცხალი იყო ღმერთისთვის; მას არ სჭირდებოდა ხელახლა შობა, როგორც ჩვენ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მისი სული ცოცხალი იყო ღმერთისთვის, როგორც ძის, მას კვლავ სჭირდებოდა სულიწმიდით ნათლობა, სანამ შეძლებდა თავისი მსახურების დაწყებას, ისევე როგორც ჩვენ.

> *„მოინათლა რა იესო, მაშინვე ამოვიდა წყლიდან და აჰა, გაიხსნენ ცანი და იხილა მან სული ღმერთისა, მტრედივით ჩამომავალი, მასზე რომ ეშვებოდა. და აჰა, ხმა ციდან მეტყველი: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე“.*
>
> – მათე 3:16-17

გახსოვდეთ, ჩვენ ვფიქრობთ იესოზე, როგორც მეფეთა მეფეზე და უფალთა უფალზე, მაგრამ ეს არ არის პოზიცია, რომლიდანაც ის მსახურობდა. მისი სასწაულები მხოლოდ მას

შემდეგ დაიწყო, რაც სულიწმიდა გადმოვიდა მასზე მდინარე იორდანეზე.

შენი მსახურება (რადგან *ყველა* მორწმუნე მოწოდებულია იესოს საქმეების საკეთებლად) ვერ დაიწყება, სანამ სულიწმიდით არ მოინათლები - შენ გჭირდება სულიწმიდის ძალა რაღაცების გასაკეთებლად. და გჭირდება სულით ლოცვის უნარი, რათა იცოდე როგორ გააკეთო ეს ყველაფერი, რასაც მოგვიანებით განვიხილავთ.

რა თქმა უნდა, შეგიძლია ხელახლა შობის განცდა შესთავაზო ადამიანებს იმის თქმით, თუ რას ამბობს ბიბლია ხელახლა შობაზე. მრავალი ქრისტიანი, ვინც არაა სულიწმიდით მონათლული ეფექტურად უზიარებს სახარების კეთილ უწყებას სხვებს, მაგრამ მათ არ აქვთ სამეფოს დემონსტრირების ძალა, როგორც იესო აკეთებდა ამას. ეს იწვევს ძალიან ბევრ სუსტ ქადაგებას.

როცა იესო დაუპირისპირდა ფარისევლებს მათი ურწმუნოების გამო, მან თავისი სასწაულები აჩვენა. მან თქვა:

„მერწმუნეთ, რომ მე მამაში ვარ და მამა ჩემშია. თუ არა და, თვით საქმეებს მაინც ერწმუნეთ“. (იოანე 14:11)

იესო ამბობდა, რომ სამეფოს ასეთი წარმოჩენა ყველა დავას წერტილს უსვამს; საკითხი გადაწყვეტილია. ახლა, რა თქმა უნდა, ყველა მორწმუნეს სრული კანონიერი უფლება აქვს ყველაფერზე, რისთვისაც იესომ გადაიხადა, მათ შორის განკურნებაზე. ყველა მორწმუნეს შეუძლია მიიღოს ღმერთის ყველა აღთქმა რწმენით (ზეცასთან თანხმობით) და მათ არ სჭირდებათ სულიწმიდით ნათლობა ღმერთისგან რაიმეს მისაღებად.

მაგრამ იმისათვის, რომ ამ ძალამ შენგან სხვებზე იდინოს და რომ შენ სულის ნიჭებით იმოქმედო და ისიამოვნო ზეციურ საიდუმლოებებში სიარულის უპირატესობებით ენებზე ლოცვის მეშვეობით, ამ ცხებულების ძალა უნდა გქონდეს! ვაცნობიერებ, რომ შეიძლება არ გესმოდეს რას ვგულისხმობ, როცა ენებზე ლოცვას ვახსენებ. ნუ დაუშვებ, რომ ამან შეგაშინოს; სრულად ავხსნი მოგვიანებით.

ჩემი გოგონა ემი თაყვანისცემას უძღვება ჩვენთან, „რწმენით ცხოვრების ეკლესიაში“ ნიუ ალბანიში, ოჰაიოში. რამდენიმე წლის

განმავლობაში, მას ჰქონდა მდგომარეობა, რომელიც ყველა ჩვენგანს გვაბნევდა - მისი მუცელი ნელ-ნელა იზრდებოდა და წინ იწეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრ ექიმთან ვიყავით, ვერავინ ხვდებოდა რა ხდებოდა. ყველა ამბობდა, რომ უბრალოდ ასეთი სხეული ჰქონდა.

ნუ, ეს გაგრძელდა მანამ, სანამ უკვე მართლა ექვსი თვის ორსულს არ დაემსგავსა. იმ დროისთვის ემის რენდგენიც გადაღებული ჰქონდა და რენდგენში კარგად ჩანდა მნიშვნელოვანი ზრდა მის მუცლის ღრუში. რენდგენის ნახვის შემდეგ, ემიმ იცოდა, რომ შემდეგი ნაბიჯი მედიცინის დონეზე ოპერაცია იქნებოდა. რადგან ახალი გათხოვილი იყო, ემიმ იცოდა, რომ ნებისმიერ ოპერაციას შეეძლო ხელი შეეშალა ან საერთოდ შეუძლებელი გაეხადა მისი დაფეხმძიმება. ეს არ იყო ერთ-ერთი ვარიანტი ემისთვის. მთელი ცხოვრება დედობაზე ოცნებობდა. რენდგენზე იმასაც ვხედავდით, რომ ამ დიდმა წანაზარდმა მისი ორგანოების ადგილი შეცვალა და ეს ემის მომნელებელი სისტემის პრობელემებსაც იწვევდა თირკმლის სერიოზულ პრობლემებთან ერთად. მან გადაწყვიტა, რომ ძალიან სერიოზულად მიდგომოდა ღმერთის სიტყვას და დრო გამოეყო, რათა კონკრეტულად იმაზე კონცენტრირებულიყო თუ რას ამბობს ბიბლია განკურნებაზე. ამ კვირების განმავლობაში, მე განკურნებაზე ვასწავლიდი „რწმენით სიცოცხლის ეკლესიაში“. ამ სერიების შემდეგ, ემიმ სთხოვა ხუცესებს რომ დაესხათ მასზე ხელები და ელოცათ მის განკურნებაზე იაკობის 5:14-15-ის თანახმად, და ასეც მოვიქეცით.

> *„არის თქვენს შორის ვინმე ავად? მოიხმოს ეკლესიის ხუცესნი, ილოცონ მასზე და ზეთი სცხონ უფლის სახელით. და რწმენის ლოცვა იხსნის ავადმყოფს. უფალი წამოაყენებს მას და თუ რამ ცოდვა ჩაუდენია, მიეტევება“.*
>
> – იაკობი 5:14-15

ემიმ, ღმერთის სიტყვაში დარწმუნებულმა, ხელების დასხმისთანავე *აღიარა* თავისი განკურნება. მიუხედავად იმისა, რომ ლოცვის მომენტში მისი განკურნების არანაირი ფიზიკური გამოვლენა არ გვქონია, იგი დარწმუნებული იყო რომ განიკურნა.

ორი კვირის შემდეგ, დასაძინებლად წავიდა ისე, რომ კვლავ არანაირი ფიზიკური ნიშანი არ ჰქონდა, რომ განიკურნა, მაგრამ მეორე დილას შოკირებულმა გაიღვიძა. იმ ღამით 9 კილო და 22 სანტიმეტრი წელის გარშემოწერილობა ჰქონდა დაკლებული. მისი მოხრილი და გაკვანძული ზურგიც ნორმას დაუბრუნდა. ის მაშინვე განიკურნა!

მანამდე **შემდეგ**

ეს სურათები აჩვენებენ ამ გასაოცარ განკურნებას. მარცხნივ არის ფოტო თუ როგორ გამოიყურებოდა ემი, როცა დასაძინებლად წავიდა. ხოლო მარჯვენა სურათი აჩვენებს როგორი იყო, როცა გაიღვიძა.



ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ **ᲨᲔᲛᲓᲔᲒ**

ხერხემალი გასწორებულია, ნაწლავები გადაადგილებული, მუცლის ღრუში მასაა.

ხერხემალი მოხრილია, ნაწლავები თავის ადგილასაა, მასა გაქრა.

მარცხნივ არის მისი ზურგის რენდგენი სანამ განიკურნებოდა და მარჯვნივ განკურნებიდან ერთ კვირაში გადაღებული რენდგენია. ხედავთ რადიკალურ ცვლილებას ხერხემალზე!

ემი იმ დროსაც იყო და დღემდე ჩვენი თაყვანისცემის ლიდერია „რწმენით სიცოცხლის ეკლესიაში“. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა მოხდა შემდეგ კვირას, როცა ეკლესიაში მოვიდა - მთელი ხალხი მას მიაშტერდა! შოკირებული ხალხი ფოიეში ჩერდებოდა

და ამბობდა: „რა მოხდა? ახალი სხეული მიიღე?“ იმ კვირას მთელი ეკლესია გაოცებული იყო, როცა ემი თაყვანისცემას უძღვებოდა. ღმერთის სამეფოს ამ გამოვლინებამ მრავალი ადამიანი მიიყვანა ღმერთამდე და მრავალი განიკურნა.

უნდა დაეთანხმოთ, რომ, ხალხს სჭირდება ღმერთის სამეფოს მოქმედებაში ნახვა. საქმეების 1:8-ში, ვხედავთ, რომ ცხებულება, სულიწმიდით ნათლობა სასიცოცხლოდ აუცილებელია.

> *„არამედ თქვენ მიიღებთ ძალას, როცა გადმოვა სულიწმიდა თქვენზე; და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელს იუდეასა და სამარიაში და ქვეყნის კიდემდე“.*
>
> – საქმეები 1:8

და როგორც იესო ამბობდა, ეს *აუცილებელი* იყო ღვთის სამეფოს დემონსტრირებისთვის.

> *„მორწმუნეებს კი თან ახლდებათ ასეთი ნიშნები: ჩემი სახელით ეშმაკებს განდევნიან და ახალი ენებით ილაპარაკებენ. გველებს აიყვანენ, და თუნდაც რაიმე სასიკვდილო შესვან, არ ავნებთ; ავადმყოფებს ხელებს დაასხამენ და განიკურნებიან“.*
>
> – მარკოზი 16:17-18

გველების აყვანა და მომაკვდინებელი საწამლავის დალევა სატანას სამეფოს ეხება და პირდაპირ პარალელს ავლებს შიშზე. სატანას სამეფო დამარცხებულია. იესო არ გვთავაზობს, რომ მართლა ავიყვანოთ გველები და დავლიოთ საწამლავი, მას ეს ფრაზა იმ ძალაუფლების მაგალითად მოჰყავს, რაც მტერზე მოგვეცა. ეს ძალაუფლება და ღმერთის ძალა სატანას სამეფოში უნდა მივიტანოთ და ადამიანები გავათავისუფლოთ!

ყურადღება მიაქციეთ, იესო ამბობს „**ასეთი ნიშნები**“ ახლდებათ თან მათ, ვისაც სწამთ. როცა ადამიანები დაინახავენ სამეფოს ამ *ნიშნებს* (დემონსტრირებას), ისინი იკითხავენ, თუ როგორ ხდება ეს ყველაფერი. ნიშანი რაღაცაზე მიუთითებს. თავისთავში, იგი არაა პასუხი, არამედ მითითებაა იესოზე, რომელიც არის პასუხი!

ეს ნიშნები ამთავრებს ყველანაირ კამათს იმაზე, არის თუ არა იესო უფალი - ის არის! და როცა ადამიანები დაინახავენ, რომ ის არის, ისინი მოინანიებენ და ღმერთთან მოვლენ. აი რატომ გვჭირდება მე და შენ რომ სულიწმიდით ვიყოთ მონათლულები, მის გარეშე ვერ ვიქნებით რეალურად ეფექტურები!

ამრიგად, რადგან უკვე მცირე საფუძველი ჩავუყარეთ იმას, თუ რატომ გჭირდება სულიწმიდით ნათლობა, მოდი გამოვიკვლიოთ ადგილები წმინდა წერილიდან, რომლებიც ამ ცხებულებაზე საუბრობს.

თავი 5

დასტური წმიდა წერილიდან

ერთ-ერთი საუკეთესო გზა სულიწმიდის ნათლობის შინაარსის გასაგებად არის მიჰყვე სულთმოფენობის დღის მოვლენებს, როგორც დაწერილია საქმეების წიგნში. თითოეული მუხლის გამოკვლევისას შენში გაიზრდება რწმენა და დაჯერებულობა, რომ ეს ნათლობა შენთვისაცაა.

„ორმოცდამეათე დღის ზეიმმა რომ მოაწია, ყველანი ერთად იყვნენ. მოულოდნელად ხმაური გაისმა ზეციდან, თითქოს ძლიერმა ქარმა დაჰბერაო და აავსო მთელი სახლი, სადაც ისხდნენ. და ეჩვენათ მათ გაყოფილი ენები, როგორც ცეცხლოვანნი და დაივანა თითოეულ მათგანზე. ყველანი აღივსნენ სულიწმიდით და იწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ენებზე, როგორც სული ამეტყველებდა მათ.

და იმყოფებოდნენ მაშინ იერუსალიმში იუდეველნი, ღვთისმოშიში კაცები, ცისქვეშეთში მყოფი ყველა ერიდან. როცა ეს ხმაური გაისმა, ხალხმა მოიყარა თავი და შეშფოთდა, რადგან თითოეულს ესმოდა, როგორ მეტყველებდნენ ისინი საკუთარ ენაზე.

ყველანი გაოცდნენ და გაკვირვებულნი ამბობდნენ: „განა ეს ყველანი, ვინც ლაპარაკობენ, გალილეველნი არ არიან? როგორღა გვესმის თითოეულ ჩვენგანს საკუთარ ენაზე, რომელშიც ვიშვით? პართელები და მიდიელები, ელამელები და შუამდინარეთის, იუდეის, კაბადოკიის, პონტოსა და აზიის მკვიდრნი, ფრიგიისა და პამფილიის,

> *ეგვიპტისა და კვირინეის მხარეს მდებარე ლიბიის ოლქების და რომიდან ამოსულნი, როგორც იუდეველები ისე პროზელიტები, კრეტელები და არაბები ვუსმენთ, ჩვენი ენებით რომ ლაპარაკობენ ღვთის დიდ საქმეებზე“. ყველა გაოცებული იყო, საგონებელში ჩავარდნილნი ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „ნეტა, რას ნიშნავს ეს?“ სხვები კი დაცინვით ამბობდნენ, „მაჭრით არიანო მთვრალები“.*
>
> – საქმეები 2:1-13

პირველი, რაც მინდა რომ დაინახოთ არის ის, რომ ბიბლია ამბობს: **ყველანი** აღივსნენ სულიწმიდით! მეორე, ისინი *ყველანი* ლაპარაკობდნენ ენებზე. ალბათ, მოგისმენიათ როგორ აღწერს ხალხი სულთმოფენობის დღეს და ხსნის, თუ რატომ დაიწყო ყველამ ენებზე ლაპარაკი. ზოგიერთი დაჟინებით ამბობს, რომ ეს იყო ერთჯერადი გამოცდილება ეკლესიისთვის, რადგან იქ შეკრებილნი ადამიანები სხვადასხვა ერიდან იყვნენ და შესაბამისად, ენები საჭირო იყო სახარების საქადაგებლად ყველა ადამიანისთვის სხვადასხვა ენაზე.

მაგრამ თუ წერილს შეხედავთ, წერია, რომ ზედა ოთახში მყოფი 120 ადამიანი ლაპარაკობდა ღმერთის საოცარ საქმეებზე. ისინი არ ქადაგებდნენ სახარებას; ისინი უბრალოდ ღმერთს ადიდებდნენ.

> *„ვუსმენთ, ჩვენი ენებით რომ ლაპარაკობენ ღვთის დიდ საქმეებზე“ . ყველა გაოცებული იყო, საგონებელში ჩავარდნენ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „ნეტა, რას ნიშნავს ეს?“*
>
> – საქმეები 2:11ბ-12

გარშემო მდგომ ადამიანებს ესმოდათ რა ღმერთის განდიდება საკუთარ მშობლიურ ენაზე, გაოცებულები და დაბნეულები იყვნენ. შემდეგ პეტრე ადგა, მათ უქადაგა ხსნის უწყება და იმ დღეს 3,000 ადამიანი შეემატა ეკლესიას. თუ კი მოციქულები ენებზე *ქადაგებდნენ*, პეტრეს აღარ დასჭირდებოდა ადგომა და ქადაგება. მაგრამ სანამ პეტრე საქადაგებლად ადგებოდა,

მათ არ იცოდნენ, რას ნიშნავდა ის, რასაც ისმენდნენ. ენები არც მაშინ გამოიყენებოდა სახარების საქადაგებლად და არც დღეს. შემდეგ თავში განვიხილავთ ენების სარგებელს მოწრმუნისათვის, მაგრამ ახლა, უბრალოდ იმ ზოგად კამათს შევეხე, რაც ხშირად მსმენია.

კვლავ ვიტყვი, მინდა ხაზი გავუსვა, რომ ბიბლია ამბობს, მათ *ყველამ* მიიღეს და *ყველამ* დაიწყეს ენებზე ლაპარაკი. ბიბლია რომ აქ ჩერდებოდეს, შეიძლება გაგვიჩნდეს ეჭვი, ენებზე ლაპარაკი არის თუ არა მთელი ეკლესიისთვის. მაგრამ ასე არ ხდება. ამის ნაცვლად, ვხედავთ, რომ ეს ფენომენი გრძელდება და ხდება *ყოველი ადამიანისთვის,* ვინც ინათლება სულიწმიდით სულთმოფენობის დღის შემდეგ.

ნება მომეცით, ერთი ადამიანის შესახებ გიამბოთ, რომელიც იქ იყო სულთმოფენობის დღეს - მისი სახელი იყო ფილიპე.

> *„მიმოფანტულნი კი მიმოდიოდნენ და სიტყვას ახარებდნენ. ფილიპე სამარიელთა ქალაქში ჩავიდა და მათ უქადაგებდა ქრისტეს. ფილიპეს ლაპარაკს ხალხი ერთსულოვნად უგდებდა ყურს, უსმენდა და ხედავდა ნიშნებს, რომლებსაც ის ახდენდა“.*
>
> – საქმეები 8:4-6

აქ ვხედავთ, რომ ფილიპე ახდენს სამეფოს დემონსტრირებას, ხალხი კი უსმენს. აი, როგორ უნდა ხდებოდეს დღეს! როცა ადამიანები *ხედავენ* ნიშნებს, როცა *ხედავენ* სამეფოს *ნიშნებს*, ყურადღებას მიაქცევენ შენს ნათქვამს.

> *„მრავალი დაკავებულისგან ყვირილით გამოდიოდნენ არაწმიდა სულები; ბევრი დავრდომილიც და კოჭლიც იკურნებოდა. და იყო დიდი სიხარული იმ ქალაქში“.*
>
> – საქმეები 8:7-8

ყურადღება მიაქციეთ, რომ ფილიპე მოქმედებდა ძალაში, რომელიც იერუსალიმში ყოფნისას მიიღო. ნიშნები დაჰყვებოდა მას და ღვთის ძალა ყველასთვის თვალნათელი იყო. მან მიიღო ეს *dunamis* (ბერძნული სიტყვა, რომელიც აღნიშნავს *ძალას*); ახლა უკვე შეეძლო ყოფილიყო ღვთის სამეფოს მოწმე.

„იერუსალიმში მყოფმა მოციქულებმა რომ გაიგეს, სამარიამ ღმერთის სიტყვა მიიღოო, პეტრე და იოანე გაგზავნეს მათთან, რომლებიც ჩავიდნენ დ ილოცეს მათთვის, რომ მიეღოთ სულიწმიდა. რადგან ამ დრომდე არც ერთ მათგანზე არ იყო <u>გადმოსული</u>, მხოლოდ ინათლებოდნენ უფალ იესოს სახელით. დაასხეს მათ ხელები და მათაც მიიღეს სულიწმიდა“.

– საქმეები 8:14-17

როცა იერუსალიმში მყოფმა მოციქულებმა გაიგეს, რომ სამარიამ მიიღო ღვთის სიტყვა, მათ გააგზავნეს პეტრე და იოანე მათთან. როცა მივიდნენ, ილოცეს მათთვის, რომ მიეღოთ სულიწმიდა, რადგან სულიწმიდა <u>ჯერ არ იყო გადმოსული</u> არც ერთ მათგანზე. თუმცა წინა მუხლებში წერია, რომ დემონები იდევნებოდა, ადამიანები იკურნებოდნენ, ღმერთის დიდებული საქმეები ხდებოდა; ადამიანებს სწამდათ იესო და წყლით ინათლებოდნენ. მაგრამ ასევე, წერია, რომ სულიწმიდა ჯერ არ იყო <u>ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲣᲚᲘ</u> არც ერთ მათგანზე!

ხედავთ, ფილიპე ქადაგებდა ხსნაზე და მათ მიიღეს ის, მაგრამ ჯერ არ იყვნენ სულიწმიდით მონათლულნი. ისინი ხელახლა შობილები იყვნენ, მაგრამ შეხედეთ სიტყვებს თუ როგორ წერია: „ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲖᲔ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲣᲚᲘ“. აი, კვლავ ჩანს განსხვავება - სულიწმიდა *ჩვენში* (ხელახლა შობისას) და სულიწმიდა *ჩვენ*ზე გადმოსული ძალით ავსებით.

ბიბლია არ ამბობს, რატომ არ უქადაგია ფილიპეს მათთვის სულიწმიდით ნათლობის შესახებ. შესაძლოა, მან მაშინვე დატოვა იერუსალიმი, როგორც კი სულიწმიდით მოინათლა და იმ დროს არ იცოდა, რომ ეს ყველასთვის იყო. რაც არ უნდა ყოფილიყო მიზეზი, ცხადია, რომ ადამიანებს სწამდათ სახარების და ინათლებოდნენ წყალში, ამრიგად, ხელახლა შობილები იყვნენ. მაგრამ ყურადღება მიაქციეთ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მოციქულებისთვის რომ სამარიაში ხალხმა მაშინვე მიიღო სულიწმიდით ნათლობა.

პირველი, რაც მათ გაიფიქრეს, არ იყო ის, რომ მათთვის ეთქვათ, თუ როგორ ჩაეცვათ. მათ არ უთქვამთ: „მოდი, ვუთხრათ როგორ ჩაიცვან სწორად ან როდის ჩაატარონ მსახურებები“. ისინი არ ღელავდნენ დოქტრინებსა და წესებზე.

რა იყო პირველი, რაზეც ისინი ფიქრობდნენ? სულიწმიდით ნათლობა! ამრიგად, მაშინვე ძალ-ღონე არ დაიშურეს, რომ მათთან წასულიყვნენ და მოეყოლათ ყველაფერი სულიწმიდით ნათლობის შესახებ.

შემდეგ პეტრემ და იოანემ ხელები დაასხეს და მათაც მიიღეს სულიწმიდა. სწორედ მაშინ და იქ მიიღეს სულიწმიდა. რა იყო ამის თვალსაჩინო ნიშანი? მჯერა, ის, რაც ყველა სხვა შემთხვევაში: ენებზე ლოცვა.

> *„სიმონმა რომ დაინახა, მოციქულთა ხელდასხმით ეძლევათო სულიწმიდა, ფული მიუტანა მათ. უთხრა: „მეც მომეცით ძალაუფლება, რომ ვისაც ხელს დავასხავ მიიღოს სულიწმიდა“.*
>
> *მაგრამ მიუგო მას პეტრემ: „შენი ვერცხლი შენვე გქონდეს შენს დასაღუპად, რადგან ღვთის ნიჭის ფულით შეძენა განიზრახე. არა გაქვს შენ წილი და ხვედრი ამ სიტყვაში, რადგან წრფელი არ არის შენი გული ღვთის წინაშე. მაშ, მოინანიე შენი უკეთურება და უფალს შეევედრე, იქნებ მოგიტევოს შენი გულის ზრახვა, ვინაიდან მწარე ნაღველით და უსამართლობით შებორკილს გხედავ“.*
>
> *თქვა სიმონმა: „შეევედრეთ ჩემთვის უფალს, რომ არაფერი მომეწიოს თქვენი ნათქვამიდან“.*
>
> – საქმეები 8:18-24

როცა სიმონმა დაინახა რომ სული ხელდასხმით გადაეცემოდა, მან მოციქულებს ფული შესთავაზა ამ ძალის მისთვის მისაცემად. სიმონს რაღაც უნდა ენახა, რაიმე თვალსაჩინო ნიშანი იმისა, რომ რაღაც მოხდა, როცა მათ სულიწმიდა მიიღეს. მას სურდა ეს ძალა.

არ წერია რომ იქ ენებზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაც თვალსაჩინო მოხდა რისი დანახვაც შეეძლოთ. სიმონმა დაინახა რაღაც, რაც ძალმოსილი იყო და სურდა ჰქონოდა უნარი რომ ეს ადამიანებისთვის გადაეცა. მე მჯერა, რომ მისი კომენტარები აჩვენებს იმას, რომ მათაც ისევე მიიღეს ნათლობა, როგორც სხვებმა და დაიწყეს ენებზე ლაპარაკი. კვლავ ვიტყვი, მინდა დაინახოთ რამდენად მნიშვნელოვნად აღიქვამდა იერუსალიმის ეკლესია სულიწმიდით ნათლობას - ეს

სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო!

როცა პავლე ქრისტიანი გახდა დამასკოს გზაზე, ადამიანი, სახელად ანანია, გააგზავნეს პავლესთან რომ ელოცა მისთვის.

> *„უთხრა: „ძმაო, სავლე, უფალმა გამომგზავნა, იესომ, რომელიც გზაზე მიმავალს გეჩვენა, რომ თვალი აგეხილოს და აღივსო სულიწმიდით“.*
>
> – საქმეები 9:17ბ

ბიბლია არ ამბობს, რომ პავლე ლაპარაკობდა ენებზე, როცა სულიწმიდა მიიღო, მაგრამ ვიცით, რომ ის ნამდვილად ლაპარაკობდა ენებზე და მჯერა, რომ მანაც ისევე მიიღო იგი, როგორც ყველა სხვამ. შეიძლება მკითხოთ, თუ რატომ მჯერა ასე. ეს მარტივია. იქიდან გამომდინარე, რაც თავად პავლემ დაწერა 1 კორინთელთა 14:18-ში.

> *„ვმადლობ ჩემს ღმერთს, რომ ყველა თქვენგანზე მეტს ვლაპარაობ ენებით“.*
>
> – 1 კორინთელთა 14:18

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნად, რომ პავლე ლაპარაკობდა ენებით, როცა ის სულიწმიდით მოინათლა. საქმეების წიგნის შემდეგ თავებს რომ წაიკითხავთ, დაინახავთ, რომ ნათლობა გრძელდებოდა შემდეგ დღეებშიც ეკლესიაში. ეს მხოლოდ სულთმოფენობის დღეს არ მომხდარა.

მოგვიანებით, საქმეების მე-10 თავში, პეტრე გაგზავნილია წარმართების სახლში, რათა სახარება უქადაგოს მათ. გახსოვდეთ, ეს ძალიან უჩვეულო იყო პეტრესთვის, ებრაელისთვის, რომ წასულიყო წარმართების სახლში. მხოლოდ იმიტომ წავიდა, რომ სულიწმიდისგან მიღებულმა ხილვამ უბიძგა.

> *„პეტრე ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, რომ სულიწმიდა გადმოვიდა ყველაზე, ვისაც ეს სიტყვა ესმოდა. მორწმუნენი წინადაცვეთილთაგან, რომლებიც პეტრეს მოჰყვნენ, გაოცდნენ, რომ წარმართებსაც მოეფინათ სულიწმიდის ნიჭი, რადგან ესმოდათ, როგორ*

ლაპარაკობდნენ ენებზე და ადიდებდნენ ღმერთს. მაშინ თქვა პეტრემ: „ვის შეუძლია წყლით ნათლობა დაუკავოს იმათ, ვინც ჩვენსავით მიიღეს სულიწმიდა?“ და უბრძანა მათ, იესო ქრისტეს სახელით მონათლულიყვნენ. მაშინ სთხოვეს, რამდენიმე დღე დარჩენილიყო მათთან“.

– საქმეები 10:44-48

მაშინ, როცა პეტრე ქრისტეს სახარებას უქადაგებდა წარმართებს, სულიწმიდა გადმოვიდა ამ უწყების მსმენელებზე. შენ ვერ ხედავ ღვთის სულს, ამრიგად, საიდან ეცოდინებოდათ, რომ სულიწმიდა გადმოვიდა მათზე? ტექსტი ამბობს, რომ გარშემო მყოფი მორწმუნეები, რომლებიც პეტრეს ახლდნენ, გაოცებულები იყვნენ რომ სულიწმიდის ნიჭი გადმოიღვარა წარმართებზე, <u>რადგან ესმოდათ როგორ ლაპარაკობდნენ ენებზე და ადიდებდნენ ღმერთს.</u>

ამრიგად, რა იყო დამადასტურებელი ნიშანი იმისა, რომ სულიწმიდა იქ იყო? პეტრეს უნდა ეცნო რაიმე ნიშანი იმისა, რომ ღმერთმა მიიღო ეს ადამიანები. ფაქტი, რომ დაინახა თუ როგორ ლაპარაკობდნენ ენებზე, მაშინ, როცა ის არაფრით მომსახურებია მათ სულიწმიდით ნათლობის შესახებ, სწორედ ის იყო დამადასტურებელი ნიშანი, რაც მას სჭირდებოდა. პეტრემ *იცოდა,* რომ მათ მიიღეს, რადგან მათ ზუსტად ისევე მიიღეს სულიწმიდა, როგორც მან - და ისინი ენებით ლოცულობდნენ.

ძალიან დიდ განსხვავებას აღმოაჩენ იმაში, რასაც დღევანდელი ეკლესია ფიქრობს რომ მნიშვნელოვანია და რასაც ბიბლიის დროის ეკლესია მიიჩნევდა მნიშვნელოვნად. ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მუხლი, რომელიც ასე ცხადად მიუთითებს, რომ ყველა უნდა მოინათლოს სულიწმიდით და ამტკიცებს ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე რომ ესეც სულიწმიდის საქმეა ხელახლა შობის მიღმა, არის საქმეების 19:1-2.

„აპოლონის კორინთოში ყოფნისას, პავლემ ზემო ქვეყნები მოიარა, მივიდა ეფესოში და იპოვა ზოგიერთი მოწაფეთაგანი. უთხრა მათ: „როცა ირწმუნეთ, თუ მიიღეთ სულიწმიდა?“ მიუგეს: „არც კი გაგვიგია, თუ არსებობს სულიწმიდა“.

– საქმეები 19:1-2

როცა პავლე ქალაქ ეფესოში ჩავიდა, მოძებნა მოწაფეები და ჰკითხა მათ: „როცა ირწმუნეთ, მიიღეთ სულიწმიდა?“ ეს იყო პავლეს პირველი საფიქრალი, როცა ამ მორწმუნეებთან მივიდა.

პავლემ გააცნობიერა, რომ ხელახლა შობა ძალიან განსხვავდებოდა სულიწმიდით ნათლობისგან, რომელსაც თან ახლდა ენებზე ლაპარაკის ნიშანი.

რატომ იყო ეს პირველი რაც პავლემ მათ უთხრა? რადგან იესომ იგივე სიტყვები თქვა საქმეების 1:4-ში! მან რეალურად თქვა: „არ დატოვოთ ქალაქი ამის გარეშე!“ რა გააკეთეს მოციქულებმა იერუსალიმში, როცა აღმოაჩინეს, რომ სამარიაში მყოფმა ხალხმა მოისმინა სიტყვა? მათ თქვეს: „ბიჭებო, ახლა უნდა წავიდეთ იქ. უნდა დავრწმუნდეთ რომ ყველაფერი სწორადაა. ავდგეთ და დავრწმუნდეთ რომ სულიწმიდით მოინათლნენ“. როცა ეფესოში მიმავალმა პავლემ სხვა მოციქულები იპოვა, პირველი რაც ჰკითხა იყო: „მიიღეთ სულიწმიდა როცა ირწმუნეთ?“

როცა მათ უპასუხეს, „არა, არც კი გვსმენია სულიწმიდის შესახებ“, პავლემ ჰკითხა თუ რა სახის ნათლობა მიიღეს. მათ უპასუხეს: „იოანეს ნათლობა“. პავლემ თქვა, რომ იოანეს ნათლობა იყო მონანიების ნათლობა და ხალხს უნდა ერწმუნათ მასში ვინც მის შემდეგ მოდიოდა. მათ უნდა ერწმუნათ იესო.

ამის გაგონებისას, ისინი უფალ იესოს სახელით მოინათლნენ (წყლით ნათლობა). მოგვიანებით, როცა პავლემ ხელები დაასხა მათ, სულიწმიდა გადმოვიდა მათზე და დაიწყეს ენებზე ლაპარაკი. ყურადღება მიაქციეთ, როცა პავლემ დაუსვა კითხვა, მან ჩათვალა რომ ისინი იესოს მორწმუნენი იყვნენ. აი, რატომ ჰკითხა მათ, „მიიღეთ სულიწმიდა როცა ირწმუნეთ?“ მას ესმოდა, რომ სულიწმიდით ნათლობა სრულიად განსხვავდებოდა ხელახლა შობისგან.

მჯერა, რომ ეს ბევრ ეკლესიაში საკამათო საკითხია არა იმიტომ, რომ ბიბლიაში არ წერია, არამედ იმიტომ, რომ ბოროტს სძულს იგი.

მჯერა, რომ ეს ბევრ ეკლესიაში საკამათო საკითხია არა იმიტომ, რომ ბიბლიაში არ წერია, არამედ იმიტომ, რომ ბოროტს სძულს იგი.

რადგან თუ ეს ძალაა, თუ ეს არის გზა რომ გქონდეს უნარი შეცვალო სიცოცხლე და იყო მოწმე ქვეყნიერე-ბისთვის, მაშინ ამ ქვეყნიერების

ღმერთის წინააღმდეგ უნდა წახვიდე. და ჩვენ ვიცით, როგორი აზრი ექნება მას ამ საკითხზე. სულიწმიდით ნათლობა გვაძლევს ძალის, ღვთის ძალის რეზერვუარს, რათა ვაკეთოთ ქრისტეს საქმენი ღმერთის სახელის განსადიდებლად!

თავი 6

ყველა ლოცულობს ენებით?

შესაძლოა გსმენიათ, ვინმე ამბობდეს, რომ ისინი არ ლოცულობენ ენებზე და არ სჯეროდეთ, რომ ყველას შეუძლია ან ყველა უნდა ლაპარაკობდეს. შემდეგ ციტირებს 1 კორინთელთა 12:27-30-ს როგორც მიზეზს, თუ რატომ სწამს ასე. მიუთითებს, რომ პავლემ თავად თქვა -ყველა არ ლაპარაკობს ენებზე. მოდი, შევხედოთ ამ ტექსტს და ვნახოთ, ნამდვილად ამას ამბობს თუ არა პავლე.

> *„თქვენ კი ქრისტეს სხეული ხართ, ხოლო ცალ-ცალკე - მისი ასოები. და დააყენა ღმერთმა ეკლესიაში, პირველად მოციქულები, მერე წინასწარმეტყველები, მერე მოძღვრები; შემდეგ ძალნი, განკურნების ნიჭი, შეწევნა, მართვა და სხვადასხვა ენები. ყველა მოციქულია? ყველა წინასწარმეტყველია? ყველა მოძღვარია? ყველას აქვს ძალთა ქმედება? ყველას აქვს განკურნების ნიჭი? ყველანი ლაპარაკობენ ენებით? ყველანი განმარტავენ?“*
>
> – 1 კორინთელთა 12:27-30

ამ წერილში, პავლე ასწავლის კორინთოს ეკლესიას, თუ როგორ იმოქმედონ წესრიგით, რათა ყველას მოემსახურონ ეკლესიის შეკრებებზე. იმ დროს, ყველანი ცდილობდნენ გადაეჭარბებინათ ერთმანეთისთვის თავიანთი სულიერი ნიჭებით და საყვარელი მქადაგებლებით. პავლე მიუთითებდა, თუ როგორ ემოქმედათ, როგორც სხეულს, ერთობასა და სიყვარულში. ახლა მოდი, უფრო ახლოდან შევხედოთ 1 კორინთელთა 12:27-28-ს.

> *„თქვენ კი ქრისტეს სხეული ხართ, ხოლო ცალ-ცალკე - მისი ასოები. და დააყენა ღმერთმა ეკლესიაში [გირჩევთ რომ გახაზოთ ეს ფრაზა], პირველად მოციქულები, მერე წინასწარმეტყველები, მერე მოძღვრები; შემდეგ ძალნი, განკურნების ნიჭი, შეწევნა, მართვა და სხვადასხვა ენები“.*

პავლე აქ აგრძელებს, მაგრამ მე გავჩერდები, რადგან მინდა ცოტაოდენი ვისაუბრო ამ სიტყვაზე - „ეკლესიაში“. იგი საუბრობს რეალურ ეკლესიის შეკრებებზე. ეს შეგვიძლია დავადასტუროთ 1 კორინთელთა 14:18-19-ით, სადაც პავლე იგივე სიტყვას იყენებს:

> *„ვმადლობ ჩემს ღმერთს, რომ ყველა თქვენგანზე მეტს ვლაპარაკობ ენებით. მაგრამ მირჩევნია ეკლესიაში ხუთი სიტყვა ვთქვა ჩემი გონებით, რათა სხვებსაც ვასწავლო, ვიდრე ათი ათასი — ენებით“.*
>
> – 1 კორინთელთა 14:18-19

პავლე ამბობს: „ვმადლობ ჩემს ღმერთს, რომ ყველა თქვენგანზე მეტს ვლაპარაკობ ენებით. მაგრამ მირჩევნია **ეკლესიაში“,** აი, ისევ ეს ფრაზა, და ამჯერად, ცხადია, რომ პავლე ლაპარაკობს რეალურად ეკლესიის შეკრებებზე და არა ეკლესიაზე, როგორც უნივერსალურ ქრისტეს სხეულზე. ჩვენ ყველა დავეთანხმებით, რომ პავლე ქრისტეს მთელი სხეულის, „ეკლესიის“ ნაწილია. რა თქმა უნდა, არის. და ის ამბობს, რომ მოხარულია - ენებზე კორინთელ მორწმუნეებზე მეტს ლაპარაკობს. ეს იქიდან გამომდინარე თქვა, რომ ეს ეკლესია არაკეთილმოსურნე იყო ამ ენებზე ლაპარაკის ახალი უნარის მიმართ, ცოტა არეულობა და დაბნეულობა იყო ამასთან დაკავშირებით.

იგი რეალურად ამბობს: „მეგობრებო, მე ყველა თქვენგანზე მეტს ვლაპარაკობ ენებზე, მაგრამ არსებობს გზა თუ როგორ აკეთო ეს „ეკლესიაში“ წესრიგით ისე რომ დაბნეულობა არ გამოიწვიოს“. ის აგრძელებს, რომ ეკლესიაში (მორწმუნეთა შეკრებისას) ამჯობინებს გასაგებად ილაპარაკოს (ჩვეულებრივ ენაზე), რათა სხვებს ასწავლოს.

თავად ეკლესიის მსახურებაზე, ზოგიერთი ადამიანი იმოქმედებს ენებზე ლაპარაკის და განმარტების ნიჭებში 1 კორინთელთა მე-12 თავის მიხედვით, მაგრამ ყველა არ იმოქმედებს ამ ნიჭში მთელი სხეულის სწავლების მიზნით. პავლე იმასაც ამბობს, რომ განისაზღვროს ადამიანთა რაოდენობა, თუ რამდენმა უნდა ილაპარაკოს ენებით და განმარტოს მსახურებაზე, და ეს სამ ადამიანს არ უნდა აღემატებოდეს.

„თუ ვინმე ლაპარაკობს ენებით, ილაპარაკოს ორ-ორმა, ან დიდი-დიდი სამმა, ერთიმეორის მიყოლებით, და ერთმა განმარტოს“. (1 კორინთელთა 14:27)

ამრიგად, როცა პავლე ამბობს, რომ ყველამ არ ილაპარაკოს ენებით, ეს მიმართულია უშუალოდ „ეკლესიაში“ ანუ ეკლესიის შეკრებაზე.

მნიშვნელოვანია გესმოდეს, რომ ყველა მორწმუნეს ექნება უნარი ილოცოს ენებით, მაგრამ ყველას როდი ექნება ცხებულება ეკლესიის მსახურებაზე წარმოაჩინოს ენების ან მისი განმარტების ნიჭი. თუ გაქვს ეს ცხებულება რომ ამ ნიჭით წარდგე მსახურებაზე, ბიბლია ამბობს, რომ უნდა ილოცო, რათა განმარტო კიდეც.

„ამიტომ ენით მოლაპარაკემ ილოცოს, რომ განმარტოს კიდეც“. (1 კორინთელთა 14:13ბ)

მე მჯერა, რომ ენებზე მოლაპარაკე ადამიანი ყველაზე სავარაუდო კანდიდატია განმარტებისთვის მსახურების მიმდინარეობისას, რადგან ეს უწყება უკვე გამოვიდა მისგან.

რატომ უნდა ილოცო ენებზე? ეშმაკს სძულს მორწმუნეები, რომლებმაც იციან, თუ როგორ ილოცონ სულით (ენებზე) და მინდა დავრწმუნდე, რომ გესმით რატომ.

რადგან პავლემ თქვა, რომ მოხარული იყო - ყველა დანარჩენთან შედარებით მეტს ლოცულობდა ენებზე, უნდა არსებობდეს მიზეზი, რის გამოც მან ასე იგრძნო თავი. პავლემ ამაზე კომენტარი გააკეთა 1 კორინთელთა 14-ში, რისი წაკითხვაც გვჭირდება.

*„ენით მოლაპარაკე თავის თავს **აშენებს**, ხოლო, ვინც წინასწარმეტყველებს, ეკლესიას **აშენებს**“.* (1კორინთელთა 14:4)

მოდი, უფრო ღრმად განვიხილოთ. რას ნიშნავს იყო აშენებული? სიტყვა აშენება ნიშნავს: „სწავლება ან სარგებელი, განსაკუთრებით მორალური ან სულიერი; ამაღლება“. [2]

დამეთანხმები, რომ ცხოვრებაში ხშირად გჭირდება მიმართულება, თუ რომელი გზით წახვიდე, მიხვდე სიტუაციას, ან მიიღო სწორი გადაწყვეტილება. აი, რაში შეუძლია ენებით ლოცვას დაგეხმაროს: რომ ააშენო საკუთარი თავი ან მითითებები მოიტანო შენს ცხოვრებაში. პავლე ცხადს ხდის ამ საკითხს რომაელთა 8:26-27-ში:

ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲣᲚᲘᲪ ᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲣᲫᲚᲣᲠᲔᲑᲐᲨᲘ; ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲘᲚᲝᲪᲝᲗ. _ ᲠᲝᲛᲐᲔᲚᲗᲐ 8:26Ა

„ასევე სულიც გვეხმარება <u>ჩვენს უძლურებაში</u>; ვინაიდან არ ვიცით, რისთვის ვილოცოთ, როგორ შეეფერება, არამედ თვით სული შუამდგომლობს ჩვენთვის გამოუთქმელი ოხვრით. ხოლო გულთამხილავმა იცის, რა არის სულის ზრახვა, იმიტომ, რომ იგი ღვთის ნებით შუამდგომლობს წმიდათათვის“.

პავლე გვეუბნება, რომ ჩვენი პრობლემა და სისუსტეა ის, რომ „არ ვიცით, რისთვის ვილოცოთ“. შეიძლება იკითხოთ: „რატომ არის ეს სისუსტე?“ 1 იოანეს 5:14-15-ში შეგვიძლია ამ კითხვის პასუხი ვიპოვოთ.

> *„და აჰა, რა გაბედულება გვაქვს მის მიმართ, რომ როცა რამეს ვთხოვთ მისი ნებისამებრ, იგი გვისმენს. და როცა ვიცით, რომ გვისმენს იგი, რასაც კი ვთხოვთ, ვიცით, რომ გვაქვს, რაც ვითხოვეთ მისგან“.*

ღმერთის ნების ცოდნისა და მასში დარწმუნებულობის გარეშე, ვერ ვიმოქმედებთ რწმენაში (ღმერთთან თანხმობაში), და თუ ჩვენ ვერ ვიმოქმედებთ რწმენაში, მაშინ ფაქტია, რომ

სუსტ მდგომარეობაში ვართ, რადგან ვერ შევძლებთ მოვექცეთ ღვთის მადლის ძალაში რწმენის გარეშე. ამრიგად, პავლე ამბობს, რომ იმის არ ცოდნა, თუ როგორ ვილოცოთ, სუსტი მდგომარეობაა, რისი გამოსწორებაც ენებით ლოცვას შეუძლია. მოდი, კიდევ ერთხელ წავიკითხოთ ეს ტექსტი.

> *„ასევე სულიც გვეხმარება ჩვენს უძლურებაში; ვინაიდან არ ვიცით რისთვის ვილოცოთ“.*
>
> – რომაელთა 8:26ა

ერთი სისუსტე ისაა, რომ არ ვიცით როგორ ვილოცოთ! ბიბლია არ გვეუბნება თუ ვისზე დავქორწინდეთ, სად ვიცხოვროთ, ან სად დავიწყოთ მუშაობა. ღმერთის ნების ცოდნის გარეშე, ვერ გვეცოდინება და დავიჯერებთ, რომ ღმერთისგან ვიღებთ, როცა ვლოცულობთ. კვლავ ვიტყვი, ეს უდიდესი სისუსტეა! ჩვენ არ გვაქვს დაჯერებულობა ღმერთში, როცა არ ვიცით რა არის მისი ნება. მაგრამ არსებობს გზა, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია ცხოვრების ყველა სიტუაციაში ამოვიცნოთ ღვთის ნება. არსებობს გზა, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია დარწმუნებულები ვიყოთ ღმერთის ნებაში ამრიგად, ვიმოქმედოთ რწმენასა და თავდაჯერებულობაში.

ეს არის, რაზეც ლაპარაკობს პავლე. აშენება, რომელზეც ის ლაპარაკობს, გულისხმობს ასეთ ცოდნაზე წვდომას, ცოდნაზე, რომელიც მოდის ღვთის სულისგან. და ჩვენ სულს ვუსმენთ სულით, ენებით ლოცვის მეშვეობით. თუ გავყვებით პავლეს რჩევას რომაელთა 8:26ბ-27-ში, ვკითხულობთ შემდეგს:

> *„ასევე სულიც გვეხმარება ჩვენს უძლურებაში; ვინაიდან არ ვიცით, რისთვის ვილოცოთ, როგორ შეეფერება, არამედ თვით სული შუამდგომლობს ჩვენთვის გამოუთქმელი ოხვრით. ხოლო გულთამხილავმა იცის, რა არის სულის ზრახვა, იმიტომ, რომ იგი ღვთის ნებით შუამდგომლობს წმიდათათვის“.*

პავლე არ ამბობს, რომ ჩვენ ვკვნესით როცა სულით ვლოცულობთ, პავლეს წინა მუხლები მოჰყავს.

> *„ვინაიდან ვიცით, რომ მთელი ქმნილება ერთად კვნესის და იტანჯება აქამდე; და არა მარტო ის, არამედ ჩვენც, რომელთაც სულის პირველი ნაყოფები გვაქვს, ჩვენ თვითონაც ვკვნესით ჩვენს თავში, მოველით რა შვილებას და ჩვენი სხეულების გამოსყიდვას. ვინაიდან იმედით ვიქენით დახსნილნი, ხილული იმედი კი აღარ არის იმედი; რადგან, თუ ხედავს კაცი, რაღას იმედოვნებს? ხოლო თუ იმედი გვაქვს, რასაც ვერ ვხედავთ, მოთმინებით მოველით მას.*
>
> *ასევე სულიც გვეხმარება ჩვენს უძლურებაში; ვინაიდან არ ვიცით, რისთვის ვილოცოთ, როგორ შეეფერება, არამედ თვით სული შუამდგომლობს ჩვენთვის გამოუთქმელი ოხვრით. ხოლო გულთამხილავმა იცის, რა არის სულის ზრახვა, იმიტომ, რომ იგი ღვთის ნებით შუამდგომლობს წმიდათათვის“.*
>
> – რომაელთა 8:22-27

პავლე სიტყვა *კვნესას* იყენებს, როგორც ილუსტრაციას და ანალოგიას იმისა, თუ რა ხდება ჩვენს შინაგანში. ჩვენ ვკვნესით შინაგანში, როგორც მშობიარე ქალი. ეს იგივეა, რომ ჩვენ ვშობთ რაღაცას ჩვენს შინაგანში ღვთის სულისგან, ვიღებთ რაღაც ახალს, რაღაცას, რაც მანამდე არ არსებობდა; ან შეგვიძლია ვთქვათ რაღაც, რაც ჩვენი არაა. ამრიგად, „ვშობთ“ იმის ცოდნას, რაც არ ვიცით, რაღაც ახალს, ჩვენი სულიდან სულით ლოცვის პროცესით. ბიბლია გვეუბნება, რომ ღმერთის სული ლოცულობს ღვთის სრულყოფილ ნებაზე ნებისმიერ სიტუაციაში ჩვენი სულის მეშვეობით. ეს ნიშნავს, რომ ღმერთი თავად ლოცულობს ჩვენთვის, ჩვენი, ადამიანის სულის მეშვეობით, გამოუთქმელი ოხვრით (არ არის წარმოთქმული გასაგებად).

ამრიგად, აქ აღმოვაჩინეთ, რომ სულიწმიდა იშუამდგომლებს ჩვენთვის გამოუთქმელი ოხვრით (შობის), ისეთი სიტყვებით რაც არ გვესმის (ენებით). და მან, ვინც ეძებს ჩვენს გულებს, იცის სულის ფიქრები, რადგან სული (ღმერთის სული) შუამდგომლობს წმიდათათვის ღმერთის სრულყოფილი ნების

თანახმად. ღმერთის სული ლოცულობს ღვთის სრულყოფილ ნებაზე ყველა სიტუაციაში **შენი საკუთარი სულის მეშვეობით, როცა ენებზე ლოცულობ.**

ამრიგად, ჩვენ სუსტ მდგომარეობაში ვართ, როცა არ ვიცით ღვთის ნება. რწმენა ვერ გამოთავისუფლდება, სანამ ღმერთის ნება არ გვეცოდინება. პავლე ამბობს, რომ თუ სულით ვილოცებთ, ღმერთის სული ილოცებს ჩვენი მეშვეობით მის სრულყოფილ ნებაზე ჩვენი ცხოვრებისთვის ნებისმიერ სიტუაციაში.

ღმერთის სული ჩვენი მეშვეობით ლოცულობს ენებით, მაშინ როგორ ვშენდებით ჩვენ, რადგან არ ვიცით რას ვამბობთ? პასუხს პავლეს მიერ დაწერილ სხვა წერილში ვპოულობთ.

> *„რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია და კაცს გულში არ გაუვლია, ღმერთმა ის მოუმზადა თავის მოყვარულებს. ჩვენ კი თავისი სულით გაგვიმხილა ღმერთმა; ვინაიდან სული ყოველივეს იკვლევს, ღვთის სიღრმეებსაც. რომელმა ადამიანმა იცის, რა არის ადამიანში, გარდა ადამიანის სულისა, რომელიც მასშია? ასევე ღვთისაც არავინ იცის, გარდა ღვთის სულისა. ჩვენ კი მივიღეთ არა წუთისოფლის სული, არამედ სული ღვთისგან, რათა ვიცოდეთ ღვთის მიერ ჩვენთვის მონიჭებული. რასაც ვლაპარაკობთ კიდეც, არა ადამიანური სიბრძნით შესწავლილი სიტყვებით, არამედ სულიწმიდის მიერ ნასწავლით, განვმარტავთ რა სულიერს სულიერით“.*
>
> – 1 კორინთელთა 2:9ბ-13

პირველ ყოვლისა, პავლე ამბობს, რომ ჩვენ გვაქვს წვდომა ისეთ რაღაცებთან, რაც არასდროს გვსმენია, გვინახავს ან გვიფიქრია, როგორც მე გიზიარებთ. მაგრამ ის აგრძელებს და ამბობს, თუ როგორ ხდება ეს:

> *„რომელმა ადამიანმა იცის, რა არის ადამიანში, გარდა ადამიანის სულისა, რომელიც მასშია? ასევე ღვთისაც არავინ იცის, გარდა ღვთის სულისა“.*
>
> – 1 კორინთელთა 2:11

სანამ წერილის ამ ასპექტს დავფარავ, ჯერ ზოგადი ცოდნა უნდა გვქონდეს ჩვენს აგებულებაზე. 1 თესალონიკელთა 5:23-ის მიხედვით, ჩვენ ვართ სამი ნაწილი: სული, სამშვინველი და სხეული.

> *„თავად მშვიდობის ღმერთმა კი წმიდაგყოთ სრულად და მთლიანად, რათა თქვენი სული, სამშვინველი და სხეული დაცულ იქნეს უბიწოდ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მოსვლისთვის“.*
>
> – 1 თესალონიკელთა 5:23

ჩვენი სული არის ღმერთის ნაწილი ჩვენში; ჩვენი სამშვინველი არის გონება, ნება და ემოციები; და ჩვენი სხეული არის ჩვენი სხეული. პავლე ამბობს, რომ ჩვენი სამშვინველი (გონება, ნება და ემოციები) და სული იმდენად მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ჩვენმა სულმა იცის ჩვენი ფიქრები.

შებრუნებულადაც ჭეშმარიტებაა. ჩვენს გონებას შეუძლია ფიქრების აღება ჩვენი სულისგან. პავლე ამბობს, რომ ღვთის სულმა იცის ღმერთის ფიქრები და ჩვენ მივიღეთ ღმერთის სული, ამრიგად, **შეგვიძლია ვიცოდეთ** რა მოგვცა ღმერთმა უსასყიდლოდ.

> *„ჩვენ კი მივიღეთ არა წუთისოფლის სული, არამედ სული ღვთისგან, რათა ვიცოდეთ ღვთის მიერ ჩვენთვის მონიჭებული. რასაც ვლაპარაკობთ კიდეც, არა ადამიანური სიბრძნით შესწავლილი სიტყვები, არამედ სულიწმიდის მიერ ნასწავლით, განვმარტავთ რა სულიერს სულიერით“.*
>
> – 1 კორინთელთა 2:12-13

პავლე აგრძელებს საუბარს, რომ ეს უცნობი ცოდნა, ცოდნა, რომელიც არ გვქონდა, მაგრამ გაგვიცხადდა ღმერთის სულის მიერ, არის ის, რასაც ვლაპარაკობთ სიტყვებით, რაც სულმა გვასწავლა, არა იმ სიტყვებით რასაც ჩვენი ბუნებრივი ენით და გაგებით ვამბობთ, არამედ სულიერი სიტყვებით. ჩვენ ვიცით, რომ პავლე ენებზე ლოცვაზე ლაპარაკობს, როცა

ამბობს, რომ სულიერი სიტყვებით ვლოცულობთ, რადგან იგი იგივე განმარტებას იყენებს ენებზე ლაპარაკის აღსაწერად 1 კორინთელთა 14:14-15-ში:

> *„ვინაიდან, ენით რომ ვლოცულობ, ჩემი სული ლოცულობს, გონება კი უნაყოფოა. მაშ, რა ვქნა? ვილოცებ სულით და ვილოცებ გონებითაც; ვიგალობებ სულით და ვიგალობებ გონებითაც“.*

პავლე იყენებს ფრაზას „სულით ლოცვას“ ენებზე ლაპარაკის აღსაწერად. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ პავლე იგივე ენებზე ლაპარაკზე საუბრობს, როცა ამბობს, რომ სულის მიერ ნასწავლი სიტყვებით ვლოცულობთ.

> *„ვინაიდან ენებით მოლაპარაკე ადამიანებს კი არა, ღმერთს ელაპარაკება და არავის ესმის, რადგან საიდუმლოებებს ლაპარაკობს სულით“.*
>
> – 1 კორინთელთა 14:2

სულიწმიდით ნათლობა ღმერთის საიდუმლო იარაღია! მას შეუძლია თავისი ნება დედამიწაზე ისე გამოგზავნოს, რომ ეშმაკმა არ იცოდეს რა ხდება.

კვლავ ვიტყვი, პავლე ლაპარაკობს ჩვენს სულზე როგორც უნარის მქონეზე რომ ილაპარაკოს ის ყველაფერი, რაც არასდროს გვინახავს, გვსმენია ან გვცოდნია, ანუ როგორც პავლე ამბობს „საიდუმლოებები“. ასევე, ყურადღება მიაქციეთ, ამ მუხლში პავლე ამბობს, რომ საიდუმლოებებს ჩვენი საკუთარი სულით ვლოცულობთ და არა ღვთის სულით. როგორ ხვდება ჩვენს სულში ის, რაც არ ვიცით? ეს მარტივია! ღვთის სულით, რომელიც ახლა ერთია ჩვენს სულთან.

> *„რომელმა ადამიანმა იცის, რა არის ადამიანში, გარდა ადამიანის სულისა, რომელიც მასშია? ასევე ღვთისაც არავინ იცის, გარდა ღვთის სულისა“.*
>
> – 1 კორინთელთა 2:11

როცა ჩვენი სული იღებს ღმერთის ფიქრებს, ჩვენი გონებაც ასევე იღებს ამ ფიქრებს. როცა ჩვენი გონება ღმერთის ფიქრებს იღებს, ამას ჩვენ „გამოცხადებას“, „გაცხადებას“ ვუწოდებთ, ან როგორც პავლე ამბობს „აშენებას“. ახლა იცით რატომ თქვა პავლემ რომ მოხარული იყო რომ ყველა სხვაზე მეტს ლოცულობდა ენებით; ის სარგებელს იღებდა ღვთის ნების ცოდნით ყველა სიტუაციაში.

აი, რას ამბობს პავლე 1 კორინთელთა 2:15-16-ში.

> *„ხოლო სულიერი ყოველივეს განსჯის, თავად კი არავისგან განისჯება. ვინ შეიცნო უფლის გონება, რომ განსაჯოს იგი? ჩვენ კი ქრისტეს გონება გვაქვს!“*

ჩვენ არ ვართ შეზღუდულები მარტივი ადამიანური განსჯებით, არამედ შეგვიძლია ყველაფერი განვსაჯოთ ღმერთის დახმარებით. ეს დიდებული ამბავია! სულით (ენებზე) ლოცვის მეშვეობით, გვაქვს უნარი მივიღოთ საიდუმლოებები, ის, რაც არ ვიცით; და ამ ცოდნით, შეგვიძლია სწორად განვსაჯოთ ყველაფერი ან მივიღოთ სწორი გადაწყვეტილებები!

სულიწმიდით ნათლობა ღმერთის საიდუმლო იარაღია! მას შეუძლია თავისი ნება დედამიწაზე ისე გამოგზავნოს, რომ ეშმაკმა არ იცოდეს რა ხდება. რეალურად, სულით ლოცვა ჩვენი სულიერი ჯავშნის შემადგენელ ნაწილად გვხვდება ეფესელთა 6:18ა-ში:

> *„ყოველგვარი ლოცვით და ვედრებით ილოცეთ ყოველ ჟამს სულით“.*

სულით ლოცვა საშუალებას გვაძლევს მივიღოთ სტრატეგიები, რომლებიც ნებას მოგვცემს უკან დავხიოთ მტერი და წინ წავიდეთ უნიკალური და განსაკუთრებული ტაქტიკებით.

ნაგულისხმევი სარგებელია ის, რომ შეგვიძლია სწორი გადაწყვეტილებები მივიღოთ ცხოვრებაში ქრისტეს გონების საზღვრებში მოქცევით. ვფიქრობ, უნდა დამეთანხმოთ, რომ ეს უმნიშვნელოვანესია! მე დავინახე, რომ ეს ასეა!

როგორც მაგალითი, მახსოვს გადაწყვეტილება უნდა მიმეღო

ჩემს ბიზნესთან დაკავშირებით. გაყიდვების წარმომადგენელი, რომელთანაც ვმუშაობდი და რომელიც ჩემს ერთ-ერთ მოვაჭრეს წარმოადგენდა, მემუქრებოდა ჩემი კომპანიის სასამართლოში წარდგენით, რადგან ახალ კომპანიაში არ მივყვებოდი. მას სურდა, რომ მასთან ერთად გამეგრძელებინა ბიზნესის კეთება, როცა დატოვა ის კომპანია, რომელთანაც ყოველთვის ვთანამშრომლობდი. მე მომწონდა ჩემი გაყიდვების წარმომადგენელი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მისი კომპანიისადმი უნდა ვყოფილიყავი ერთგული და არა მისადმი. თუმცა, იმ კომპანიამ, რომლისთვისაც მუშაობდა, უთხრა, რომ შეეძლო გადაეყვანა ყველა თავისი კლიენტი თავის ახალ კომპანიაში. ასე რომ არასწორს არ გავაკეთებდი თუ მას გავყვებოდი, მაგრამ მაინც არ ვგრძნობდი თავს კარგად, რადგან მასთან წასვლას მაძალებდა. მისი ახლანდელი კომპანია ყოველთვის სამართლიანი იყო ჩემდამი.

იგი სასამართლო დევნით მემუქრებოდა, რადგან რამდენიმე თვით ადრე, მან ახსენა რომ ახალ კომპანიაში გადადიოდა და მკითხა წავყვებოდი თუ არა. დაფიქრების გარეშე ვუპასუხე რომ წავყვებოდი. მან თქვა რომ ჩემს ბიზნესსაც ითვლიდა, როცა კომპანიის შეცვლის გადაწყვეტილებას იღებდა. მაგრამ ახლა როცა მოახლოვდა ის თარიღი როცა გადადიოდა, მშვიდობა არ მქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით. რამდენიმე დღე ვლოცულობდი სულით. მაგრამ მაინც ვერ ვისმენდი იმ პასუხს რაც მჭირდებოდა.

მე და დრენდას ხშირად მიგვყავს ბავშვები დიდ გასართობ პარკში, რომელიც რამდენიმე საათის სავალზეა და „სედარ ფოინთი“ ჰქვია. სწორედ იქაა ყველაზე დიდი ამერიკული გორაკები მთელს ამერიკაში, და როგორც წესი წელიწადში რამდენჯერმე მივდივართ. პარასკევი ღამე იყო და ორშაბათ დილას პასუხი უნდა მქონოდა თუ რას ვიზამდი. ვიფიქრე კარგი იქნებოდა თუ უბრალოდ გონებას სხვა რამეზე გადავიტანდი და და გადავწყვიტე საღამოს დრენდა გასართობ პარკში წამეყვანა. რიგში დგომისას, როცა საერთოდ არ ვფიქრობდი იმაზე რომ ორშაბათ დილისთვის გადაწყვეტილება უნდა მიმეღო, უეცრად, ზუსტად ვიცოდი რა უნდა მექნა. დღესავით ნათელი იყო. სულიწმიდა დამელაპარაკა და მშობელ კომპანიაში დავრჩი. გაყიდვების წარმომადგენლის ახალი კომპანია რამდენიმე თვეში

გაეხვა რაღაც საქმეში.

აი, წარმატების მთავარი გასაღები - ლოცვა! ხშირად ილოცეთ სულით, რათა ყველაფერი კარგად წავიდეს და სწორი გადაწყვეტილებები მიიღოთ, ისევე როგორც მიიღოთ საიდუმლო სტრატეგიები, რაც გამარჯვებისკენ გაგიძღვებათ.

„ილოცეთ განუწყვეტლივ“. (1 თესალონიკელთა 5:17)

თავი 7

საგანძურის სკივრი

მახსოვს დღე, როცა პირველად შევხვდი დენს. ის ეკლესიის უკანა მხარეს, სულ ბოლო რიგში, ჩემს ბიძაშვილ ჯენიფერთან ერთად იდგა. მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ. თუმცა, დენის გამომეტყველებიდან შემეძლო მეთქვა, აშკარად ფიქრობდა, რომ სხვაგან მოხვდა. ფაქტობრივად, სიტყვა არაკომფორტულობაც ვერ აღწერს საკმარისად, თუ როგორ გრძნობდა თავს. მოგვიანებით გავიგე, რომ ჩვენი ეკლესია ცოტა განსხვავდებოდა იმ დენომინაციის ეკლესიისგან, სადაც ის დადიოდა. მაგრამ როცა სამეფოს შესახებ დაიწყო მოსმენა, ნელ-ნელა მოდუნდა და საბოლოოდ, ჩემს ბიძაშვილზე დაქორწინდა.

იმ დროისთვის, დენს დაახლოებით 600 ჰექტარზე ჰქონდა ფერმა გაშენებული ცენტრალურ ოჰაიოში და მისი საქმე სულაც არ მიდიოდა კარგად. რეალურად, სარგებელს ვერ იღებდა და ამაზე ძალიან დარდობდა. მაგრამ აგრძელებდა რა სამეფოზე და იმაზე მოსმენას, თუ როგორ შეუძლია სულიწმიდას დაგეხმაროს, ერთ დღეს ჯენიფერთან მივიდა და უთხრა: „მინდა ჩვენი შესაწირი გავაორმაგო“. ჯენიფერი ძალიან გაოცებული იყო, თუმცა ამავდროულად ძალიან გახარებული. სწორედ, ასეც მოიქცნენ.

იმ წელს, მათი მოსავალი იგივე 600 ჰექტარზე 128%-ით უფრო მაღალი იყო, ვიდრე წინა წელს. იმდენად მაღალიც კი, რომ შეძლეს ნაღდი ფულით შეეძინათ ახალი მანქანა და კიდევ ერთი ფერმა, რაც ნიშნავდა, რომ მომავალი წლისთვის უფრო მეტ ჰექტარზე შეეძლოთ დაეთესათ. დენი საკმაოდ აღფრთოვანებული იყო! მან თქვა, რომ მამამისს 10 წელი დასჭირდა ამ ფერმის საფასურის გადასახდელად, მან კი ასე უბრალოდ ერთ წელში იყიდა. მე ვკითხე დენს თუ როგორ

მოხდა ეს და მანაც მიამბო მისი ამბავი.

როგორც ჩანდა, როცა დენმა და ჯენიფერმა შესაწირის გაორმაგება დაიწყეს, თან ლოცულობდნენ და ღმერთს სთხოვდნენ დაენახებინა მათთვის რა გაეკეთებინათ. დენი ამბობს, რომ ერთ დღეს ჩვეულებისამებრ წერილების დასტას ათვალიერებდა, რომელთაგან დიდი ნაწილი რეკლამები იყო ფერმერებისთვის. ამ დროს გაუაზრებლად ნაგავში მოისროლა პატარა, 3/5-ზე ბარათი, მაგრამ მაშინვე გადაწყვიტა ისევ ამოეღო. თითქოს, ამ პატარა ბარათში განსაკუთრებული არაფერი იყო, კიდევ ერთი რეკლამა ფერმის აღჭურვილობაზე. იგი ფერმერებს შეხვედრაზე ეპატიჟებოდა, სადაც ამ ხელსაწყოს განიხილავდნენ.

დენს უცნაური განცდა დაეუფლა, რომ აუცილებლად უნდა წასულიყო და შეხვედრაზე წასვლის შემდეგ, იყიდა ის ხელსაწყო, რომელსაც წარადგენდნენ. ეს ახალი პროდუქტი იყო ბაზარზე და მისი მოვალეობა იყო თესვის დროს ნიადაგის მომზადება და მასში თესლის მოთავსება. დენმა სცადა ჩემთვის მეცნიერული არგუმენტებით აეხსნა თუ რატომ იყო მისი გამოყენება ეფექტური მოსავლის რაოდენობის გასაზრდელად, მაგრამ დაახლოებით ნახევრის მერე ვერაფერი გავიგე. თუმცა მან გაიგო და ეს მნიშვნელოვანი იყო. დენმა მითხრა, რომ იმ პერიოდისთვის იგი ოჰაიოში მეორე ფერმერი იყო ვინც ეს დანადგარი იყიდა. ამ ხელსაწყომ მართლაც გააკეთა რაღაც და შედეგი მოსავლის 128 %-ით ზრდა იყო. დენმა განაგრძო მიწის შეძენა და დღეს ათასობით ჰექტარზე აქვს ფერმა. მას ახლა უკვე ბევრი ისტორია აქვს თუ როგორ დაეხმარა სულიწმიდა გადაწყვეტილებების მიღებაში, რამაც იმაზე ბევრად სწრაფად მოუტანა წარმატება, ვიდრე ოდესმე წარმოიდგენდა.

ამრიგად, როგორ გარდაქმნა დენმა მისი ცუდად მომუშავე ფერმა მაღალი მოგების მქონე ფერმად? ის მიჰყვა მისი მრჩევლის, სულიწმიდის რჩევას. სამწუხაროა, რომ ქრისტიანთა უმრავლესობა ისმენს ამ ისტორიას და წარმოდგენა არ აქვთ რა მოხდა, აი რატომ ვიგრძენი, რომ მნიშვნელოვანი იყო ამ წიგნის დაწერა. არა, ბევრი ქრისტიანი იზეიმებს თუ რა დიდებულია ღმერთი, გააცნობიერებენ, რომ ეს ღმერთისგან იყო, მაგრამ წარმოდგენა არ ექნებათ როგორ გადაიტანონ იგი თავიანთ ცხოვრებაში. და საბოლოოდ გვყავს უამრავი ქრისტიანი,

რომლებიც არასწორ ილუზიებს იქმნიან ღმერთის შესახებ და მას ადანაშაულებენ თავიანთ პრობლემებში. „სად არის ღმერთი? არ ვიცი რატომ არ მეხმარება ღმერთი?“ - მსგავს ფრაზებს ძალიან ხშირად ვისმენ.

იმედი მაქვს, რომ ეს უკვე გააცნობიერეთ: ეს სამეფო მოქმედებს კანონების მიხედვით და არა ფავორიტიზმით. ღმერთი არ ირჩევს თუ ვინ აკურთხოს და ვინ არა. დენი არ არის ღმერთის მიერ ამორჩეული, იგი არ არის ღმერთისთვის უფრო განსაკუთრებული, ვიდრე შენ. შენც იგივე კანონიერი უფლებები გაქვს სამეფოში, რაც დენს. როგორც ყველას აქვს უფლება დათესოს თესლი და მოსავალი მოიყვანოს, ასევე, ღმერთის სამეფო ყველასთვის ფუნქციონირებს, ვინც იცის როგორ გამოიყენოს სამეფოს კანონები. შენ ღმერთის ოჯახის ნაწილი ხარ, მისი დიდებული სამეფოს მოქალაქე და გაქვს წვდომა ყველაფერზე, რაც მას ეკუთვნის.

ამრიგად, ნება მომეცით გითხრათ, რატომ მარცხდება ცხოვრებაში ღმერთის მრავალი შვილი. მათ არ იციან როგორ მოქმედებს ღვთის სამეფო და არ იციან როგორ მოუსმინონ სულიწმიდას.

> *„ასე ამბობს უფალი, **შენი** მხსნელი, ისრაელის წმიდა: „მე ვარ უფალი, **შენი** ღმერთი, **გასწავლი, რათა სარგებელი ნახო**, იმ გზაზე **წაგიძღვები**, რომელზეც **უნდა იარო**“.*
>
> – ესაია 48:17

დენის წარმატება არ იყო რაღაც, რაც დენმა მოიფიქრა. ეს იყო სულიწმიდის უნიკალური სტრატეგია, რომელიც იქიდან გამომდინარე გამოვლინდა, რომ დენმა გადადგა ნაბიჯები სამეფოს კანონების ასამოქმედებლად. ის და მისი ცოლი უსმენდნენ სულიწმიდას რომ ელაპარაკა და დახმარებოდა მათ გეგმის შემუშავებაში. მინდა ეს ჩაიწეროთ.

სულიწმიდას აქვს გეგმა!

არაფერია იმაზე დიდი ძალის მქონე, ვიდრე გეგმის ქონა. გეგმის გარეშე, სურათი მხოლოდ ოცნებაა, გეგმით კი შეგიძლია ოცნებას ხორცი შეასხა.

ოჯახმა შეიძლება წარმოიდგინოს დიდი სახლი, ბევრი საძინებლით, გაშლილი ოთახებით, დიდი თანამედროვე სამზარეულოთი და ლამაზი მორთულობებით. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს მხოლოდ ოცნებაა, სურათი. ამ სურათს სჭირდება დახატვა და შემდეგ ინჟინრების მიერ პროექტის, გეგმის შექმნა. მას შემდეგ, რაც მშენებლებს პროექტი ხელთ ექნებათ, სახლის აშენებაც უკვე შესაძლებელია. რაღაც მიზეზით, ქრისტიანთა უმრავლესობას აქვს ე.წ. საფოსტო ყუთის მენტალობა, როგორც მე ამას ვეძახი. როცა ისინი ლოცულობენ და ღმერთს სთხოვენ ფულს, რომელიც სჭირდებათ, როგორც დენი მოიქცა, ისინი უბრალოდ მოელიან, რომ ის მათ საფოსტო ყუთში გამოჩნდება, ან უარესი, მოელიან, რომ ვიღაც აჩუქებს. მათ წარმოდგენა არ აქვთ პროცესზე.

დიახ, პირველ რიგში, სურათი უნდა გქონდეს. მაგრამ ამ სურათის რეალობაში მოსაყვანად პროცესია საჭირო, სადაც რეალურად შეძლებ მისით სიამოვნების მიღებას. პასუხი არის გეგმა, ანუ სტრატეგია, რომელიც მის განსახორციელებლად გჭირდება. ნება მომეცით, მაგალითი მოვიყვანო. მე რომ მეთქვა - შენი ფინანსური პრობლემების სწრაფად მოგვარება შემეძლო და კალამი და ფურცელი მოგემზადებინა, რათა მომეყოლა რა გჭირდებოდა, აიღებდი კალამს და ფურცელს ჩემი პასუხის მოსასმენად. მე გავაგრძელებდი და ვიტყოდი, რომ ადამიანების უმრავლესობისთვის, ვინც ამ წიგნს კითხულობს, ის, რის თქმასაც ვაპირებ, ალბათ, მოგაშორებთ ფინანსურ სტრესს და წლის ბოლომდე გაგათავისუფლებთ ვალებისგან. ახლა, თქვენი ხელი უფრო მჭიდროდ ეჭიდება კალამს და იძაბები, რომ არაფერი გამოგრჩეს, რასაც ვიტყვი.

პასუხი მართლა ძალიან მარტივია, აგიხსნით. უბრალოდ გამოიმუშავე 10 მილიონი დოლარი ქსელური სარგებელი ამ წელს. ალბათ, ცოტა ხნით გაოცებული მომაშტერდები და შემდეგ ხითხითს დაიწყებ. მე შემდეგ შენი ხითხითით დავასკვნი, რომ ალბათ 10 მილიონი დოლარი არაა საკმარისი და დავამატებ: „ნუ მაშინ, თუ ეს საკმარისი არ არის, 25 მილიონი დოლარი გამოიმუშავე“. აქ, არა მარტო იხითხითებ, ხმამაღლა აგიტყდება სიცილი. რატომ? ნება მომეცი გითხრა, რა მოხდა ახლა. ადამიანების უმრავლესობას 10 მილიონი დოლარი ნამდვილად გაათავისუფლებდა ვალებისგან, მაგრამ ხითხითი

იმისგანაა გამოწვეული, რომ ვერ წარმოუდგენიათ როგორ შეუძლიათ გამოიმუშავონ 10 მილიონი დოლარი ერთ წელში. 25 მილიონ დოლარიანი არჩევანი კი სიცილს იწვევს, რადგან მათი შესაძლებლობის პერსპექტივიდან იმდენად შორსაა რომ უბრალოდ სასაცილოა.

მაგრამ მოდი, ვთქვათ, რომ მე ვფლობ საექსპორტო კომპანიას და გთავაზობთ 1,000 $-ის გადახდას თითოეული ბურთისთვის, რომელსაც ყუთში ჩადებთ და შემდეგ ტრანსპორტირებისთვის შეფუთავთ. მოდი, ასევე ვთქვათ, რომ დღეში დაახლოებით 500 ყუთის გამზადება შეგიძლიათ და გაძლევთ ასეთი სამუშაო რეჟიმის 12 თვიან კონტრაქტს იგივე ტარიფით. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან გაზვიადებულია საილუსტრაციოდ, მაგრამ მიხვდებით რას ვგულისხმობ.

ახლა, წარმოიდგინეთ რომ გაქვთ კონტრაქტი და იგივეს ვამბობ, რაც ზემოთ ვთქვი, რომ შენი ფინანსური პასუხი არის 10 მილიონი დოლარი ქსელური შემოსავალი მომავალ წელს, რა იქნება შენი პასუხი? ახლა, აღარ ჩაიხითხითებ. ამის ნაცვლად, სიხარულით და აღფრთოვანებით შესძახებ. რატომ? რადგან 10 მილიონი დოლარის გამომუშავება ამ კონტრაქტით მარტივი იქნება. რეალურად, 25 მილიონი დოლარის გამომუშავებაც ადვილი იქნება, და 100 მილიონი დოლარის გამომუშავებასაც კი შეძლებთ. რა შეიცვალა? მხოლოდ ერთი რამ - გეგმა გაქვს. როგორც ზემოთ ვთქვი, ყველას შეუძლია თევზის დაჭერა თუ იესო აჩვენებს სად და როგორ ითევზაოს, ასე რომ ახლა ეს შენს ხელშია. მას შემდეგ, რაც გეგმა გაქვს, გეგმა, რომლის განხორციელებასაც ხედავ, რომ შეგიძლია, შენი პრობლემა გადაჭრილია.

ნება მომეცით, კიდევ ვთქვა – ვფიქრობ, გჭირდებათ, რომ კიდევ მოისმინოთ– ღმერთს აქვს <u>თქვენი</u> გეგმა!

„ვინაიდან მე ვიცი ზრახვანი, რაც თქვენზე განვიზრახე, ამბობს უფალი, სასიკეთო და არა საბოროტო ზრახვანი, რომ მომავალი და იმედი მოგცეთ“. (იერემია 29:11)

ნება მომეცით, კიდევ ვთქვა - ვფიქრობ, გჭირდებათ, რომ კიდევ მოისმინოთ - ღმერთს აქვს **<u>თქვენი</u>** გეგმა!

რამდენიმე თვის წინ, მქონდა პრივილეგია შევხვედროდი ჩემს ერთ-ერთ პარტნიორს იმ ეკლესიაში, სადაც ვასწავლიდი. ისინი მსახურების ბოლოს მოვიდნენ კითხვით, ან უფრო სწორია თუ ვიტყვი წინადადებით. „მე არ ვმუშაობდი! დავთესე ჩემი თესლი, თანხმობაში ვიყავი ჩემს ქმართან მამალი ირემის მიღების თაობაზე, მაგრამ ვერ მივიღე“. მან მითხრა როგორ დათესა კონკრეტული ირმისთვის, მამალი ირმისთვის, რომელზეც სროლა მარტივი იქნებოდა. ამრიგად, დავიწყე მეტი კითხვის დასმა და საბოლოოდ ვკითხე საერთოდ თუ დაინახა ირემი იმ დღეს, როცა სანადიროდ გავიდა. მან თქვა: „დიახ, სწორედ ისეთი მამალი ირემი, როგორისთვისაც დავთესე მოვიდა და დადგა ზუსტად კარგ სასროლ მანძილზე“.

ცოტა გამაოცა ამან და ვკითხე შემდეგ რა მოხდა. მან მითხრა, რომ იდეალური სროლა იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეგობარს სთხოვა იარაღში გაეხედა და სამიზნე გაესწორებინა, ანუ ეს მისმა მეგობარმა გააკეთა და არა თვითონ მან, რის შემდეგაც ააცილა. ჩემთვის მიზეზი ისეთი ცხადი იყო, მაგრამ ჩემდა გასაოცრად მისთვის არა.

ვფიქრობ, სწორედ იგივე სიტუაციაში არიან მორწმუნეთა დიდი ნაწილი. რაღაც მიზეზით, მათ არ ესმით პროცესი, წილი, რისი თამაშიც მომკაში უწევთ. მე მომიწია მისთვის ამეხსნა, რომ ღმერთმა გააკეთა თავისი წილი, მაგრამ მან უბრალოდ გამოტოვა მისი ნაწილი. ხედავთ, ღმერთს შეუძლია მოგცეთ გეგმა, მაგრამ შენ შენი წილი უნდა შეასრულო ამ გეგმაში რომ გამოვიდეს. ეს შენ და ღმერთი ხართ, ერთად!

> *„ცათა სამეფო წააგავს მინდორში* ***დაფარულ*** *საუნჯეს, რომელსაც იპოვის კაცი და დამალავს, სიხარულით მიდის და ყიდის ყოველივეს რაც აბადია და ყიდულობს იმ მინდორს“.*
>
> – მათე 13:44

იმდენი ჭეშმარიტებაა სამეფოს შესახებ ამ მუხლში! უპირველეს ყოვლისა, მოდი, საუნჯე განვმარტოთ. ლექსიკონის მიხედვით, საუნჯე არის ნებისმიერი სახის ღირებული ან ძვირფასი ქონება. საუნჯე აუცილებლად ოქრო არ უნდა იყოს; იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, რაც იმ მომენტში გჭირდება. ამრიგად, ეს

წერილი ამბობს, რომ ზეციური სამეფო საუნჯეს ჰგავს, ანუ შეგიძლია თქვა, რომ ყველაფერი, რაც ცხოვრებაში გჭირდება ამ სამეფოშია. ამრიგად, სად არის სამეფო? წერილში იესო ამბობს, რომ ის მინდორშია დაფარული. ვაუ, არ ისურვებდით იცოდეთ, სად არის ეს მინდორი? კარგი ამბავი ისაა, რომ იესო იმასაც გვეუბნება, თუ სად არის ეს მინდორი და იმასაც, როგორ ვიპოვოთ დაკარგული განძი.

თუ მთესველის იგავს გადავხედავთ მარკოზის მე-4 თავში, ვნახავთ იესოს, რომელიც ასწავლის, თუ როგორ იბადება რწმენა ადამიანის გულში. აქ ის იყენებს ანალოგიას, სადაც ადამიანის სულს ნიადაგს ადარებს, ხოლო ღმერთის სიტყვას - ამ ნიადაგში ჩათესილ მარცვალს. ამ ანალოგიის გამოყენებით, შემიძლია მივიჩნიო, რომ მათეს მე-13 თავში მოხსენიებულ ნიადაგსაც იგივე განმარტება აქვს და ადამიანის სულს გამოხატავს. მინდა ერთი წამით გაგახსენოთ რა ვისწავლეთ მე-6 თავში, რომ როცა ხელახლა ვიშვებით, ჩვენი, ადამიანის სული ხდება ერთი ღვთის სულთან და ნებას გვრთავს, რომ ღმერთის ფიქრებში მოვექცეთ. ამრიგად, მინდორში დამალული განძი სულაც არ არის ჩვენთვის მიუწვდომელი, არამედ იგი მოიცავს ყველაფერს, რაც არის თავად ღმერთი, რადგან ჩვენ ერთნი ვართ მასთან სულში.

> *„რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია და კაცს გულში არ გაუვლია, ღმერთმა ის მოუმზადა თავის მოყვარულებს. ჩვენ კი თავისი სულით გაგვიმხილა ღმერთმა; ვინაიდან სული ყოველივეს იკვლევს, ღვთის სიღრმეებსაც. რომელმა ადამიანმა იცის, რა არის ადამიანში, გარდა ადამიანის სულისა, რომელიც მასშია? ასევე ღვთისაც არავინ იცის, გარდა ღვთის სულისა. ჩვენ კი მივიღეთ არა წუთისოფლის სული, არამედ სული ღვთისგან, რათა ვიცოდეთ ღვთის მიერ ჩვენთვის მონიჭებული“.*
>
> – 1 კორინთელთა 2:9ბ-12

და შემდეგ 1 კორინთელთა 2:16 ამატებს, რომ *ჩვენ ქრისტეს გონება გვაქვს!*

იესო ამოწმებს, თუ სად არის ეს განძი ლუკას 17:20-21-ში.

„ღმერთის სამეფო თვალსაჩინოდ არ მოვა. ... რადგან, აჰა, <u>თვითონ თქვენშია</u> ღმერთის სამეფო“.

– ლუკა 17:20-21

„ანდა ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში მყოფი სულიწმიდისა, რომელიც ღვთისგან გაქვთ და რომ თქვენს თავს არ ეკუთვნით? ვინაიდან ფასით ხართ ნაყიდნი. ამიტომ ადიდეთ ღმერთი თქვენს სხეულებსა და თქვენს სულებში, რომლებიც ღმერთს ეკუთვნის“.

– 1 კორინთელთა 6:19-20

ამრიგად, მოდი, შევაჯამოთ ის, რის თქმასაც ვცდილობ.

საგანძური შენშია!

რამხელა საგანძური? საგანძური, რომელიც სცდება შენს უდიდეს ოცნებებსაც! განუზომელი საგანძური!

„ხოლო მას, ვისაც ჩვენში მოქმედი ძალით შეუძლია განუზომლად მეტის კეთება, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ ან ვფიქრობთ“.

– ეფესელთა 3:20

ეს ყველაფერი უკვე შენია ჩემო მეგობარო, მთელი სამეფო. ღმერთი ველარაფერს დაამატებს იმას, რაც უკვე მოგცა. შენ უკვე ყველაფერი გაქვს!

აი, აქ უნდა გავწვრთნათ საკუთარი თავები სხვანაირად. ეს განძი მეტია, ვიდრე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ! ძირითადად, როცა რაიმე გვჭირდება, ან გვჭირდება დახმარება, საკუთარი თავი გაწვრთნილი გვყავს, რომ პასუხი ან ჩვენში ვეძებოთ ან გარეთ. მაგრამ ახლა, სულიწმიდა, თავად ღმერთი, ცხოვრობს ჩვენში და ისაა ჩვენი დახმარება. ჩვენ უკვე განვიხილეთ, თუ როგორ მოაქვს მითითებები და როგორ გვიმხელს საიდუმლოებებს სულით ანუ ენებით ლოცვა. მაგრამ

მრავალ ადამიანს მაინც უჭირს ჩაეჭიდოს ამას, თუ რამდენად შეუფასებელი ღირებულების შეიძლება იყოს მსგავსი დახმარება ან რომ ღმერთს მართლა სურს იყოს მათი პასუხი ცხოვრების ყველა სფეროში.

მაგრამ როცა ხელახლა იშვი, შენ გახდი ღვთის ოჯახის წევრი და მისი დიდებული სამეფოს მოქალაქე. მან უკვე მოგცა ყველაფერი, რაც აქვს! რეალურად, ლუკას 12:32 ამბობს, რომ არაფრის არ უნდა გეშინოდეს, რადგან მამამ ინება შენთვის სამეფოს მოცემა. რომელი სამეფოსი? თავისი სამეფოსი!

„ნუ გეშინია, მცირე სამწყსოვ, ვინაიდან თქვენმა ზეციერმა მამამ კეთილინება თქვენთვის ცათა სამეფოს მოცემა“ . (ლუკა 12:32)

ეს ყველაფერი უკვე შენია ჩემო მეგობარო, მთელი სამეფო. ღმერთი ვეღარაფერს დაამატებს იმას, რაც უკვე მოგცა. შენ უკვე ყველაფერი გაქვს! მრავალი ადამიანი ისე იქცევა, თითქოს ღმერთს აწუხებს, თუ მას თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩართავს. მაგრამ ეს უბრალოდ უცოდინრობაა. მე რომ გითხრა - აშშ-ს მოქალაქე ხარ და შენ ამბობ: „ნუ, არ ვიცი. მე რომ აქ მაღაზია გავხსნა, მეშინია ვინმე არ შევაწუხო, თუ მენდომება სარგებელი ვნახო ამ ქვეყნის იმ კანონებით, რომლებიც ნებას მაძლევს ბიზნესი წამოვიწყო“. როგორც მოქალაქეს, შენ უკვე გაქვს ყველა კანონი და პრივილეგია, რაც მთელს ქვეყანას შეუძლია შემოგთავაზოს. უკვე ყველაფერი შენია! უკან ნუ დაიხევ. მიიღე ყველა ის სარგებელი, რაც კანონიერად უკვე შენია!

რატომ არის ღვთის სამეფო შედარებული საუნჯეს?

რადგან თუ გაქვს წვდომა ზეცის ცოდნაზე, გეცოდინება რა უნდა გააკეთო ნებისმიერ სიტუაციაში და გექნება ღმერთისგან მოცემული უნიკალური და განსაკუთრებული სტრატეგიები. ნება მომეცით, კიდევ ერთი მაგალითი მოვიყვანო, თუ როგორ მოქმედებს ეს.

როცა მე და დრენდამ დავიწყეთ სწავლა სამეფოს შესახებ, ჩვენი ცხოვრება ძალიან შეიცვალა. ვალებისგან სრულიად გათავისუფლება, სუფთა ჰაერით სუნთქვას ჰგავდა და ცხოვრებამ სულ სხვა არომატი შეიძინა. ჩვენი 22 ჰა მიწისთვის ნაღდი

ფულით გადახდა სიზმარს ჰგავდა. ეს გასაოცარი იყო, მაგრამ ერთი პრობლემა რჩებოდა, ამ მიწაზე სახლიც გვჭირდებოდა. ჩვენ არაფერი ვიცოდით სახლის აშენების შესახებ და ისიც კი არ ვიცოდით, საიდან დაგვეწყო. ამიტომ დავიწყეთ ლოცვა იმაზე, თუ **როგორ** მიგვეღო სახლი ამ მიწის საკუთრებაზე, რომელიც გვჭირდებოდა. გადავწყვიტეთ სულიწმიდას მივნდობოდით, რომ დაგვხმარებოდა.

რადგანაც გვინდოდა, რომ კვლავ ვალის გარეშე ვყოფილიყავით, დავიწყეთ სახლის აშენების არატრადიციული გზების გამოკვლევა. ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც გვთავაზობდა დიდ სახლს შემცირებული ფასით, იყო ჩაგვედგა მოდულირებული სახლი. მოდულირებული სახლი არ არის მისაბმელი, ეს არის სახლი, რომელიც ქარხანაში შენდება სექციებად და შემდეგ აწყობენ შენს მიწაზე. ეს სახლები იგივე ხარისხისაა, რაც შეწებებით აშენებული სახლები, მაგრამ ნაკლები ჯდება, ქარხანაში გამოყენებული შენების ეფექტური მეთოდების გამო. ასე რომ, ვნახეთ 2 თუ 3 მოდულარული სამშენებლო კომპანია და ის მოდელები, რომლებსაც ისინი გვთავაზობდნენ. მოდულარული სახლების ძიებისა და კვლევის შემდეგ, ვიგრძენით, რომ ამ გზით უნდა წავსულიყავით და ავარჩიეთ კომპანია და მოდელი, რომელიც, ჩვენი აზრით, დიდებული სახლი იქნებოდა ჩვენს მიწაზე. იმ პერიოდში, ვირჯინიაში ვიყავით მიწვეული ყრილობაზე სალაპარაკოდ, რომელიც სახლში განათლების მიღებას შეეხებოდა და იქიდან დაბრუნებულები მზად ვიყავით კონტრაქტისთვის ხელი მოგვეწერა. გადავწყვიტეთ გეგმები თან წაგვეღო იმ დეტალების განსახილველად, რომელიც შესაძლო იყო გამოგვრჩენოდა, რათა დაბრუნებისას, სანამ კონტრაქტს მოვაწერდით ხელს, დარწმუნებულები ვყოფილიყავით, რომ ეს იყო სწორი გზა.

არ მახსოვს როგორ მიგვიწვიეს ამ კონფერენციაზე სასაუბროდ ვირჯინიაში, მაგრამ დაგვპატიჟეს, რომ იქ ყოფნისას დავრჩენილიყავით ერთ-ერთ ოჯახში, სადაც განათლებას სახლში იღებდნენ. როცა მათ ლამაზ, სამხრეთული სტილის სახლში მივედით და ახალ მეგობრებს შევხვდით, აღვნიშნეთ, თუ რა გასაოცარი იყო მათი სახლი. საუბარში აღმოვაჩინეთ, რომ მათ თავად ააშენეს იგი. თავიდან შოკირებული ვიყავი. „თქვენ მშენებლები ხართ?“- ვკითხე მე. „არა,“- მათ მიპასუხეს. მამამ

გვითხრა, რომ იგი ადგილობრივი დიდი კომპანიის ბუღალტერი იყო. „კი მაგრამ, საიდან იცით როგორ ააშენოთ სახლი?“- ვკითხე მე.

მათ დაიწყეს სხვადასხვა რამეზე ლაპარაკი და ამ საუბარში ვუთხარით, რომ ჩვენც ვაშენებდით სახლს და ქალაქში დაბრუნებისთანავე ვაპირებდით კონტრაქტისთვის ხელის მოწერას. ძალიან გაიხარეს ამის მოსმენით და ჩვენი ახალი სახლის შესახებ დაიწყეს შეკითხვების დასმა. ჩვენც დავიწყეთ მათთვის სამეფოზე მოყოლა და იმაზე, თუ როგორ შეიცვალა ჩვენი ცხოვრება. მოვუყევით როგორ გადავიხადეთ 22 ჰა მიწის საფასური და როგორი აღფრთოვანებულები ვიყავით იმ ფერმის სახლიდან წამოსვლის გამო.

ისიც ვახსენეთ, რომ თან გეგმებიც გვქონდა და გვკითხეს, თუ შეეძლოთ ენახათ, რაზეც, რა თქმა უნდა, ვუპასუხეთ, რომ მოხარულები ვიყავით მათი აზრი მოგვესმინა. ამრიგად, გეგმებს დავუბრუნდით, მათ სამზარეულოს მაგიდასთან დავსხედით და გეგმები წინ დავილაგეთ. დიდი დრო არ იყო გასული, როცა ცოლმა ასეთი ლაპარაკი დაიწყო: „არა, ეს ადგილი ძალიან პატარაა“, ან „თქვენ უფრო დიდი სამზარეულო გჭირდებათ“, ან „გიფიქრიათ ამ სახლზე იმ გადმოსახედიდან, როცა თქვენი შვილები გაიზრდებიან? როგორც პასტორებს უფრო დიდი გასართობი სივრცე გჭირდებათ“. რეალურად, მოკლედ რომ ვთქვათ, მათ დაგვანახეს რატომ არ უნდა აგვეშენებინა ეს სახლი და ფაქტია, რომ ყველა არგუმენტი ჭეშმარიტი იყო. „როგორ შეგვიძლია უფრო დიდი სახლი ავაშენოთ იმ თანხით, რისი დახარჯვაც შეგვიძლია?“ „ეს მარტივია“,- თქვეს მათ. „თავად ააშენეთ!“ ამ სიტყვების მოსმენისას ლამის სიცილი წამსკდა. „მე ავაშენო ჩემი სახლი?“ როგორც უკვე ვთქვი, არაფერი ვიცოდი სახლების შესახებ! მაგრამ მათ დაიწყეს ჩვენი გამხნევება, გვეუბნებოდნენ, რომ ეს სულაც არ იყო ასეთი რთული. მათ გვიამბეს წიგნის შესახებ *„და ზოგე 50,000 $ ან მეტი როგორც საკუთარმა მთავარმა მშენებელმა: როგორ დაგეგმო, ხელშეკრულებები გააფორმო და ააშენო შენი ოცნების სახლი“* - ვოურენ ჯაგერი.

ამრიგად, სახლში დაბრუნებულებმა გადავწყვიტეთ აღარ მოგვეწერა ხელი კონტრაქტზე მოდულარული სახლის აშენების შესახებ. ის წიგნი შევუკვეთეთ და წავიკითხეთ, რომელიც მათ

გვირჩიეს და თითოეულ თავზე ბევრს ვფიქრობდით. დავიწყეთ სხვადასხვა სახის სახლების გეგმების ნახვაც. საბოლოოდ, ვიპოვეთ სახლის პროექტი, რომელიც ძალიან მოგვეწონა და დავიწყეთ ამ გეგმის დეტალურად შესწავლა. ჩვენს მეგობრებს და იმ ადამიანებს გავესაუბრეთ, ვინც ვიცოდით, რომ თავად ააშენეს სახლი. საბოლოოდ, მივედით გადაწყვეტილებამდე, რომ შეგვეძლო ამის გაკეთება! შევხედეთ შენობის გეგმას და საკუთარ თავებს ვკითხეთ: „რა შეგვიძლია გავაკეთოთ თავად, რომ ეს სახლი ჩვენს ბიუჯეტში ჩაჯდეს?“ დაუჯერებელია, მაგრამ გადავწყვიტე სადენები თავად გამეყვანა მთელს სახლში, მიუხედავად იმისა, რომ 12/2 სადენის თავი ხელშიც კი არასდროს მჭეროდა. მეგობარმა, რომელსაც ესმოდა გაყვანილობა, მითხრა, რომ მარტივი იყო და მაჩვენებდა როგორ გამეკეთებინა ეს.

რადგან ჩემი ბიზნესით ვიყავი დაკავებული, დრენდამ გადაწყვიტა მთავარი მოიჯარე ყოფილიყო და მას მიეხედა კონტრაქტებისთვის. ჩვენ მშენებელს შევუთანხმდით, რომ სახლის კარკასი შეეკრა, დანარჩენი კი უკვე ჩვენზე იყო. ამას მოჰყვა ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე რთული, მაგრამ ამაღელვებელი დღეები. გრძელი ამბავი რომ შევამოკლო, ჩვენი დასრულებული სახლის კვადრატულობა ორჯერ აღემატებოდა იმას, რასაც მოდულარული გვთავაზობდა. გვქონდა მყარი ხის კარებები; ხის იატაკი; ხის კარნიზები და ლამაზი, ჩვეულებრივი თაროები სამზარეულოში, რომლებიც უჟანგავი რკინისგან იყო დამზადებილი. სახლის ჩვენი ძალებით აშენებით დაახლოებით 200,000 $ დავზოგეთ!

ყოველთვის ვამბობ, რომ ღვთის საიდუმლოებები დაფარულია შენთვის და არა შენგან! სატანა სიბნელეში ბინადროობს და წარმოდგენა არ აქვს ღმერთის გეგმებზე.

დღეს ისეთი ბედნიერი ვარ, რომ სულიწმიდას ვთხოვეთ დაგვხმარებოდა გეგმასთან დაკავშირებით. შედეგებმა ბევრად გადააჭარბა იმას, რაც ოცნებებში წარმოგვედგინა. მე ისევ გაოცებული ვარ როგორ მოაწყო ღმერთმა ჩვენი მოგზაურობა ვირჯინიაში და როგორ შეგვახვედრა წყვილს, რომელსაც ახალი დამთავრებული ჰქონდათ სახლის აშენება. დარწმუნებული ვარ, ეს რომ არ მომხდარიყო, მოდულარულ სახლს ავაშენებდით. არ ვამბობ, რომ რაღაც პერიოდით

მოდულარული სახლი არ გაამართლებდა, უბრალოდ მალე დაგვჭირდებოდა მისი გაფართოება. სახლი, რომელიც ავაშენეთ კვლავ მოწმობაა ჩემთვის, როგორც მაგალითი, თუ როგორ დაგეხმარება სულიწმიდა ყველა სიტუაციაში, ისეთი გეგმის და მიმართულების მოცემით, რომელიც ყველა მოლოდინს გადააჭარბებს!

ამრიგად, ნება მომეცით, კიდევ ერთხელ ვთქვა....

ღმერთს აქვს <u>შენი</u> გეგმა!

შეიძლება მიპასუხო: „გარი, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მათეს 13:44 ამბობს, რომ გეგმა დაფარულია!" დიახ, ასე ამბობს და ეს შენს სასარგებლოდაა. შეხედეთ რას ამბობს იესო მათეს 13:10-11-ში.

> *„მივიდნენ მასთან მოწაფეები და ჰკითხეს: „რატომ ელაპარაკები მათ იგავებით?" პასუხად კი უთხრა მათ: „იმიტომ, რომ **<u>თქვენ მოცემული გაქვთ</u>** ცათა სამეფოს საიდუმლოებათა [იმის რაც დაფარულია] ცოდნა, მათ კი არ მიეცათ".*
>
> – მათე 13:10-11

ეს საიდუმლო ცოდნა შენთვისაა და არა ეშმაკისა და ბოროტი ადამიანებისთვის, ვინც არასწორად გამოიყენებს მათ ან დააბრკოლებს ღმერთის გეგმებს თავისი ცოდნით. ბიბლია ამბობს, რომ სატანა შეცვლის ტაქტიკებს, თუ ეცოდინება რას აკეთებს ღმერთი.

> *„არამედ ვლაპარაკობთ ღვთის სიბრძნეს, იდუმალებაში დაფარულს, რომელიც წინასწარ დაადგინა ღმერთმა საუკუნეთა უწინარეს ჩვენი დიდებისთვის. რაც ვერავინ შეიცნო წუთისოფლის მთავართაგან; <u>ვინაიდან, რომ შეეცნოთ, ჯვარს არ აცვამდნენ დიდების უფალს".</u>*
>
> – 1 კორინთელთა 2:7-8

ყოველთვის ვამბობ, რომ ღმერთის საიდუმლოებები დაფარულია შენთვის და არა შენგან! სატანა სიბნელეში ბინადრობს და წარმოდგენა არ აქვს ღვთის გეგმებზე. მას

შეუძლია მხოლოდ იმაზე ჰქონდეს რეაქცია, რასაც ღმერთი ნათლად აკეთებს. იმ დროისთვის, როცა ის ხვდება, თუ რა ხდება, უკვე ძალიან გვიანია! ამრიგად, შემდეგ ჯერზე, როცა ანერვიულდები, რადგან შუაღამე ახლოვდება და კვლავ არ გაქვს პასუხი, იცოდე, რომ ღმერთი არასდროს აგვიანებს და ის, რაც შენ დაყოვნებად გეჩვენება, შენს სასარგებლოდ მოქმედებს, რათა დაფარულში შეინახოს პასუხი იმ დრომდე, როცა ის უნდა გამოვლინდეს.

> *„ცათა სამეფო წააგავს მინდორში* ***დაფარულ*** *საუნჯეს, რომელსაც იპოვის კაცი და* ***დამალავს****, სიხარულით მიდის და ყიდის ყოველივეს, რაც აბადია და ყიდულობს იმ მინდორს“.*
>
> – მათე 13:44

უკვე განვიხილეთ რა არის და სად არის ეს მინდორი და რატომაა საუნჯე დაფარული. ისიც განვიხილეთ, თუ როგორ მოვისმინოთ ღვთის სამეფოსგან ის, რაც დაფარულია სულით ლოცვის მეშვეობით და სულიწმიდის ხმის მოსმენით. მაგრამ კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია ამ პროცესში, რაც ჩვენს მუხლში წერია და რაც უნდა იცოდე. მისმა დაუფარავობამ მრავალი კარგი გეგმა არასწორი გზით წაიყვანა და დამანგრეველი ცვლილებები გამოიწვია ადამიანთა ცხოვრებაში. თუ მიაქციე ყურადღება ჩვენს მუხლში, რომ როცა ადამიანი მოისმენს საუნჯეს, იდეას, მიმართულებას ან გეგმას ღმერთისგან, იგი მას კვლავ მალავს. მაშინვე **ᲐᲠ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ!** არ იწყებს ყველა თავისი მეგობრისთვის და მეზობლისთვის იმის მოყოლას, თუ რა მოისმინა უფლისგან. არ ყვება თავისი ახალი და აღმაფრთოვანებელი გეგმების შესახებ; ჯერ არა ყოველ შემთხვევაში. ბიბლია ამბობს, რომ იგი კვლავ მალავს მას, მიდის და ყიდის ყველაფერს, რაც აქვს და შემდეგ ყიდულობს მინდორს. მარტივად რომ ვთქვათ, მას არ სურს რომ ვინმეს გაუმხილოს განძის მდებარეობა, სანამ რეალურად მის მფლობელობაში არ გადმოვა. საკუთრებაში გადმოსვლამდე ლოდინით, იგი რწმუნდება, რომ მას ვერავინ მოპარავს.

ეს მუხლი ასევე გვიმხელს, რომ იმ დროისთვის, როცა საგანძურს პოულობს, არ არის იმ მდგომარეობაში, რომ

შეძლოს მისი საფასურის გადახდა. ამიტომ, მან უნდა გაიაროს მომზადების პროცესი, რომ ნება მიეცეს შეიძინოს იგი. ეს პრინციპი ფულზე და რაღაცის ყიდვაზე ბევრად შორს მიდის. იგი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პრინციპს გვასწავლის: თუ როგორ უნდა იმოქმედო იმაზე, რასაც სულიწმიდა გაჩვენებს, თუ გინდა რომ წარმატებას მიაღწიო.

ეს მუხლი ამბობს, რომ იდეის ან მიმართულების მოსმენის შემდეგ, მანამ არ უნდა იმოქმედო, სანამ არ გექნება უნარი, რომ ფლობდე მას. ვფიქრობ, ყველას შეგვიძლია მარტივად დავინახოთ როგორ მოქმედებს ეს ფულის შემთხვევაში. თუ არ გაქვს მიწის საყიდლად საკმარისი თანხა, ნამდვილად არ ეტყვი ვინმეს რომ მასში განძია. სიტყვაც რომ დაგცდეს ამის შესახებ, შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ ვიღაც სხვა იყიდის მას შენამდე. ამის ნაცვლად, წახვალ და ყველაფერს გააკეთებ, რათა მის საყიდლად საკმარისი თანხა მოაგროვო და ამ დროს შენთვის შეინახავ ამ ინფორმაციას დაფარული განძის შესახებ.

იგივე პრინციპი მოქმედებს ყველა მიმართულებისა თუ მითითების შემთხვევაში, რაც შეიძლება ღმერთმა მოგცეს. ძალიან ხშირად, ქრისტიანებს დასაწყისი დასასრული ჰგონიათ. ხშირად, სულიწმიდა რაღაც აზრს გამოგვივლენს, არა იმიტომ, რომ მაშინვე ამ აზრის მიხედვით ვიმოქმედოთ, არამედ, ნება მივცეთ, მოგვამზადოს, რომ რეალურად შევძლოთ ამ შესაძლებლობის გამოყენება. ნებისმიერ მცდელობაში მომზადების ფაზა არის პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი. სპორტში, თამაშებში იმის მიხედვით იმარჯვებენ ან მარცხდებიან, თუ რამდენად კარგად მოემზადნენ გუნდები ვარჯიშის დროს, მაშინ, როცა არავინ უყურებდა. მაგრამ უნდა დაეთანხმო, რომ ვარჯიში სულაც არ არის სამხიარულო; ეს არის დამღლელი და დამქანცველი პროცესი. და პირიქით, ყველა აღფრთოვანებულია თამაშის პროცესში ამ აღტაცებით, ხალხის ბრბოთი, განათებებითა და გამარჯვების თრთოლვით.

სამწუხაროდ, ეს ოცნებები ტკივილად და დარდად იქცევა, თუ მას წინ მზადება არ უსწრებს. ვერ გეტყვით რამდენი ადამიანი მინახავს, რომელთა ცხოვრებაც ამ პრინციპის არ ცოდნის გამო დაიმსხვრა. მინახავს ადამიანები, ნამდვილად ღმერთისგან მოწოდებულები, ცხებული ადამიანები, რომლებიც წავიდნენ და მაშინ დააარსეს ეკლესია, როცა მზად არ იყვნენ ემოციურად

თუ ფინანსურად და საბოლოდ, მათი მცდელობა კატასტროფით დამთავრდა, განსხვავებით იმ ოცნებისა, რომელიც ხედვაში ჰქონდათ. მინახავს ადამიანები, რომელთაც მოისმინეს როგორ მისცა ღმერთმა მათ ბიზნესის იდეა და წარმატებაში დარწმუნებულები წამოვიდნენ ისეთი სამსახურიდან, სადაც სრული განაკვეთით მუშაობდნენ, ისე რომ არ მოითმინეს, არ მოემზადნენ და საბოლოოდ გაკოტრდნენ. ამ ისტორიების საწყენი მხარეა ის, რომ ღმერთს ედება ბრალი და ადამიანებს, ვინც ჩართულნი არიან ამ ყველაფერში, არასწორი ილუზია ექმნებათ არა მხოლოდ საკუთარი თავის, ასევე ღვთის მიმართ. დარწმუნებული არ ვარ, თუ რატომ ფიქრობს ამდენი ადამიანი რომ წარმატება ერთ ღამეში მოდის. მაგრამ ადამიანები უნდა სწავლობდნენ იმ წარმატების პრინციპებს, რაც ამ ერთ მუხლშია მოქცეული.

ხშირად ადამიანები მოდიან ჩემთან და მეუბნებიან: „პასტორო, ღმერთმა მითხრა, რომ ეს არის ჩემი ეკლესია“. და შემდეგ ვეღარასდროს ნახავ მათ. „პასტორო, ღმერთმა ეს შესანიშნავი ბიზნესის იდეა მომცა“. შემდეგი რასაც მოისმენ არის, რომ მათი სახლი აუქციონზე იყიდება და თავიანთი მანქანის დაბრუნებას ცდილობენ. ეს **არ** არის ის, რაც ღმერთს აქვს შენთვის.

როცა ვისმენთ იდეას სულიწმიდისგან, იმას არ ნიშნავს, რომ მაშინვე გადავხტეთ. ძირითად შემთხვევაში, იგი მიგვიძღვის ჩვენი ოცნებების დასამალად და მათთვის მოსამზადებლად. ჩვეულებრივ, ჩვენ არ გვაქვს ყველაფერი, რაც გვჭირდება იმისთვის, რომ ჩვენი ხედვა წარმატებით განვახორციელოთ. მომზადებამ შეიძლება კვირა ან წლებიც კი წაიღოს, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რისი გაკეთება გაჩვენა ღმერთმა. შენ უნდა გესმოდეს, რომ მომზადება და სწორი დრო ისევე მნიშვნელოვანია ან კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე თავად იდეა!

ვიცი, ჩემს შემთხვევაში სახარების საქადაგებლად ვიყავი მოწოდებული 19 წლის ასაკში. ცხადი ხილვა მქონდა, სადაც ბიბლია მეჭირა და ღმერთმა სამჯერ მითხრა: „მე მოგიწოდებ, ჩემი სიტყვის საქადაგებლად“. ეს იყო ძალიან რეალური და ძლიერი გამოცდილება. მაგრამ უფალს არ უთქვამს ჩემთვის, რომ იმ წუთას წავსულიყავი და დამეწყო ქადაგება. ნაცვლად ამისა, მან მითხრა, რომ კოლეჯში წავსულიყავი. იცით,

სკოლაში საშუალოდ 1.3 ქულა მქონდა. ასევე, ძალიან მორცხვი ვიყავი და თავს ვარიდებდი ადამიანების გარემოცვაში ყოფნას. ნება მომეცით, გულწრფელი ვიყო. ახლოსაც კი არ ვიყავი იმ მომწიფებასთან, რაც მჭირდებოდა, რათა ადამიანთა მწყემსვა დამეწყო! ამრიგად, წავედი კოლეჯში და ეს იყო ძალიან, ძალიან რთული, მაგრამ დაჟინებულობით დავამთავრე და ოთხი წლის შემდეგ ხარისხიც ავიღე.

კოლეჯის შემდეგ ვფიქრობდი იყო თუ არა დრო რომ დამეწყო ქადაგება. მაგრამ უფალმა მითხრა, რომ მას სურდა მუშაობა დამეწყო ადგილობრივ ფინანსურ ფირმაში, რომელიც დაზღვევებს ჰყიდდა. მიუხედავად იმისა, რომ ამის აზრს ვერ ვხედავდი, ვიცოდი, რომ ეს ღმერთის ხმა იყო და ეს პოზიცია დავიკავე. ეს სამსახური კოლეჯზე კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა. ყოველდღიურად უნდა დამერეკა ადამიანებთან და გადამელახა ჩემი ადამიანებთან ურთიერთობის შიში. გამომუშავებაზე დამოკიდებული ხელფასით ცხოვრებაც რთული იყო და წრფელი რომ ვიყო, ყოველ დღე მინდოდა თავის დანებება, მაგრამ ვიცოდი, რომ არ შემეძლო. საბოლოოდ, რამდენიმე წლის შემდეგ, დავხელოვნდი იმაში, რასაც ვაკეთებდი. და ისე მოხდა, რომ მე და დრენდამ განვავითარეთ იმ ფირმის 5,000 ოფისს შორის მთელს ქვეყანაში ნომერ პირველი ოფისი.

სწორედ ამ დროს მითხრა ღმერთმა რომ ახლა იყო სწორი დრო ეკლესიის დაარსებისთვის. ამ დროს 40 წლის ვიყავი. 21 წელი დასჭირდა ღმერთს ჩემს მოსამზადებლად იმ ხედვისთვის, რაც 19 წლის ასაკში მომცა. როცა ეკლესიის მწყემსვა დავიწყე, გავიგე რისთვის იყო საჭირო ამდენი მომზადება. პასტორობა იმაზე ბევრად რთული იყო, ვიდრე წარმომედგინა. მაგრამ იმ წვრთნის გამო, რაც ადამიანებთან ურთიერთობაში გავიარე, როცა ვუმკლავდებოდი სხვადასხვა სახის უარყოფას ბიზნესში, შემეძლო ერთგული ვყოფილიყავი ღმერთის მოწოდებისადმი ჩემს ცხოვრებაში. ყველა დავალებას 21 წელი არ დასჭირდება მოსამზადებლად, მაგრამ მომზადების პრინციპი იგივე იქნება.

მომზადების ამ პრინციპიდან გამომდინარე, მინდა მათეს 13:44-ის ასეთი პერიფრაზი შემოგთავაზოთ.

„ცათა სამეფო შენში გაძლევს ცოდნას ანუ წვდომას საიდუმლოთა ცოდნაზე, იმ დაფარულზე, რაც ღმერთმა იცის. ეს ცოდნა მისაწვდომია ღმერთის სულის მეშვეობით, რომელიც შენშია. როცა ადამიანი იპოვის ან მოისმენს საიდუმლო ცოდნას, რომელიც საუნჯეა მისთვის, პასუხია მისთვის, იგი კვლავ დამალავს მას თავის გულსა და გონებაში. და შემდეგ სიხარულით გაიღებს მთელ ძალას მის მისაღწევად, ფრთხილი მომზადებით, იმ მიმართულებასა და მითითებას, რაც მისთვის გამოვლინდა, ამრიგად, ეჭიდება ამ პასუხს“.

თავი 8

რთული სიტუაცია დაწინაურებისთვის

ჩემი მეგობარი პასტორი პიტერი და მისი ცოლი, ბიბი, რომლებიც დიდ ეკლესიას მწყემსავენ ახალ ზელანდიაში, აშშ-ში მოდიოდნენ მოკლე ვიზიტით. შობის სეზონი იყო და უნდოდათ დაესვენათ და საშობაო დეკორაციებით დამტკბარიყვნენ, ამიტომ კოლორადოში, ბროდმურის სასტუმროში რჩებოდნენ რამდენიმე დღე. თუ ბროდმურში არ ყოფილხართ გეტყვით, რომ ეს ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო კურორტია, რომელიც კლდოვან მთებს გაჰყურებს და ცნობილია საოცარი საშობაო დეკორაციებით. პასტორმა პიტერმა დაგვირეკა, რათა ჩვენთვის ეთქვა, რომ იქ იქნებოდნენ და გვკითხა, ხომ არ შევუერთდებოდით. ჩვენც შანსი ხელიდან არ გავუშვით და სამი გასაოცარი დღე გავატარეთ იქ.

პასტორ პიტერთან ერთად ყოფნისას, როგორც წესი ძალიან დიდ დროს ვატარებთ მსახურებაზე ლაპარაკში, რადგან ჩემს საბჭოშია და ამ მოგზაურობის დროსაც იგივე ხდებოდა. ორივე ჩვენს მომავალი წლის გეგმებზე ვლაპარაკობდით და იდეებს ვუზიარებდით ერთმანეთს. საბოლოოდ, მოვიდა დამშვიდობების დრო, რაც ყოველთვის სამწუხაროა, რადგან ჩვენი ძვირფასი მეგობრები არიან. მე და დრენდა, როგორ წესი, ყოველ წელს ან ორ წელიწადში ერთხელ მაინც ვსტუმრობთ მათ ახალ ზელანდიაში, მაგრამ იმ წელს უკვე ძალიან დაკავებული ვიყავი და გეგმაში არ მქონდა იქ წასვლა.

ასე რომ სახლში მოვედით და დავიწყეთ ახალი წლისთვის დიდი მზადება. საინტერესოა, რომ 9 იანვარს სიზმარი ვნახე, სადაც მითხრეს, რომ თებერვალში, პასტორი პიტერი მიმიწვევდა საქადაგებლად თავის ეკლესიაში. მახსოვს ვფიქრობდი, რომ ეს ძალიან უჩვეულო იყო, რადგან ცოტა ხნის წინ სამი დღე გავატარე

მასთან და არაფერი უხსენებია, თებერვლამდე კი მხოლოდ რამდენიმე კვირა იყო დარჩენილი. როცა სამზარეულოში შევედი სასაუზმოდ დრენდას მოვუყევი, თუ რა მითხრა უფალმა.

ჩემი კომპიუტერი სამზარეულოს ბარზე იდო და ჩვეულებისამებრ ჩავრთე. როცა ყავის სმისას მივუჯექი, დავინახე, რომ მეილი იყო მოსული პასტორი პიტერისგან. გავხსენი და გამაოცა იმის ნახვამ, რომ პასტორი პიტერი მეპატიჟებოდა მის ყოველწლიურ ფინანსურ კონფერენციაზე საქადაგებლად, რომელიც სამ კვირაში იყო. რა თქმა უნდა, გაოცებული ვიყავი, მაგრამ სიზმრიდან გამომდინარე არც ისე ძალიან გამკვირვებია. სწრაფად გადავავლე ჩემს გრაფიკს თვალი იმის სანახავად, საერთოდ იყო თუ არა ეს შესაძლებელი, რადგან ბევრი მოგზაურობა მქონდა დაგეგმილი იმ თვეში დაახლოებით იმ დროისთვის, როცა პიტერმა ახალ ზელანდიაში მიმიწვია. მე და დრენდას უკვე დაგეგმილი გვქონდა ფრენა ბუენოს-აირესში, არგენტინაში, რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე ოკლენდში უნდა ვყოფილიყავი. ერთადერთი გზა იქ მოსახვედრად იყო ბუენოს აირესის კონფერენციიდან პირდაპირ სიდნეიში, ავსტრალიაში, გავფრენილიყავი და შემდეგ იქიდან ოკლენდში. ასეთ მოგზაურობას არასდროს დავგეგმავდი, მაგრამ რადგან ღმერთი დამელაპარაკა, ვიცოდი, რომ უნდა წავსულიყავი.

ჩვენი არგენტინაში მოგზაურობა კორპორატიული იყო, რომლის სპონსორიც ჩვენი კომპანიის ერთ-ერთი კლიენტი იყო. ეს ძალიან კარგი მოგზაურობა იყო და ასევე კარგი შესაძლებლობა, შევხვედროდით მეგობრებს, რომლებსაც წელიწადში ერთხელ თუ ვნახავდით. არგენტინაში იმ პერიოდში სერიოზული ფინანსური პრობლემები იყო, რასაც ქალაქში არეულობა ახლდა, თუმცა საერთო ჯამში, ძალიან კარგი მოგზაურობა იყო, რადგან მანამდე იქ არასდროს ვყოფილვარ. ჩვენი ფრენა სიდნეისკენ 16 საათი გრძელდებოდა, ყველაზე გრძელი ფრენა იყო, რაც კი მქონია. უნდა გადაგვეფრინა სამხრეთ პოლუსის თავზე, რაც ძალიან მახარებდა, რადგან იმედი მქონდა, რომ ციდან ვნახავდი დედამიწის ამ ნაწილს.

ჩვენი ფრენისას, როცა ფანჯრიდან გახედვისას თოვლის და ყინულის მეტს ვერაფერს ვხედავდი, მივხვდი, რომ არგენტინული ავიახაზებით ვმგზავრობდი, რომელსაც ასევე ჰქონდა ფინანსური პრობლემები და ცდილობდა ფინანსურად არ ჩაძირულიყო.

უცებ გონებაში ასეთმა აზრმა გამიელვა, რომ კარგი ნამდვილად არ იქნებოდა, თუ ამ კომპანიამ თავისი თვითმფრინავების გამძლეობა შეამცირა და დედამიწის ამ კუთხეში მოგვიწევდა დაშვება. მაგრამ ვიცოდი, რომ უსაფრთხო ხელში ვიყავი, რადგან თვითონ უფალი გამიძღვა ამ მოგზაურობაში.

სიდნეიში დაშვებისთანავე პასტორ პიტერსა და ბივს დავურეკეთ და გაგვაოცა იმის მოსმენამ რომ პასტორმა პიტერმა სერიოზული ინფარქტი მიიღო და საავადმყოფოში იწვა. იგი საერთოდ ვერ შეძლებდა ქადაგებას მისი ამ დიდი ფინანსური კონფერენციის განმავლობაში და მთხოვა მე მესწავლებინა მთელი კვირის განმავლობაში. ახლა ვიცოდი, რატომ წამომიყვანა უფალმა ახალ ზელანდიაში. გაოცებული ვიყავი იმით, თუ როგორ მიგვიძღვის სულიწმიდა ყველა ნაბიჯზე. ეს კარგი შეხსენებაა იმის, რასაც რომაელთა 8:14 ამბობს.

„რადგან ვისაც ღმერთის სული წარმართავს, ისინი არიან ღვთის შვილები“.
– რომაელთა 8:14

„რადგან ვისაც ღმერთის სული წარმართავს, ისინი არიან ღვთის შვილები“. (რომაელთა 8:14)

კვლავ, ვლაპარაკობთ სულიწმიდისგან მიმართულების, იდეების, აზრების მოსმენის უნარზე. ჩემი შემდეგი გაკვეთილის საილუსტრაციოდ, იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია სულიწმიდის მოსმენას მოგვცეს საჭირო პასუხები, დანიელის ისტორიაზე კარგი მაგალითი არ მეგულება. მოდი, მივყვეთ ისტორიას დანიელის 2:1-6-დან.

> *„თავისი მეფობის მეორე წელს სიზმრები იხილა ნაბუქოდონოსორმა. აუფორიაქდა სული და ძილი გაუტყდა. და ბრძანა მეფემ მოეყვანათ გრძნეულნი, მოგვნი, მკითხავნი და ქალდეველნი, რომ აეხსნათ სიზმარი მეფისთვის. ისინიც მოვიდნენ და დადგნენ მეფის წინაშე. უთხრა მათ მეფემ: „სიზმარი ვიხილე და სული ამიფორიაქდა, მინდა ამ სიზმრის ახსნა“ .*
>
> *არამეულად ელაპარაკნენ მეფეს ქალდეველნი: „მეფევ!*

იცოცხლე საუკუნოდ! უამბე სიზმარი შენს მსახურთ და განვმარტავთ მის მნიშვნელობას“.

მიუგო მეფემ და უთხრა ქალდეველებს: „მტკიცედ გადავწყვიტე: თქვენ თვითონ თუ არ მეტყვით სიზმარსა და მის მნიშვნელობას, ასო-ასო აიკუწებით და ნანგრევებად იქცევა თქვენი სახლები. მაგრამ თუ სიზმარსა და მის მნიშვნელობას ამიხსნით, ძღვენს, ჯილდოებსა და დიდ პატივს არ მოგაკლებთ. ასე რომ, მითხარით სიზმარი და ამიხსენით მისი მნიშვნელობა“.

– დანიელი 2:1-6

„უპასუხეს ქალდეველებმა: „არ არის დედამიწის ზურგზე კაცი, მეფისთვის ამ ბრძანების შესრულება, რომ შეძლოს; არც ერთ მეფესა და მბრძანებელს არ მოუთხოვია ამის მსგავსი რომელიმე გრძნეულის, მჩხიბავისა და ქალდეველისგან. რთულია საქმე, მეფე რომ ითხოვს; არავინ არის, ვინც შეძლებდა მის შესრულებას მეფის წინაშე, გარდა ღმერთებისა, რომელთა სამკვიდრებელიც ხორციელთა შორის არ არის“.

ყოველივე ამის გამო ძლიერ განრისხდა მეფე და ბრძანა ბაბილონის ყველა ბრძენი დაეხოცათ. გამოვიდა ბრძანება, რომ დაეხოცათ ბრძენნი; დანიელსა და მის მეგობრებსაც ეძებდნენ მოსაკლავად“.

– დანიელი 2:10-13

დაბრუნდა დანიელი თავის სახლში და აუწყა ეს ამბავი ხანანიას, მისაელსა და ყაზარიას - თავის მეგობრებს, რომ წყალობა ეთხოვათ ზეციური ღმერთისთვის ამ საიდუმლოს გასაგებად, რათა არ დაღუპულიყვნენ დანიელი და მისი მეგობრები ბაბილონის დანარჩენ ბრძენებთან ერთად. მაშინ გაეხსნა საუდუმლო დანიელს ღამეულ ხილვაში და აკურთხა დანიელმა ზეციური ღმერთი. და თქვა დანიელმა: „კურთხეულ იყოს ღმერთის სახელი უკუნითი უკუნისამდე, ვინაიდან მისია სიბრძნე და ძლიერება. ის ცვლის დროსა და ჟამს, ამხობს და აღადგენს მეფეებს, ბრძენთ სიბრძნეს აძლევს და

გონიერთ - ცოდნას. ***აცხადებს ღრმას და დაფარულს, იცის თუ რა არის ბნელში და სინათლე მკვიდრობს მასთან“.***

– დანიელი 2:17-22

დანიელი სიკვდილ-სიცოცხლის სიტუაციაშია, მას სიკვდილი ემუქრება. მაგრამ აი შენი მომავალი დაწინაურების მთავარი გასაღები. ღმერთმა იგი მისი დაწინაურებისთვის გამოიყენა და არა დაღმასვლისთვის. დანიელს სულიწმიდის საიდუმლო ცოდნის მეშვეობით შეუძლია მეფე ნაბუქოდონოსორს თავისი სიზმარი და განმარტება გამოუცხადოს. მეფე აღფრთოვანებულია, რასაც შემდეგ ნაწყვეტში ვხედავთ.

„მაშინ პირქვე დაემხო მეფე ნაბუქოდონოსორი და თაყვანი სცა დანიელს; ბრძანა მოეტანათ მისთვის ძღვენი და კეთილსურნელებანი. მიუგო და უთხრა მეფემ დანიელს: „ჭეშმარიტად ღმერთთა ღმერთია თქვენი ღმერთი და მეფეთა ბატონი, გამცხადებელი დაფარულთა, რადგან შეძელი ამ საიდუმლოს გაცხადება.“

და განადიდა მეფემ დანიელი, დიდძალი საჩუქრები უბოძა და ბაბილონის მთელი ოლქის მთავრად და ბაბილონის ბრძენთუხუცესად დააყენა. *დანიელის თხოვნით მეფემ ბაბილონის საქვეყნო საქმეებზე შადრაქი, მეშექი და ყაბედ-ნეგო დააყენა. თვითონ კი სამეფო კარზე დარჩა“.*

– დანიელი 2:46-49

რა იყო იმის შედეგი, რომ დანიელს შეეძლო მოესმინა ღმერთის ხმა? დაწინაურება და სიმდიდრე!

იგივე შედეგი ბიბლიის სხვა ისტორიაშიც შეგვიძლია ვნახოთ, იოსების ისტორიაში. იგივე სიტუაციის პირისპირ, იოსებს მიეცა შანსი განემარტა ფარაონის სიზმარი. სიზმრის წარმატებით განმარტების შემდეგ, მას შემდეგ, რაც იოსებმა ფარაონს ადმინისტრაციული გეგმა მიაწოდა ეგვიპტის გადასარჩენად იმ მომავალი გვალვისგან, რომელიც ღმერთმა მას სიზმარში გამოუცხადა, ფარაონი ასე პასუხობს დაბადების 41:39-40-ში:

„და უთხრა ფარაონმა იოსებს: „რაკი ღმერთმა შენ გაუწყა ეს ყველაფერი, არავინაა შენზე გონიერი და ბრძენი! შენ იქნები ჩემი სახლის განმგებელი, შენი სიტყვით წარიმართება მთელი ჩემი ხალხი, მხოლოდ ტახტით ვიქნები შენზე ამაღლებული“.

– დაბადება 41:39-40

ორივე ისტორიის დასაწყისში, უიმედობა იყო რეალური საცდური, მაგრამ შედეგად მივიღეთ დაწინაურება და სიმდიდრე. მარტივად რომ ვთქვათ, ქვეყნიერება დიდ ფულს გადაუხდის მათ, ვინც დიდ პრობლემებს გადაჭრის. შენში მყოფ სულიწმიდას უყვარს შენი პრობლემების შუაგულში მოთავსება! არ შეგეშინდეს, როცა ეს მოხდება, დაიწყე უფლის განდიდება, რადგან იგი ისევე დაგეხმარება, როგორც იოსებსა და დანიელს დაეხმარა! ყოველთვის ვამბობ, რომ ღმერთი იღებს დიდებას და მე ვიღებ ჩეკს ანაზღაურების სახით! მიყვარს ის, თუ რა თქვა დანიელმა ღმერთის შესახებ, „**აცხადებს ღრმას და დაფარულს, იცის თუ რა არის ბნელში და სინათლე მკვიდრობს მასთან**“. დანიელი ამბობს, რომ სინათლე მკვიდრობს მასთან. ეს ნიშნავს, რომ ბნელ ღამეში სიარულისას, როცა სინათლეს აანთებ, შეგიძლია დაინახო სად მიდიხარ! სინათლე შიშს ამარცხებს და იცი საით უნდა წახვიდე. პავლე ამას გულისხმობს ამ მუხლში, როცა ამბობს, რომ ღმერთი გველაპარაკება და გვეხმარება გაჭირვების ჟამს.

*„იცით, რომ სანამ წარმართები იყავით, **უტყვ** კერპებთან დადიოდით, თითქოს ვიღაც გეწეოდათ“.* (1 კორინთელთა 12:2)

პავლე ამბობს რომ კერპები არ ლაპარაკობენ, მაგრამ ღმერთი ლაპარაკობს!

ახლა, შეიძლება გიკვირს რატომ დავარქვი ამ თავს „რთული სიტუაცია დაწინაურებისთვის“. რადგან სწორედ რთულ სიტუაციაში აქვს შენში მყოფ სულიწმიდას პასუხები. სწორედ რთული სიტუაცია გაძლევს სრულყოფილ საშუალებას გამოსავლის დასანახად. რთული სიტუაცია საუკეთესო საფეხურია შენი მომავალი დაწინაურებისთვის! სამწუხაროდ, მრავალი მორწმუნე თავს არიდებს რთულ სიტუაციებს.

რეალურად, მრავალი მათგანი ფიქრობს, რომ თუ საკუთარ თავს რთულ სიტუაციაში აღმოაჩენენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთს აცდნენ.

მახსოვს, როცა პირველად წამოვიწყეთ ტელევიზია და თვეში დაახლოებით 9,000 $ გვქონდა გადასახდელი. ვფიქრობდი, რომ ეს ერთი თვისთვის საკმაოდ დიდი თანხა იყო, მაგრამ შემდეგ ქვითრებმა თვეში 20,000 $-ს მიაღწია, შემდეგ კი 50,000 $-ს. ერთ დღეს, როცა ყველანი ვლოცულობდით, ემიმ ჩემმა გოგონამ წინასწარმეტყველური ნიჭით დაიწყო ლაპარაკი:

„მოსავალი შენთვის ზედმეტად დიდია. მე გაფართოებ. მხოლოდ ჩემი სულით შეგიძლია გაიგო რა უნდა მოხდეს! გადადგამ ნაბიჯს, ნებას მომცემ, რომ წარგიძღვე სირთულეებში მაშინ, როცა ვერ გაიგებ რა ხდება და ყველაფერი შეუძლებელი მოგეჩვენება?“

სანამ ისტორიას მოგიყვებით, იმაზე დაფუძნებით, რაც უკვე იცით, შეგიძლიათ მითხრათ როგორ შეგვიძლია ამის განმარტება? ДАЗ ИНАУРЕБА! მიყვარს ის, რომ ღმერთმა არჩევანი მომცა. მან მკითხა თუ მსურდა ეს გზა მასთან ერთად გამევლო. ის ჩემგან იღებდა ნებართვას. მე თუ არას ვეტყოდი, დარწმუნებული ვარ ვიღაც სხვასთან წავიდოდა. მაგრამ მე მსურდა, რომ მე დავწინაურებულიყავი, თქვენ ასე არ იქნებოდით?

ნუ, მე ვთქვი: „დიახ, უფალო. იცი, რომ ასე მოვიქცევი“. ამის შემდეგ რამდენიმე კვირაში, დეისთარის ქსელმა შემოგვთავაზა ყოველღიური დრო, მაშინ როცა მანამდე ყოველკვირეულ გადაცემას ვაკეთებდით. თუ ამას დავთანხმდებოდით, ჩვენი ტელევიზიის ქვითრები თვეში 200,000 $-მდე ავიდოდა. ამ წინასწარმეტყველურ სიტყვასა და შინაგანში სულიწმიდის მშვიდობაზე დაფუძნებით, მე დავთანხმდი. ყველა მეუბნებოდა, რომ რამდენიმე თვე საეთერო დროის ქვითრების გადახდა გამიჭირდებოდა, სანამ ხალხი ჩემი პროგრამის ყურებას დაიწყებდა. სწორედ ეს მოხდა, მაგრამ შეიძლება ცოტა უფრო რთულად, ვიდრე ჩვენ მოველოდით. ხუთ თვეში, 500,000 $-ით ჩამოვრჩებოდი ჩვენი საეთერო დროის ქვითრებს. ჩვენმა მყიდველმა წერილიც კი გამომიგზავნა, სადაც ეწერა, რომ ადვოკატები ნერვიულობას იწყებდნენ გადასახადების დაგვიანების გამო.

ღმერთთან ჭიდაობა დავიწყე ამის შესახებ, რადგან ჩემს

გადაცემას *ფულის პრობლემის მოგვარება* ერქვა! ცოტა იმედგაცრუებული ვიყავი და დრენდას ვუთხარი, რომ შეიძლებოდა ტელევიზიის დროის შემცირება დამჭირვებოდა. მაგრამ მან მიპასუხა: „რა თქვა ღმერთმა? მან თქვა რომ ის გადაიხდიდა საფასურს, არა?“ რამდენიმე დღის განმავლობაში, იგი მხოლოდ ამას მიმეორებდა, როცა ამ საკითხზე ველაპარაკებოდი. ჩვენ ვილოცეთ, და მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის არანაირი პასუხი არ მქონდა, ღმერთის მშვიდობა ვიგრძენი. იმ კვირას, სიზმარში ჩეკების დასტები ვნახე. ამ სიზმარში უცნაური ის იყო, რომ ჩეკების დასტასთან ერთად დავინახე თანხის ის რაოდენობაც, რაც მათზე ეწერა და ისიც, ვინც დააწერა. როცა გავიღვიძე ვიცოდი, რომ ტელევიზიის ქვითრები უკვე გადახდილი იყო და მშვიდობა ვიგრძენი. იმ შაბათ-კვირას, ერთ ჩვეულებრივ შაბათ-კვირას, 500,000 $ სწორედ ისე გამოჩნდა, როგორც დამესიზმრა. თანხის რაოდენობა, რაც ვნახე და ისიც, ვინც ჩეკებზე ხელი მოაწერა, რეალობაში გადმოვიდა.

ხედავთ, რთული სიტუაციები ცუდი არ არის! ჩემო მეგობარო, ეს დაწინაურების ადგილია. ადამიანები მეუბნებიან, რომ არ სურთ რთულ სიტუაციებში ფეხი გადადგან, რადგან შეცდომის დაშვების ეშინიათ. მაგრამ სულიწმიდას შეუძლია გაგაფრთხილოს პოტენციური შეცდომის შესახებ, თუ მას მოუსმენ.

მახსოვს, როცა ჩემს დაგირავების კომპანიას ვუძღვებოდი რამდენიმე წლის წინ, ერთ კლიენტს სურდა თავისი სახლიდან აქციები აეღო სესხად იმ კომპანიაში დასაბანდებლად, რომელთან დაკავშირებითაც დადებითად არ ვიყავი განწყობილი. მახსოვს გირავნობის ოფისში ზემოთ რომ ავდიოდით, ერთ-ერთი ჩემი წარმომადგენელი დამელაპარაკა მასზე. უეცრად, ვიგრძენი როგორ მეუბნებოდა სულიწმიდა, თუ რა უნდა გამეკეთებინა ამ შემთხვევასთან დაკავშირებით. ჩემს წარმომადგენელს ვუთხარი: „შენ შეგიძლია საქმეს მიხედო, მაგრამ ამ კლიენტს ხელი მოაწერინე წერილზე, რომელიც ამ სესხის პაკეტის ნაწილი იქნება, სადაც ვახსენებთ, რომ დაბანდების კომპანიის ნაწილი არ ვართ და უბრალოდ სესხს ვაკეთებთ კლიენტის მოთხოვნიდან გამომდინარე“. ჩვენ განვაცხადეთ, რომ არანაირ პასუხისმგებლობას არ ვიღებდით ზემოთ თქმული დაბანდების უსაფრთხოებასთან ან შესრულებასთან დაკავშირებით და

შეგიძლია ენდო სულიწმიდას, რომ დაგეხმარება და წარგიძღვება ნებისმიერ სიტუაციაში.

არც ჩვენ ვურჩევდით ამ კლიენტს მოცემულ კომპანიაში დაბანდებას. დაახლოებით ექვსი თვის შემდეგ, ყველაფერი აირია. დაბანდების კომპანიამ ამ კლიენტის მთელი ფული დაკარგა. საქმე აღიძრა, როგორც დაბანდების კომპანიის, ასევე ჩემი კომპანიის წინააღმდეგ. თუმცა, როცა მათმა რწმუნებულმა ჩვენი წერილი ნახა, რომელზეც კლიენტი ხელს აწერდა, სასამართლოდან გაგვათავისუფლეს.

სწორედ სულიწმიდამ გამაჩერა იმ დღეს კიბეზე და მათქმევინა ჩემი წარმომადგენლისთვის, რომ საბოლოო პაკეტში ეს წერილი ჩაედო. შეგიძლია ენდო სულიწმიდას, რომ დაგემხარება და წარგიძღვება ნებისმიერ სიტუაციაში. როგორც იესომ თქვა: „ნუ გეშინიათ!“

ამ ისტორიას ჩემს სხვა წიგნშიც ვყვები, მაგრამ ამ განხილვაში გამეორებას იმსახურებს. ერთხელ, ჩვენი ოჯახი სამი დღით გადიოდა ქალაქგარეთ. ყველანი ფურგონში ვისხედით და როცა ძრავა დავქოქე, უეცრად სულიწმიდამ მითხრა, რომ ჩემი მანქანა გადამეადგილებინა. გზაზე ფურგონის გვერდით კიდევ ერთი ჩემი მანქანა ეყენა და სულიწმიდამ მითხრა, რომ ეს მანქანა გაზონზე გადამეყვანა. ეს ისეთი უცნაური იყო. ვიფიქრე: „რატომ მეტყოდა სულიწმიდა რომ მანქანა გზიდან გაზონზე გადამეყვანა?“ წარმოდგენა არ მქონდა. მაგრამ შთაბეჭდილება ძლიერი იყო! ამრიგად, დრენდას ვუთხარი რას ვაკეთებდი, გადავედი და მანქანა გზიდან გაზონზე გადავიყვანე. ამაზე ბევრი აღარ მიფიქრია კვირა საღამომდე, როცა სახლში დავბრუნდით. იმ ადგილას, სადაც ჩემი მანქანა მანამდე იდგა, ახლა დიდი ნეკერჩხლის ხე იყო წაქცეული მთელ გზაზე. ჩემი მანქანა კი იდეალურად იდგა გაზონზე, ხე მას მთლიანად ასცდა. ძველებურად გზაზე რომ მდგარიყო, მთლიანად დაზიანდებოდა.

მე და დრენდა რეალურად, იმის რეკლამად გამოვდგებოდით, თუ რა არ უნდა გაუკეთო ფულს. მაგრამ ერთადერთი, რაც გვჭირდებოდა, იყო რამდენიმე საიდუმლო სტრატეგია და საიდუმლო სიბრძნე, რომ ჩვენს გარემოებებზე მაღლა დავმდგარიყავით. ახლა, უნდა გავიღიმო, რადგან ჩვენს სატელევიზიო გადაცემას, რომელსაც მთელს მსოფლიოში

უყურებენ, ჰქვია *ფულთან დაკავშირებული საკითხის გადაჭრა!*

მეგობარო, აი შენი ხვედრი დღეს.

„ძლიერდებოდნენ უძლურებისგან, მაგრები იყვნენ ომში, დევნიდნენ უცხოთა ჯარებს“ . (ებრაელთა 11:34ბ)

რთული და შეუძლებელი სიტუაციები აღარაა რთული და შეუძლებელი, როცა პასუხები იცი!

თავი 9

წყნარი, მშვიდი ხმა

როცა სულიწმიდის ხმაზე სწავლება დავიწყე, ძალიან ბევრი ადამიანი მეუბნებოდა, რომ მათ არასდროს გაეგოთ ღმერთის ხმა. მე კი ყოველთვის ვეუბნებოდი, „დიახ, მოგისმენიათ!“ თუ შენც ასევე ფიქრობ, როგორც ძალიან ბევრი,რომ არასდროს მოგისმენია ღმერთის ხმა, მაშინ გთხოვ 1 მეფეთა 19:11-12 წაიკითხე.

> *„უთხრა უფალმა: „წადი და მთაზე დადექი უფლის წინაშე“.*
>
> *აჰა, ჩაიარა უფალმა, მოჰყვა მას დიდი და ძლიერი ქარი, მთებს შლიდა და კლდეებს ამსხვრევდა უფლის წინაშე, მაგრამ ქარში არ იყო უფალი, ქარის მერე - მიწისძვრა, არც მიწისძვრაში იყო უფალი. მიწისძვრის მერე - ცეცხლი, არც ცეცხლში იყო უფალი. ცეცხლის მერე - ჩუმი, ნაზი ხმა“.*
>
> – 1 მეფეთა 19:11-12

მიუხედავად იმისა, რომ სულწმიდის ხმა სხვადასხვა დონის სიძლიერით გამიგია, მისი ჩვეული ხმა ნაზი ჩურჩულია. ეს არის წყნარი, მშვიდი ხმა. როგორც უკვე ვთქვი ამ წიგნში, ჩვეულებრივ ღმერთის ხმა ჟღერს, როგორც სხვადასხვა ხმაზე წარმოთქმული აზრი. როგორც შენ შეგიძლია გაარჩიო შენი შვილის ხმა ბრბოში, ასევე შეგიძლია დაიწყო სულიწმიდის კარგად გაცნობა, რათა იცოდე მისი ხმა, როცა ის ლაპარაკობს. თუმცა, ამ თავში, მინდა გესაუბროთ ღმერთის ხმაზე, რომელზეც არავინ ფიქრობს, მაგრამ ყველას მოუსმენია.

როცა კოლეჯში ორალ რობერთსის უნივერსიტეტში ვსწავ-ლობდი, რამდენიმე თეოლოგიის კურსი გავიარე, რადგან ჩემი ძირითადი მიმართულებას ძველი აღთქმა წარმოადგენდა. ძალიან ბევრი ინფორმაცია იყო, რაც მანამდე არასდროს მსმენოდა; რეალურად, მისი ძირითადი ნაწილი არასდროს მსმენოდა. სკოლაში გაკვეთილების გაცდენის გამო, სწავლისთვის საჭირო წეს-ჩვეულებები არ მქონდა, ამიტომ ძალიან დიდი ძალისხმევა მჭირდებოდა, რათა არ ჩამოვრჩენილიყავი, განსაკუთრებით ფინალური გამოცდების კვირაში. ამ ერთ კონკრეტულ საგანში, უნდა დამეწერა ფორმალური სტატია ძველი აღთქმის რომელიღაც თემაზე, რომელსაც ახლა ვერ ვიხსენებ. მაგრამ სტატიების წერა მაშინებდა. მახსოვს, სწავლის პირველ წელს, პირველი სტატია რომ დავწერე, როდესაც უკან დამიბრუნეს იგი, წინა გვერდზე უდიდესი F ეწერა წითელი კალმით ამ სიტყვებთან ერთად: „საერთოდ სკოლაში დადიოდი?“. ჩემი ინგლისური და გრამატიკა იმდენად საშინელი იყო, რომ მასწავლებელი გაოცდა თუ, როგორ მოვხვდი უნივერსიტეტში. პირველი წელი რომ ჩამემთავრებინა, ინგლისურში დახმარებაც კი დამჭირდა დამატებითი გაკვეთილების სახით.

ახლა, ფინალური გამოცდების კვირის წნეხთან ერთად, კიდევ ერთი ნაშრომი მქონდა დასაწერი. ოჰ, როგორ მეშინოდა ამ პროექტის. დავჯდებოდი წერის დასაწყებად, მაგრამ ჩემთვის არასდროს უსწავლებიათ, როგორ დამეწერა ნაშრომი, ამიტომ უბრალოდ ვეძებდი რაღაც მასალებს და ვიწერდი სიტყვებს ოდნავი გადანაცვლებით, რათა ვერავინ მიმხვდარიყო, რომ ჩემი ნაშრომი სხვადასხვა წყაროებიდან იყო გადმოწერილი. ჩემი გული სუფთა იყო, რადგან ამას ისე, ნამდვილად არ აღვიქვამდი, როგორც რაიმე ცუდის კეთებას, უბრალოდ წაკითხულ ინფორმაციას ჩემი სიტყვებით ვწერდი; ფაქტი ის იყო, რომ მართლა არ ვიცოდი, როგორ დამეწერა.

ამ შემთხვევაში, დრო არ მქონდა. ჩემი მეგობარი, რომელიც დერეფნის ბოლო ოთახში იყო, ასევე გადიოდა ამ კურსს, უბრალოდ დღის სხვა მონაკვეთში. მოცემულ საგანში ყველას ერთ საკითხზე უნდა დაგვეწერა თემა, ამიტომ ვთხოვე ჩემს მეგობარს, თუ შემეძლო მენახა როგორი სტრუქტურა ჰქონდა მის ნაშრომს. რაღაც მიზეზის გამო, მისი ნაშრომის ხელში აღებისას გავიაზრე, რომ მასსავით კარგ თემას ვერ დავწერდი

და გადავწყვიტე გადამეწერა. ვიცი, ვიცი, რომ შოკში ხართ. გახსოვდეთ, მართლა ჩვილი ვიყავი ქრისტიანობაში ამ მხრივ. ნუ მე არ გადამიწერია მთელი ნაშრომი, მაგრამ დაახლოებით ნახევარი ზუსტად გადავწერე ჩემს თემაში. ფინალური გამოცდების ბოლოს, ეს თემა ჩემს პროფესორს მივეცი, შვება მოგვრილმა, იმის გამო რომ წერის პროცესი დამთავრდა. მაგრამ რაღაც მოხდა შემდეგ, რამაც საკმაოდ ღირებული გაკვეთილი მასწავლა ღმერთის ხმის მოსმენასთან დაკავშირებით.

როცა იმ ღამით დასაძინებლად წავედი, ვერაფრით დავიძინე. ჩემი სინდისი ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა... გავაცნობიერე, რომ რაც მე გავაკეთე არასწორი იყო, რომ მოვიპარე და მოვიტყუე; ასევე არ დავაფასე ჩემი მეგობარი და მასაც უპატივცემულოდ მოვექეცი. საშინლად ვგრძნობდი თავს! დილის სამ საათზე, დერეფნის ბოლოში ჩავედი ჩემი მეგობრის გასაღვიძებლად, ვუთხარი რაც გავაკეთე და ბოდიში მოვუხადე. მან ნამძინარევი თვალებით შემომხედა და მითხრა: „წადი დაიძინე, გარი“. შემდეგ გადაბრუნდა და ძილი განაგრძო.

შემდეგ დღეს, ჩემს პროფესორთან წავედი და ვაღიარე რაც გავაკეთე. რა თქმა უნდა, ჩემთვის F უნდა დაეწერა, მაგრამ გამიღიმა და მითხრა, რომ სიწრფელეს აფასებდა. მოგვიანებით მითხრა, იმის გამო, რომ მასთან მივედი, ამ წელს ამ საგანში B-ის დამიწერდა. ვერ წარმოიდგენთ, როგორი შვება იყო და რამდენად კარგად ვიგრძენი თავი, რომ მსჯავრდადების ეს ხმა გავაჩუმე, გავთავისუფლდი და სიმშვიდე ვპოვე.

ამრიგად, ნება მომეცით, გკითხოთ: „რატომ გადაბრუნდა ჩემი მეგობარი და გააგრძელა ძილი, როცა მე ასეთ ემოციურ აგონიაში ვიყავი? რატომ არ იყო ისიც ასეთ აგონიაში? რატომ არ შემეძლო დამეძინა მე და რატომ ვგრძნობდი თავს ასე საცოდავად?“ ყოველ ჯერზე, როცა დაძინებას ვცდილობდი, ხმა მელაპარაკებოდა. ის მსჯავრს მდებდა - ეს ჩემი სინდისი იყო! სინდისის განმარტებაა: შინაგანი ცოდნა სწორის და არასწორის შესახებ. იგი სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „იცოდე“ ან „გქონდეს ცოდნა რაიმეს შესახებ“.

როგორც სანთელი, მისი სინათლე ანათებს, რათა ბნელი შთანთქოს. იგი შესანიშნავად იწერს ყველა აზრს და ყველა საქმეს, რაც კი ოდესმე გაგიკეთებია. როგორც მოწმე, სასამართლო დარბაზში, იგი ამოწმებს იმას, რაც თითქმის

დაფარულია. იგი ლაპარაკობს და გახსენებს, რომ სწორი აკეთო და თავი აარიდო არასწორს. სინდისი არის ღმერთის შინაგანი ხმა თითოეულ ადამიანში. სინდისი ყველა კაცსა თუ ქალს ეძახის თავისი ქმედებების ანგარიშისთვის. სინდისი უხმობს თითოეულ ადამიანს, როგორც სასამართლო დარბაზში, რათა ღმერთის წინაშე ანგარიში ჩააბაროს. როგორც მოწმეა მოხმობილი სამხილის მისაცემად, ასევე ჩვენი სინდისი ან ჩვენს სასარგებლოდ ლაპარაკობს (გვიცავს) ან მსჯავრს გვდებს (გვადანაშაულებს).

სამედიცინო ექსპრესის მიერ ჩატარებული კვლევა ამტკიცებს ამ ფაქტებს:

„ამჟამად გაბატონებული თეორია ადამიანის განვითარების შესახებ გვეუბნება, რომ ადამიანი იწყებს თავის სიცოცხლეს „მორალურად სუფთა ფურცლის მდგომარეობაში“, მაგრამ ახალი კვლევა ეწინააღმდეგება ამ ხედვას. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ჩვილები ექვსი თვის ასაკშიც კი, უკვე მორალურ განსჯებს აკეთებენ. აქედან გამომდინარე, ისინი ფიქრობენ, რომ შესაძლებელია ტვინში ჩაბეჭდილი მორალური კოდით ვიბადებოდეთ“.[3]

ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲮᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲐᲪᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲨᲘ, ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲡ ᲐᲜᲐᲑᲔᲭᲓᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝᲗ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲨᲔᲕᲘᲥᲛᲔᲜᲘᲗ.

„ამით გავიგებთ, რომ ჭეშმარიტებისგან ვართ და დავიმშვიდებთ გულს მის წინაშე. რადგან თუ გული გვდებს მსჯავრს, ღმერთი ხომ ჩვენს გულზე დიდია და ყოველივე უწყის. საყვარელნო! თუ გული არ გვდებს მსჯავრს, გაბედულება გვაქვს უფალთან. და რასაც კი ვთხოვთ, მივიღებთ მისგან, რადგან ვიცავთ მის მცნებებს და მოსაწონს ვიქმთ მის წინაშე“.

– 1 იოანე 3:19-22

სინდისი არის ღმერთის ხმა ყველა კაცსა და ქალში, შემოქმედის ანაბეჭდი, მისი მოთხოვნებია რომ ვიცხოვროთ ისეთი ცხოვრებით, როგორისთვისაც შევიქმენით. ვერავინ გაექცევა

თავის სინდისს. ყოველთვის მიკვირდა, როგორ შეეძლოთ ადამიანებს, რომლებიც ვინმეს მოკვლის ან ბანკის გაძარცვის შემდეგ გარბოდნენ, მოგვიანებით კი თავს აბარებდნენ. მაგრამ ახლა ვიცი, რომ არ არსებობს უფრო დიდი ტანჯვა, ვიდრე სინდისი, რომელიც მსჯავრს გდებს, როგორც დამნაშავეს! პავლე ამბობს 2 კორინთელთა 1:12-ში, რომ სინდისი ამოწმებს, ის ლაპარაკობს.

> *„აი, რა არის ჩვენი სიქადული: ჩვენი სინდისის მოწმობა, რომ ღვთაებრივი სიწმიდით და გულწრფელობით ვიქცეოდით წუთისოფელში. განსაკუთრებით თქვენთან, არა ხორციელი სიბრძნით, არამედ ღვთის მადლით“.*
>
> – 2 კორინთელთა 1:12

შეიძლება თქვათ: „რა ძალაუფლებით ლაპარაკობს სინდისი? რატომ დაამოწმებს იგი სულიერ სასამართლოზე?“ რადგან იგი ღმერთის ხმაა. პავლე, კვლავ გვეუბნება რომაელთა 2:14-15-ში, რომ სინდისი აქტიურად ლაპარაკობს ჩვენზე.

> *„(რადგან, როცა წარმართნი, რომელთაც რჯული არ გააჩნიათ, ბუნებით რჯულისამებრს აკეთებენ, თუმცა რჯული არა აქვთ, თავისი თავის რჯული არიან. რომლებიც წარმოაჩენენ, გულებში დაწერილ რჯულის საქმეს, რასაც მოწმობს მათი სინდისი და აზრები, ხან ბრალს რომ სდებენ ერთიმეორეს და ხან ამართლებენ)“.*
>
> – რომაელთა 2:14-15

ყველას აქვს სინდისი. შეიძლება არ დაეთანხმო. შეიძლება იცნობდე ადამიანებს, რომლებსაც გგონია, რომ გრძნობები არ აქვთ. მაგრამ გარანტიას გაძლევთ, რომ ასე არ დაუწყიათ. თუ ადამიანი აგრძელებს ჯიუტობას სინდისის ხმისადმი, ეს ხმა უფრო და უფრო ჩაჩუმდება.

„ცრუმეტყველთა თვალთმაქცობით, რომელთა სინდისიც დადაღულია“. (1 ტიმოთე 4:2)

პავლე ამბობს, რომ მათ დადაღეს თავიანთი სინდისი, ანუ ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანეს საკუთარი თავი რომ ველარ გრძნობენ და ესმით სინდისის, რადგან გული გაიქვავეს. შენს კანზე იფიქრე. თუ დადაღავ მას, რაც დაწვას ნიშნავს, მგრძნობელობას დაკარგავ, სანამ ახალი კანი არ წამოვა და ძველი, მაგარი კანი არ აიქერცლება. იგივე ხდება ჩვენი სინდისის შემთხვევაშიც. სინდისი ვერაფერს გაგაკეთებინებს - იგი ლაპარაკობს. შეგიძლია დააიგნორო ის ან მის წინააღმდეგ წახვიდე. მაგრამ პავლე გვაფრთხილებს, რომ თუ შენს სინდისს დაიგნორებ, ეს დიდ პრობლემებს გამოიწვევს; ან, როგორც პავლე ამბობს, შენს ცხოვრებას დაამსხვრევს.

> *„ამ მცნებას შენ განდობ, შვილო ტიმოთე, შენზე მოვლენილი უწინდელი წინასწარმეტყველების თანახმად, რათა მისი მეშვეობით იომო, როგორც კეთილმა მეომარმა, გქონდეს რწმენა და კეთილი სინდისი, რაც ზოგიერთმა უარყო და რამაც დაამსხვრია მათი რწმენის ხომალდი“.*
>
> – 1 ტიმოთე 1:18-19

ძირითადად, ადამიანებს, რომლებიც გულს იქვავებენ თავიანთი სინდისისადმი, დაკარგული აქვთ თავიანთი ცხოვრების მართვის უნარი. მათი კომპასი დაზიანებულია და აღარ მუშაობს. აღარ იციან საით მიდიან. პავლე ამბობს, რომ გვჭირდება ჩავეჭიდოთ კეთილ სინდისს, რომელიც სუფთაა, რათა დავრწმუნდეთ, რომ სწორი ნავიგაცია გვაქვს. იმისათვის, რომ არ გავიუხეშოთ გული და დავიზიანოთ უნარი, რათა ვიგრძნოთ სწორი და არასწორი, პავლე ამბობს, რომ აუცილებელია მივყვეთ კანონს და ვაკეთოთ ის, რაც სწორია.

„ამიტომ გვმართებს მორჩილება, არა მარტო სასჯელის შიშით, არამედ სინდისის გამოც“ . (რომაელთა 13:5)

თუ კანონს არ დაემორჩილები, შენი სინდისი მსჯავრს დაგდებს. ამრიგად, პავლე ამბობს, რომ დავემორჩილოთ კანონს, ვაკეთოთ ის, რაც სწორია, რათა ჩვენი სინდისი დარჩეს ნაზი და მგრძნობიარე და იმოქმედოს ისე, როგორ სამოქმედოდაც ღმერთმა შექმნა იგი, რათა დაგვიცვას საფრთხისგან.

სინდისთან დაკავშირებით, მახსოვს კიდევ ერთი სულელური რამ გავაკეთე, რაც ამ პრინციპის ილუსტრირებისთვის გამოგვადგება. ეს მანამდე მოხდა, სანამ მწყემსობას დავიწყებდი. ისტორიის მოსმენისთანავე მიხვდებით რატომ არ გამიშვა ღმერთმა პასტორად. ისტორია ეხება მანქანას, რომელსაც ერთ დროს ვფლობდი. ეს იყო პეჟო 505 კუპე, რომელიც ძალიან მიყვარდა. ერთ დღეს, შუქნიშანზე ერთი ბიჭი უკნიდან შემეჯახა. საბარგული მიიჭყლიტა, რკინა გაიღუნა და კიდევ სხვა დაზიანებაც მიიღო მანქანამ ამ ავარიის გამო. ამ ბიჭის სადაზღვევო აგენტი მოვიდა ჩემს ფერმის სახლში მანქანის სანახავად და შესაფასებლად.

სანამ გეტყვით, თუ რა მოხდა მისი მოსვლისას, უნდა გითხრათ, რომ ავარიამდე რამდენიმე კვირით ადრე, მანქანის მაყუჩი ჩამოვარდა. ლუქის ძრავიც, ასევე, რამდენიმე კვირით ადრე გაფუჭდა. როცა დაზღვევის აგენტი მოვიდა, მკითხა მანქანის ქვეშ დაგდებული მაყუჩიც (სპეციალურად დავდე იქ, რათა დაენახა) იყო, თუ არა ამ ავარიის ნაწილი. უცებ, დანაშაულის განცდა გამიჩნდა, როცა ვუთხარი: „დიახ, ბატონო“. შემდეგ, მან მკითხა ლუქის ძრავი, რომელზეც ვუთხარი, რომ არ მუშაობდა, იყო, თუ არა ამ ავარიის შედეგი. და ისევ ვუთხარი: „დიახ“.

სულში გავიგონე, როგორ ყვიროდა ჩემი სინდისი, „გარი რას აკეთებ? იტყუები!“ ახლა, მომისმინეთ, თუ როგორ მოვატყუე საკუთარი თავი. კარგად მახსოვს, ჩემთვის ვფიქრობდი, რომ დამეიგნორებინა ეს ხმა, საკუთარ თავს ვეუბნებოდი, რომ ის მალე გაქრებოდა. დღეს არ მჯერა, რომ მაშინ ასე ვფიქრობდი. არ გიხარიათ, რომ ჯერ არ ვიყავი ეკლესიის პასტორი? დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთს უხაროდა!

ასეა თუ ისე, მანქანა პროფილაქტიკაში წაიყვანეს და ერთ კვირაში დამირეკეს წამოსაყვანად. როცა მანქანა დავინახე, ისეთი ბედნიერი ვიყავი. ის სრულყოფილი იყო! სახლში წამოვიყვანე ბედნიერმა რომ ყველაფერი შეაკეთეს. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, გადავწყვიტე სახლში შემევლო და დრენდასთან და ბავშვებთან ერთად მესადილა. ფერმის სახლი მხოლოდ 3 კმ-ში იყო ოფისიდან, რომელიც ჩემი საფინანსო კომპანიისთვის მქონდა ნაქირავები. მანქანა კარის წინ, გზაზე გავაჩერე და მშვენივრად ვისადილე.

როცა სახლიდან გამოვდიოდი და კარი გავაღე, შევამჩნიე, რომ ჩემი მანქანა იქ აღარ იყო. დავიბენი. სად წავიდა მანქანა? გარშემო მიმოვიხედე და ისიც დავინახე. ჩვენი სახლი გორაკის თავზე იყო, მე კი უბრალოდ დამავიწყდა ხელის მუხრუჭი ამომეწია. მიუხედა-

ვად იმისა, რომ ეს მანამდე არასდროს გამიკეთებია, როგორც ჩანს მაშინ ასე მოვიქეცი და ახლა ვხედავდი, რომ მანქანა უკან დაგორებულიყო და ხეს შეჯახებოდა. მანქანასთან მივედი და შოკირებული ვიყავი. საბარგული შეჭყლეტილი იყო, ზარალი ზუსტად იგივე იყო, რაც მაშინ ავარიისას, სანამ გაკეთდებოდა. უკან ზუსტად ისე იყო გაღუნული, მაყუჩი ისევ ჩამოვარდნილი და ლუქის ძრავიც არ მუშაობდა. ყველაფერი ზუსტად იგივე მდგომარეობაში იყო, როგორც ავარიის შემდეგ, სანამ მანქანას პროფილაქტიკაში წავიყვანდი.

იქ მდგარი, უეცრად ყველაფერს მივხვდი და სიცილი დავიწყე. ღმერთი გაკვეთილს მასწავლიდა, რომელიც ამ მქადაგებელ ბიჭს სჭირდებოდა ესწავლა, სანამ ხალხს გაუძღვებოდა. მანქანა აღარ შემიკეთებია. იგი ნაწილებად დავშალე და გავყიდე. ჩემს ცხოვრებაში, მხოლოდ ერთი სხვა შემთხვევა მახსოვს, როცა ჩემი სინდისი ასე ხმამაღლა ყვიროდა, რომ გავჩერებულიყავი. ამას ველოსიპედის ისტორიას ვეძახი.

იმედი მაქვს ეს გეხმარებათ. ვიცი ვერასდროს წარმოიდგენდით, რომ ასეთი რაღაცის გაკეთებამდე დავეცემოდი, მაგრამ ცდებით. ძალიან მიხარია, რომ გადარჩენილი ვარ, რადგან ისეთი განცდა მაქვს, რომ ჩემი ცხოვრება სრულიად სხვანაირი იქნებოდა ასე რომ არ მომხდარიყო.

ეს ველოსიპედის ისტორია რამდენიმე წლის შემდეგ მოხდა, იმ მანქანის ამბიდან, რაც ახლა მოგიყევით და დიახ, ახალი დაწყებული მქონდა ჩვენი ახალი ეკლესიის მწყემსვა. შაბათს, შუადღეს, მამაჩემს ვესტუმრე და უკან ვბრუნდებოდი ჩვენი ვერცხლისფერი დოჯ ქარავანით, ორ ზოლიანი გზით, სადაც მამაჩემი ცხოვრობდა. მამაჩემის სახლი დაღმართის ძირში იყო. რაღაც მიზეზით, ვერ დავინახე ველოსიპედისტი, რომელიც დაღმართზე ეშვებოდა. როცა, უკან ნელა-ნელა ვიხევდი, ის ჩემს უკან არ იყო, მაგრამ დაშვებისას დამეწია, როდესაც გამოვედი და წინ უნდა წავსულიყავი.

მთელი ეს დრო არც კი შემიმჩნევია, მაგრამ უეცრად, ფურგონის გვერდიდან ხმამაღლა მომესმა ბემ, ბემ, ბემ. სარკეში გავიხედე და ჩემი ფურგონის უკან მოტოციკლისტი დავინახე, რომელსაც ხელები გაშვებული ჰქონდა და ორივე ხელით შუა თითს მაჩვენებდა და ხმამაღლა მაგინებდა. ძალიან გაოცებული და შეურაცხყოფილი ვიყავი მისი ასეთი ქცევით. ვიცოდი, რომ მარტივად შეეძლო შეენელებინა, როცა დაღმართზე დაშვებისას დაინახა, რომ გამოვდიოდი. ისიც ვიცოდი, რომ თუ უნდოდა დაღმართზე სრული სიჩქარითაც

შემომივლიდა. მაგრამ ამის ნაცვლად ასე მოქცევა გადაწყვიტა.

სრულიად შოკირებული ვიყავი, რომ იფიქრა შეეძლო მანქანის გაწევა ეიძულებინა ჩემთვის. ვიფიქრე, რომ ვიღაცას ამ შეუპოვარი ადამიანისთვის გაკვეთილი უნდა ესწავლებინა, ამიტომ შევანელე და დაველოდე, რომ ფურგონთან მოახლოებულიყო, შემდეგ უეცრად დავამუხრუჭე. ძალიან ნასიამოვნები დავრჩი, როცა დავინახე, როგორ სცადა უცებ დამუხრუჭება, რათა ფურგონისთვის შეჯახება თავიდან აეცილებინა. ამან ისე გააცოფა, რომ მსგავსი გინება არასდროს მსმენია, რაც მისი პირიდან ამოდიოდა. იგი უბრალოდ აგრძელებდა და აგრძელებდა.

ნელა წავედი წინ და შემოვტრიალდი ისე, რომ გზა დამენახა. კუთხეში დავჯექი და დავუმიზნე ველოსიპედისტს, რომელიც ჩემკენ მოდიოდა. როცა დამინახა, რომ ველოდებოდი, უცებ დაწყნარდა. ვფიქრობ, საბოლოოდ გააცნობიერა, რომ ის ველოსიპედზე იჯდა და მანქანები ველოსიპედებზე ბევრად დიდები არიან. ფანჯარა ჩავწიე და დაველოდე, რომ ჩემს ფურგონს მოახლოებოდა. როცა ახლოს მოვიდა, დავუყვირე, რომ თუ ოდესმე კიდევ დავინახავდი გზაზე, გადავუვლიდი. ამის თქმისას მანქანა დავძარი მისი მიმართულებით, რომელიც ჩემგან 5 მეტრში იყო. ვიგრძენი, რომ ფურგონმა ველოსიპედი გაკაწრა. თავი კარგად ვიგრძენი, თითქოს რაღაც დავამტკიცე. *ნამდვილად ვაჩვენე სეირი*, გავიფიქრე მე, თუმცა არა დიდი ხნით.

ჩემს სულში გავიგონე როგორ ლაპარაკობდა სულიწმიდა ძლიერი, ძლევამოსილი ხმით: „გარი, რას აკეთებ?“ ახლა ამ სიტყვების წაკითხვისას ვერ მიხვდებით, როგორ ჟღერდა ეს ჩემთვის. უეცრად, გავაანალიზე, რომ შემეძლო ადამიანი მომეკლა. უკან გავიხედე სარკით და ის ძალიან ნელა მოდიოდა, როგორც ჩანს ან დაზიანდა, ან უბრალოდ ძალიან გაოცებული იყო იმით, რომ კვლავ ცოცხალი იყო. ზუსტად არ ვიცი. გზაზე წამოვედი, მაგრამ სინდისი გასაქანს არ მაძლევდა. როგორც ახალმა პასტორმა წარმოვიდგინე რა შეიძლებოდა მომხდარიყო. წარმოვიდგინე სათაურები გაზეთებში: „საგზაო შემთხვევისას *„რწმენით სიცოცხლის ეკლესიის“* პასტორმა ველოსიპედისტს გადაუარა“. სულიწმიდამ შემახსენა, რომ სწორედ მისნაირი ადამიანებისთვის მომიწოდა ღმერთმა ამ დასახლებაში ეკლესიის დასაარსებლად. საკუთარი ქმედებებით გაოცებული ვიყავი და უფლის წინაშე ცრემლებით ვინანიებდი.

ამრიგად, მოდი შევთანხმდეთ, რომ ღმერთის ხმა აქამდეც მოგისმენიათ. მაგრამ სინდისის მიმართ მგრძნობიარეობა უნდა შეინარჩუნოთ, არ გაიუხეშოთ გული, რათა ყოველთვის გესმოდეთ

ღმერთის ხმა. ბიბლია ამბობს, რომ ისრაელიანებმა გაიუხეშეს გულები ღმერთის წინააღმდეგ და ველარ შევიდნენ აღთქმულ მიწაზე. ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი გვაფრთხილებს ჩვენ, ახალი აღთქმის მორწმუნეებს, რომ არ მივყვეთ მათ მაგალითს.

> *„ამიტომაც, როგორც სულიწმიდა ამბობს: „დღეს, როცა მოისმენთ მის ხმას, ნუ გაიქვავებთ გულებს, როგორც ამბოხის ჟამს, უდაბნოში გამოცდის დღეს“.*
>
> – ებრაელთა 3:7-8

ეს გაფრთხილება მინიმუმ სამჯერაა გამეორებული მესამე და მეოთხე თავებში. რატომ გვაფრთხილებს? რადგან ღმერთს სურს, რომ გაკურთხოს, მას სურს, რომ მიიღო ყველაფერი, რის გამოც იესომ ფასი გადაიხადა.

გულგაქვავებულად ყოფნა იმ პონის მახსენებს, რომელიც პატარაობაში მყავდა. ყველაზე ჯიუტი ცხოველი იყო, რაც კი მინახავს და ამავდროულად ჭკვიანიც. მხოლოდ მე შემეძლო მისი ტარება, ან შეიძლება ვთქვა, მხოლოდ მე ვბედავდი მის ტარებას. მახსოვს ერთ დღეს მეგობარი მყავდა სტუმრად, რომელმაც განაცხადა, რომ ცხენები ძალიან უყვარდა და ნებისმიერს გაუმკლავდებოდა. დაიჟინა პონი ტონი (ასე ერქვა) ეტარებინა. რაღაც დროის შემდეგ, შეძლო ცდაზე დავეთანხმებინე, ასე რომ ტონი შევკაზმე. ამ ბიჭს ჯეკი ერქვა და არასდროს დამავიწყდება რა მოხდა, როცა უნაგირზე შეჯდა. ტონიზე შეჯდა თუ არა, მაშინვე დაიძრნენ. პონი სწრაფი სვლით წავიდა გუბისკენ, რომელიც დაახლოებით 50 მეტრში იყო სახლიდან. ჯეკიმ სადავე მოქაჩა, რაც შეეძლო და უყვიროდა პონის რომ გაჩერებულიყო, მაგრამ ტონი ყურადღებას არ აქცევდა. ამის ნაცვლად, ტონი მთელი სისწრაფით გაიქცა გუბისკენ, უკანა ფეხები ჰაერში აწია და თავი წყლის ზედაპირამდე დახარა. ნუ, რა თქმა უნდა, ჯეკი პონიდან გადმოფრინდა და პირდაპირ გუბეში გადაეშვა. ტონი კი შემობრუნდა და ბალახის ძოვა დაიწყო, თითქოს არაფერი მომხდარიყო.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲣᲚᲘᲬᲛᲘᲓᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: „ᲓᲦᲔᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲘᲡᲛᲔᲜᲗ ᲛᲘᲡ ᲮᲛᲐᲡ, ᲜᲣ ᲒᲐᲘᲥᲕᲐᲕᲔᲑᲗ ᲒᲣᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛᲑᲝᲮᲘᲡ ᲟᲐᲛᲡ, ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ“. _ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲗᲐ 3:7–8

ხედავთ, ტონის სადავეს იმდენად ხშირად ვქაჩავდით, რომ კისერში ველარაფერს გრძნობდა. მისი კანი დაკო-

ჟრილი გახდა, რის გამოც სადავის მოქაჩვას ყურადღებას აღარ აქცევდა. როგორც პონი, ტონი არაფერს წარმოადგენდა, რადგან ჩემ გარდა არავისთვის მოჰქონდა სარგებელი. რატომ? რადგან, როგორც მე ვთქვი, ის ჭკვიანი იყო. მე ვიყავი ერთადერთი, ვინც მას კვებავდა. და მან იცოდა, რომ ერთადერთი გზა სუფთა ჰაერზე და მწვანე ბალახზე გასასვლელად, რომელიც ასე უყვარდა, იყო ნება მოეცა ჩემთვის მეტარებინა. მაგრამ მე თვალი უნდა მედევნებინა მისთვის. თავი გვერდზე ჰქონდა გადაგდებული, რათა თან ჩემთვის ეყურებინა ხოლმე. მელოდებოდა, როდის შევაბრუნებდი თავს საპირისპირო მიმართულებით და მაშინვე უკან გადაიხრებოდა და ფეხზე მიკბენდა. და გეტყვით, რომ ეს ნამდვილად მტკივნეული იყო, ამიტომ ყოველთვის თვალი მეჭირა მასზე. თუმცა ის ჩვენთვის გამოსადეგი ნამდვილად არ იყო.

თუ დავუშვებთ ჩვენი გულების გაქვავებას, ღმერთისთვის ისეთივე გამოუსადეგრები ვხდებით, როგორც ტონი იყო. ერთხელ, ტონი გარეთ გვყავდა ჯაჭვით დაბმული. მამაჩემი წყალს ქეთლში ასხამდა მისთვის. როცა მამაჩემი მოტრიალდა ტონი მიწვდა და უკბინა. მამაჩემს ჯერ არ ჰქონდა უფლისგან ხსნა მიღებული და საკმაოდ ფიცხი იყო. წყლიანი ქეთლის გვერდით მარილის ლოდი იდო. მამაჩემმა აიღო მარილი და მთელი ძალით ესროლა პონის. მაგრამ ტონი გადარჩა. ვენდობოდი ტონის? არასდროს!

და აი როგორ ხდება ადამიანთა ცხოვრებაში. ისინი ფიქრობენ, რომ უბრალოდ არ დაემორჩილებიან, ამ ერთხელ სინდიდის წინააღმდეგ წავლენ, მაგრამ ვერ აცნობიერებენ, რომ ყოველ ჯერზე ნაიარევს აჩენენ. ერთ დღეს ტონის მსგავსები გახდებიან და ვეღარ იგრძნობენ ტკივილს ან სინდისის ქენჯნას თუ აირჩევენ, რომ არ დაემორჩილონ ღმერთს და არ გააკეთონ, რასაც ის ამბობს. ამის წამალია სწრაფად მოინანიო, როცა გაანალიზებ, რომ შენი სინდისის წინააღმდეგ წახვედი.

ფსალმუნი 51 მეფე დავითმა მას შემდეგ დაწერა, რაც ბათშებასთან შესცოდა. ეს მონანიების ფსალმუნია.

> *„შემიწყალე ღმერთო, შენი წყალობისამებრ; შენი მრავალი წყალობისამებრ წაშალე ჩემი დანაშაული. სრულად განმბანე ჩემი ბრალისგან და გამასუფთავე ჩემი ცოდვისგან. ვინაიდან ვიცი ჩემი დანაშაული და მუდამ თვალწინ მიდგას ჩემი ცოდვა. შენ, მხოლოდ შენ შეგცოდე და ბოროტება ჩავიდინე შენს თვალში, ამიტომ მართალი ხარ შენს სიტყვებში და*

*უმწიკვლო - შენს სამართალში. აჰა, ცოდვილად დავიბადე, დიახ ცოდვილად ჩავესახე დედაჩემს. აჰა, გულში დაფარული ჭეშმარიტება გსურს, დაფარულში მასწავლი სიბრძნეს. მასხურე უსუპი და განვიწმიდები; განმბანე და თოვლზე მეტად გავსპექტაკდები. ლხინისა და სიხარულის ხმა გამაგონე, გაახარე ჩემი ძვლები, შენ რომ შემუსრე. სახე აარიდე ჩემს შეცდომებს და ყველა ჩემი ბრალი წაშალე. **სუფთა გული შექმენი ჩემში**, ღმერთო და წრფელი სული განმიახლე. ნუ უკუმაგდებ შენგან და შენს წმიდა სულს ნუ წამართმევ. შენი ხსნის სიხარული დამიბრუნე და შენი დიდებული სულით გამამაგრე".*

– ფსალმუნი 51:1-12

„რადგან მსხვერპლი არ გსურს, რომ შემოგწირო და სრულადდასაწველს არ ინებებ. შესაწირი ღმერთისა - სული მოდრეკილი; მოდრეკილისა და მორჩილის გულს არ დაამცირებ ღმერთო".

– ფსალმუნი 51:16-17

დავითი ღმერთს შეჰღაღადებს, რომ შექმნას მასში მოდრეკილი სული და სუფთა და მორჩილი გული. დავითი ამბობს, რომ მას სურს გული, რომელიც კვლავ იგრძნობს. თუმცა დავითი არასდროს გაეხვეოდა იმ პრობლემებში, რაშიც აღმოჩნდა, თავისი სინდისისთვის რომ მოესმინა. ამრიგად, გახსოვდეს, თუ უკუაგდებ შენს სინდისს, გულს გაიქვავებ, მაშინ უფრო მარტივი იქნება ამის გაკეთება შემდეგ ჯერზე და შემდეგ ჯერზე და შემდეგ ჯერზე, სანამ ღმერთის ხმას საერთოდ ვეღარ მოისმენ.

სინდისი ერთ-ერთი საშუალებაა, რისი მეშვეობითაც ღმერთის ხმა გვესმის. რა თქმა უნდა, სულიწმიდა პირდაპირაც გველაპარაკება მითითებებითა და მიმართულებებით. და როგორც უკვე ვთქვი, მომისმენია, როგორ შემისწორა ქცევა სულიწმიდამ ხმამაღალი, ძლევამოსილი ხმით, ისევე როგორც წყნარი, მშვიდი ხმით. მომისმენია, როგორ დამლაპარაკებია სიზმრებისა და ხილვების მეშვეობითაც, რასაც შემდეგ თავში შევეხები. მაგრამ ამ თავში, ვისწავლეთ, რომ თუ გვსურს ღვთის ხმა მოვისმინოთ, ჩვენი სინდისი სუფთა უნდა იყოს მსჯავრდადებისგან; სწრაფი უნდა ვიყოთ მონანიებაში, რათა მგრძნობიარეობა შევინარჩუნოთ და გვესმოდეს მისი ხმა!

თავი 10

ხილვები და სიზმრები

უეცრად საწოლში წამოვჯექი და დრენდას ვუთხარი: „შენ ფეხმძიმედ ხარ გოგონაზე!“

ჩვენი ხუთი შვილიდან მხოლოდ ერთზე მითხრა ღმერთმა ბავშვის სქესი - პოლიზე, ჩვენს მეოთხეზე. ვფიქრობ, ასე იმიტომ მოხდა, რომ ჩავჭიდებოდით მას, როცა ჩვენი ოჯახი ავტო ავარიაში მოყვა, დრენდა ექვსი თვის ორსული იყო პოლიზე. ორზოლიან გზაზე 55 კმ/სთ სიჩქარით მივდიოდით, როცა უეცრად ჩვენს წინ ახალგაზრდა კაცი გაჩერდა. შეჩერების დრო არ იყო, ასე რომ მის მანქანას შევასკდით. სერიოზულად არავინ დაშავებულა, თუმცა ყველანი საავადმყოფოში გადავედით. დრენდას, რომელიც ორსულად იყო, ღვედისგან ჩალურჯება ჰქონდა მიღებული მუცლის არეში. იგი პოლიზე ნერვიულობდა. რადგან ღმერთი პოლის შესახებ დაგველაპარაკა, მშვიდობის განცდა გვქონდა და ვიცოდით, რომ პოლი კარგად იქნებოდა და ასეც იყო.

პოლიზე ლაპარაკისას, გამახსენდა, როცა ის თავად იყო ორსულად პირველ შვილზე. მე და დრენდას ქვეყნიდან გვიწევდა გასვლა ბიზნეს მოგზაურობით. სამწუხაროდ, პოლის მშობიარობის თარიღი ზუსტად ჩვენი მოგზაურობის შუა პერიოდს ემთხვეოდა. თუ იცნობთ ჩემს ცოლს დრენდას, ის არავითარ შემთხვევაში არ გამოტოვებს შვილის მშობიარობას. ამიტომ ვფიქრობდით მოგზაურობა ხომ არ გაგვეუქმებინა. რაღაც პერიოდი ვილოცე ამ საკითხზე და სულიწმიდამ მითხრა, რომ მშობიარობის სავარაუდო თარიღი არასწორი იყო და რომ ბავშვი ჩვენი ჩამოსვლის მეორე დღეს დაიბადებოდა. დრენდას ვუთხარი, თუ რა მოვისმინე უფლისგან თარიღთან დაკავშირებით და სამოგზაუროდ წავედით. როცა ჩამოვედით, პოლი სწორედ მაშინ წავიდა სამშობიაროში, როცა უფალმა გვითხრა. აივორი, ჩვენი შვილიშვილი სწორ დროს დაიბადა.

ეს იმის მაგალითებია, თუ როგორ გველაპარაკება სულიწმიდა ცხოვრებისეულ სიტუაციებში, როცა სულიწმიდის სიტყვები ჩვენი სულიდან გამოდის. მაგრამ სხვა გზებიც არსებობს, თუ როგორ გველაპარაკება სულიწმიდა, რაც გვჭირდება რომ ვიცოდეთ.

> *„ამის შემდეგ გადმოვღვრი ჩემს სულს ყოველ ხორციელზე და იწინასწარმეტყველებენ თქვენი ძენი და ასულნი, თქვენს მოხუცებს სიზმრები დაესიზმრებათ და თქვენი ჭაბუკნი ხილვებს იხილავენ. მონებსა და მხევლებზეც გადმოვღვრი იმ დღეებში ჩემს სულს“.*
>
> – იოველი 2:28-29

იოველ წინასწარმეტყველმა თქვა, რომ მოდიოდა დღე, როცა უფალი გადმოღვრიდა თავის სულს მთელს კაცობრიობაზე. ჩვენ ახლა ამ დღეში ვცხოვრობთ. სულთმოფენობის დღეს, სულიწმიდა გადმოვიდა მათზე, ვინც ზედა ოთახში ელოდებოდნენ. ხალხმა, როცა დაინახა, რომ ზედა ოთახში მყოფნი ენებზე ალაპარაკდნენ და ღმერთს ადიდებდნენ, იფიქრეს, რომ დათვრნენ და ამბობდნენ: „ეს რა არის?“ მაშინ პეტრე ადგა და გამოეყო ხალხს.

> *„ხოლო პეტრე თერთმეტთან ერთად წამოდგა, ხმა აიმაღლა და უთხრა მათ: „იუდეველნო და იერუსალიმის ყველა მკვიდრო! დაე, ცნობილი იყოს ეს თქვენთვის, ყური დაუგდეთ ჩემს ნათქვამს. ვინაიდან მთვრალები არ არიან ისინი, თქვენ რომ გგონიათ, რამეთუ დღის მესამე საათია ახლა. არამედ, ეს ითქვა წინასწარმეტყველ იოველის მეშვეობით: იქნება უკანასკნელ დღეებში, ამბობს ღმერთი, რომ ჩემი სულისგან გადმოვღვრი ყველა ხორციელზე და იწინასწარმეტყველებენ თქვენი ძენი და ასულნი; თქვენი ჭაბუკნი ჩვენებებს იხილავენ და თქვენს მოხუცებულებს სიზმრები დაესიზმრებათ. ჩემს მონებსა და მხევლებზეც გადმოვღვრი იმ დღეებში ჩემი სულისგან და იწინასწარმეტყველებენ“.*
>
> – საქმეები 2:14-18

სიზმრები და ხილვები საკმაოდ დიდი ნაწილია იმისა, თუ როგორ გველაპარაკება სულიწმიდა. ზუსტად არ ვიცი რატომ ლაპარაკობს სულიწმიდა ზოგჯერ წყნარი, მშვიდი ხმით და ზოგჯერ — სიზმრებით. ვფიქრობ, პასუხის ნაწილი ისიცაა, რომ ძალიან დაკავებულები ვართ. როცა ჩუმად ვართ, მას შეუძლია ჩვენი ყურადღების მიპყრობა. ან შეიძლება იმიტომ იყოს ასე, რომ იმდენად დაბნეულები ვართ, ან ისეთი გარემოებებია ჩვენს გარშემო, რომ რთულია ამ მტკიცე, ჩუმი ხმის მოსმენა. სულიწმიდას უბრალოდ სურს დარწმუნდეს, რომ მივიღეთ საჭირო სიტყვა. ყველაფრის შემდეგ, სურათი ათას სიტყვად ფასობს. რაც არ უნდა იყოს მიზეზი, მე ვმადლობ ღმერთს სიზმრებისა და ხილვებისთვის. სიზმრები და ხილვები ერთმანეთს ჰგავს. ორივე სურათია, რასაც ვხედავთ, განსხვავება ისაა, რომ ხილვებს ვხედავთ, როცა გვღვიძავს, ხოლო სიზმრები სურათებია, რომელთაც ძილში ვხედავთ.

ხილვებთან დაკავშირებით შემიძლია ვთქვა, რომ მხოლოდ რამდენიმე მქონდა რომელთაც, ღია ხილვას ვუწოდებდი. მათ მაშინ ხედავ როცა, გღვიძავს და ისე ხედავ, თითქოს რეალურია. ყველაზე აზრიანი ხილვა, რაც კი ოდესმე მქონია, იყო 19 წლის ასაკში, როცა მივიღე მოწოდება, რომ მექადაგა. როცა ეს მოხდა დაახლოებით ერთი თვის მონათლული ვიყავი სულიწმიდით. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჩემთვის სიახლე იყო, რადგან დენომინაციურ ეკლესიაში, სადაც მანამდე დავდიოდი, ამდენს არ ასწავლიდნენ სულიწმიდის შესახებ.

ეს ჩემი დაბადებისდღე იყო და მეგობრებთან ერთად სადილზე მიმიწვიეს. როცა საჭმელად დავსხედით, ღმერთს მადლობა გადავუხადეთ საკვებისთვის და უეცრად ძლიერად ვიგრძენი, როგორ გადმოვიდა სულიწმიდა ჩემზე. კვლავ ვიტყვი, რომ ჩემთვის ეს ყველაფერი სიახლე იყო, მაგრამ სულიწმიდით მონათვლის წუთიდან მქონდა განცდა, რომ სულიწმიდა იყო ჩემზე გადმოსული. არ ვიცოდი იმ მომენტში რა მექნა, ამიტომ ბოდიში მოვიხადე და მაგიდიდან ავდექი. ჩემს უკან კარი იყო და მეც პირდაპირ გარეთ გავედი.

როგორც კი ფეხი გარეთ გავდგი, ღმერთის თანდასწრება კიდევ უფრო ძლიერად გადმოვიდა ჩემზე და ღია ხილვა ვიხილე, რაც ნიშნავს, რომ რეალურად დავინახე, თითქოს მართლა ვხედავდი რაღაცას. დავინახე რომ კათედრის მიღმა

ვიდექი და ადამიანებით სავსე ოთახს ველაპარაკებოდი. ოთახში დაახლოებით 35-40 ადამიანი ისხდა დასაკეც სკამებზე. შემიძლია ვთქვა, რომ ღამე იყო, რადგან ფანჯრებიდან სიბნელე მოჩანდა. შემდეგ ხმა დამელაპარაკა და მითხრა: „მე მოგიწოდებ შენ, რომ იქადაგო ჩემი სიტყვა“. ეს სამჯერ გამიმეორა, შემდეგ სურათი გაქრა და ცხებულებამაც დამტოვა. სახლში შებრუნებულს, მეგობრებმა მკითხეს, თუ რა მოხდა და მე ვუთხარი: „მგონი მქადაგებლის მოწოდება მივიღე!“

მახსოვს იმ ღამით, როცა სახლში დავბრუნდი მამას მოვუყევი მომხდარი. მან მითხრა, რომ მქადაგებლები დიდ თანხას ვერ გამოიმუშავებდნენ. სულ ეს იყო, რაც მითხრა. იმ დროს ის ქრისტიანი არ იყო, მაგრამ ღმერთს დიდება მან 80 წლის ასაკში მიუძღვნა საკუთარი გული იესოს და ახლა ზეცაშია.

ამ შემთხვევაში, მჯერა, რომ სულიწმიდა ღია ხილვით იმიტომ დამელაპარაკა, რომ პირველ რიგში ახალგაზრდა ვიყავი. ვიცოდი, რომ ღმერთის მსახურების გამო დიდი დევნების წინაშე აღმოვჩნდებოდი ოჯახის მხრიდან და მჭირდებოდა ღუზა ამ მოგზაურობისთვის. და ეს ხილვა მე წლების განმავლობაში მამტკიცებდა.

კიდევ ერთი ღია ხილვა ვიხილე ძველი ფერმის სახლში, სადაც ადრე ვცხოვრობდით. ჩვენ ამ ძველ, დანგრეულ ფერმის სახლში თითქმის ცხრა წელი ვიცხოვრეთ და აქედან დიდი ნაწილი საშინელ სიღარიბეში გავატარეთ. მაგრამ როცა დავიწყეთ იმის სწავლა, თუ როგორ მოქმედებს ღმერთის სამეფო, დავიწყეთ აყვავება და სრულიად გავთავისუფლდით ვალებისგან.

სწორედ ამ პერიოდში აღასრულა ღმერთმა ხილვა, რომელიც 19 წლის ასაკში ვიხილე, როცა მქადაგებლად მომიწოდა. სწორედ ამ დროს, მოწოდებიდან 21 წლის შემდეგ, მითხრა ღმერთმა რომ ეკლესია დამეარსებინა. ამ დრომდე კოლეჯში ვისწავლე და ფინანსურ კომპანიაში ვმუშაობდი ამ 21 წლის განმავლობაში. მაგრამ ახლა, 40 წლის ასაკში ღმერთმა მითხრა, რომ წინ წავსულიყავი და ეკლესია დამეარსებინა.

ჩვენი ეკლესია ქრისტიანული რადიო სადგურის სარდაფში დავიწყეთ და როცა პირველ ღამეს შევიკრიბეთ, სურათი ზუსტად ემთხვეოდა იმ ხილვას, რომელიც 21 წლით ადრე მომცა ღმერთმა. აქ, ამ პირველ მსახურებაზე, იგივე ადამიანები დავინახე, რომლებიც დასაკეც სკამებზე ისხდნენ; იგივე

ფანჯრები, საიდანაც სიბნელე მოჩანდა. პატარა კათედრაც დავინახე.

მე და დრენდა ისეთი აღფრთოვანებულები ვიყავით სამეფოთი, როცა ეკლესია წამოვიწყეთ, რომ აღარ ვნერვიულობდით იმ ადგილზე, სადაც ვცხოვრობდით. ვიცოდით, რომ ფერმის სახლი უნდა დაგვეტოვა, რადგან ჩვენი ოჯახი გაიზარდა, ახლა ხუთი შვილი გვყავდა და ადგილი აღარ გვყოფნიდა. თუმცა, იმდენად დაკავებულები ვიყავით წინსვლით ბიზნესსა და ეკლესიაში, რომ უბრალოდ ბედნიერები ვიყავით და ამაზე ბევრს არ ვფიქრობდით.

ერთ დღეს, როცა ეკლესიიდან სახლში დავბრუნდი, მისაღებ ოთახში შევედი და დივანზე დავჯექი. დაჯდომისთანავე, უეცრად ჩემ გარშემო მყოფი ოთახი გაქრა. მე იგივე ოთახს ვხედავდი, მაგრამ ავეჯის გარეშე. კარები, რომლიდანაც ახლა შემოვედი, სასადილო ოთახში გადიოდა და დივანი, რომელზეც ვიჯექი ამ კარებს უყურებდა. იმ ადგილიდან, სადაც ვიჯექი, სასადილო ოთახსაც ვხედავდი. ასე რომ, არა მხოლოდ მისაღები ოთახი იყო ცარიელი, არამედ სასადილო ოთახიც ცარიელი იყო. ეს ხილვა მხოლოდ ხუთი წამი გაგრძელდა და მისი დანახვისას ზუსტად ვიცოდი, რომ დრო იყო, ფერმის სახლი დაგვეტოვა. როცა ხილვა დამთავრდა, დრენდას მოვუყევი მომხდარი და ვუთხარი, რომ წასვლის დრო იყო.

ამ შემთხვევაშიც, ხილვა გამოყენებულ იყო, რათა ღმერთს ჩვენთვის სამოქმედო გეგმა მოეცა. იმდენად დაკავებულები ვიყავით, რომ შეიძლებოდა პროკრასტინაციას მივცემოდით. მაგრამ ხილვამ დაგვანახა, რომ ეს გადაუდებელი იყო: „წასვლის დროა!“ მხოლოდ მოგვიანებით გავიგეთ, რატომ იყო ასეთი საჩქარო. ჩვენ ეს ცხრა წელი ვქირაობდით ფერმის სახლს და ვიცოდით, რომ მაშინ დავტოვებდით, როცა იქ სახლის აშენება დაიწყებოდა, რაც იგეგმებოდა, მაგრამ არავინ იცოდა ზუსტად, როდის მოხდებოდა ეს.

ამრიგად, გრძელი ამბავი რომ შევამოკლო, ღმერთმა მიმართულება მოგვცა მშვენიერი მიწისკენ, სადაც ჩვენს ახალ სახლს ავაშენებდით. ჩვენი გეგმა იყო რომ ნელა გვემუშავა სახლის მშენებლობაზე, ერთი ან ორი წელი დაგვეთმო ამისთვის. თუმცა სახლის მშენებლობის დაწყებიდან დაახლოებით ექვს თვეში, ფერმის მეპატრონემ დაგვირეკა და გვითხრა, რომ

ერთ თვეში უნდა დაგვეტოვა იგი. მას ვუთხარით, რომ ახალ სახლს ვაშენებდით და ვთხოვეთ თუ შეიძლებოდა კიდევ 2-3 თვე დავეტოვებინეთ ფერმის სახლში, რასაც დათანხმდა, მაგრამ გვითხრა, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაგვეცილებინა ამ ვადისთვის.

ყველაფერი სწრაფად გავაკეთეთ და ამ ვადაში სახლი დავამთავრეთ. ღმერთს რომ მაშინ არ ეთქვა, რომ უნდა გადავსულიყავით, იმ პერიოდში რამდენჯერმე მოგვიწევდა სახლის შეცვლა და ისეთ დატვირთულ დროს, ეს ნამდვილად პრობლემა იქნებოდა ჩვენთვის.

რა თქმა უნდა, ლურჯი ნისლიანი ისტორიაც, რაც წიგნის დასაწყისში მოგიყევით, და რომელიც ნამდვილად იყო ცხოვრების გარდამქმნელი მოვლენა, ღია ხილვა იყო. ეს ცოტა განსხვავებული იყო იმ მხრივ, რომ ჩემი მომავლის სურათს არ ვხედავდი, უბრალოდ იქ ვიჯექი ლურჯ ნისლში და ცხადად ვისმენდი სიტყვებს, თუ როგორ მომიწოდებდა სულიწმიდა ერებში.

დარწმუნებული ვარ, რამდენიმე სხვა ღია ხილვაც იყო ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ სიზმრები ბევრად მეტი იყო. როცა ალბანეთში მივდიოდი, წასვლამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე სიზმარი ვნახე მომავალი მოგზაურობის შესახებ. ჩემი ცხოვრების იმ პერიოდში, არ ვმოგზაურობდი, როგორც ახლა და სანამ ღმერთი დამელაპარაკებოდა იმ დღეს, არც ვიყავი ამით დაინტერესებული.

მაგრამ წასვლამდე ერთი კვირით ადრე, ასეთი სიზმარი ვნახე. სიზმარში, ექიმის კაბინეტში ვიყავი და გასასინჯ მაგიდაზე ვიწექი, ექთანი შემოვიდა ოთახში და მითხრა, რომ სისხლი უნდა აეღო. ამიტომ ჩემი ხელი აიღო და შუა თითი გაამზადა სისხლის ასაღებად, რაც ვიფიქრე, რომ უცნაური იყო. მაგრამ იცით როგორებიცაა სიზმრები, არის რაღაცები, რაც მხოლოდ სიზმარში იცი.

ამ სიზმარში უბრალოდ ვიცოდი, რომ სანამ დედამიწას დავტოვებდი ყველა თითიდან ამოიღებდნენ სისხლს. ეს დამელაპარაკა, რადგან ბიბლიის სკოლაში მასწავლეს, რომ ხელი უნდა გვახსენებდეს ხუთ მსახურებას ეკლესიაში: ცერა თითი მოციქული, საჩვენებელი თითი წინასწარმეტყველი, შუა თითი მახარებელი, არათითი მწყემსი და ნეკა თითი მასწავლებელი,

რომელიც პასტორთან ერთად მსახურობს.

ამრიგად, მივხვდი რას მეუბნებოდა ექთანი. ვიცოდი, რომ ჩემს ცხოვრებაში, სულ მცირე რაღაც პერიოდი მაინც, ეკლესიის ყველა მსახურებაში ვიმოქმედებდი. მე პასტორი და მასწავლებელი ვარ, რა თქმა უნდა, მაგრამ ასევე ვიცი, რომ წინასწარმეტყველურ სიტყვას ვატარებ ეკლესიისთვის სამეფოსა და ფინანსების შესახებ. აი, რისთვის მომიწოდა იესომ, როცა ალბანეთში ვიყავი. სიზმარში ექთანი შუა თითიდან მიღებდა სისხლს, ასე რომ ვიცოდი, რომ ალბანეთის ერში მახარებლად ვიყავი გაგზავნილი სახარების კეთილი უწყებით. ახლა ვიწყებ და ჩემი ცხოვრების მოციქულობის ნაწილში ვაბიჯებ.

თუმცა, ამ სიზმარში მას შემდეგ, რაც ექთანმა ჩემი შუა თითიდან სისხლი ამოიღო, ხელები ისე შეაერთა, როგორც ბავშვები აერთებენ ლოცვისას. ტუჩების მოძრაობით მივხვდი, რომ სიტყვა ლოცვა წარმოთქვა. ხმამაღლა არ წარმოუთქვამს ეს სიტყვა, უბრალოდ ტუჩებს ამოძრავებდა, თითქოს ისეთ ადგილას იყო, სადაც ლაპარაკი არ შეიძლება. სიზმრიდან გავიგე, რომ ალბანეთის ერში მახარებლად ვიყავი წარგზავნილი და ამ მოგზაურობაზე უნდა მელოცა.

ძალიან ბევრი სიზმარი მინახავს, იმდენად ბევრი რომ ვერც დავთვლი და აქ ვერც მოვიტან, მაგრამ სიზმრები სულიწმიდის ხმაა. მე შევხვედრივარ ადამიანებს, რომლებიც თითქოს ყოველ ღამე ნახულობენ სიზმრებს და ყველაფერი ისეთი „სულიერია“. რა თქმა უნდა, მჯერა, რომ სიზმრები უნდა ამოიცნო, და ზოგიერთი ადამიანი, ვისაც სურს, რომ სულიერი გამოჩნდეს, თავს უფლებას აძლევს სულიერი სიამაყე მოვიდეს მასზე და ისეთი რაღაცები ნახოს, რაც ღმერთისგან არაა. თუმცა, მე ასე ხშირად არ ვნახულობ სიზმრებს. წლის განმავლობაში დაახლოებით ოთხიდან თორმეტამდე სიზმარს ვნახულობ, რომლებიც ვიცი, რომ ღმერთისგანაა და რაღაც მნიშვნელოვანს მეუბნება. რა თქმა უნდა, ეს რიცხვი შეიძლება შეიცვალოს და ნაკლებიც ვნახო ან მეტიც. არ ვფიქრობ, რომ რაიმე მნიშვნელობა დევს იმაში, თუ რამდენს ხედავ, მნიშვნელოვანია ის, თუ რას ხედავ მათგან.

ცხოვრების გარდამქმნელი სიზმარი, რომელმაც რეალურად შეცვალა ჩემი ცხოვრება იყო, როცა ღმერთმა მითხრა დამეტოვებინა ჩემი ფინანსური კომპანია, სადაც რვა წელი

ვიყავი და საკუთარი კომპანია დამეარსებინა, სადაც ადამიანებს ვალებისგან გათავისუფლებაში დავეხმარებოდი. ეს ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო.

შემდეგ ყოფილა გამაფრთხილებელი სიზმრები. მახსოვს ერთი ძალიან უცნაური სიზმარი, რომელიც ნამდვილად გაფრთხილება იყო. ეს იმ პერიოდში მოხდა, როცა ფინანსების მსახურება დაბალ დონეზე იყო და ფინანსური წნეხის ქვეშ ვიყავით. სიზმარში, საწოლზე ვიწექი და ჩაძინების პირას ვიყავი. საძინებლის კარი ღია იყო და გავიგონე ჩუმი ხმა დერეფანში (ჩემს სიზმარში) და კარისკენ გავიხედე. იქ პატარა დემონი დავინახე, დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის, რომელიც ჩემს უკან ფულით სავსე ნაჭრის ჩანთას მიათრევდა. ჩანთა ძალიან ჰგავდა იმას, რომელსაც სანტა კლაუსი იყენებს. ჩანთა დემონის უკან იყო და სავსე იყო, ამიტომ ძირს ეთრეოდა. ის სახლიდან არ გადიოდა, გავიგონე როგორ შეუხვია კუთხეში და მესამე სართულზე ავიდა. როცა გავიღვიძე და სიზმარზე დავფიქრდი, მივხვდი, რომ ღმერთი მაჩვენებდა თანხებს, რომელსაც ან იპარავდნენ ან იკარგებოდა.

საინტერესოა ის, რომ სიზმარში დაახლოებით ვიცოდი რამდენი თანხა იდო ჩანთაში. მახსოვს ვფიქრობდი, რომ ეს იყო დაახლოებით 25,000$. ასევე ვიგრძენი, რომ რადგან დემონი სახლს არ ტოვებდა და ფული უბრალოდ ზედა სართულზე აჰქონდა, ადამიანი ან ადამიანები, ვინც ფულს იპარავდნენ ან მას არასწორად იყენებდნენ, სახლის ნაწილები იყვნენ, სახლში კი ვიცოდი, რომ მსახურება იგულისხმებოდა. პირველი, რაც მეორე დღეს გავაკეთე, იყო დამერეკა ჩემი უფროსი მსახურისთვის და მეთხოვა შეემოწმებინა ჩვენი ფინანსური დეპარტამენტის ჩანაწერები. ამის გაკეთებისას, ბევრი არა საჭირო ხარჯი ვიპოვეთ, რაც გადახედვას საჭიროებდა. არა საჭირო თვიური ხარჯების შეკრებით, თვეში დაახლოებით 25,000$ გამოგვივიდა. გადავწყვიტეთ, რომ რეალურად არავინ იპარავდა, მაგრამ ვერ ვუარვყოფდით, რომ ფული იფლანგებოდა და რაღაცები უნდა გაგვეკეთებინა, რათა საჭირო თანხა გამოგვეთავისუფლებინა. ეს თანხა იმ პერიოდში ძალიან გვჭირდებოდა, რადგან საკმაოდ გვიჭირდა.

სიზმრები შეიძლება ღმერთმა სტრატეგიის მოსაცემადაც გამოიყენოს. 2018 წელს, მარტივი სიზმარი ვნახე, სადაც

მხოლოდ ეს სიტყვები მოვისმინე: „გამოიძახე გემები“. ეს სიტყვები ჩავიწერე, მაგრამ ვერ მივხვდი რას ნიშნავდა. ღმერთს ვეკითხებოდი მათ შესახებ და დრენდას გარდა არავისთვის მომიყოლია. იანვარში ძმების შეხვედრაზე, ჩემს წლიურ მანდატებს წარვადგენდი. ერთ-ერთი იყო ეროვნული პატარა ჯგუფური გეგმა, რომელზეც ვფიქრობდი რამდენიმე წლის განმავლობაში, მაგრამ ვგრძნობდი, რომ სწორედ ახლა იყო ის წელი, როცა უნდა გამეკეთებინა. შეხვედრის შემდეგ, ერთ-ერთი ბიჭი შემოვიდა და მითხრა, რომ ცოტა სულელურად გრძნობდა თავს ეს რომ უნდა ეთქვა ჩემთვის, მაგრამ უბრალოდ მითხრა: „უფალმა მითხრა, რომ შენ ტროას ელენესავით ხარ“. წარმოდგენა არ მქონდა რაზე ლაპარაკობდა, ამიტომ დაიწყო იმის ახსნა, თუ რას გულისხმობდა. ვთხოვე წერილადაც მოეწერა ის, რაც პირადად მითხრა და აი, მისი წერილი.

სიზმრები შეიძლება ღმერთმა სტრატეგიის მოსაცემადაც გამოიყენოს.

სპარტის მეფე მენელაოსმა ბრძანა 1000 გემი ჩაეშვათ ზღვაში მისი ცოლის ელენეს ტროელებისგან დასახსნელად. „სახე, რომელმაც 1000 გემი ჩაუშვა“, ცნობილი მეტყველების ფიგურაა და ტროელ ელენეზე მიუთითებს.

ოთხშაბათს, 2019 წლის 30 იანვარს, როცა პასტორი აპექსის ძმების შეხვედრაზე ლაპარაკობდა, უფალმა მითხრა, რომ ის ტროელი ელენესავით იყო, მეფემ 1000 გემი გაგზავნა, რომ დაეხსნა დაკარგული, დაკარგული რწმენაში, დაკარგული ოჯახში და დაკარგული ფინანსებში.

მის სამსახურში,
აარონი

მან იმ დღეს მოგვიანებით კიდევ ერთი წერილი გამომიგზავნა.

პასტორო, მინდა ტროელი ელენეს შესახებ სამხედრო ხედვა მოგაწოდო. მრავალი ადამიანისთვის, ეს არის მეფის ისტორია, რომელმაც 1000 გემი გაგზავნა თავისი დაკარგული ცოლის გამოსახსნელად ტროელებისგან. მაგრამ სამხედრო აზროვნების მქონე ადამიანისთვის ეს იყო სამხედრო განლაგება სახელწოდებით ოპერაცია ტროელი ელენე. ყველა სამხედრო განლაგებას აქვს ოპერაციული სახელი. მაგალითად, როდესაც სილის მეექვსე გუნდი თავს დაესხა ოსამა ბინ ლადენს, მას ერქვა ოპერაცია ნეპტუნის შუბი. მე ვყოფილვარ მისიებზე მრავალფეროვანი სახელებით, როგორიცაა ოპერაცია წინ მაიკ, ელვის მარშალი და სანტა კლაუსი.

ისინი ოპრაციებს სახელებს არქმევენ, რადგან მეტად იდენტიფიცირებადი გახადონ, ნათელი გახადონ, თუ რა სახის ოპერაციაა და ვინ ატარებს ამ ოპერაციას. როდესაც უფალმა თქვა, რომ შენ ტროელ ელენეს ჰგავდი, ჩემმა სამხედრო აზროვნებამ გადათარგმნა ეს, როგორც პასტორი გარი განალაგებს ოპერაციას ტროელი ელენე, მისიას, რომ ჩაუშვას 1000 გემი, რათა დაიხსნას დაკარგული, დაკაგრული რწმენაში, დაკარგული ოჯახში და დაკარგული ფინანსებში.

მეტიც, როცა მესმის 1000 გემის განლაგება, ვფიქრობ, მეომართა რაოდენობაზე, დამხმარე გუნდზე, წვრთაზე, გათვლებზე და ადმინისტრაციულ პროცესზე, რაც თითოეული გემის განლაგებას სჭირდება. შენზე მეტად არავინ შეეფერება ღმერთის სამეფოსთვის ბრძანების გაცემას ამ ძალის და არმიის განსალაგებლად. შენ წლების განმავლობაში გვწვრთნიდი ამ მომენტისთვის. ჩემი ოჯახი და, დარწმუნებული ვარ, სხეულის დანარჩენი ნაწილი, მოუთმენლად ელის განლაგებას.

მის სამსახურში,
აარონი

აარონი საზღვაო სამხედრო იყო და 9 განლაგებაში მიიღო მონაწილეობა სამხედრო სამსახურში გატარებული 21 წლის განმავლობაში. მას საოცარი ისტორია აქვს, თუ როგორ გარდაიქმნა რადიკალურად ჯვრის ძალით. მან არაფერი იცოდა იმაზე, თუ რა მითხრა უფალმა სიზმარში, რომ გამომეძახებინა გემები. მაგრამ მისმა „ცოდნის სიტყვამ“ დამიდასტურა, რომ სწორად მქონდა მოსმენილი და დამეხმარა იმ გზაზე დავმდგარიყავი, რაც ღმერთს ჰქონდა ჩემთვის. ჩვენი მიზანია ერის დონეზე აღვზარდოთ 1000 პატარა ჯგუფი, რომლებიც გააზიარებენ კეთილ უწყებას სამეფოს შესახებ. თუ გსურს ამ არმიის ნაწილი გახდე, დამეკონტაქტე ჩემი ვებ-საიტის მეშვეობით - Garykeesee.com.

ვფიქრობ, მიხვდი, რასაც ვამბობ. სიზმრები ძლევამოსილი საშუალებაა, რითიც უფალი თავის ხალხს ელაპარაკება, ეხმარება მათ რომ მისცეს მიმართულება, სტრატეგია, გაფრთხილება და მშვიდობა.

სანამ ეს თავი დამთავრდება, მინდა კიდევ ერთი მეთოდი დავამატო, რომელსაც ღმერთი იყენებს პირდაპირი სტრატეგიის მისაცემად და ეს იქნება წინასწარმეტყველების ნიჭი. აარონმა ჩემ გეგმებთან დაკავშირებით მიიღო ცოდნის სიტყვა, როგორც მას ვეძახით, რათა ახალი ინიციატივა წამომეწყო. ცოდნის სიტყვა ზუსტად ესაა, როგორც ქვია, ცოდნის სიტყვა. ეს არის ღმერთის სულისგან მოცემული ცოდნა, რაღაც რაც შენით ვერ გეცოდინებოდა. ცოდნის სიტყვა 1 კორინთელთა მე-12 თავში მოყვანილ სულიწმიდის ცხრა ნიჭს შორის ერთ-ერთია. ახლა, ჩემი განზრახვა არაა რომ ამ წიგნში სულიერ ნიჭებზე გასწავლოთ, არამედ უბრალოდ ვახსენო ერთ-ერთი, წინასწარმეტყველური სიტყვა.

„ხოლო ვინც წინასწარმეტყველებს, ის ადამიანებს ელაპარაკება ასაშენებლად, გასამხნევებლად და სანუგეშებლად“. –1 კორინთელთა 14:3

ძალიან ბევრი ადამიანი ყველაფერს ურევს თავის ცხოვრებაში იმის გამო, რომ არასწორად ესმით ეს ნიჭი, რომელიც ვფიქრობ, რომ უნდა ვახსენო. როდესაც ადამიანები წინასწარმეტყველებაზე ფიქრობენ, ისინი წარმოიდგენენ

წინასწარმეტყველს, რომელიც მათ დაუძახებს, თითს მათკენ გაიშვერს და რაიმე ასეთს იტყვის: „შენ აფრიკაში უნდა წახვიდე“ ან „შენ პასტორობისთვის ხარ მოწოდებული“. ეს ორივე წინადადება შესაძლოა იყოს ჭეშმარიტი წინაწარმეტყველების სწორი გამოხატულება, მაგრამ ასევე ორივე შეიძლება იყოს სრულიად მცდარი. იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ მათ როგორ წაიკითხავ. თუ ამ წინადადებებს წაიკითხავ, როგორც მიმართულების მიმცემს, მაშინ ორივე არასწორი იქნება, მაგრამ თუ ისე წაიკითხავ, როგორც დამადასტურებელს, შესაძლოა სწორი იყოს. პავლე განმარტავს წინასწარმეტყველების მიზანს.

„ხოლო ვინც წინასწარმეტყველებს, ის ადამიანებს ელაპარაკება ასაშენებლად, გასამხნევებლად და სანუგეშებლად“ .(1 კორინთელთა 14:3)

აი, ისიც. აქ არც ერთი სიტყვა არ მიუთთებს იმაზე, რომ მიმართულება უნდა იპოვო წინასწარმეტყველების მეშვეობით, თუმცა ადამიანების უმეტესობა ასე აღიქვამს წინასწარმეტყველებას, როგორც მიმართულების მომცემს. მაგრამ პავლეს მიხედვით, წინაწარმეტყველება არის მხოლოდ მიმართულების დასადასტურებლად და არა მისაცემად. ხედავთ, მას შემდეგ, რაც ზეციდან შობილი ხდებით, შენში მყოფი სულიწმიდა იქნება ერთადერთი, ვინც გეტყვის, თუ რა უნდა გააკეთო. შენ არ გჭირდება კაცი ან ქალი რომ გითხრას, თუ რის საკეთებლად ხარ მოწოდებული იესოსთვის. წინასწარმეტყველურ სიტყვას შეუძლია დაადასტუროს რაღაც, რაც უკვე იცი.

ამრიგად, მაგალითად, ჩემ მიერ მოყვანილ მაგალითში: „შენ აფრიკაში უნდა წახვიდე“, მე ვთქვი, რომ ეს შეიძლება წინასწარმეტყველური სიტყვის ნამდვილი მაგალითი იყოს, თუ სულიწმიდამ უკვე გითხრა ეს და მან დაადასტურა ამ სიტყვით. მაგრამ თუ აფრიკაში წასვლა შენს გონებაში საერთოდ არ იყო და ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ამაზე მოისმინე, მაშინ ეს არ იქნება წინასწარმეტყველური სიტყვის ჭეშმარიტი მაგალითი ახალი აღთქმის ეკლესიაში.

ისეთი გიჟურია ადამიანების ლაპარაკის მოსმენა. მოსულან ჩემთან ქრისტიანები და უთქვამთ: „ღმერთმა ამ შეხვდრაზე

მითხრა, რომ წარმატებას უნდა მივაღწიო“. დიახ, არ გჭირდება ადამიანი, ვინც გეტყვის, რომ წარმატებას უნდა მიაღწიო, ამას ბიბლია გვეუბნება. ვხედავ, როგორ დადიან ქრისტიანები აქეთ-იქით და სხვებს ეკითხებიან სიტყვა ხომ არ აქვთ მისთვის. შენ არ გჭირდება ვიღაც სიტყვის მოსაცემად! შენში მყოფი სულიწმიდა დაგელაპარაკება, და დიახ, ღმერთმა შეიძლება გამოაგზავნოს დამადასტურებელი წინასწარმეტყველური სიტყვა შენს გასამხნევებლად, მაგრამ არა შენს გასაძღოლად.

ამის ყველაზე დრამატული მაგალითი ჩემს ცხოვრებაში იყო იმ პერიოდში, როცა მე და დრენდა ერთმანეთს ვხვდებოდით. ჯორჯიაში მის ოჯახს უნდა შევხვედროდი, რათა დრენდას ხელი მეთხოვა. იქ ყოფნისას, მასთან ერთად სტუმრად უნდა წავსულიყავი მის ეკლესიაში. ცოტა ხნით ადრე შემომთავაზეს სამსახური ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაში და ამასთან დაკავშირებით ბრძოლებს გავდიოდი. მე 19 წლის ასაკში ვიყავი მოწოდებული მქადაგებლად, და ახალი დამთავრებული მქონდა კოლეჯი ძველ აღთქმაში მიღებული ხარისხით და მაინც ძალდატანებას ვგრძნობდი, რომ ამ სამსახურს დავთანხმებულიყავი. დაბნეული ვიყავი და არ ვიცოდი რა გამეკეთებინა.

დრენდას ეკლესიაში, კვირა დილის მსახურების შემდეგ, ერთი ქალი მოვიდა ჩემთან, რომელსაც მე არ ვიცნობდი, მაგრამ დრენდა ნამდვილად იცნობდა და მითხრა, რომ სიტყვა ჰქონდა ჩემთვის. მან მითხრა: „შენ ახლა სამსახურის შემოთავაზება გაქვს. ამ სამსახურს ათი ასპექტი აქვს“. და მან ყველაფერი ჩამოთვალა, რისი გაკეთებაც ამ ახალ სამსახურში მომიწევდა. „შენ დაიწყებ ამ სამსახურს და ღმერთი არის მასში“. ამ შემთხვევაში მე უკვე ვგრძნობდი, რომ უნდა დამეწყო იქ მუშაობა, თუმცა დაბნეული ვიყავი, არ ვიცოდი ასე რატომ ვგრძნობდი. მისმა წინასწარმეტყველურმა სიტყვამ მშვიდობა და გამხნევება მომიტანა და დამიდასტურა მიმართულება, რომლითაც უნდა წავსულიყავი. კვლავ ვიტყვი, შენში მყოფი სულიწმიდა გაგიძღვება და იქნება შენი მრჩეველი.

თავი 11

სულიწმიდის ხმა ისე ჟღერს, როგორც ჩემი ბოსის

ჩემს ეკლესიაში ერთი ოჯახი მყავდა, ამ პერიოდში ეკლესია პატარა იყო და შრომა სჭირდებოდა. ძალიან საყვარლები იყვნენ და ყოველთვის სურდათ ყველაფერში დაგვხმარებოდნენ ეკლესიაში. მაგრამ თითქოს ყოველთვის ფულის პრობლემა ჰქონდათ. მამა ისევ არ მუშაობდა, ამიტომ გადავწყვიტე დავხმარებოდი. იმ დროს სახლს ვაშენებდი და ელექტრო გაყვანილობებს ჩემით ვაკეთებდი. გავიგე, რომ მამამ რაღაცები იცოდა ელექტროობაზე და შევთავაზე საფასურის სანაცვლოდ დამხმარებოდა, რადგან მის ოჯახს საკვები უთავდებოდა. ისიც მოვიდა და საკმაოდ კარგად გააკეთა ის გაყვანილობა, რაც დავავალე.

ამაზე ბევრი არ მიფიქრია, მაგრამ დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, ზარი მივიღე ამ ბიჭისგან. მან მითხრა, რომ რამდენიმე ადამიანი ერთად იკრიბებოდნენ, რათა ჩემზე ელოცათ. „რის შესახებ?“- ვკითხე მე. მან მითხრა, რომ იყო რაღაცები ეკლესიაში, რაც ცვლილებებს საჭიროებდა და მითხრა, რომ 10 პუნქტიანი სია ჰქონდათ, რასაც ისინი განიხილავდნენ. პირველი სიაში იყო ის, რომ ჩემი სახლი ძალიან დიდი იყო. მან პირდაპირ მკითხა, თუ რამდენს მიხდიდა ეკლესია რომ ასეთ სახლს გავწვდი. მეც სწრაფად ვუპასუხე, რომ ეკლესია ერთ ცენტსაც არ მიხდიდა, რომ ეკლესიიდან ხელფასს არ ვიღებდი. ამის თქმის შემდეგ ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ მან თქვა: „ეკლესია ხელფასს არ გიხდის?“ „ასეა,“- ვუპასუხე მე. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა, სანამ მან საბოლოოდ თქვა. „ნუ, ალბათ, უნდა გიხდიდნენ“. და ასე დასრულდა ჩვენი საუბარი.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ გავიგე სამუშაო ვაკანსიის შესახებ, რომელზეც ვიფიქრე, რომ მისი ინტერესის სფეროს

ერგებოდა და ამის შესახებ ვუთხარი. მანაც შეიტანა განაცხადი და ეს სამსახური მიიღო. იმ პერიოდში მისი ოჯახი სახლიდან უნდა გამოესახლებინათ. ამიტომ, როცა სამსახურის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ ჩემთან მოვიდა და მითხრა, რომ სამსახურიდან წამოვიდა, შოკირებული ვიყავი. „შენ სამსახურიდან წამოხვედი; რატომ?“ მან მითხრა, რომ პარასკევს საღამოს, როცა სამუშაო კვირა დამთავრდა იატაკის მოწმენდა სთხოვეს. ისიც ამის თქმისთანავე წამოვიდა, თან უთხრა, რომ იატაკის მწმენდავად არ დაუწყია მუშაობა. ყურებს არ ვუჯერებდი. ვიცოდი, რომ ამ ახალგაზრდა კაცს რთული წვრთნის გავლა დასჭირდებოდა, თუ სურდა ოდესმე წარმატებისთვის მიეღწია. ყოველთვის მეცოდებოდა მისი ცოლი. ამის შემდეგ მალევე წავიდნენ ეკლესიიდან და არ ვიცი რა შეემთხვათ. თუმცა, ალბათ გამოვიცნობ. მის ქედმაღლურ დამოკიდებულებასა და იმაზე დაფუძნებით, რომ არ ჰქონდა მუშაობის სურვილი, შემიძლია დავასკვნა, რომ მის რეზიუმეში მხოლოდ რამდენიმე სამსახურის ჩამონათვალი იქნებოდა და მათგან უმეტესობაში ძალიან ხანმოკლე პერიოდით იმუშავებდა. მისი წარმატების მაქსიმუმი ალბათ თავის გატანა იქნებოდა. არასწორად არ გამიგოთ. ადამიანები იცვლებიან და იმედი მაქვს, რომ ისიც შეიცვალა. მაგრამ ერთი ვიცი, იმ პერიოდში, როცა ვიცნობდი, არასწორი მიმართულებით მიდიოდა. ხედავთ, ის ღმერთის ხმას უარყოფდა.

შეიძლება იკითხოთ: „რომელ ღმერთის ხმაზე ლაპარაკობ?“ დარწმუნებული ვარ მისთვისაც რომ გეკითხათ, ასე გიპასუხებდათ, რადგან იმ პერიოდში წარმოდგენა არ ჰქონდა. იგი უარყოფდა ღვთის უპირველეს მეთოდს ადამიანების გაწვრთნისა და მომზადებისთვის მათი საბოლოო დანიშნულებისთვის: მორჩილების სწავლას. ვიცი, შეიძლება ამ თავის სათაურმა ცოტა დაგაბნიათ. რა შუაშია ჩემი ბოსი სულიწმიდასთან? ამ თავში აღმოაჩენთ, რომ თქვენს ბოსს ძალიან დიდი კავშირი აქვს თქვენს უნართან, მოისმინოთ სულიწმიდისგან.

მინდა ჩვენი შესწავლა უმნიშვნელოვანესი საკითხით დავიწყოთ მათეს 8:5-10-დან.

> *„კაპერნაუმში რომ შევიდა, მიუახლოვდა ასისთავი და შეევედრა.*
> *უთხრა: „უფალო, სახლში მსახური მიწევს დავრდომილი და სასტიკად იტანჯება“.*

იესომ მიუგო: „მოვალ და განვკურნავ“.
ასისთავმა კი პასუხად უთხრა: „უფალო, არა ვარ იმის ღირსი, რომ ჩემს ჭერქვეშ შემოხვიდე, მხოლოდ სიტყვა თქვი და განიკურნება ჩემი მსახური. ვინაიდან მეც ძალაუფლების ქვეშ მყოფი კაცი ვარ და ჩემს ხელქვეით ჯარისკაცები მყვანან. ერთს ვეუბნები წადი-მეთქი და მიდის. სხვას მოდი-მეთქი და მოდის. ჩემს მონას: ეს გააკეთე-მეთქი და აკეთებს“.
ეს რომ გაიგონა, გაუკვირდა იესოს და უთხრა მათ, უკან რომ მიჰყვებოდნენ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ისრაელშიც ვერ ვპოვე ასეთი რწმენა“.

– მათე 8:5-10

რატომ ირწმუნა ამ კაცმა ასე მარტივად რომ იესოს შეეძლო მისი მსახურის განკურნება? იგი თავადვე პასუხობს ამ კითხვას: *„ვინაიდან მეც ძალაუფლების ქვეშ მყოფი კაცი ვარ და ჩემს ხელქვეით ჯარისკაცები მყვანან. ერთს ვეუბნები წადი-მეთქი და მიდის. სხვას მოდი-მეთქი და მოდის. ჩემს მონას: ეს გააკეთე-მეთქი* და *აკეთებს“.* რადგან მან იცოდა, თუ როგორ მოქმედებს ძალაუფლება. რამდენადაც თავად იყო ძალაუფლების ქვეშ, იმდენად იყვნენ მისი მსახურები მისი ძალაუფლების ქვეშ. მას ესმოდა, რომ მისი ბოსის სიტყვები მისთვის კეისრის სიტყვებივით იყო. რეალურად, სიმართლე რომ ვთქვათ, მისი ბოსის სიტყვები, კეისრის სიტყვები იყო. მას ისიც ესმოდა, რომ მისი ხმა მისი მსახურებისთვის ისე ჟღერდა, როგორც კეისრის ხმა. აი ასე მოქმედებს ძალაუფლება. იმის გამო, რომ მას ესმოდა რას ნიშნავდა ძალაუფლების ქვეშ ყოფნა, მარტივად გაიგო, თუ როგორ შეეძლო იესოს სიტუაციაში ძალაუფლების გამოყენება უბრალოდ სიტყვის თქმით. მასაც მხოლოდ ეს უნდა გაეკეთებინა. თუ მსახურებს ეტყოდა, რომ რაიმე გაეკეთებინათ, ისინიც ასე მოიქცეოდნენ. ეს ისეთი ადვილი იყო. აი ჭეშმარიტება, რაც უნდა ისწავლო:

მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიძლია ძალაუფლებაში სიარული, თუ ემორჩილები ძალაუფლებას!

სატანას რომ შეეძლოს მოაშოროს მთელი პატივისცემა ძალაუფლებას და ყველა დაარწმუნოს იმაში, რომ შეუძლიათ ის აკეთონ, რაც სურთ, სამყარო ქაოსად გარდაიქმნება და

განადგურდება. სწორედ ამ გამოწვევის წინაშე დააყენა მან ევა ედემში: „მართლა გითხრათ ღმერთმა...?“ მომისმინეთ, ამ დედამიწაზე მყოფი ყველა ადამიანი არის ერთი ან რამდენიმე ძალაუფლების ქვეშ. იმის გაცნობიერება თუ ვისი ძალაუფლების ქვეშ ხარ, დაგეხმარება იცოდე, თუ ვის უნდა მოუსმინო და ვის არ უნდა მოუსმინო. მაგრამ დღეს, ყველას სურს ჰქონდეს ძალაუფლება ისე, რომ თავად არ იყოს ძალაუფლების ქვეშ, ეს კი შეუძლებელია.

ცოტა ხნის წინ, ერთ მოიჯარეს ვესაუბრე, რომელმაც მითხრა თუ როგორ უხდის ხალხს ნაღდი ფულით, რათა თავი აარიდოს გადასახადებს და მომუშავეთა კომპენსაციის თანხას. მაგრამ მე უკვე ვიცი ეს როგორ დასრულდება. ერთ დღეს მისი თანამშრომელი დაშავდება და შეავსებს განცხადებას მომუშავეთა კომპენსაციის შესახებ და აღმოაჩენს, რომ მის ბოსს არასდროს გადაუხდია საჭირო თანხა მომუშავეთა კომპენსაციის პროგრამაში და უჩივლებს მოიჯარეს, რადგან კანონი მოითხოვს, რომ მომუშავის კომპენსაცია იყოს გადახდილი. მსგავსი ისტორია ჩემს ეკლესიაში რამდენიმე მოიჯარეს დაემართა.

გასულ კვირას, ველაპარაკე ქალს, რომელმაც მითხრა, რომ მას არ სჭირდებოდა პასტორი; მხოლოდ ის და სულიწმიდა უნდა ყოფილიყვნენ. მართლა? მისთვის უმჯობესი იყო წასულიყო და იესოს დალაპარაკებოდა ამის შესახებ, რადგან სწორედ მან სცხო პასტორებს და დაადგინა ადგილობრივი ეკლესიები ეფესელთა მე-4 თავში. თუ ის ემორჩილება იესოს, მაშინ ის გაჰყვება იესოს დადგენილ ძალაუფლებას. ფაქტი კი ისაა, რომ იგი არ ემორჩილება იესოს და სურს საკუთარი სურვილისამებრ მოიქცეს. ამის გამო, ალბათ ცდუნდება და ბევრ სირთულეში აღმოჩნდება.

არც ისე დიდი ხნის წინ, გაყიდვების სფეროში მომუშავე ადამიანებს ვესაუბრე, რომლებიც აარსებდნენ საკუთარ გაყიდვების კომპანიას და ყველა თავიანთი კლიენტი ძველი კომპანიიდან ახალ კომპანიაში გადაჰყავდათ, მიუხედავად იმისა, რომ ხელი ჰქონდათ მოწერილი არა კონკურენტულ ფორმაზე, რომ ასე არ მოიქცეოდნენ. და ისინი ფიქრობდნენ, რომ ასე მოქცევით წარმატებას მიაღწევდნენ? ისინი უბრალოდ იპარავდნენ!

ვიცი, რომ შესაძლოა ეს თავი ისე ძალიან არ მოგეწონოთ, როგორც სხვები, სადაც ზებუნებრივ, გასაოცარ რაღაცებზე

ვისაუბრე, რასაც სულიწმიდა აკეთებს, მაგრამ თუ ამ თავს ვერ გაიგებთ სწორად, დანარჩენიც შესაძლოა დაგავიწყდეთ, რადგან სწორედ ღმერთია ის, ვისაც წინ მივყავართ.

მახსოვს დრო, როცა ერთი ქალი მოვიდა ჩემთან ლოცვის შეხვედრაზე, ცრემლები ჩამოსდიოდა და მკითხა, რატომ არ დავუძახე მას რომ ელოცა. შოკირებული ვიყავი! რატომ იყო ასეთი მნიშვნელოვანი სალოცავად დაძახება, თუ მისი იდენტობა დამოკიდებული არ იყო იმაზე, რომ ადამიანებს დაენახათ?

იმის გაცნობიერება თუ ვისი ძალაუფლების ქვეშ ხარ, დაგეხმარება იცოდე, თუ ვის უნდა მოუსმინო და ვის არ უნდა მოუსმინო.

რა თქმა უნდა, შემეძლო ერთ წუთში ამეხსნა მისთვის რატომ არ დავუძახე სალოცავად, თუ საერთოდ ვინმეს მოუსმენდა. ეს ქალი პატივს არ სცემდა თავის ქმარს და ყოველთვის ჭორაობდა სხვებთან მისი სულიერობის ნაკლზე. აი რატომ არ დავუძახე მას. ის ფაქტი, რომ აცრემლებული მოვიდა მიანიშნებდა - არ მოსწონდა, რომ ვერ ხედავდნენ, როგორც სულიერ ქალბატონს, როგორადაც მას წარმოედგინა თავი მანამდე, სანამ მთელი ჯგუფი აღმოაჩენდა, რომ ძალაუფლებას პატივს არ სცემდა და შესაბამისად, საშიში ქალი იყო.

ამრიგად, ნება მომეცით, კითხვა დავსვა. გამოსადეგი ხარ, იქ წახვიდე, სადაც გინდა, რომ წახვიდე, სადაც შენს ოცნებებს სურს, რომ წახვიდე? თუ შენს პასტორს ან ბოსს ვკითხავდი რა იქნებოდა მათი წრფელი მოსაზრება თქვენზე, რას იტყოდნენ? ხედავთ, ძალაუფლება ვერ გექნებათ, სანამ მორჩილების გამოცდას არ ჩააბარებთ. ეს მე არ მითქვამს; იესომ თქვა.

> *„მცირედში ერთგული დიდშიც ერთგულია; და მცირედში უმართლო, დიდშიც უმართლოა. ჰოდა, თუ უმართლო მამონაში არ იქნებით ერთგულნი, ჭეშმარიტს ვინ მოგანდობთ? და თუ სხვისაში არ იქნებით ერთგულნი, თქვენსას ვინ მოგცემთ?“*
>
> – ლუკა 16:10-12

შეიძლება ძალაუფლება მოგენდოს? ამის დამადასტურებელი ნიშანი შენს მორჩილებაშია.

მოდი, შევხედოთ ერთ ისტორიას ბიბლიაში, რომელიც შეიძლება იმ წარმატების საფუძველი იყოს, რასაც ცხოვრებაში მიაღწევ.

> *„ფილისტიმელნიც შეიკრიბნენ ისრაელთან საბრძოლველად: ოცდაათი ათასი ეტლი, ექვსი ათასი ცხენოსანი და ზღვის ქვიშასავით ურიცხვი ფეხოსანი; ამოვიდნენ და მიქმაშში დაბანაკდნენ, ბეთავენის აღმოსავლეთით. იხილეს რა ისრაელიანებმა, რომ საფრთხეში იყვნენ, ვინაიდან შეაჭირვეს ხალხი - დაიმალნენ მღვიმეებში, ხეობებში, კლდეთა ნაპრალებში, კოშკებსა და ორმოებში. ზოგი ებრაელი იორდანეს გაღმა, გადისა და გილყადის მიწაზე გადავიდა;*
>
> *მაგრამ ჯერ ისევ გილგალში რჩებოდა საული, მთელი მისი ხალხი კი შეშინებული იყო. შვიდ დღეს იცდიდა იგი, როგორც სამუელმა დაუთქვა, მაგრამ არ მოდიოდა სამუელი გილგალში; საულს კი ხალხი ეფანტებოდა. თქვა საულმა: „მომგვარეთ სრულადდასაწველი და სამშვიდობო შესაწირნი!“ და მსხვერპლი აღავლინა“.*
>
> – 1 სამუელი 13:5-9

> *„უთხრა სამუელმა საულს: „უგუნურად მოიქეცი, არ დაიცავი უფლის, შენი ღმერთის ბრძანება, რომელიც გამცნო, რათა საუკუნოდ განემტკიცებინა უფალს შენი მეფობა ისრაელზე. ახლა ვეღარ განმტკიცდება შენი მეფობა; **<u>იპოვა უფალმა თავისი გულის სანდომი კაცი და ის დაადგინა თავისი ხალხის მთავრად უფალმა</u>**, რადგან არ დაიცავი ღვთის ნაბრძანები“.*
>
> – 1 სამუელი 13:13-14

საული არ იყო გამოსადეგი, რადგან იგი არ დაემორჩილა ძალაუფლებას. ამრიგად, კვლავ ვხედავთ, რომ თუ ვერ ემორჩილები ძალაუფლებას, ვერც გექნება ძალაუფლება. მინდა აქ ძალიან მნიშვნელოვანი რამ აღვნიშნო. უფალი თავისი გულის სანდომ კაცს ეძებდა. რას ნიშნავს „თავისი გულის სანდომი“?

*„საულის მოცილების შემდეგ, მეფედ დავითი აამაღლა მათთვის, რომლის შესახებ თქვა დამოწმებით: „ვპოვე დავითი, ძე იესესი, ჩემი გულის სანდომი კაცი, **რომელიც შეასრულებს ყველა ჩემს ნება-სურვილს**“.*

– საქმეები 13:22

როგორ განმარტავს ღმერთი ადამიანს, რომელსაც მისი გული აქვს? უპირველესად ეს არის ვიღაც, ვისაც სძულს ის, რაც სძულს ღმერთს და უყვარს ის, რაც უყვარს ღმერთს; ვიღაც, ვინც იმას გააკეთებს, რასაც ღმერთი გააკეთებდა მის ადგილას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ღმერთს სძულს ცოდვა, მასაც სძულს ცოდვა. თუ ღმერთს სურს, რომ რაღაც გაკეთდეს, მასაც სურს, რომ ეს რაღაც გაკეთდეს. ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ღმერთის გულის სანდომი ადამიანი არის ვიღაც, ვისაც აქვს ყველაზე მეტი სულიერი ნიჭი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სულიერობა წყნარი, თაყვანისცემის სიმღერაა. მაგრამ ღმერთი ცხადად ამბობს, რომ სულიერი თაყვანისცემა არის მორჩილება.

„მაგრამ მიუგო სამუელმა: „განა ისევე ეამება უფალს სრულადდასაწველნი და მსხვერპლნი, როგორც უფლის ხმის მორჩილება? აჰა, მორჩილება მსხვერპლზე უკეთესია და <u>მოსმენა - ვერძის ლურთებზე</u>. რადგან ერთი ცოდვაა ჯადოქრობა და ურჩობა, კერპთაყვანისმცემლობა და თვითნებობა. როგორც შენ უარყავი უფლის სიტყვა, ისე უფალმაც უარყო შენი მეფობა“.

– 1 სამუელი 15:22-23

ასე რომ, ნება მომეცით კვლავ ვთქვა, რომ ღმერთის ხმა ჟღერს, როგორც შენი ბოსის ხმა! ღმერთი შენს დამოკიდებულებას ძალაუფლებაზე ცდის მაშინ, როცა არავინ იცის შენი სახელი. ადამიანთა დიდ ნაწილს, უბრალოდ არ ესმის როგორ მოქმედებს ეს ყველაფერი. ისინი საკუთარ პატარა, ნახევარ განაკვეთიან სამსახურებს არ აღიქვამენ მნიშვნელოვნად. მაგრამ ის, რაც არ იციან, არის ის, რომ ისინი საკუთარ თავს წვრთნიან ჰქონდეთ სუბიექტური მორჩილება, განსაჯონ საკუთარი სტანდარტების მიხედვით რაღაც არის თუ არა მორ-

ასე რომ, ნება მომეცით კვლავ ვთქვა, რომ ღმერთის ხმა ჟღერს, როგორც შენი ბოსის ხმა!

ჩილების ღირსი, მათ სურვილებსა და მიზნებზე დაფუძნებით. ადამიანებს არ ასწავლიან, რომ იმ წუთიდან, როცა იღებენ პასუხისმგებლობას და იწყებენ მუშაობას ნახევარ განაკვეთიან სამსახურში, ისინი თანხმდებიან, რომ იმუშავონ ისე თითქოს მათი საკუთარი ბიზნესი იყოს. ადამიანთა უმეტესობა ასე არ აღიქვამს ამ ყველაფერს. ისინი უფრო დიდ მიზნებს ისახავენ. ეს ხომ მხოლოდ ნახევარ განაკვეთიანი სამსახურია დამატებითი შემოსავლისთვის, დიდი არაფერია. ეს მცდარია!!!

არ არსებობს ისეთი რამ, როგორიცაა უმნიშვნელო სამსახური. არ არსებობს პატარა დავალებები. დავითს პატარა, უმნიშვნელო სამუშაო ჰქონდა, ცხვრებზე უნდა ეზრუნა. მაგრამ ეს არ ყოფილა უმნიშვნელო მისთვის; მან სულ მცირე ორჯერ, რისკის ქვეშ დააყენა საკუთარი სიცოცხლე ცხვრების დასაცავად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან მასზე მინდობილი ისე მიიღო, როგორც ძალიან სერიოზული საქმე. მიუხედავად იმისა, რომ სხვამ არავინ იცოდა თუ ვინ იყო ის, ღმერთმა იცოდა! და ღმერთმა ზუსტად იცოდა, სად იყო ის მთელი ეს დრო.

ღმერთმა ისიც იცის შენ სად ხარ და მან იცის შენი გულის დამოკიდებულება ძალაუფლებისადმი. დასკვნა ისაა, რომ თუ არ შეგიძლია დაემორჩილო ადამიანს, რომელსაც ხედავ, ვერ დაემორჩილები ღმერთს, რომელსაც ვერ ხედავ. ძალიან ბევრ ადამიანს, ვისაც მე ვხვდები, აქვს პრივილეგირებულის მენტალობა, მსხვერპლის მენტალობა; ყოველთვის სხვა ვიღაცის ბრალია. ისინი ყოველთვის ამბობენ, რომ ეს იყო ბოსის ბრალი, მთავრობის ბრალი, მხოლოდ იმდენს აკეთებენ, რომ მინიმუმი შეასრულონ, მხოლოდ მაშინ მუშაობენ, როცა იძულებულნი არიან. მათ როგორც წესი, აქვთ გადამამუშავებელი მენტალობა, სხვამ უნდა უთხრას რა უნდა გააკეთონ, თავად მოფიქრების ნაცვლად. სწორედ იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე ისრაელიანებთან, რომლებიც წლების მონობიდან გამოსვლის შემდეგ, აგრძელებდნენ მონებივით ფიქრს, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლები იყვნენ. მათი მონური მენტალობა ვერ იმოქმედებდა, როცა იმ მიწის გიგანტების პირისპირ აღმოჩნდებოდნენ. ღმერთს უნდა გაეწვრთა ისინი

წარმატებასთან შესახვედრად, სანამ იმ მიწამდე მივიდოდნენ. მან შენც უნდა გაგწვრთნას, სანამ აღთქმულ მიწამდე მიხვალ. მიწა, რომელზეც ვსაუბრობ, შენი საბოლოო დანიშნულებაა. ამრიგად, წვრთნიდა ის მათ?

> *„გათვინიერებდა, გაშიმშილებდა და მანას გაჭმევდა, რომელიც არც შენ იცოდი და არც შენმა მამებმა იცოდნენ, რათა მიმხვდარიყავი, რომ არა მხოლოდ პურითა ერთითა ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან მომდინარე ყოველი სიტყვით“.*
>
> – მეორე რჯული 8:3

> *„გკვებავდა უდაბნოში მანით, რომელსაც არ იცნობდნენ შენი მამები, **რომ თავმდაბლობა ესწავლებინა შენთვის და გამოეცადე, რათა ბოლოს სასიკეთოდ მოგწეოდა“.***
>
> – მეორე რჯული 8:16

ღმერთმა დაამდაბლა ისინი, რაც ნიშნავს, რომ არასაკმარისები გახადა, ვისაც დახმარება სჭირდებოდა. მათ უნდა ესწავლათ, რომ ღმერთზე ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი და არა საკუთარ თავებზე. მათ წინ კიდევ უფრო დიდი ბრძოლები იყო, ვიდრე უბრალოდ საკვების მოძიება. მათ წინ იყვნენ გიგანტები და გალავან შემორტყმული ქალაქები, რომლებიც მარტივად დააშინებდათ თუ არ დაინახავდნენ, რომ ღმერთი მათ პრობლემებზე დიდია.

მეორე, მათ უნდა ესწავლათ თავად მიეღოთ სწორი გადაწყვეტილებები იძულების გარეშე. დღეს ვხედავ, როგორ უშვებენ მშობლები შეცდომას, როცა ცდილობენ, რომ შვილის ქმედება გაწვრთნან მათი გულის ნაცვლად. ბავშვს ეტყვიან, რომ თავისი ოთახი დაალაგოს, შემდეგ კარი ჯახუნდება ისეთი დამოკიდებულებით რომ დავალებას ასრულებენ, თუმცა ამბოხებული გულით და არა მორჩილებით. მშობლები, რომელთაც შვილებთან მეგობრობა სურთ, შევლენ მოგვიანებით რომ ნახონ დალაგებული ოთახი და შვილებს შეაქებენ. ეს არასწორია. შვილმა გარეგნულად შეასრულა, მაგრამ არა შინაგანად. მორჩილება გულის ფუნქციაა. ერთ დღეს, მშობელი იქ აღარ იქნება რომ სწორი გადაწყვეტილების მიღება აიძულოს.

როცა მშობელი თავის ფრთას მოაშორებს, შვილი თავისუფალი იქნება რომ აკეთოს ის, რაც სიამოვნებს. ახლა გამოვლინდება ის, რაც გულშია. სწორედ ამ მომენტში აღმოაჩენენ ხოლმე მშობლები რომ შვილებს პრობლემები აქვთ და დაბნეულები არიან, ამტკიცებენ, რომ პატარა ჯონი ყოველთვის ისეთი კარგი ბავშვი იყო და ახლა შოკში არიან მათი ქცევის გამო, როცა კოლეჯში ჩააბარეს ან სხვა ქალაქში გადავიდნენ.

ბიბლია ამბობს, რომ ღმერთი აპირებდა გამოეცადა ისრაელი, რათა ბოლოს ყველაფერი კარგად წასულიყო. სწორედ ამაზე ვსაუბრობთ. მშობლისგან განსხვავებით, რომელიც მეტად ნერვიულობს იმაზე, რომ შვილს მოსწონდეს, ღმერთი ფიქრობს შვილის ხანგრძლივ კეთილდღეობაზე. ის გულის პატარა დამოკიდებულებებს მანამდე ჩაასწორებს, სანამ ისინი ქრონიკულ ქცევაში გადაიზრდება. აი რა იგულისხმებოდა, როცა წერია, რომ ღმერთი მათ გამოცდიდა. ღმერთი შეძლებდა, რომ მათთვის შეესწორებინა, რადგან გულის დამოკიდებულება ცხადად იქნებოდა გამოვლენილი, როცა დამორჩილებას სთხოვდა.

ყველამ უნდა გაიაროს მორჩილების გამოცდა! ამრიგად, სად გვწვრთნის დღეს ღმერთი, როცა უდაბნო აღარ გვაქვს გადასალახი? სად შეგვიძლია მოვისმინოთ მისი ხმა, რათა ვისწავლოთ მორჩილება და მზად ვიყოთ მომავალი დაწინაურებისთვის? გახსოვთ რა თქვა ღმერთმა საულზე? მორჩილება მსხვერპლზე უკეთესია. შენი თაყვანისცემის გარეგნული გამოვლინება ეკლესიაში არ არის შენი მომავალი დაწინაურების საფუძველი. შეუძლია ღმერთს ძალაუფლება მოგანდოს? სად იწყება ეს ყველაფერი? სახლში.

> *„შვილებო, დაემორჩილეთ თქვენს მშობლებს უფალში, ვინაიდან ეს სამართლიანია. პატივი მიაგე შენს მამას და დედას - ეს არის პირველი მცნება აღთქმით - რათა მოგეცეს სიკეთე და დღეგრძელ იყო დედამიწაზე“.*
>
> – ეფესელთა 6:1-3

რატომ გამოიწვევს მშობლისადმი მორჩილება იმას, რომ გქონდს ხანგრძლივი და წარმატებული სიცოცხლე? ღმერთი ქულებს განიჭებს მორჩილებისთვის? არა, მაგრამ თუ ისწავლი

შენი მშობლების დაფასებასა და პატივისცემას, მათდამი, ვისაც ძალაუფლება აქვთ შენს ცხოვრებაში, მაშინ ღმერთსაც დააფასებ და პატივს სცემ. თუ ღმერთის ძალაუფლებას პატივს სცემ შენს ცხოვრებაში, დაემორჩილები მას და ყველაფერი კარგად წავა შენთვის. ამრიგად, შემიძლია ვთქვა, რომ ღმერთი შენი მშობელივით ჟღერს, როცა ახალგაზრდა და მათი მზრუნველობის ქვეშ ხარ.

მეორე ადგილი, სადაც ღმერთი გაგწრთვნის ძალაუფლების მორჩილებაში, არის ადამიანური ძალაუფლების ქვეშ ყოფნა. შენი ბოსი, შენი პასტორი, პოლიციის ოფიცერი, მთავრობა, ეს ყველა იმ ძალაუფლების მაგალითია, რომლისადმი მორჩილებასაც გვასწავლის ღმერთი.

მახსოვს ოჯახი ჩვენს ეკლესიაში, რომელიც თითქოს ყოველთვის წუწუნებდა და საკუთარ პრობლემებზე ლაპარაკობდა. ისინი სახლის დაკარგვის პირას იყვნენ და 10,000 $ სჭირდებოდათ ამის თავიდან ასარიდებლად. ეკლესიაში ათობით ადამიანს მოუყვნენ თავიანთი ისტორია. საბოლოოდ, ერთმა ოჯახმა გადაწყვიტა მათი დახმარება და 10,000 $ მისცა. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ იგივე ადგილას აღმოჩნდენ და სახლი მაინც დაკარგეს. მე მისაუბრია ამ წყვილთან ამ სიტუაციის შესახებ, რომელთაგან ორივე უმუშევარი იყო. ვთავაზობდი, რომ სულ მცირე რაიმე მაინც ეკეთებინათ, სანამ სწორი სამსახურის გამოჩენას ელოდებოდნენ. მათ ქალაქში ნებისმიერ რესტორანში შეეძლოთ ემუშავათ, მაგრამ თქვეს, რომ ასეთი სამუშაო მათთვის არ იყო. ვფიქრობ, ცხადია, რომ მათი პრობლემა იყო არა ფინანსური, არამედ ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის გაგებასთან დაკავშირებული. რაღაც მიზეზით, მათ ვერ დაინახეს, რომ პირადი პასუხისმგებლობა ჰქონდათ, რათა ძალაუფლება აეღოთ საკუთარ ცხოვრებაზე და ყველაფერი გაეკეთებინათ საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად.

რიკ რენერი, ჩემი ერთ-ერთი მეგობარი, ამბობს, რომ სანამ ვინმეს დაიქირავებს, სთხოვს აჩვენოს თავისი მანქანა, ან სახლში სტუმრობს. მას ესმის, რომ თუ ადამიანი პასუხისმგებლობას ვერ იღებს საკუთარ მანქანაზე, სხვა რამეზეც ვერ აიღებს პასუხისმგებლობას. მხოლოდ დროის ამბავი იქნება, სანამ მისი ოფისიც ისეთი შეხედულების (ვიზუალის) გახდება, როგორც მისი მანქანა.

მე გავიარე ჩემი უდაბნოს წვრთნის პერიოდი. და მოხარული ვარ, რომ ღმერთმა არ დაუშვა დავრჩენილიყავი ჩემი აპათიური

დამოკიდებულებებით ძალაუფლებისადმი. მან დამამდაბლა და გამომცადა, რათა ჩემი დავალებისთვის მოვემზადებინე.

მახსოვს დრო, როცა ფერმის სახლში ცხოვრების პერიოდში ფული არასაკმარისი გვქონდა. მადლობა ღმერთს, დიდი დაბანდების შემთხვევა გაჩნდა, რომელიც საშუალებას მომცემდა გადამეხადა ქვითრები, რომლებიც ბევრი დამიგროვდა. მაგრამ ჩეკი დროულად არ მიმიღია, ამგვარად, ბრწყინვალე იდეა დამებადა, რომ ანგარიშს გავხსნიდი სხვა ბანკში და ფიქტიურ ჩეკს გამოვწერდი იქიდან ჩემს ძველ ანგარიშზე, იმ იმედით, რომ ჩეკს მეორე დღეს მივიღებდი, გავანაღდებდი და ახალ ბანკში ფიქტიურ ჩეკს დავფარავდი. მაგრამ ჩეკი კიდევ ორი კვირა არ მიმიღია! ყოველ დღე ფიქტიურ ჩეკს ვწერდი ჩემს ერთ-ერთ ბანკში, სანამ ჩემი ჩეკი მოვიდოდა. ეს ორი კვირა ამართლებდა, მაგრამ ამასობაში ფიქტიური ჩეკი 2,000 $-მდე ავიდა, რადგან პროდუქტიც უნდა მეყიდა. ამ პერიოდის განმავლობაში, ეს თანხა იზრდებოდა და იზრდებოდა.

ყველაფერი დამთავრდა, როცა დილით ადრე ბანკის მენეჯერმა დამირეკა და პირველი, რაც მითხრა იყო: „მისტერ ქის, ვიცი, რასაც აკეთებთ, და თქვენს ანგარიშს ვხურავ. ამ ანგარიშის დასაფარად თანხა უნდა შემოიტანოთ და ამ ბანკში ველარასდროს გახსნით ანგარიშს“. გამომიჭირეს! ყველაზე ცუდი ამ სიტუაციაში ის იყო რომ ვიყენებდი ჩეკებს, რომლებზეც ბიბლიური მუხლები ეწერა და ბანკის მენეჯერთან ვამოწმებდი, თუ რა დიდებულია ღმერთი. ღმერთს მადლობა ჩეკი იმ დღეს მოვიდა და შევძელი ბანკში მიტანა და ვალის გადახდა. მაგრამ მომიწია ბანკის მენეჯერის ოფისში შევსულიყავი, მომენანიებინა მის წინაშე და მეთქვა, რომ ამ ყველაფერში ღმერთი არ დაედანაშაულებინა, რადგან ყველაფერი ჩემი ბრალი იყო და ეს სისულელე იყო.

ასევე, იყო დრო ჩემი ბიზნესის საწყის წლებში, როცა რეგიონული ვიცე-პრეზიდენტის მიერ ვიწვრთნებოდი. როცა ის ჩემს გაყიდვებს ნახულობდა, შენიშნა, რომ ერთ-ერთ ბლანკზე ხელმოწერა არ მქონდა. მან მითხრა: „რა პრობლემაა. უბრალოდ სინათლეზე დაიჭირე და ისე შემოატარე ხელმოწერას ყველგან, სადაც გამორჩა. მათ პროდუქტი სურთ და სხვაგან ყველგან მოაწერეს ხელი“. ასეც მოვიქეცი. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, ჩემი კლიენტის ადვოკატისგან ზარი მივიღე იმის შესახებ, რომ ჩემი კლიენტი ჩემს წინააღმდეგ 100,000

$-იან საქმეს აღძრავდა მისი ხელმოწერის გაყალბებისთვის საბანკო ფორმაზე. თანხა 5,000$-მდე შემცირდა, რადგან ჩემს რეგიონულ ვიცე-პრეზიდენტსაც ჰქონდა პასუხისმგებლობა და ის გაათავისუფლეს.

მაგრამ მე უნდა მესწავლა! ჩემს ერთ-ერთ ახალ წარმომადგენელს სჭირდებოდა სადაზღვევო გამოცდა და არ ჰქონდა ფული სასწავლი მასალის შესაძენად, ამიტომაც ასლი გადავუღე, რომ გამოეყენებინა. მან ის საგამოცდო ადგილას დატოვა და კიდევ ერთი ზარი მივიღე ადვოკატისგან, რომელიც საავტორო უფლებების დარღვევისთვის მიჩიოდა. იმ პერიოდში IRS-ის ოფისის გზა ჩემი საკუთარი ხელივით ვიცოდი. ყოველთვის ქვითრების გვიან გადახდაზე და ჯარიმებზე დავრბოდი. ახლა ამ ყველაფერს სხვადასხვანაირი გრძნობებით ვუყურებ. ღმერთი ანგარიშვალდებულს მხდიდა, მწვრთნიდა. მან იცოდა, რომ ერთ დღეს მილიონობით დოლართან მექნებოდა საქმე და ნებას არ მომცემდა რამე ისე გამეტარებინა. მადლობა ღმერთს ამისთვის!

მე უნდა მესწავლა, რომ ღმერთია ის, ვისაც წინ მივყავარ და ღმერთი უბრალოდ არ მაწინაურებს ან არ ასრულებს რაღაცას. ჩემი პასუხისმგებლობაც უნდა გამოიცადოს. აი რატომ ვამბობ, რომ ღმერთის ხმა ბოსის ხმასავით ჟღერს. შენი ბოსი არის ღმერთის მიერ გამოყენებული ინსტრუმენტი, რათა გაგწრთვნას შენი მომავალი დავალებისთვის და გასწავლოს მორჩილება. ჩააბარემ ამ გამოცდას?

> *„რადგან არც აღმოსავლეთიდან, არც დასავლეთიდან და არც უდაბნოდან არაა ამაღლება. არამედ ღმერთია მსაჯული: ერთს დაამდაბლებს და მეორეს აამაღლებს“.*
>
> – ფსალმუნი 75:6-7

> *„ყოველი წვრთნა ამჟამად სიხარულად კი არ გვეჩვენება, არამედ მწუხარებად, მაგრამ შემდგომში მშვიდობიან ნაყოფს აძლევს მას, ვინც სიმართლის მიერ განისწავლა“.*
>
> – ებრაელთა 12:11

> *„მონებო, <u>შიშითა და ძრწოლით</u> დაემორჩილეთ თქვენს ხორციელ ბატონებს, გულწრფელად, როგორც ქრისტეს. არა თვალის ასახვევად როგორც პირმოთნენი,*

არამედ როგორც ქრისტეს მონები, <u>რომლებიც გულით ასრულებენ ღვთის ნებას</u>. გულითადად, როგორც უფლისთვის და არა ადამიანთათვის. იცოდეთ, რომ ყველა, ვინც სიკეთეს სჩადის, მასვე მიიღებს უფლისგან, მონა იქნება ის, თუ თავისუფალი. და თქვენც, ბატონებო, ასევე მოექეცით მათ, თავი შეიკავეთ მუქარისგან და იცოდეთ, რომ მათაც და თქვენც ბატონი გყავთ ცაში და მის წინაშე არ არსებობს პირმოთნეობა".

– ეფესელთა 6:5-9

მორჩილება შიშითა და ძრწოლით! ასეთი დამოკიდებულება უნდა გქონდეს შენი ბოსისადმი. შენი მორჩილება შენი ბოსისადმი განსაზღვრულია პავლეს მიერ, როგორც ღმერთის ნების შესრულება. გაგიკვირდათ? მე კი!

ასე რომ, როგორ ჟღერს ღმერთის ხმა? როგორც შენი ბოსის!

ეს არის გამოცდა!

რადგან ვაჯამებ ამ სწავლებას, მჯერა, რომ შთაგონებულები და გამხნევებულები ხართ. სულიწმიდა მართლაც ცხოვრების გასაოცარი პარტნიორია, ის, რომელიც დაგპირდა, რომ არასდროს დაგაგდებს და მიგატოვებს. დიდი პატივი იყო ეს შეუფასებელი ჭეშმარიტებები თქვენთვის გამეზიარებინა.

– გარი ქისი

მეტი ინფორმაციისთვის ვალებიდან გათავისუფლებისა და უსაფრთხოდ დაბანდების შესახებ, შეგიძლიათ დაეკონტაქტოთ ჩემს კომპანიას, „წინმსვლელ ფინანსურ გუნდს" ნომერზე 1-(800)-815-0818.

მეტი ინფორმაციისთვის ღმერთის სამეფოს შესახებ გთხოვთ ეწვიეთ FaithLifeNow.com -ს.

მეტი ინფორმაციისთვის რწმენის სიცოცხლის ეკლესიის შესახებ, შეგიძლიათ ეწვიოთ FaithLifeChurch.org-ს.

თავი 12

როგორ ილოცო და მიიღო სულიწმიდით ნათლობა

ყველაფერი, რასაც ღმერთისგან ვიღებთ, მიიღება იმის რწმენით, რაც ღმერთმა გვითხრა და ღმერთისგან ამ ნიჭის მიღებაც არაა განსხვავებული. სანამ ილოცებ და მიიღებ, დარწმუნდი, რომ ამ წიგნში ჩამოთვლილი ბიბლიური მუხლები კარგად შეისწავლე და ეჭვი აღარ გეპარება, რომ ღმერთის ნებაა შენს კითხვებს პასუხები გაეცეს. როცა დარწმუნდები, რომ სულიწმიდით ნათლობა შენთვისაა, უბრალოდ ილოცე ამ ლოცვით:

„მამა, მე დღეს გთხოვ შენი ყოვლისშემძლე სულით მონათვლას. მე ვიღებ მას ᲐᲮᲚᲐ, შენი სიტყვის თანახმად, იმ ნიჭით რომ ვილოცო ენებზე. ამას გთხოვ იესოს სახელით და შენი დიდებისთვის! ამინ!“

შენ არ ეძებ გამოცდილებას, ან კონკრეტულ განცდებს, არამედ მტკიცედ დგახარ ღმერთის სიტყვაზე, გჯერა, რომ მიიღებ, როცა ილოცებ. მას შემდეგ, როცა სთხოვ და მიიღებ, დაიწყე ღმერთის განდიდება და მადლიერება, რადგან გცხო თავისი სულით, როგორც აღგვითქვა.

როცა ილოცებ დარწმუნდი, რომ გესმის ის, რომ *იღებ მაშინ, როცა ითხოვ,* და არა მაშინ, როცა დამადასტურებელი ნიშნები გაქვს, რომ მიიღე. შენი ნიშანი ღმერთის სიტყვაა.

„ამიტომ გეუბნებით, ყველაფერს რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ რომ მიიღებთ და მოგეცემათ“ . (მარკოზი 11:24)

დარწმუნდი, რომ დრო გაატარო უფლის თაყვანისცემაში ლოცვის შემდეგ, რადგან ღვთის სულს თავისუფლება აქვს, დაამოწმოს საკუთარი თავის შესახებ შენს ლოცვის ენაზე. ღმერთი არ ამოძრავებს შენს პირს! შენ უნდა გახსნა პირი რომ ილოცო ენებზე. როგოც წესი, ადამიანები სისწრაფეს გრძნობენ, ან ენის ბორძიკს, როცა ლოცულობენ, ან გრძნობენ ღვთის სულს.

როცა გააგრძელებ თაყვანისცემას, შესძახე ღმერთის სულს. იგრძნობ, როგორ ამოდის სხვადასხვა ბგერები და მარცვლები შენი სულიდან. რწმენით უნდა შესძახო ეს ბგერები. როცა ასე მოიქცევი, ღვთის სულის დინება გაიზრდება.

თუ რაღაც მიზეზის გამო მაშინვე არ დაიწყებ ენებზე ლოცვას, არ ინერვიულო. შენ *რწმენით* მიიღე, ამრიგად, უბრალოდ გააგრძელე ღვთის მადლიერება მისი ცხებულებისთვის. მინახავს ადამიანები, რომლებიც ეკლესიიდან სახლში ბრუნდებოდნენ, სულიწმიდით ნათლობაზე ლოცვის შემდეგ და უბრალოდ სახლისკენ, გზაში დაუწყიათ სულიწმიდის ენებით ლოცვა, ან შხაპის ქვეშ მეორე დილას, ან რამდენიმე დღის შემდეგ გაზონის კრეჭისას. მთავარი გასაღები ისაა, რომ რწმენით მიიღო და არა განცდით.

გახადე სულით ლოცვა შენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი და განივითარე ძლიერი ლოცვითი ცხოვრება. ღმერთი დაგელაპარაკება და გაგიძღვება პასუხებისკენ, ყველაფერთან დაკავშირებით! მჯერა, რომ დროს გამოყოფ, რათა ილოცო სულით და ისიამოვნო ღმერთის სამეფოს უპირატესობებით, რასაც უკვე ფლობ!

ჩანიშვნები

1. Jared Dublin, “Jailed fan suing NFL for $88 billion over Dez Bryant non-catch) vs. Packers,” January 23, 2015, https://www. cbssports.com/nfl/news/jailed-fan-suing-nfl-for-88-billion-over-dezbryant-non-catch-vs-packers/.
2. http://www.dictionary.reference.com/browse/Edified?s=t.
3. Lin Edwards, “Psychologists say babies know right from wrong even at six months,” May 10, 2010, https:// medicalxpress. com/news/2010-05-psychologists-babies-wrong-months. html

გარი ქისის „შენი ფინანსური რევოლუციის“ სერიის სხვა წიგნები:

ერთგულების ძალა
დასვენების ძალა
სტრატეგიის ძალა
უზრუნველყოფის ძალა
გულუხვობის ძალა

შენი ფინანსური რევოლუცია
სტრატეგიის ძალა

ცხოვრება სავსეა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებით.

როგორ უნდა გაიგო რომელი სახლი იყიდო, ვის ზე უნდა დაქორწინდე ან სად დაიწყო მუშაობა?

თუ გინდა იყო წარმატებული, სტრატეგია გჭირდება. მაგრამ როგორ შეადგენ სტრატეგიას, როცა არ გაქვს ყველა პასუხი?

ღმერთის საიდუმლოებები დაფარულია *შენთვის* და არა *შენგან.*

გარი ქისი „შენი ფინანსური რევოლუციის“ მესამე წიგნში გვიმხელს წარმატების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს და ღმერთის სამეფოს გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე საიდუმლოს: სტრატეგიის ძალას! ყველას შეუძლია თევზის დაჭერა, თუ ეცოდინებათ სად ისროლონ ბადეები. ღმერთს აქვს პასუხები, რომლებიც გჭირდება, მაგრამ უნდა იცოდე როგორ მოისმინო ეს პასუხები და როგორ გამოიყენო ისინი შენს ცხოვრებაში - აი, რის შესახებაა ეს წიგნი.

შეუერთდი გარის ამ თვალების ამხელ მოგზაურობაში და აღმოაჩინე როგორ დანერგო სტრატეგიის ძალა შენს ცხოვრებაში!

გარი ქისი არის ავტორი, სპიკერი, მეწარმე, ფინანსური ექსპერტი და პასტორი, რომელიც აღძრულია ადამიანებს ცხოვრებაში გამარჯვების მოპოვებაში დაეხმაროს, განსაკუთრებით რწმენის, ოჯახისა და ფინანსების სფეროებში. გარიმ და მისმა ცოლმა დრენდამ რამდენიმე წარმატებული ბიზნესი შექმნეს და არიან დამაარსებლები *„რწმენით ცხოვრება ახლა“*, რომელიც ორ სატელევიზიო გადაცემას უშვებს – *ფულის საკითხის მოგვარება* და *დრენდა,* ასევე მსოფლიო მასშტაბის კონფერენციებსა და პრაქტიკულ რესურსებს. გარდა ამისა, ქისები კოლუმბუსში, ოჰაიოში მწყემსავენ *„რწმენით სიცოცხლის ეკლესიას“*.

GKM GARY KEESEE MINISTRIES

garykeesee.com